


ՋԱԵՆԵՐԱԼԻՏ Ե



ԿՈՆ
ՅԻՎԵՅՈՒՆ

„ფანტასტი“ №1

ლიტერატურული ჟურნალი-გზამკვლევი ფანტასტიკის სამყაროში

ნომერი ეძღვნება რეი ბრედბერის

რედაქტორის სვეტი	4
რეი ბრედბერი (Ray Bradbury)	
კაცი (<i>The man</i>)	5
ლურჯი ბოთლი (<i>Blue Bottle</i>)	14
ხის ნატეხი (<i>A Piece of Wood</i>)	21
კალეიდოსკოპი (<i>Kaleidoscope</i>)	25
სასწაულები და საოცრებები. გადაეცი	32
შემდეგ (<i>Marvels and Miracles, Pass It On</i>)	38
აღსდექ, ლაზარე! (<i>Lazarus Come Forth</i>)	47
დადლი სტონის გასაოცარი სიკვდილი (<i>The Wonderful Death of Dudley Stone</i>)	47
სასჯელი დანაშაულის გარეშე (<i>Punishment Without Crime</i>)	56
ინტერვიუ	
რეი ბრედბერი: “მე მორალისტი ვარ...”	64
წერილები:	
მარიაშ სინსაპი – რეი ბრედბერის პორტრეტი – რეი, ანუ ადამიანი მარსიდან	69
ინგა მილორაპა – რეი ბრედბერის სვედიანი და მშვენიერი იგავი	72
მამარ კობრიძე – რეი ბრედბერის “ბაბუაწვერას ღვინო” – ხელახლა აღმოჩენილი ამერიკა	76
ლევან ბელაშვილი – ფანტასტიკა, როგორც ჟანრი	82
მამარ შანიძე – ოლდოს ჰაქსლი და “საოცარი ახალი სამყარო”	89
ლევან კაპანაძე – უელბეკის რომანი-ანტიუტოპია – რა ელის ევროპას?	92
გიორგი ლობჯა – წერილი სტივენ კინგს	94
კლუბის წევრთა შემოქმედება	
მისილ შავლაშვილი – ურჩხული	97
ილია ბაბუნაშვილი – ადამიანთა სფერო	99
თორნიკე ბერიშვილი – საახალწლო ზღაპარი	105
ივა მინაძე – ფოტოსურათი; შეკითხვალოგი	112
ბაბა ნახშირბერი – ფერადი ფანქრები	119
ელბარ ალან პო – ყორანი (თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა)	121
ლიტერატურული კონკურსი	124
გააგრძელე ელგარ პოს მოთხრობა	



რელაქტორის სვეტი

ფანტასტიკის აღმოჩენა ახალი სამყაროს აღმოჩენის ტოლფასია – იმ სამყაროსი, რომელიც თავის თავში ურიცხვ სამყაროებს იტევს! ფანტასტიკა არაა მხოლოდ ზღაპრები მანქანებსა თუ მექანიზმებზე, ტექნიკასა და ტექნიკურ პროგრესზე; საუკეთესო ფანტასტიკას

აინტერესებს ადამიანი და არა მექანიზმები – ყოველ შემთხვევაში, იმ ფანტასტიკას, რომელსაც გამოვაქვეყნებთ...

ცნება “ფანტასტიკას” ძალზე ფართო გაგებით განვიხილავთ – ჩვენს ჟურნალში იქნება სამეცნიერო ფანტასტიკაც, ფენტეზიც, ჰორორიც, მისტიკაც, აბსურდიც, სიურეალიზმიც, “მაგიური” პროზაც და ლიტერატურული ზღაპარიც...

ერთი სიტყვით, თუ გიყვართ ოცნება, – ან ჯერ კიდევ გახსოვთ, რომ ოდესღაც გიყვარდათ, – თუ ხედავთ სიზმრებს, – ან ჯერ კიდევ გახსოვთ, რომ ოდესღაც ხედავდით, – დიდი შანსია, ჩვენი ჟურნალი გვერდზე არ გადადოთ, წაიკითხოთ და ისიამოვნოთ...

სწორედ ამან მაფიქრებინა ჟურნალის დაარსება: შარშან აგვისტოში დასვენება მოვიწყე – პლანშეტი ჩამივარდა ხელში, წამოვწეი და ვიკითხე და ვიკითხე ფანტასტიკა – ბავშვობიდან მიყვარს. ერთი თვის განმავლობაში 150 მოთხრობა წავიკითხე (ზოგიც გადავიკითხე) და ისეთი სიამოვნება მივიღე, ისე მომიხდა, რომ სხვაამც ისიამოვნოს, გავბედე და “ფეისბუქზე” გამოვაცხადე – მოდი, კლუბი შევქმნათ და ჟურნალი გამოვცეთ-მეთქი...

მადლობა დმერთს, ვიპოვე ფანტასტიკის მოყვარულები – შევქმენით კლუბი, დავმეგობრდით – და მოვამზადეთ ჟურნალი, ხელში რომ გიჭირავთ...

ჩვენი მიზანია ფანტასტიკის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა ქართველი ფანტასტების აღმოჩენა, წახალისება და ხელშეწყობა...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ფანტასტიკის სამყაროში!



რეი ბრედბერი

კ ა ტ ი

კაპიტანი ჰარტი რაკეტის შესასვლელში იდგა.
– რატომ არ მოდიან?
– ვინ იცის? – მიუგო ლეიტენანტმა მარტინმა,
– ანკი საიდან შეიძლება ვიცოდეთ, კაპიტანო?
– ეს რანაირი პლანეტაა, ვერ გამიგია, – კაპიტანმა სიგარა გააბოლა. ასანთი მზითგაჩახჩახებულ მდებარეობა მოისროლა. ბალახს ცეცხლი მოედო. მარტინმა ცეცხლის ფეხით ჩაქრობა სცადა.
– არ გინდა, – გააჩერა კაპიტანმა, – დაიწვას. იქნებ აქაური ბრიყვები იმის გასარკვევად მაინც მოვიდნენ, რა ხდება.
მარტინმა მხრები აიჩეჩა და გვერდზე გადასწია. კაპიტანმა ჰარტმა საათს დახედა.

– უკვე ერთი საათია, რაც აქა ვართ, მაგრამ, აბა, სადაა სტუმრების მიმღები კომისია? სადაა სასულე ორკესტრი? კაციშვილი არ ჭაჭანებს! უსაზღვრო კოსმოსში მილიონობით მილი ვიფრინეთ, ამ გადაკარგული პლანეტის ბინადარნი კი ზედაც არ გვიყურებენ! – კაპიტანმა ჩაიფხუკუნა, მერე მაჯის საათს რამდენჯერმე დაჰკრა ფრჩხილი – მოდი, ერთი-ორი წუთი კიდევ დავაცადოთ, მერე კი...
– მერე რა ვქნათ? – ჰკითხა მუდამ თავაზიანმა მარტინმა. კაპიტანის მოფლამულ ლოყებს გახედა.
– აფფრინდეთ და ამ წყეულ ქალაქს კიდევ ერთხელ გადავუაროთ თავზე, დავაფროთხოთ. –

კაპიტანმა ხმას აუწია, – როგორ ფიქრობ, მარტინ, იქნებ ვერ დაინახეს, როგორ დავეშვიო?

– დაგვინახეს, სერ, ცაში იყურებოდნენ, როცა ვეშვებოდით.

– მაშინ, ჩვენს დასახვედრად რატომ არ მობიან? გვემალებიან? შეშინდნენ თუ რა?

მარტინმა თავი გააქნია.

– არა, სერ. აი, ბინოკლი აიღეთ, თქვენი თვალით ნახეთ. თავისთვის დასეირნობენ. შეშინებულებს არ ჰგვანან, უბრალოდ, არ ვაინტერესებთ.

კაპიტანმა ჰარტმა ბინოკლი მოიმარჯვა, ჩაწითლებულ თვალებთან მიიტანა. მარტინმა კაპიტანს გახედა და სახეზე დაღლილობის, გაღიზიანებისა და გაუგებრობის ანაბეჭდი დაინახა. ჰარტი ისე გამოიყურებოდა, თითქოს უსახლვროდ დაბერებულიყო; ბოლო ხანს თითქმის არ ეძინა, არ ჭამდა, თავს ძლივს მიათრევდა. ბინოკლის ქვეშ ტუჩებს ბებრულად აცმაცუნებდა.

– მარტინ, მართლა არ მესმის, რატომ ვწვალობთ ამდენს. ჩვენ ავაგეთ რაკეტები, მათ ძიებაში ათასნაირი საფრთხე გამოვიარეთ და, აი, რა მივიღეთ. ყურსაც კი არ იბერტყავენ. შეხედე ერთი, ეს იდიოტები როგორ დაბორილობენ, ვერ აცნობიერებენ, რამხელა ისტორიული მოვლენის მოწმენი გახდნენ. პირველი კოსმოსური ექსპედიცია დაეშვა მათ გადაკარგულ პლანეტაზე. ეს რა, ხშირად ხდება აქ? რა, ყელში ამოუვიდათ უკვე?

მარტინს ხმა არ ამოუღია, არ იცოდა, რა ეთქვა.

კაპიტანმა ჰარტმა ბინოკლი დაღლილი მოძრაობით დაუბრუნა.

– რატომ ვაკეთებთ ამას, მარტინ? კოსმოსურ მოგზაურობას ვგულისხმობ. მუდმივად გზაში ვართ, მუდმივად ძიებაში, შინაგანად მუდმივად დაძაბულები, წუთითაც კი ვერ ვისვენებთ.

– შესაძლოა, ჩვენ ვეძებთ სიმშვიდეს, რომელსაც დედამიწაზე ვერ იპოვი, – შენიშნა მარტინმა.

– შენ გგონია, ვერ იპოვი? – დაფიქრებით ჩაილაპარაკა კაპიტანმა, – დარვინის დროიდან მოყოლებული ასეა, არა? როცა ყველაფერი, რაც გვწამდა, დაკარგეთ, ყველაფერი ბორტს მიღმა გადავყარეთ, არა? ღვთიური ძალა და ყველაფერი მსგავსი. და სწორედ ამიტომ ვესწრფვით ვარსკვლავებს, ა, მარტინ? ჩვენი დაკარგული სულების მოსაძიებლად? ესაა ჩვენი მიზანი? ჩვენს ბოროტ

პლანეტას გავექცეთ და კეთილს მივაგნოთ?

– შესაძლოა, სერ. ეტყობა მართლა ვეძებთ რალაცას.

კაპიტანმა ჰარტმა ყელი ჩაიწმინდა და ხმა ისევ გაიმკაცრა.

– კარგი, ახლა ამ ქალაქის მერი მოვძებნოთ. გაიქეცი, გადაეცი, ვინ ვართ ჩვენ. რომ ესაა პირველი კოსმოსური ექსპედიცია მესამე ვარსკვლავური სისტემის ორმოცდამესამე პლანეტაზე. კაპიტანი ჰარტი უთვლის გულთბილ სალაშქარსა და კეთილ სურვილებს, და მოუთმენლად ელის მერთან შეხვედრას. აბა, მიდი!

– არის, სერ, – მარტინი აუჩქარებდა დაიდრა.

– ცოტა სწრაფად! – შეუძახა კაპიტანმა.

– არის, სერ, – მარტინმა სვლა ძუნძულით განაგრძო. მერე კი ნაბიჯზე გადავიდა. ელიმებოდა.

მარტინის მობრუნებამდე კაპიტანმა ორი სიგარის მოწვევა მოასწრო. მარტინი რაკეტის წინ შეჩერდა, გახსნილ კარს ახედა. ადგილზე ირხეოდა, გეგონება, ერთ წერტილში ყურებას და აზროვნებას ვერ ახერხებსო.

– რა ხდება? – შეჰყვირა ჰარტმა, – მოვლენ თუ არა ჩვენს დასახვედრად?

– არა. – მარტინს თავბრუ ესხმოდა, იძულებული გახდა რაკეტას მიყრდნობოდა, – ამას არა აქვს მნიშვნელობა, – ჩაილაპარაკა, – კაპიტანო, თუ შეიძლება, სიგარეტი მომეცით.

მარტინმა ისე, რომ არც შეუხედავს, სიგარეტის გახსნილი კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო, ქალაქს გახედა – მოვარაყებული სახურავები ოქროსფრად ელვარებდა. სიგარეტი გააბოლა. დიდხანს ეწეოდა მღუმარედ.

– რალაც მაინც თქვი! – შეუღრინა კაპიტანმა, – ჩვენი რაკეტა რა, არ აინტერესებთ?

– რაა? ა, რაკეტა? – მარტინმა სიგარეტს დახედა, – არა, არ აინტერესებთ. როგორც ჩანს, უდროო დროს მოვსულვართ.

– უდროო დროს!

მარტინმა მოთმინებით დაიწყო ახსნა:

– კაპიტანო, მისმინეთ. გუშინ ამ ქალაქში რალაც განსაკუთრებული მომხდარა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია, რომ ჩვენ, მასთან შედარებით, მეორეხარისხოვნი მოვლენა აღმოვჩნდით. დავდჯები. – მარტინმა წონასწორობა

დაკარგა და მძიმედ დაეშვა ბალახზე, ღრმად სუნთქავდა.

კაპიტანი გაგულისებით ღეჭავდა სიგარას.

– ასეთი რა მოხდა?

მარტინმა თავი აწია. სიგარეტი თითებს შორის ჰქონდა გაჩრილი, – კვამლი ქარს გაატანა.

– სერ, გუშინ ამ ქალაქში არაჩვეულებრივი კაცი მოვიდა – კეთილი, ჭკვიანი, გულმოწყალე და უსასრულოდ ბრძენი!

კაპიტანმა ლეიტენანტს რისხვით გახედა.

– მერე ჩვენ რა?

– ძნელი ასახსნელია. მაგრამ ეს ის კაცია, რომელსაც აქაურები ძალიან დიდხანს ელოდნენ, შესაძლოა, მილიონი წელიც კი. ქალაქში გუშინ მივიდა. და ამიტომ ჩვენი რაკეტის დღევანდელი დაშვება მათთვის აღარაფერს ნიშნავს.

კაპიტანი მკვეთრი მოძრაობით დაჯდა.

– ვინაა? ეშლია? დაგვასწრო და ჩვენი კუთვნილი სახელ-დიდება მიისაკუთრა? – კაპიტანმა მარტინს მკლავზე ხელი მოუჭირა. სახე გაფითრებული და გამწარებული ჰქონდა.

– არა, სერ, ეშლი არაა.

– მაშინ ბარტონი იქნება! ასეც ვიცოდი. ბარტონმა დაგვასწრო ქურდულად და მოგვტაცა პირველი დაშვება! ვერავის ენდობი კაცი!

– არც ბარტონია, სერ, – ჩუმად უთხრა მარტინმა.

კაპიტანი ვერ იჯერებდა.

– მხოლოდ სამი რაკეტა იყო. ყველაზე წინ ჩვენ ვიყავით. ვინ დაგვასწრო, ჩვენზე ადრე ვინ ჩამოფრინდა? რა ჰქვია მას!

– მას არა აქვს სახელი და არცა სჭირდება. ყოველ პლანეტაზე თავისებურად ეძახიან, სერ.

კაპიტანმა მძიმე, ცინიკური მზერა სტყორცნა.

– რა გააკეთა ეგეთი განსაკუთრებული, ჩვენს ნომალდს ზედაც რომ აღარ უყურებენ?

– ერთი მიზეზით, – ყოყმანის გარეშე მოუგო მარტინმა, – მან განკურნა სნეული და ნუგეში სცა გაჭირვებულს. ხმა აღიმადლა ფარისევლობისა და უნამუსო მმართველობის წინააღმდეგ, იყო ხალხთან, იჯდა მათ შორის და მთელი დღე ესაუბრებოდა.

– და რა არის ამაში ასეთი გასაოცარი?

– არის, კაპიტანო.

– არ მესმის, – კაპიტანი მარტინს თვალეში ჩააშტერდა, – შენ რა, დათვერი? – რაღაცას ეჭვობდა. თავი უკან გადაწია, – არა, არ მესმის.

მარტინმა ქალაქს გახედა.

– კაპიტანო, თუ არ გესმით, ვერც აგიხსნით.

კაპიტანმა მის მზერას თვალი გააყოლა. ქალაქი იყო მშვიდი, ლამაზი – საოცარი უშფოთველობით აღსავსე. კაპიტანმა ნაბიჯი გადადგა წინ, სიგარა მოისროლა. მარტინს თვალმოჭუტულმა გახედა, შემდეგ მზერა შორეული ქალაქის მოლაპლაპე სახურავებზე გადაიტანა.

– ნუთუ იმას გულისხმობთ... თქვენ რა, გინდათ თქვათ... რომ ის კაცია?... არა, შეუძლებელია!...

მარტინმა თავი დაუქნია:

– დიახ, სერ, სწორედ იმას ვგულისხმობ.

კაპიტანი გაშეშდა. ხმას არ იღებდა. შემდეგ ერთიანად გასწორდა.

– არ მჯერა. – თქვა ბოლოს.

შუადღისას კაპიტანი ჰარტი ქალაქისკენ გაემართა სწრაფი ნაბიჯით, მასთან ერთად იყვნენ ლეიტენანტი მარტინი და ტექნიკური ასისტენტი, რომელსაც ხელსაწყოები მოჰქონდა. ღროდადრო კაპიტანი სიცილი უტყდებოდა, თავს აქნევდა, ღონივრეულად მიმოყრილი.

ქალაქის მერს შეხვდნენ. მარტინმა სამფეხა გამალა, ხელსაწყო მიახრახნა და ელემენტები შეუერთა.

– მერი თქვენ ხართ? – კაპიტანმა უცხოპლანეტელის საჩვენებელი თითი მიუშვირა.

– დიახ, ვარ. – უპასუხა მან.

მათ შორის სამფეხაზე იდგა აპარატი, რომელსაც მარტინი და ტექნიკური ასისტენტი მართავდნენ. მექანიზმი უზრუნველყოფდა მყისიერ თარგმანს ნებისმიერი ენიდან. ქალაქის ბლანტ მდუმარებაში სიტყვები მჭახედ ისმოდა.

– გუშინდელით დავიწყით, – თქვა კაპიტანმა, – ეს მართლა მოხდა?

– დიახ, მოხდა.

– მოწმეები გყავთ?

– რა თქმა უნდა.

– შეიძლება დაველაპარაკოთ?

– ნებისმიერს შეგახვედრებთ, – მიუგო მერმა, – აქ ყველანი მოწმეები ვართ.

კაპიტანმა მარტინს გადაუჩურჩულა:

– მასობრივი ჰალუცინაცია.



მერე კი მერს მიუბრუნდა:

– როგორ გამოიყურება ის კაცი, ის უცნობი?
– ძნელი სათქმელია, – უთხრა მერმა და ოდნავმ-
ესამჩნევად ჩაილიმა.

– ვითომ რატომ?

– შესაძლოა, ჩვენი აზრები ერთმანეთს არ დაემთხ-
ვეს.

– მაშინ თქვენი აზრი მაინც გვითხარით, სერ, –
უთხრა კაპიტანმა. გვერდით მდგომ მარტინს კი
უბრძანა – “ჩაიწერე!”

ლეიტენანტმა პორტატული მაგნიტოფონის ლი-
ლაკს დააჭირა.

– ჰოო, – დაიწყო მერმა, – იგი ერთობ სათნო
და კეთილი კაცია. და ეტყობა, ყველაფერს უწყის.

– ვიცი, ვიცი, – კაპიტანმა ხელი აიქნია, – ეს
ზოგადი ფრაზებია. მე მჭიდრება რაღაც კონკრე-
ტული, როგორ გამოიყურება?

– ჩემი აზრი არაა მნშივენელოვანი, – უპა-
სუხა მერმა.

– ძალიანაც მნიშვნელოვანია, – უხეშად
გააწყვეტინა კაპიტანმა, – მე მჭირდება იმ
ტიპის გარეგნული აღწერა, თუ არ მეტყვით,
სხვებს ვკითხავ, – და მარტინს მიუბრუნდა, –
დარწმუნებული ვარ, ეს ბარტონი იქნებოდა, მისი
ახალი ოინი უნდა იყოს.

მარტინი მდუმარედ იდგა, კაპიტანს თვალს
არიდებდა. კაპიტანმა თითები გაატკაცუნა.

– მაშ, რას აკეთებდა ქალაქში, კურნავდა?

– მრავალი განკურნა, – მიუგო მერმა.

– ერთი მაინც თუ შეიძლება, რომ ვნახო?

– დიახ, შეგიძლიათ, – თქვა მერმა, – აი, ჩემი ვაჟი,

– მერმა პატარა ბიჭს თავი დაუქნია, მან ნაბიჯი
გადმოდგა წინ.

– ხელი გამხმარი ჰქონდა... აბა, ახლა ნახეთ.

ამის გაგონებაზე კაპიტანმა ერთობ შემწყნარებუ-
ლად ჩაიცინა.

– კი მაგრამ, ზომ უნდა გესმოდეთ, უტყუარ მტკი-
ცებულებად ეს არ გამოდგება, ბიჭის გამხმარი ხელი
მე არ მინახავს, მხოლოდ მის ჯანსაღ ხელსა ვხე-
დავ, ეს არ არის საბუთი, რა მტკიცებულება გაქვთ
იმისა, რომ გუშინ ბიჭს ხელი გამხმარი ჰქონდა,
ლღეს კი ჯანმრთელი აქვს?

– ჩემი სიტყვაა ჩემი საბუთი, – მარტივად მიუგო
მერმა.

– მოიცა! – შეჰყვირა კაპიტანმა – გგონიათ, სიტყვაზე გენდობით? რა, მართლა ასე გგონიათ? არა, ბატონო!

– სამწუხაროა, – ჩაილაპარაკა მერმა. კაპიტანს ერთდროულად სიბრალულითა და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა.

– ბიჭის ძველი სურათი ხომ არა გაქვთ? – იკითხა კაპიტანმა.

ცოტა ხანში მოიტანეს ბიჭის პორტრეტი, ზეთის საღებავებით შესრულებული. პორტრეტზე ბიჭს ხელი გამხმარი ჰქონდა.

– ჩემო ძმაო! – კაპიტანმა ხელი აუქნია პორტრეტს, – ყველას შეუძლია სურათის დახატვა, ნახატი ტყუის, მე ბიჭის ფოტოგრაფია მჭირდება.

მაგრამ ფოტოსურათი არ აღმოაჩნდათ, იმ პლანეტაზე ფოტოგრაფიის ხელოვნებას ჯერ არ იცნობდნენ.

– ჰო, კარგი, – ამოიხსრა კაპიტანმა და სახე აუთამაშდა, – სხვებსაც დამალაპარაკეთ, თორემ ასე წინ ვერ წავალთ. – მან იქვე მდგომ ქალზე მიუთითა, – აი, თქვენ, – ქალი შეყოყმანდა, – დიან, თქვენ, მოდით აქ, – უბრძანა კაპიტანმა, – მიმიყვით იმ საოცარ კაცის შესახებ, გუშინ რომ ნახეთ.

ქალმა კაპიტანს თვალი გაუსწორა:

– ის ჩვენს შორის დადიოდა, ის მშვენიერი და კეთილია.

– რა ფერის თვალები აქვს?

– მზისფერი, ზღვისფერი, ყვავილისფერი, მთისფერი, ღამისფერი.

– საკმარისია, – კაპიტანმა ხელი აიქნია. – ხედავ, მარტინ? ეს ხომ არაფერია! ვიღაც თაღლითი დაეხეტებოდა აქ და რაღაც ტკბილ-ტკბილ ტყუილებს ჩასჩურჩულებდა.

– თუ შეიძლება, გაჩუმდით, – უთხრა მარტინმა. კაპიტანმა უკან წადგა ნაბიჯი.

– რაო?

– მშვენივრად გაიგეთ, რაც გითხარით, – გააგრძელა მარტინმა, – მე მომწონს ეს ხალხი, მე მჯერა მათი. თქვენ გაქვთ უფლება, გქონდეთ საკუთარი აზრი, მაგრამ შეგიძლიათ თქვენთვისვე დაიტოვოთ, სერ.

– როგორ მიბედავ! – იღრიალა კაპიტანმა.

– თქვენი ქედმაღლობა ყელში ამოვიდა, – მიუგო მარტინმა, – გაანებეთ ამ ხალხს თავი. მათ რაღაცა კარგი და კეთილი მიიღეს, თქვენ კიდე მოხვედით, ბუდე აუმტუტეთ, დასცინეთ. მე თვითონაც გავესაუბრე მათ, ქალაქი შემოვიარე, სახეებს დავაკვირდი. მათ აქვთ რაღაც, რაც თქვენ არასოდეს გქონიათ – რწმენის მარცვალი. და მისი საშუალებით ისინი მთებს გადადგამენ. თქვენ იმიტომ გაცეცხლდით, რომ ტრიუმფი ჩაიფლავდათ, დაგასწრეს და მნიშვნელოვნება დაგეკარგათ.

– მარტინ, ხუთ წამს გაძლეე, – უთხრა კაპიტანმა, – მივხვდი. ეტყობა მეტისმეტად გადაიძაბე, კოსმოსში ხანგრძლივი მოგზაურობა, ნოსტალგია, მარტოობის განცდა, ახლა კიდეე, ეს ყველაფერი... მესმის შენი, მარტინ, და ამ მცირე დაუმორჩილებლობას ყურადღებას აღარ ვაქცევ.

– მე კი ვაქცევ ყურადღებას თქვენს მცირე ტირანიას, – უპასუხა მარტინმა – მე მივიღვარ, სერ, აქა ვრჩები.

– ვერ გაბედავ!

– ნუთუ? აბა, სცადეთ და გამაჩერეთ, მე ხომ სწორედ ამისთვის ჩამოვედი აქ, თუმცა კი თვითონაც არ ვუწყოდი ამას. სწორედ საჩემოა. ეგ თქვენი სიბინძურე კი სადმე სხვაგან წაიღეთ, სხვისი ბუდე აამტუტეთ თქვენი ეჭვითა და თქვენი მეცნიერული მეთოდებით. – მარტინმა მიმოიხედა, – ამ ადამიანებს აქვთ ცოცხალი გამოცდილება, თქვენ კი ვერ დაგიჯერებიათ, რომ ეს მართლა მოხდა... ბელმა გაგვიღიმა, ისე ჩამოგფრინდით, თითქმის მოვუსწარი. ადამიანები დედამიწაზე ამ კაცის შესახებ ოცი საუკუნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ, იმ დღიდან მოყოლებული, რაც ძველ სამყაროში გამოჩნდა. ჩვენ ყოველთვის გვსურდა გვეხილა და მოგვესმინა მისთვის და არასოდეს გვქონია ამის შესაძლებლობა, და, აი, დღეს ჩვენ კვლავ სულ რაღაც რამდენიმე საათით ავცდით მას.

კაპიტანი ჰარტი მარტინის სახეს დააკვირდა.

– პატარა ბავშვით ჩამოგდის ცრემლები, შეწყვიტე ახლავე!

– არ მენალვლება.

– მე კიდე მენალვლება, ამ აბორიგენების წინაშე თავი კაცურად უნდა გვეჭიროს, შენ გადაიღალე. როგორც გითხარი. მოკლედ, მიპატიებია.

– მე არ მჭირდება თქვენი პატიება.

– იდიოტო! ნუთუ ვერ ხედავ, ბარტონის მორიგი ხრიკია, ეს ხალხი რომ გააბითუროს. ნავთობისა და წიაღისეულის კომპანია რომ მოიწყოს, რელიგიური საფარველის ქვეშ. ბრიყვი ხარ, მარტინ! აბსოლუტური ბრიყვი! შენ კარგად უნდა იცნობდე დედამიწელებს, ისინი ყველაფერზე მიდიან: მკრეხელობა, სიცრუე, სიყალბე, ქურდობა, მკვლელობა, ოღონდ კი თავისას მიაღწიონ. ყველაფერი კარგია მათთვის, რასაც კი მოახერხებენ. ხომ იცი, ბარტონი რა პრაგმატული ტიპია.

კაპიტანმა ამოიხსრა,

– აღიარე, ეს ყველაფერი სწორედ ის სისამაღლეა, ბარტონს რომ შეუძლია მოაწყოს, აბორიგენებს თავვზა აუბნიოს და გაყვლიფოს, როცა დრო მოვა.

– არა. – დაფიქრებით თქვა მარტინმა.

კაპიტანმა ხელი გაასავსავა - ეს ბარტონია, ეს მისი ბინძური, დანაშაულებრივი ხრიკებია, ჩამოფრინდა აბორიგენებთან ბებერი ურჩხული, ცეცხლსა და ალში, შარავანდელში გახვეული, აქ კეთილი სიტყვა თქვა, იქ სიყვარულით შეეხო, გამოიყენა უებარი მალამო ანდა მაკურნებელი სხივი. ნამდვილად ბარტონია!

– არა. – მარტინმა ჩუმად უპასუხა, ხელები თვალებზე აიფარა, – არა, მე არ მჯერა ამის.

– უბრალოდ, არ გინდა დაიჯერო, – დაჟინებით იმეორებდა კაპიტანი, – აღიარე. სწორედ ისაა, რასაც ბარტონი იზამდა. შეწყვიტე ოცნება, მარტინ, გამოიღვიძე, უკვე გათენდა, ეს რეალური სამყაროა, ჩვენ რეალურად ბინძური ხალხი ვართ, ბარტონი კი უბინძურესია ჩვენს შორის.

მარტინი გატრიალდა.

– კარგი, კარგი, მარტინ, – უთხრა ჰარტმა და მხარზე ხელი დაჰკრა, – მესმის, შენთვის ეს ნამდვილი შოკია. ეს ყველაფერი მართლაც სამარცხვინოა. ბარტონი ნადირალაა, ამ ყველაფერს ცოტა უფრო მსუბუქად შეხედე. მომეცი საშუალება ეს ყველაფერი მოგავგარო.

მარტინი რაკეტისკენ აუჩქარებლად წავიდა.

კაპიტან ჰარტმა თვალი გააყოლა, ღრმად ჩაისუნთქა და მიუბრუნდა ქალს, რომელსაც კითხვა დაუსვა.

– კიდევ მომიყვით ამ კაცზე, რას ამბობდით, ქალბატონო?

მოგვიანებით, როცა კოსმოსური ხომალდის ოფიცრები მდელოზე გამოტანილ მომცრო გასაშლელ მაგიდებს სავახაშმოდ შემოუსხდნენ, კაპიტანმა თვალებგაწითლებულ, დაღვრემილ მარტინს უთხრა:

– ორმოცამდე კაცს გამოვკითხე და ყველა ერთი და იმავე ტყუილს იმეორებს, ბარტონის ხრიკებია, დარწმუნებული ვარ, ხვალ ანდა მომავალ კვირას უკან მობრუნდება, მდგომარეობა რომ განიმტკიცოს და კონტრაქტები აგვწაპნოს. უნდა დავრჩეთ, დაველოდოთ და საქმე ჩაუშალოთ.

მარტინმა პირქუშად შეხედა:

– მოვკლავ.

– აბა, აბა, მარტინ, მშვიდად, მშვიდად, ბიჭო.

– მოვკლავ, დამეხმარეთ, მოვკლა.

– ჩვენს მას შევაჩერებთ, მაგრამ უნდა აღიარო მისი ეშმაკობა. როგორი ამორალურია, თუმც კი ჭკვიანი.

– ნადირალაა.

– სიტყვა მომეცი, რომ ძალადობას ადგილი არ ექნება, – კაპიტანმა ჰარტმა ჩანაწერებში ჩაიხედა. – ამ ჩანაწერებს თუ დავუჯერებთ, ოცდაათი სასწაულებრივი კურნება მომხდარა, ბრმას მხედველობა დაუბრუნდა, კეთროვანი განიწმინდა, ბარტონს შეუძლია ეფექტის მოხდენა, ამას ვერ წაართმევ.

გონგის ხმა გაისმა. წამის შემდეგ კაპიტანთან ეკიპაჟის წევრმა მიიღბინა.

– კაპიტანო! სერ! გატყობინებთ: ბარტონის ხომალდი ეშვება, ასევე ეშლის ხომალდიც!

– აი, ხომ ხედავთ, – კაპიტანმა ჰარტმა მაგიდას მუშტი დაჰკრა, – მოცუნცულეებენ ტურები საშოვარზე. ვერ ითმენენ. ესლა ვაჩვენებ სეირს. მე ვაიძულებ მათ ადგილი დამითმონ სუფრაზე, აი, ვნახოთ, თუ არა.

მარტინს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდი, საცაა გული აერევაო. კაპიტანს გახედა.

– ბიზნესი ბიზნესია, ჩემო კარგო ბიჭო, – უთხრა კაპიტანმა.

ყველამ მალლა აიხედა. ცაში ორი რაკეტა მოსრიალებდა, მაგრამ მიწაზე დაშვებისას კინაღამ დაილეწნენ.

– რა სჭირთ ამ იდიოტებს! – შეჰყვირა კაპიტანმა და წამოხტა. ყველანი ორთქლში გახვეუ-

ლი კოსმოსური ხომალდებისკენ გაიქცნენ. კაპიტანიც მიიჭრა რაკეტასთან. ხმაურით გაიღო ბარტონის ხომალდის კარი. იქიდან ადამიანი გადმოვარდა, – დაჭერა ძლივს მოასწრეს.

– რა გჭირს? – შეჰყვირა ჰარტმა.

ადამიანი მიწაზე იწვა. დააკვირდნენ და დაინახეს: კანი დამწვარი აქვს, საშინლად დამწვარი, სხეული – ჭრილობებით და იარებით დაფარული, ჩირქოდებულ კანს ალმური ასდის. ადამიანმა თვალი გაჭირვებით გაახილა, შეშუპებული ქუთუთოებიდან ამოიხედა, დახეთქილ ტუჩებში ენა ოდნავ გაასავსავა .

– რა გჭირს?! – უყვიროდა ჰარტი, მომაკვდავის წინ მუხლებზე დაეშვა, მხარზე დაქაჩა.

– სერ, სერ, – ჩურჩულით უთხრა მომაკვდავმა.

– 48 საათის წინ, 79-ე სექტორში, ამ სისტემის პირველ პლანეტასთან, ჩვენი და ეშლის რაკეტები კოსმოსურ ქარიშხალში მოყვნენ, – ნესტოებიდან რაღაც რუხი სითხე ჩამოეღვარა, პირიდან კი სისხლი ამოანთხია, – ყველა დაიხოცა, მთელი ეკიპაჟი, ბარტონი მოკვდა, ეშლიც მოკვდა ერთი საათის წინ, მხოლოდ სამნი გადავრჩით.

– მისმინე! – დაუდრიალა ჰარტმა, სისხლმდინარე ადამიანისკენ დაიხარა, – ამ პლანეტაზე აქამდე არ ყოფილხართ?

კაცს ხმა არ ამოუღია.

– მიპასუხე! – უყვირა ჰარტმა.

მომაკვდავმა ჩაილაპარაკა:

– არა, ქარიშხალი... ბარტონი ორი დღის წინ მოკვდა. ბოლო ექვსი თვეა პირველად დავეშვიტ პლანეტაზე.

– დარწმუნებული ხარ? – უყვირა ჰარტმა და მთელი ძალით შეაჯანჯღარა. – დარწმუნებული ხარ?!

– კი, კი, – აღმოხდა მომაკვდავს.

– ბარტონი ორი დღის წინ მოკვდა? ზუსტად გახსოვს?

– კი, კი, – წაიჩურჩულა ადამიანმა და თავი ჩამოუვარდა. მოკვდა.

კაპიტანმა ცხედართან ჩაიმუხლა, სახე დაემანჭა, კუნთები უნებლიედ აუთამაშდა. ეკიპაჟის დანარჩენი წევრები მის უკან იდგნენ, თავჩაქინდრულები.

მარტინი იცდიდა. კაპიტანმა ითხოვა, ადგომაში

მომეხმარეთო, მიეხმარნენ. იდგნენ და ქალაქს გაჰყურებდნენ.

– ეს ნიშნავს...

– ეს ნიშნავს?

– ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამ პლანეტაზე პირველები მოვსულვართ, – ჩურჩულით თქვა კაპიტანმა. – და ის კაცი...

– ის კაცი? – იკითხა მარტინმა.

– და რა, ის კაცი? – კაპიტანმა.


კაპიტანს სახე უაზროდ აუცახცახდა, რუხი ფერი გადაეკრა. თვალები თითქოს შუშისა გაუნდა. ჰარტმა ხმელ ბალახში ნაბიჯი გადადგა.

– წავიდეთ მარტინ, წავიდეთ, ხელი მომიკიდეთ, მეშინია, არ წავიქცე. დრო არ უნდა დავკარგოთ, ვიჩქაროთ, დრო ცოტა გვაქვს.

ბარბაცით მიდიოდნენ ქალაქისკენ, მაღალ ხმელ ბალახში, უეცრად ამოვარდნილ ქარში.

რამდენიმე საათის შემდეგ მერის მისაღებში ისხდნენ. ათასობით კაცი მოდიოდა, ესაუბრებოდა – მიდიოდა. კაპიტანი გაუნძრევლად იჯდა, სახე გასავათებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ისმენდა და ისმენდა. ისეთი ნათელი იდგა იმათ თვალებში, ვინც მოდიოდა, ადასტურებდა, ყვებოდა, რომ უკვე ვეღარ უყურებდა მათ. ხელები უნებლიედ უცახცახებდა, – ხან მუხლებზე დაიწყობდა, ხან ქამარზე.

როცა ყველაფერი მორჩა, კაპიტანი ჰარტი მერს მიუბრუნდა და გოცებით ჰკითხა:



– მაგრამ თქვენ ხომ უნდა იცოდეთ, სად წავი-
და?

– სად მიდის, არ გვითხრა.

– რომელიმე ახლომდებარე სამყაროში ხომ არა? – კაპიტანი პასუხს ითხოვდა.

– არ ვიცით.

– უნდა იცოდეთ.

– თქვენ მას ხედავთ? – ჰკითხა მერმა და შეკრებილ ხალხზე მიუთითა.

კაპიტანმა მიმოიხედა:

– არა.

– მაშ, ალბათ, წასულა, – თქვა მერმა.

– შესაძლოა, შესაძლოა, – სუსტი ხმით წამ-
ოიყვირა კაპიტანმა, – მე დაუშვი საშინელი შეც-
დომა, ახლა კი მინდა მისი ნახვა, ახლავე! მხ-
ოლოდ ახლავ მივხვდი, ეს არის ყველაზე არაჩვეუ-
ლებრივი მოვლენა ისტორიაში. წარმოიდგინეთ,
ასეთ რამეში მოხვედრა რას ნიშნავს! არსებობს
ერთი შანსი მილიარდიდან, სწორედ იმ პლანე-
ტაზე ჩაფრინდე, სადაც იგი წინა დღეს გამოჩნ-
და!.. არა, უნდა იცოდეთ, სად წავიდა!

– მას ყველა თავის გზაზე პოულობს.

– თქვენ მალავთ მას, – კაპიტანს სახე ნელ-
ნელა დაემაგრა, თითქოს წინანდელი ხისტი გა-
მომეტყველბა დაუბრუნდაო. კაპიტანი აუჩქარე-
ბლად წამოიღებდა.

– არა. – მიუგო მერმა.

– თქვენ უნდა იცოდეთ, სად არის. ნუთუ არ
იცით, სადაა? – კაპიტანმა თითები ტყავის ბუ-
დეზე აათამაშა, ქამარზე რომ ეკიდა, მარცხენა გვერ-
დზე.

– ვერ გეტყვით ზუსტად, სად არის, – უთხრა
მერმა.

– გირჩევთ სიმართლე თქვათ, – და კაპიტანმა
ბუდიდან მომცრო ფოლადის იარაღი ამოიღო.

– სათქმელი არაფერი მაქვს, ვერაფერს გეტყვით.

– ცრუობ!

მერმა ჰარტს გახედა და სახეზე სიბრალოული
გამოესახა.

– თქვენ ძალიან დაიღალეთ, – თქვა მან, –
თქვენ დიდხანს მოგზაურობდით კოსმოსში, თქვენ
მიეკუთვნებთ იმ გადაღლილი ადამიანების რიცხვს,
რომლებმაც დიდხანს იცხოვრეს რწმენის გარეშე.
თქვენ იმდენად გსურთ ირწმუნოთ, რომ ახლა

საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით, კიდევ უფრო
გავიჭირდებით, თუკი მკვლელობას ჩაიდენთ, ასე
ვერასოდეს იპოვით მას.

– სად წავიდა, შენ იცი, მიდი, მითხარი! – კაპ-
იტანმა იარაღი შემართა.

მერმა თავი გააქნია.

– მითხარი, მითხარი!

გაისმა ერთი გასროლა, მეორე. მერი დაეცა, ხელში
იყო დაჭრილი.

მარტინი კაპიტანთან მიიჭრა, შესძახა:

– კაპიტანო!

კაპიტანმა მარტინს დაუმიზნა:

– ნუ მიშლი!

მერი იატაკზე ეგლო, დაჭრილი მკლავი მეორე
ხელით ეჭირა, კაპიტანს ახედა.

– დაწიეთ იარაღი, თქვენს საკუთარ თავსა ვნებთ.
თქვენ არასოდეს გწამდათ, ახლა გკონიათ, რომ
შეგიძლიათ ირწმუნოთ, მაგრამ ამის გამო მხოლოდ
ვნებთ ადამიანებს.

– თქვენ მე არ მჭირდებით, – ჩაილაპარაკა ჰარტმა,
მერს თავზე ადგა. – აქ ავცდი ერთი დღით, მაგრამ
არაუშავს, სხვა პლანეტაზე გავფრინდები, კიდევ და
კიდევ, შემდეგ პლანეტაზე ნახევარი დღით ავცდები,
შემდეგ ზე – მეოთხედით, შემდეგ ზე – ორი საათით,
შემდეგ ზე – ერთი საათით, ნახევარი საათით, ერთი
წუთით, მაგრამ ერთ დღესაც დავეწევი, შევხვდები,
გესმით? – ახლა უკვე ღრიალებდა, იატაკზე დაგდე-
ბულ მერისკენ გადახრილი. დაქანცულობისგან
ფეხზე ძლივს იდგა, – წამოდი, მარტინ, – იარაღი-
ანი ხელი ჩამოუვარდა.

– არა. – თქვა მარტინმა, – მე აქ ვრჩები.

– რა ბრყვი ხარ! დარჩი თუ გინდა, მე კი
გავფრინდები სხვებთან ერთად, ისე შორს როგორც
კი მოვასერხებ.

მერმა მარტინს ახედა.

– ჩემზე ნუ ინალგლებთ, წადით, ჩემს ჭრილო-
ბას მიხედავენ.

– მე დაგბრუნდები, – მიუგო მარტინმა. – მხ-
ოლოდ რაკეტამდე მივაცილებ.

ქალაქი სწრაფად გაიარეს. ნებისმიერი დაინახ-
ავდა, როგორ უჭირდა კაპიტანს რკინისებური
სიმტკიცის შენარჩუნება. კაპიტანი თავის თავს
ებრძოდა, გზა რომ გაეგრძელებინა. როდესაც
რაკეტასთან მივიდა, აკანკალებული ხელი რაკე-

ტას დაჰკრა. იარაღი შეინახა, მარტინს გახედა.

- ჰოდა, მარტინ.
- ჰოდა, კაპიტანო.
- დარწმუნებული ხარ, არ გინდა გამომყვე?
- დიან, სერ, დარწმუნებული ვარ.
- ეს მაგარი თავგადასავალი იქნება, ღმერთმანი.

მე მას ვიპოვი.

– კაპიტანო, თქვენ გადაწყვიტეთ დაედევნოთ მას?

კაპიტანს სახე მოემჩვარა, თვალები მოხუჭა.

- ჰო.
- ერთი რაღაც მინდა ვიცოდე.
- რა?
- სერ, როდესაც იპოვით, თუკი იპოვით, რასა სთხოვთ?

– მე... – კაპიტანი შეყოყმანდა, თვალი გაახილა, ხელი მომუშტა და ისევ გაშალა. წამით დაფიქრდა, და შემდეგ უცნაურად გაიღიმა. – მე მას ვთხოვ ცოტაოდენ სიმშვიდესა და უშფოთველობას. – კაპიტანი რაკეტას შეეხო, – ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი დრო გავიდა მას მერე, რაც ბოლოჯერ ვიყავი მშვიდად.

- მაგრამ ოდესმე თუ გიცდიათ, კაპიტანო?
- ვერ გავიგე, – მოუგო ჰარტმა.
- მნიშვნელობა არ აქვს, მშვიდობით, კაპიტანო.
- მშვიდობით, მისტერ მარტინ.

ეკიპაჟი რაკეტასთან იდგა, მხოლოდ სამმა კაცმა გადაწყვიტა, ჰარტს გაჰყოლოდა, დანარჩენმა შეიძმა განაცხადა – მარტინთან ერთად ვრჩებითო.

კაპიტან ჰარტმა გადახედა მათ, დასკვნა გააკეთა:

– ბრიყვები.

რაკეტაში ბოლო შეძვრა, სწრაფად მისცა სამხედრო სალაში, მჭახედ ჩაიციხა. კარი დაიხურა. რაკეტა ცაში აიჭრა ცეცხლოვან სვეტზე.

მარტინი გაჰყურებდა, სანამ თვალს არ მოეფარა.

მდელოს ბოლოს მერი იდგა, რამდენიმე თანამემამულესთან ერთად. მარტინს ხელი დაუქნია.

– გაფრინდა, – თქვა მარტინმა, მერთან როცა მივიდა.

– დიან, გაფრინდა, საწყალი, – გამოეპასუხა მერი. – ასე იფრენს პლანეტიდან პლანეტაზე, გაუჩრებლად, ერთი პლანეტიდან მეორეზე გადავა, და ყოველთვის დაავგინებს, ერთი საათით, ნახევარი საათით, ათი წუთით, ერთი წუთით, ბოლოს და ბოლოს დაავგვიანებს მხოლოდ რამდენიმე წამით, და მას მერე, რაც სამ ასეულ სამყაროს მოივლის, და სამოცდაათი ან ოთხმოცი წლისა იქნება, მხოლოდ წამის მეათედით დაავგვიანებს, შემდეგ წამის მესამედით, და, აი, ასე იფრენს, ეგონება, საცაა მოიხელთებს მას, ვინც დატოვა აქ, ამ პლანეტაზე, ამ ქალაქში.

მარტინმა მერს თვალებში ჩახედა. მერმა ხელი გაუწოდა.

– განა შეიძლება ამაში ეჭვი შეგეპაროს? – იქ მყოფთ მიუბრუნდა, – ახლა კი წავიდით. ნულარ ვალოდინებთ.

ისინი ქალაქში შევიდნენ.

თარგმნეს ირაკლი და ილია ლომოურებმა


ილია ლომოური – დაიბადა 1996 წლის 27 მარტს. 2014 წელს დაამთავრა წმ.ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური გიმნაზია. ამჟამად სწავლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, დაინტერესებულია იაპონური კულტურით, ასევე ფანტასტიკით და ფენტეზით. ფანტასტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის რეი ბრედერის შემოქმედება. ფენტეზიდან კი

მისი საყვარელი მწერალია ჯ.რ.რ. მარტინი. მამასთან ერთად თარგმნის ინგლისურიდან.

ირაკლი ლომოური – დაიბადა 1959 წლის 12 აპრილს. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1996 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტი. პერიოდიკაში იბეჭდება 1981 წლიდან. გამოცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული. ჰყავს ცოლი,

ნანა ჩარკვიანი და ორი ვაჟიშვილი, ილია და ლევანი.





რეი ბრედბერი

ლ უ რ ჯ ი ბ ო თ ლ ი

ქვიშის საათები თეთრ ხრეშში ჩაეტკვანათ. ცის ფრინველნი კლდისა და ქვიშის ზეცაში მოემწყვდიათ, მათი გალობა მიწყდა. მკვდარი ზღვის ფსკერზე იგივე ქვიშა იტალღებოდა, მთელ მიწას რომ ფარავდა, როდესაც ქარი წარღვნის ძველთაძველ ამბავს უმეორებდა. ქალაქებს დუმილის მწიფე თავთავები ესხა, მათ ბედლებში დრო იყო შეგროვილი. აქ სიჩუმისა და მოგონებების ავზები და რეზერვუარები იდგა.

მარსი მკვდარი იყო.

უეცრად ყოვლისმომცველ მღუპარებაში შორიდან მწერის ბზუილის მსგავსი ხმა მოისმა, დარჩინისფერ მთებში რომ იზრდებოდა და მზით გაავარვარებულ ჰაერში მანამ მოიწვედა, ვიდრე შარავზამ თრთოლვა არ დაიწყო და ბებერმა

ქალაქებმა ჩურჩულით არ ჩამოიბერტყეს მტკვერი. მერე ხმა მიწყდა.

შუადღის გაჩახახახებულ სიჩუმეში ალბერტ ბეკი და ლეონარდ კრეიგი ძველმოდურ მანაქანაში ისხდნენ და ქალაქის აჩრდილს აჰყურებდნენ, მათ თვალწინ, მათი ძახილის მოლოდინში რომ გატრუნულიყო:

– ჰეი!

ბროლის კოშკი ნამსხვრევების რბილ წვიმად ჩამოიქცა.

– არის აქ ვინმე?

მეორე კოშკიც ჩამოიშალა.

ბეკის ძახილით სიკვდილმისჯილი კოშკები ერთი მეორის მიყოლებით ეცემოდნენ. გრანიტის კვებაფრთიანი ქვის მხეცები ეზო-ჭიშკრებისა და

შადრევენების ნანგრევებში ეშვებოდნენ. კაცის ხმით გაღვიძებულნი, ხორციელი მხეცებივით გმინვით იხრებოდნენ, ჰაერში ტრიალდებოდნენ და ჯერ გაუბედავად, მერე კი უსწრაფესად სერავდნენ ჰაერს – გონჯსახიანნი, თვალეცარიელნი, მარადმშიერი ეშვებით, რომლის ნამსხვრევებიც ქვის ფილებს შრაპნელივით შლიდა.

ბეკმა ერთხანს მოიცადა. კოშკთა ზვაგი დასრულდა.

– საშიში აღარ არის, შეგვიძლია შევიდეთ.

– რისთვის? ისევ იმ მიზეზით? – იკითხა კრეიგმა. იგი ადგილიდან არ დაძრულა.

ბეკმა თავი დაუქნია.

– რაღაც ბოთლისთვის? არ მესმის, ყველა ამ ბოთლს რატომ დაეძებს!

ბეკი მანქანიდან გადავიდა.

– ვინც იპოვა, მათ არაფერი უთქვამთ, არავისთვის განუმარტავთ მისი არსი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ძველისძველია. უდაბნოსავით, მკვდარი ზღვებივით ძველი. შიგნით შეიძლება ნებისმიერი რამ იყოს. და რაკილა ამ ბოთლში ყველაფერი შეიძლება აღმოაჩინო, ის დაუოკებელ ლტოლვას აღვიძრავს.

– შენ ადგიდრავს, მე კი არა, – უთხრა კრეიგმა, რომელსაც თვალები მოეჭუტა და სავარძელზე ნებიერად გადაწოლილიყო. მერე გაიჭიმა, – მე ისე, გასართობად წამოგყევი. ამ სიცხეში ტყუილად ჯდომას შენი ცქერა მირჩევნია.

ბეკი ამ ძველ მანქანას ერთი თვის წინ გადააწყდა, ვიდრე მას კრეიგი შემოუერთდებოდა. მარსზე ინდუსტრიული თავდასხმის ნანგრევებს შორის იპოვა, მას მერე, რაც თავდამსხმელებმა მარცხი განიცადეს და შორეული ვარსკვლავებისაკენ გასწიეს. ბეკმა ძრავა შეაკეთა და ერთი მკვდარი ქალაქიდან მეორეში ხეტიალს მოჰყვა, სხვა მაწანწალებისა და დარდიმანდების, მეოცნებეთა და უსაქმურთა მსგავსად, კოსმოსის მიქცევ-მოქცევამ ამ ხრიოკ ნაპირზე რომ გამორიცხა. ამ ადამიანებს, ისევე, როგორც მას და კრეიგს, ცხოვრებაში ბევრი არაფრის კეთება არ სურდათ და მარსი საამისოდ სწორედაც რომ ზედგამოჭრილი ადგილი გამოდგა.

– მარსელებმა ხუთი თუ ათი ათასი წლის წინათ შექმნეს ლურჯი ბოთლი, – თქვა ბეკმა, –

მარსული მინისაგან დაამზადეს და მას მერე ის ურიცხვჯერ იქნა აღმოჩენილი და კვლავ დაკარგული...

მან ქალაქის გავარგარებულ ჰაერში შეაბიჯა. ფიქრობდა: ცხოვრებაში სულ არაფერი მიკეთებია. სხვა, ჩემზე უკეთესი ადამიანები მერკურიზე, ვენერაზე, ან სულაც სხვა გალაკტიკაში გაფრინდნენ. ყველა, ჩემს გარდა. მაგრამ ლურჯი ბოთლი ყველაფერს შეცვლის.

მღუძარე მანქანას ზურგი შეაქცია და ქალაქში შეაბიჯა.

კრეიგი მსუბუქი ნაბიჯით გაჰყვა უკან.

– ათი წელიწადია დაეძებს და – რა მერე? ამ ბოთლზე ფიქრი არ გასვენებს: ძილში კრთები, აცახცახებული იღვიძებს, დღისით ცივი ოფლი გასხამს, არადა, არც კი იცი, შიგნით რა არის. სულელი ხარ, ბეკ.

– გაჩუმდი, გაჩუმდი, – უთხრა ბეკმა და კენჭების გროვა ტერფით გზიდან გადაყარა.

იავარქმნილ ქალაქში შეაბიჯეს. მათ ფეხქვეშ ეფინა დაბზარული ფერადი კენჭების მოზაიკა, დიდი ხნის წინათ დახოცილი ამ გრძნეული მარსელების მიერ ქვის ფარდავად ქმნილი, დრო და დრო მსუბუქ ლანდებად რომ ჩნდებოდნენ და ქარის სულ ოდნავ გაქროლებაზე კვლავ ქრებოდნენ.

– მოიცადე, – უთხრა თანამგზავრს ბეკმა, ხელისგულები საყვირით მოამრგვალა და შიგ ჩაყვირა: – აქ ვინ არის?

– ...იიის! – გაიმეორა ექომ და კოშკები ისევ ჩამოიქცა. შადრევენები და ქვის სვეტები საკუთარ თავში ჩაიკეცა. ეს ამ ქალაქთა თავისებურება გახლდათ. ზოგჯერ სიტყვის წარმოთქმაც კი კმაროდა და სიმფონიასავით უმშვენიერესი კოშკები იმსხვრეოდა. შენ თვალწინ თითქოს ბანის კანტატა ნადგურდებოდა.

წამიც, და ჩონჩხები ჩონჩხებთან ჩაიმარხა, მტვერი ძირს დაილექა. მხოლოდ ორი ნაგებობა დარჩა უვნებელი.

ბეკმა მეგობარს თავი დაუქნია.

სულა განაგრძეს. ყველგან დაეძებნენ.

კრეიგმა ძებნა შეწყვიტა და სულ ოდნავი დიმილით თქვა:

– იქნებ ამ ბოთლში აკორდონივით ქალი ზის,

თუთიის დასაკეც ჭიქასავით ან იმ იაპონური ყვავილებივით, წყალში რომ ჩაღვამ და იშლება?

– ქალი არ მჭირდება.

– იქნებ სწორედაც რომ გჭირდება. იქნებ ჯერ არ შეგხვედრია ნამდვილი ქალი, რომელიც მართლა შეგიყვარებდა, ამიტომ საკუთარ თავსაც კი არ უტყდები, მაგრამ ამ ბოთლოსაგან სწორედ ამას მოელი, – კრეიგი დაფიქრდა, ტუჩები მოჭმუჭნა, – ან იქნებ ამ ბოთლში შენი ბავშვობის ნაწილი იყოს? ნაწილი კი არა, უმთავრესი, ერთ მცირე გორგლად შეკვცილი: ტბა, ის ხე, რომელზედაც ძვრებოდი ხოლმე, მწვანე ბალახი, კობორჩხალები... ამაზე რას იტყვი?

ბეკმა სიშორეს გაუშტერა თვალი.

– ზოგჯერ მჩვენება, რომ სწორედ ეს უნდა იყოს. წარსული – დედამიწა. არ ვიცი.

– ბოთლის შიგთავსი ალბათ იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ იპოვის, – თავი დაუქნია კრეიგმა, – ნეტავ შიგ ცოტაოდენი ვისკი ესხას...

– ძებნა განაგრძე, – გააწყვეტინა ბეკმა.

* * *

შვიდი ოთახი ერთთავად ბრდღვიალებდა და ანათებდა. იატაკიდან მრავალთაღოვან ჭერამდე მათი სივრცე კასრებს, ვეება ბოცებს, ნახევრად დამსხვრეულ ლარნაკებსა და სურებს ავესთ – ყოველივე ეს წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, იასამნისფერი და შავი მინისგან იყო დამზადებული. ბეკმა ყველაფერი მიღწე-მოღწეა, რათა მეორედ აღარ დასჭირვებოდა აქაურობის გაჩხრეკა.

ამ ოთახს რომ მორჩა, ბეკი გულისფანცქალით გაშეშდა მეორის ზღურბლზე. იმის შიშმა შეიპყრო, ვაითუ ამჯერად მართლაც ეპოვნა, რასაც ეძებდა. მაშინ ხომ ძებნა დასრულდებოდა და მისი ცხოვრებაც აზრს დაკარგავდა. მხოლოდ მას მერე გაუჩნდა მიზანი, რაც ათი წლის წინათ ვენერიდან იუპიტერზე მიმავალი მოგზაურებისაგან ლურჯი ბოთლის ამბავი მოისმინა. მას შემდეგ უცვლელი ციებ-ცხელებით იწვოდა და, თუ მას სწორად გააღვივებდა, ძიება მის ცხოვრებას პირთამდე საზრისით აავსებდა. ეს კიდევ ოცდაათ წელიწადს ეყოფოდა, თუკი არ აჩქარდებოდა და მეტიმეტად დაჟინებით არ ეძიებდა, და, რაც მთავარია, საკუთარ თავსაც კი არ გამოუტყდებოდა

იმაში, რომ ბოთლზე მეტად თვით ძიების ჟინი სჭირდებოდა, ეს სრბოლა, ეს ფერფლად ქცეული ქალაქები, ეს უსასრულო გზა.

ბეკმა ყრუ ხმაური გაიგონა. ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა. ქუჩის ბოლოს თითქმის უხმოდ გაჩერდა ქვიშის რუხი ველოსიპედი. ქერათმიანი ჩასკვნილი კაცი ზამბარიანი სავარძლიდან გამოვიდა და ქალაქს ახედა. კიდევ ერთი მაძიებელი. ბეკმა ამოიოხრა. ძიებაში ათასობით ადამიანი იყო ჩაბმული. თუმცა ეს უფაქიზესი ქალაქები და სოფლებიც ხომ უთვალავი იყო და მათ გაცხრილვას ათასწლეული დასჭირდებოდა.

– როგორ არის საქმე? – იკითხა კარის თაღქვეშ მდგომმა კრეიგმა.

– არაფერია, – ბეკმა ჰაერი დაეწოსა, – რა სუნია?

– არ ვიცი, – მიმოიხედა კრეიგმა.

– თითქოს ბურბონის სუნი მცემს.

– ოჰ! – გაიცინა კრეიგმა, – ეგ მე ამდის.

– შენ?

– წელან დავლიე. გვერდით ოთახი ვიპოვე. როგორც ყოველთვის, უამრავი ბოთლი დამხვდა და ერთ-ერთში ბურბონი ესხა. ჰოდა, მეც მოვსვი.

ბეკი კრეიგს მიშტერებოდა. ცახცახი აუვარდა.

– რა... რა უნდა ბურბონს აქ, მარსზე? – ერთბაშად ხელები გაეთოშა. ნაბიჯი წინ გადადგა, – მიჩვენე!

– დარწმუნებული ვარ, რომ...

– მიჩვენე-მეთქი!

იქ იყო, ოთახის ერთ-ერთ კუთხეში, ღამის ცასავით ლურჯი მინის ჭურჭელი, მომცრო ნაყოფისხელა. ბეკს მისი წონა არც კი უგებნია. აილო და მაგიდაზე დადგა.

– სანახევროდ ბურბონითაა სავსე, – შენიშნა კრეიგმა.

– მე ვერაფერს ვხედავ, – უთხრა ბეკმა.

– შეანჯღრიე.

ბეკმა ბოთლი ჰაერში ასწია და ფროთხილად შეარხია.

– გესმის ბუებუყი?

– არა.

– მე კი კარგად მესმის.

ბეკმა დახვეწილი ჭურჭელი ისევ მაგიდაზე

დადგა. ფანჯარაში შემოსული მზე მას ლურჯი სხივებით სერავდა. ეს ხელში მომწყვდეული ლურჯი ვარსკვლავი იყო. ეს შუადღის სხივებით გამთბარი ოკეანის ყურეს სილურჯე იყო. დილის მზით გამჭვირვალეული ბრილიანტის სილურჯე.

– ეს არის, – მშვიდი ხმით წარმოთქვა ბეკმა, – ვიცი, რომ ეს არის. ვიპოვეთ. აწი აღარ მოგვიწევს ძებნა. ლურჯი ბოთლი ვიპოვეთ.

– შიგნით ნამდვილად ვერაფერს ხედავ? – ეჭვით ჰკითხა კრეიგმა.

– ვერა... მაგრამ, – ბეკი დაიხარა და მინის უძირო ლურჯ სამყაროს ჩააკვირდა, – რომ გავხსნი და იმას ამოვუშვებ, რაც შიგნით არის, იქნებ მაშინ მივხვდე...

– საცობი მაგრად მოვუჭირე. ახლავე გავხსნი, – კრეიგმა ხელი ბოთლისკენ გაიწვდინა.

– მომიტყვეთ, ბატონებო, – მოესმათ ზურგსუკნიდან ხმა.

ქერათმიანი ჩასკვნილი კაცი მიუახლოვდათ, ხელში რევოლვერი ეჭირა. მათთვის არც კი შეუხედავს, ლურჯ ბოთლს თვალს არ აცილებდა.

– არ მიყვარს იარაღის ხმარება, – თქვა კაცმა, – მაგრამ ხელოვნების ეს ნიმუში აუცილებლად მჭირდება. გირჩევთ, წინააღმდეგობა არ გამიწიოთ.

ბეკს ლამის გაუხარდა კიდეც. ამგვარ თანხვედრაში ერთგვარი საბედისწერო სილამაზე იყო. თურმე სწორედ ამას ნატრობდა: ახლად ნაპოვნი საუნჯე მანამ გაეტაცათ, ვიდრე მის გახსნას მოასწრებდა. წინ ისევ სრბოლა, დევნა, ბრძოლა, დაკარგვა და კვლავ მოხელთება ელოდა, მანამდე კი, სრულიად შესაძლებელია, ძიების კიდეც ხუთი წელიწადი გასულიყო.


– აბა, – უთხრა უცნობმა, – მომაწოდეთ.

ბეკმა ბოთლი გაუწოდა.

– საოცარია, საოცარი, – აღმოხდა მსუქანს, – რას წარმოვიგენდი, ეს ასე მარტივად თუ მოხდებოდა: შემოვიდოდი, თქვენ ლაპარაკს მოვისმენდი, თქვენ კი მას უბრალოდ გამომივდიდით? საკვირველია! – კაცი ოთახიდან გავიდა და ძაღვ უკვე მზით განათებულ ეზოში იყო.

მარსის ორი ცივი მთვარის ქვეშ შუადღის ქალაქების ჩონჩხები და ფერფლი ქათქათებდა.

მანქანა დაკლანჯულ შარავზას სრიალითა და ჯაყჯაყით მიუყვებოდა, გვერდს უვლიდა ნანგრევებს, სადაც შადრევნებს, გიროსტატებს, ავეჯს, ლითონის მოძღვრულ წიგნებს, ნახატებს მწერის ფროტებისა და კირის სქელი ფენა ეფარა. ჩაუარა მტვრად



ქცეულ ურიცხვ ქალაქს, რომელსაც ღვინისფერი ქარი, როგორც ვეება ქვიშის საათში, ისე ათამაშებდა, უსასრულოდ აღმართავდა პირამიდებს და კვლავ ასწორებდა. მღუპარებამ მანქანას კარიბჭე გაუღო, საკუთარ თავში შეუშვა და კვლავ მოიხურა.

– ვერასოდეს დავეწვევით, – ამოიოხრა კრეიგმა, – ეს შარავზები სულ დანგრეული და უსწორმასწოროა. ის ველოსიპედიტაა და ამიტომაც გვისწრებს, ახტომა და მიხვევ-მოხვევა არ უჭირს. ჯანდაბა!

მანქანამ ორმოს გვერდი აუქცია და მკვეთრად მოუხვია. მანქანა შარავზაზე ისე მისრიალებდა, როგორც რბილ რეზინაზე, მისი ბორბლები მტვრის საფარს აცლიდა მარსელთა მიერ დაგებული უძველეს ზურმუხტისფერ და ოქროსფერ ქვაფენილს.

– მოიცადე, – შეცბა ბეკი და ძრავა გათიშა, – თითქოს რაღაც შევნიშნე.

– სად?

ასიოდე იარდი უკანსვლით გაიარეს.

– აი, იქ. ხედავ? ისაა!

გზისპირა თხრილში ჩასკვნილი კაცი თავის ველოსიპედზე გადაწოლილიყო. არ იძვროდა, თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და, როცა ბეკმა ჯიბის ფარანი მიანათა, შუქი მკრთალად აირეკლა მკვდრის თვალებში.

– ბოთლი სად არის? – იკითხა კრეიგმა.

ბეკი თხრილში ჩახტა და უცნობის რევოლვერი აიღო.

– არ ვიცი. აქ არ არის.

– რამ მოკლა?

– არც ვე ვიცი.

– ველოსიპედი წესრიგშია, ავარიას არ ჰგავს.

ბეკმა გვამი გულაღმა ამოატრიალა.

– არც ჭრილობა აქვს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს უბრალოდ საკუთარი სურვილით გაჩერდა.

– იქნებ გულმა დაარტყა, – ივარაუდა კრეიგმა, – ბოთლის გამო აღელდა. გადმოვიდა, იფიქრა, გადამივლისო და მოკვდა.

– ჰო, მაგრამ ბოთლის გაქრობას როგორ ახსნი?

– ალბათ, ვიღაცამ ჩამოიარა. ხომ იცი, რამდენი დაეძებს...

ბნელში ჩაფლულ მიდამოს გადახედეს. შორს, ლურჯ ბორცვზე, ვარსკვლავებიანი შავი ცის ფონზე, რაღაც მოძრაობა შენიშნეს.

– შეხედე! – უჩვენა მეგობარს ბეკმა, – სამნი ფეხით მიაბიჯებენ.

– მათ ექნებათ...

– ღმერთო ჩემო, შეხედე!

მათ ფეხებთან, თხრილში, მკვდარი კაცის სხეულმა ნათება დაიწყო. თანდათან ღნებოდა. თვალები მთვარის ქვებივით აუბრღღვიალდა და წყალივით გადმოეღვარა. კაცის სახე ააღდა და წაიშალა. თმის ღერები ფეიერვერკის პატრუქებივით სათითაოდ ანთო და ტკაცანით ჩაიწვა. თითები ცეცხლის ალებად იქცა და თითქოს ამოძრავდა. სხეულს მათ თვალწინ აუვიდა კვამლი, მერე კი, გეგონებოდათ, ვიღაცამ მინის ქანდაკებას ურო დაარტყაო, ერთიანად გასკდა და ჰაერში ვარდისფერ ნამსხვრევებად გაიფანტა, მერე კი ნისლად იქცა და ღამის ნიავეს გაჰყვა.

– როგორც ჩანს, იმ სამმა რაღაც უქნა, – თქვა კრეიგმა, – რაღაც ახალი იარაღი ექნებოდათ.

– არა, ეს მანამდეც მომხდარა, – შენიშნა ბეკმა, – ჩემი ნაცნობებიდან, ვინც კი ლურჯი ბითლი იპოვა, ყველა ასევე გაქრა, – ბეკმა თავი გააქნია, – როცა დაიშალა, მილიონი ციციანათელას გუნდს არ ჰგავდა?

– გაეკიდები?

ბეკი მანქანასთან დაბრუნდა. თვალით მოსინჯავლუვი ბორცვები, ძვლების ნაშალის, შლამისა და სიჩუმის დანაშრევები.

– ძალიან გამიჭირდება, მაგრამ უნდა მოვახერხო იქ მანქანით ასვლა. ახლა სხვა გზა აღარ მაქვს, – ბეკი დადუმდა, კრეიგს სულაც არ მიმართავდა, – მგონი, როგორც იქნა, მივხვდი, ლურჯ ბოთლში რაც არის... სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად მსურს. მე მელოდება.

– მე არ წამოვალ, – უთხრა კრეიგმა და მანქანაში მუხლებზე ხელედაწყობილ ბეკთან ახლოს მივიდა, – იმ სამი შეიარაღებული კაცის დევნა სულაც არ მინდა, ჩემთვის ეს ლურჯი ბოთლი არაფერს ნიშნავს. მისი გულისთვის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩავიგდებ. შენ კი წარმატებას გისურვებ.

– გმადლობ, – უპასუხა ბეკმა და დიუნებისკენ გადაუხვია.

მანქანის მინის სახურავს ღამე გრილი წყალივით ეღვრებოდა.

ბეკი დაულალავად მიაპობდა მკვდარი მდინარეების კალაპოტებს, ცარცივით დაშრევებულ ქვიშას, გზას მიიკვლევდა მაღალ კლდეებს შორის. მთვარის ორმაგი შუქის ლენტები მათ კალთებში ამოკვეთილ ღვთაებათა და მხეცთა ქანდაკებებს ოქროსფრად აელვარებდა: კილომეტრის სიმაღლის ეს ბარელიეფები მარსის ისტორიის სიმბოლოებად აღემართათ. ამ გასაოცარ სახეებს თვალების ნაცვლად ფართოდ გახელილი ხვრელები ჰქონდათ, პირის ნაცვლად კი – უძირო მღვიმეები.

ძრავის ღრიალით გაბრუებული ბეკი წარსულში გადაეშვა – უკანასკნელი ათი წლის ღამეებს იხსენებდა, ზღვების დამშრალ ფსკერზე წითელ კოცონს როცა ანთებდა და გულდაგულ, აუჩქარე-

ბლად იმზადებდა ვახშამს. და ოცნებობდა. სულ მუდამ გაურკვეველი სწრაფვა სტანჯვდა. თვითონაც არ იცოდა, რისკენ. ახალგზარდობიდან მოყოლებული, როცა დედამიწაზე 2130 წლის კრიზისი და პანიკა ატყდა, შიმშილი, ჯანყი, არეულობა. ამას ერთი პლანეტიდან მეორეზე მარტოსული ხეტიალის წლები მოჰყვა, უქალოდ, მიუსაფრად. ასე, წყვილიდან ნათელში გამოდიხარ, დედის საშოდან – სამყაროში. რას ესწრაფი? რას დაეძებ?

თხრილში ნაპოვნი მკვდარი მოაგონდა. ნეტავ ის რაღას დაეძებდა? რაღაც მიუწვდომელს. მაინც რა იყო ეს მისნაირი კაცისათვის? ან სხვისთვის? რა იყო ისეთი, რის ძებნაც და რისკენ სწრაფვაც ღირდა?

რა და, ლურჯი ბოთლი.

მანქანა სწრაფად გააჩერა, იარაღი მოამზადა, გადახტა. დაიხარა და დიუნებს შორის გაიბრინა. წინ, ცივ ქვიშაზე, ის სამი კაცი გაშოტილიყო. დედამიწელები იყვნენ, გარუჯული სახეებით, უხეში სამოსითა და დაკოჟირილი ხელებით. მათ შორის ქვიშაზე დასვენებულ ლურჯ ბოთლს ვარსკვლავების შუქი დაჰნათოდა.

ბეკის თვალწინ სხეულები აორთქლდნენ, კვამლად, ცვარ-ნამად და თვალ-მარგლიტად დაიშალნენ. წამიც, და აღარ იყვნენ.

ბეკს ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, როცა მათი ნაპერწკლები სახეში შეეფრქვა, ტუჩები დაუთუთქა და თვალეში შეეყარა.

არ განძრეულა.

ის სქელი კაცი. ჯერ მოკვდა, შემდეგ აორთქლდა. კრეიგის სიტყვები: რაღაც ახალი იარაღი...

არა. ეს იარაღი კი არა, ლურჯი ბოთლი იყო.

მათ ის გახსნეს და, რასაც ყველაზე მეტად ნატრობდნენ, იმას ეღირსნენ. მთელმა ამ უბედო, უსახლკარო ხალხმა ლურჯ ბოთლში ის ნახა, რასაც მთელი სამყაროს პლანეტებზე მეტად ელტვოდა. ყველამ, ყველამ, მათ შორის ამ სამხაც. ახლა კი გასაგები იყო, ბოთლი ასე სწრაფად რატომ გადადიოდა ხელიდან ხელში, ძველი პატრონები კი აღარსად ჩანდნენ. სამკალის ჟამი დამდგარიყო და ისინიც მკვდარი ზღვის ქვიშაზე თივად დაეფინენ. მერე კი ცეცხლის ალებად, ციცი-ინათელებად და ნისლად იქცნენ.

ბეკმა ბოთლი მიწიდან აიღო, ერთხანს გაჭიმულ ხელში ეჭირა. თვალეები უციმციმებდა, ხელი უკანკანლებდა.

აი, თურმე ამდენ ხანს რას დავეძებდიო, გაიფიქრა. ბოთლი ხელში შეატრიალა. მინამ ვარსკვლავების ნაპერწკლები გამოისროლა.

ნუთუ ყველას სინამდვილეში სწორედ ეს სურს? ესაა მათი დაფარული სწრაფვა, რომელსაც თვითონაც კი ვერ ხვდებიან? ჩახშული, მიჩქმალული წყურვილი... რა ცოდვა აქვს თითოეულ კაცს ამისთანა, ამით რომ ცდილობს მის განელებას?

სიკვდილი.

ეჭვის, ვაების, უსასოობის, გაჭირვების, მარტოსულობის, შიშის და ყოველივეს, სულ ყოველივეს დასასრული.

ყველა კაცსო?

ოღონდაც კრეიგს არა. კრეიგი იქნებ სხვებზე უფრო იღბლიანი ყოფილიყო. ზოგიერთი ადამიანი სამყაროში ცხოველივით არსობს, შეკითხვებს არ სვამს, არაფერს დაეძებს, გზისპირა ტბორებიდან იკლავს წყურვილს, შეილებს ზრდის და წამითაც ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ სიცოცხლე სიკეთითაა სავსე. კრეიგიც სწორედ ასეთი იყო. სხვებიც იყვნენ ასეთები: ბედნიერი სულდგმულნი, ღმერთს ხელისგულზე რომ უსხედან. ამ ადამიანებს რელიგია და რწმენა ნერვების ხლართებში აქვთ საიმედოდ ჩაქსოვილი. მილიარდობით მშფოთავ ურწმუნოთა შორის ისინი მუდამ სიმშ-



ვიდეს ინარჩუნებენ. მათ მხოლოდ მოგვიანებით სურთ ბუნებრივი სიკვდილით მიიცვალონ. ახლა კი არა, მერე, ოდესმე.

ბეკმა ბოთლი ჰაერში აწია. გაიფიქრა: რა მარტივია. და რა მართებული. სწორედ ეს მსურდა ამდენი ხანი. სხვა არაფერი.

არაფერი.

თავახდილი ბოთლი ვარსკვლავების შუქში ბზინავდა. ბეკმა მისგან ამოსული აირი ღრმად შეისუნთქა. ფილტვები აეესო.

როგორც იქნა, მეღირსაო, გაიფიქრა.

კიდურები მოადუნა და მთელ სხეულში ჯერ საოცარი სიგრძელე იგრძნო, მერე საოცარი სითბო. იცოდა, ვარსკვლავთა უგრძეს სასრიალოს ქვევით, ღვინოსავით საამურ ბნელ სიღრმეში რომ მიუყვებოდა. იგრძნო, მკერდში ჩადგმული სანთლები რომ აენთო, ცეცხლოვნი ბორბლები აუბზრიალდა. ხელ-ფეხი მოსწყდა და ჰაერში აფარფატდა და ესეც საოცრად საამური იყო. იცინოდა. თვალდახუჭული იცინოდა.

სიცოცხლეში პირველად სრულიად ბედნიერი იყო.

ლურჯი ბოთლი გრილ ქვიშაზე დავარდა.

განთიადისას კრეიგი თეთრ ქვიშაზე სტვენასტვენით მიაბიჯებდა. მოტრიალებულ ადგილას ძირს ლურჯი ბოთლი დაინახა. როცა ხელში აიღო, ბუტბუტის მაგვარი ხმა გაიგონა, ჰაერში რამდენიმე ნარინჯისფერ-მეწაბულმა ციციანათელამ

გაიტკაცუნა და გაქრა.

გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა.

– ჯანდაბა! – კრეიგმა ახლომახლო ქალაქის ბრმა ფანჯრებს გახედა, – ბეკ, სად ხარ?

უნატიფესი კოშკი ჩამოემხრო და ფერფლად იქცა.

– ბეკ, აგერ შენი განძი! მე არ მჭირდება. მოდი და აიღე!

– ...აიღე! – გაიმეორა ექომ და უკანასკნელი კოშკიც ჩამოიქცა.

კრეიგმა ერთხანს მოიცადა.

– მაგარია. ბოთლი აქ არის, შენ კი სად ხარ, ძმობლო ბეკ? – ლურჯი ჭურჭელი შეანჯღრია. ბოთლმა ბუყბუყი ამოუშვა.

– აჰა! ისევ ბურბონითაა სავსე. ღმერთმანი, ბურბონია! – კრეიგმა ბოთლი მოიყუდა, დალია და პირი ხელით შეიმშრალა.

ხელში უღიერად შეატრიალ-შემოატრიალა.

– ამდენი აურზაური – ცოტაოდენი ბურბონის გულისთვის? ბეკს აქ დაველოდები და, რომ მოვა, მის სანატრელ ბოთლს მივცემ. მანამდე კი ერთსაც დავლევ. სიამოვნებით!

მკვდარ მიდამოში ერთადერთ ხმას გამშრალ ყელში ჩაღვრილი სითხე გამოსცემდა. ლურჯი ბოთლი მზეზე ლაპლაპებდა.

კმაყოფილმა კრეიგმა გაიღიმა და ერთიც მოსვა.

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ილუსტრაციულ კოლაჟში გამოყენებულია კადრი ღენიელ ნეგჰემის ფილმიდან „მონადირე“, მთავარ როლში – დანიელ ლეუო.

**თამარ კოტრიკაძე
ავტობიოგრაფია**




დავამთავრე ოსუ დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიგერაგურის ფაკულტეტი გერმანიისტიკის განხრით.

1996-98 წლებში ვმუშაობდი საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ვიყავი ამავე ორგანიზაციის ბაზაზე არსებული რ. მ. რილკეს საზოგადოების სწავლული მდივანი.

1998-2006 წლებში ვმუშაობდი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სხვადასხვა დროს ვასწავლიდი გერმანულ ენას, დასავლეთევროპულ ლიგერაგურასა და კულტურას.

2003 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე „ანგლომის თემა და მოტივი დასავლეთევროპულ ლიგერაგურაში

(ფრანც კაფკა, დ. ჰ. ლორენსი, ქრისტიანე ლავანტი, შტეფან გორგე, გორგ თრაქლი და რ. მ. რილკე)“. ვთარგმნი პროზასა და ესეისტიკას გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული ენებიდან. ქართულ და ავსტრიულ ლიგერაგურულ და სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებული მაქვს წერილები ქ. ლავანტის, რ. მ. რილკეს, დ. ჰ. ლორენსის, ჯ. რ. გოლკიენის, დ. მერეკოვსკის და სხვა, მათ შორის ზოგიერთი ქართველი ავტორის შემოქმედების შესახებ. ამჟამად ვთანამშრომლობ სხვადასხვა გამოცემლობებთან, ძირითადად მთარგმნელობითი საქმიანობით ვარ დაკავებული.



რეი ბრედბერი

ხის ნატეხი

– დაბრძანდით, ახალგაზრდავ, – ზრდილობიანი სიმკაცრით წარმოთქვა პოლკოვნიკმა.
 – გმადლობთ, – შემოსული დაჯდა.
 – მსმენია თქვენს შესახებ, – უკვე მეგობრული ტონით განაგრძო პოლკოვნიკმა, – არსებითად ბევრი არაფერი, უბრალოდ, ამბობენ, რომ ზედმეტად ნერვიულობთ და ვერაფერს აკეთებთ. ამ თქვენი „უნარების“ შესახებ რამდენიმე თვეა რაც მესმის და ბოლოს გადავწყვიტე გაგესაუბროთ. ასევე ვიფიქრე, სამსახურის ადგილის შეცვლას ხომ არ ისურვებდით? იქნებ გაემგზავროთ სადმე, თუნდაც ზღვის გაღმა და რომელიმე შორეულ სამხედრო ბაზაზე იმსახუროთ? კანცელარიაში მუშაობა არ მოგებზრდათ? იქნებ ფრონტზე გნებავთ?

– არა მგონია, – მოკლედ უპასუხა ახალგაზრდა სერჟანტმა.
 – მაშ, რა გნებავთ?
 სერჟანტმა მხრები აიჩეჩა, საკუთარ მკლავებს დახედა:
 – მინდა ომის გარეშე ცხოვრება. მინდა გავიგო, რომ მთელი მსოფლიოს ქვემეხები ერთ ღამეში ყანგად იქცა და დაიშალა, რომ ყანგად ქცეული ტანკები მიწამ ჩაიტანა და დინოზავრებთან ერთად საშუალოდ დაიძარხა. სულ ეს არის ჩემი სურვილი.
 – ეს ყოველი ჩვენგანის ბუნებრივი სურვილია... მაგრამ მოვეშვით ამ იდეალისტურ საუბრებს, გვითხარით, სად გირჩევნიათ გაგავზავნოთ. შეგიძლიათ აირჩიოთ დასავლეთ ან აღმოსავლეთ ოლქებში განთავსებული სამხედრო ბაზები... – პოლკოვნიკი მაგიდაზე გაშლილ რუკასთან მივიდა...
 სერჟანტი საკუთარ თითებს დაჰყურებდა, საუბარს განაგრძობდა:

– რას იზამდით თქვენ, რას ვიზამდით ჯარისკაცები, რას იზამდა მთელი მსოფლიო, ერთ დილასაც რომ გავიღვიძოთ და აღმოვაჩინოთ, ქვემეხები, ტანკები, ჯავშანმანქანები, სარაკეტო დანადგარები აღარ გვჭირდება?

პოლკოვნიკი მიხვდა, სერჟანტთან საუბარი სხვაგვარად უნდა წარემართა. მშვიდად გაიღიმა.

– საინტერესო საკითხია, მიყვარს მსგავს თეორიები... მე მგონი, იარაღის გაქრობის შემთხვევაში ნამდვილი პანიკა დაიწყებოდა... მსოფლიოს ერები და სახელმწიფოები იფიქრებდნენ, რომ მხოლოდ ისინი დარჩნენ უიარაღოდ... ამ უბედურებას მაშინვე თავის მეზობლებს დააბრალებდნენ... დაიწყებოდა მასობრივი თვითმკვლელობები... აქციების კურსი იმავე წამს დაეცემოდა... ბევრი ტრაგედია დატრიალდებოდა...

– შემდეგ? რა მოხდებოდა შემდეგ? – იკითხა სერჟანტმა, – როდესაც ყველა მიხვდებოდა, რომ იარაღი აღარავის აღარ აქვს, როდესაც შეიძლება შიშის გარეშე ცხოვრება, როდესაც შევძლებთ ცხოვრების თავიდან დაწყებას... რა მოხდებოდა შემდეგ?

– ყველა თავიდან დაიწყებდა შეიარაღებას.

– თუ ვინმე ხელს შეუშლიდა?

– მაშინ დაიწყებოდა ჩხუბი, ნამდვილი მსოფლიო ჩხუბი, გაიმართებოდა ტოტალური მუშტიკრივი. საზღვრებზე შეიკრიბებოდნენ კასტეტებით შეიარაღებულ ადამიანთა ბრბოები... წაართმევდით კასტეტებს და ჩხუბს ფრჩხილებით, კბილებით და წიხლებით განაგრძობდნენ. ამას თუ აუკრძალავთ, ერთანეთის ფურთხებაზე გადავლენ. ენებიც რომ ამოჭრათ და გაკოჭოთ კიდევ, ისეთი სიძულვილით აავსებენ ჰაერს, ჩიტები, კოლოებთან და ბუზებთან ერთად... მიწაზე ჩამოცვივან.

– ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ მშვიდობას აზრი არ აქვს? – განაგრძო სერჟანტმა.

– რა თქმა უნდა, არა! ეს იგივეა, რომ ჩვეულებრივი კუ საკუთარი ბაკნიდან გამოათრიო... ჯავშანის გარეშე დარჩენილ ცივილიზაციას შოკი მოკლავს...

სერჟანტმა თავი გაიქნია:

– პოლკოვნიკო, თქვენ უბრალოდ გინდათ გადამარწმუნოთ და თქვენს ჭკუაზე გადამიყვანოთ, ასეთი სამსახური გაქვთ... იგი თქვენთვის სარგებელს და მშვიდ ცხოვრებას უზრუნველყოფს და ბუნებრივია, მისი დაკარგვა არ გსურთ...

– სერჟანტო, ვხედავ, თქვენი პოზიცია 90 პროცენტით ცინიზმისგან შედგება და მასში გონიერების მხოლოდ 10 პროცენტია. მიუხედავად ამისა, დაანებეთ თავი ამ თქვენს ჟანგზე ფიქრს და დაივიწყეთ ერთხელ და სამუდამოდ.

სერჟანტმა პოლკოვნიკს პირდაპირ თვალეში შეხედა.

– საიდან იცით, რომ ჟანგი მაქვს?

– რა გაქვთ?

– აი, ეს, ჟანგი.

– რას ამბობთ, ვერ ვხვდები.

– პოლკოვნიკო, თქვენ იცით, რომ შემოიძლია... ამის გაკეთება, თანაც მაშინ, როდესაც მოვისურვებ, თუნდაც დღესვე.

პოლკოვნიკმა გადაიხარხარა:

– მე მგონი, ხუმრობთ...

– არა, ასეთი სერიოზული არასოდეს ვყოფილვარ. დიდი ხანია მინდოდა გაგსაუბრობდით. მიხარია, რომ ჩემთან საუბრის დრო გამონახეთ. წლებია ამ გამოგონებაზე ვმუშაობ, წლებია მასზე ვოცნებობ. მისი პრინციპი გარკვეული ატომების წყობაზეა დაფუძნებული. თქვენ რომ შეგესწავლათ ატომთა წყობა, ნახავდით, რომ საიარაღო ფოლადის ატომები საკუთარი, სხვა ფოლადის ატომებისაგან განსხვავებული წყობით არიან განლაგებული. მე ვეძებდი ფაქტორს, რომელიც დაარღვევდა მათ წონასწორობას. ალბათ, იცით, რომ მე ვსწავლობდი ფიზიკას და მეტალურგიას... აღმოვაჩინე, ჰაერში ყოველთვის არის ნივთიერება, რომელიც აჩენს ჟანგს. საკმარისია მეპოვნა საშუალება, რომელიც ფოლადში „ნერვულ შოკს“ გამოიწვევდა და მაშინვე წყლის ორთქლი თავის საქმეს გააკეთებდა. ფოლადის ნაკეთობა ჯერ ჟანგის სქელი ფენით დაიფარებოდა, შემდეგ კი ჟანგის მტვრად იქცეოდა... რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მაქვს ნებისმიერი ლითონის ნივთი. ჩვენი ცივილიზაცია ფოლადზეა დაფუძნებული და მის ქმნილებათა უმეტესი ნაწილის შენარჩუნება ჩემს ინტერესებშიც შედის. მე მხოლოდ ქვემეხების, ტყვიამფრქვევების, ყუმბარების, ტანკების, საბრძოლო ავიაციის და სამხედრო ხომალდების წყობიდან გამოყვანა მინდა. თუ საჭირობა მოითხოვს, მე შემოიძლია ვაიძულო ჩემმა ხელსაწყომ შემოქმედება მოახდინოს ბრინჯაოზე, სპილენძზე,

ალუმინზე. საკმარისია, ნებისმიერი იარაღის გვერდით გავიარო და მაშინვე ჟანგის მტვრად იქცევა.

ფეხზე წამოდგარი პოლკოვნიკი სერჟანტს დაკვირვებით ათვალიერებდა. შემდეგ უბის ჯიბიდან ვაზნის ღიზანის მქონე ავტოკალამი ამოიღო და ბლანკის შევსება დაიწყო.

– მე მინდა, რომ დღესვე, დღის მეორე ნახევარში აუცილებლად მიაკითხოთ დოქტორ მეთიუსს. არ მინდა ვთქვა, სერიოზული ხართ ავად, მაგრამ გარკვეული სახის სამედიცინო დახმარება არ გაწყენდათ.

– თქვენ გვინდათ, რომ გატყუილებთ, – მშვიდად წარმოთქვა სერჟანტმა, – არა, ჩემი ხელსაწყო იმდენად მცირეა, რომ თავისუფლად ჩაეტევა ასანთის კოლოფში. მისი მოქმედების რადიუსი კი 900 მილია. თავისუფლად შემიძლია მისი სისშირეები გარკვეული ტიპის ფოლადზე ავაწყო, რამდენიმე დღეში შემოვიარო მთელი ამერიკა. სხვა სახელმწიფოები ვერ ისარგებლებენ ჩვენი განიარაღებით, რადგან მე, ნებისმიერ ჩვენს წინააღმდეგ მომართულ იარაღს გავანადგურებ. შემდეგ ევროპაში გადავიდოდი და ერთ, მაქსიმუმ ორ თვეში სამყაროს ომის ქიმერასაგან გავათავისუფლებდი.

– არ ვიცი, როგორ გამოვიგონე ეს ხელსაწყო. ამის ახსნა შეუძლებელია. ისევე, როგორც შეუძლებელი იყო ატომური ყუმბარის ახსნა შუა საუკუნეებში. ერთი თვეა ველოდები თქვენთან შეხვედრას და ვცდილობ წარმოვიდგინო, რა მოხდება, კუს თუ საკუთარი ჯავშანიდან ამოვსვამთ. თქვენთან საუბარი დამეხმარა გამერკვია ყველაფერი, რაც მჭირდებოდა. იყო დრო, როდესაც კაცობრიობისთვის წარმოუდგენელი გახლდათ მფრინავი მანქანების არსებობა, არავინ ფიქრობდა, რომ ატომი შეიძლება დამლუპველი იარაღი ყოფილიყო... ბევრს დღესაც ეპარება ეჭვი, რომ დედამიწაზე შეიძლება მშვიდობა დამყარდეს. მაგრამ მშვიდობა დამყარდება, გარწმუნებთ.

– ამ ბლანკს ექიმ მეთიუსს გადასცემთ, – ხაზგასმული სიმკაცრით წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

სერჟანტი წამოდგა.

– ესე იგი, სხვა სამედრო ბაზაზე არ გადამიყვანო?

– არა, ჯერჯერობით არა, თქვენი გადაყვანა-არგადყვანის საკითხს დოქტორი მეთიუსი გადაწყვეტს.



– მე უკვე გადავწყვიტე, – თქვა სერჟანტმა, – რამდენიმე წუთში ბანაკს დავტოვებ. შვებულება მაქვს. მაღლობთ, რომ ამდენი, ძვირფასი დრო დამითმეთ.

– სერჟანტო, გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, თქვენი წასვლა აუცილებელი არ არის. აქ არავინ გაწყენინებთ.

– მართალია, მაინც არავინ დამიჯერებს. მშვიდობით. – სერჟანტმა ოფისის კარი გააღო და გავიდა.

მარტოდ დარჩენილი პოლკოვნიკი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ მძიმედ ამოისუნთქა, სახეზე ხელი მოისვა და კედელს მიაჩერდა. სერჟანტთან საუბრის შემდეგ თავს დალლილად

გრძნობდა. ოთახის სიჩუმე ტელეფონის მოულოდნელმა ზარმა დაარღვია. პოლკოვნიკი ყურმილს დასწვდა.

– თქვენ ხართ, ექიმო? თქვენთან საუბარი მინდა. დიახ, მე გამოგიგზავნეთ. ნახეთ, რაშია საქმე. იქნებ გადაიღალა, უცნაური ილუზიები აქვს. დიახ, ნამდვილად არასასიამოვნოა... მე მგონი, აქ თქვეს-მეტწლიან ომის შედეგებთან გვაქვს საქმე... დიახ, ომის სინდრომი...

პოლკოვნიკი ყურადღებით უსმენდა ექიმს და თავს უკრავდა.

– ერთი წუთით, ჩავიწერ... – ავტოკალმის აღება დააპირა, – ერთი წუთით, ექიმო, გთხოვთ ტელეფონთან დამელოდეთ, რაღაცას ვეძებ... – ჯიბეში ხელი ჩაიყო – კალამი ეს წუთია აქ მქონდა. ერთი წუთით...

ყურმილი გადადო, მაგიდა დაათვალიერა, უჯრაში ჩაიხედა და ერთბაშად გაქვავდა. ნელა ჩაიყო ხელი ჯიბეში, ერთ წამით გაირინდა და ასევე ნელა, ორი თითით ჯიბიდან ერთი მწიკვი მუქი ფერის ფხვნილი ამოიღო. თითები ერთმანეთს დააშორა, მაგიდაზე მოწითალო ყვითელი ჟანგი დაიბნა.

ფერდაკარგული პოლკოვნიკი ერთხანს გარინდებული იჯდა და მაგიდაზე დაბნეულ ჟანგის მტკვერს დასცქეროდა. შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო.

– მეთიუზ, თქვა მან, – ყურმილი დაკიდეთ. – ტელეფონში გაბმული ზუმერის ხმა გაისმა, მან მეორე ნომერი აკრიფა.

– ალო, საგუშავო! ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჩაგიაროთ სერჟანტმა ჰოლისმა, თქვენ მას იცნობთ. დაუყოვნებლივ შეაჩერეთ. თუ საჭიროა, ესროლეთ, მოკალით ეგ ნადირალა, გასაგებია? პოლკოვნიკი ვარ. დიახ... მოკალით... გესმით?

– მაპატიეთ, მაგრამ... მე ამას ვერ შევძლებ, უბრალოდ, არ შემიძლია!

– ეშმაკმა დალახვროს! რისი თქმა გინდათ? რას ნიშნავს, არ შემიძლია!

– იმიტომ რომ... – ხმა გაწყდა. ყურმილში მხოლოდ გუშავის მძიმე სუნთქვა ისმოდა.

– ყურადღებაა, იარაღთან, ცეცხლი! – განწირული ხმით ჩასძახა პოლკოვნიკმა ყურმილს

– ვერავის ვესვრი. – გაისმა გუშავის შიშისა

და დაბნეულობისაგან აკანკალებული ხმა...

პოლკოვნიკი მძიმედ ჩაჯდა სავარძელში, დაბნეულობისაგან თვალები ეხუჭებოდა, სულს ვერ ითქვამდა. არაფერი ესმოდა და ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იცოდა, იქ, მისგან არც ისე შორს, ოფისის კედლებს მიღმა აღმართული რკინა-ბეტონის ანგარები რბილი, მოწითალო ჟანგის გროვებად იქცა, ავიაბომბდამშენები და გამანადგურებლები რუხი ფერის მტვრის ბუქად, ტანკები ნელა ეფლობოდნენ გზატკეცილების გამდნარ ასფალტში, სწორედ ისე, როგორც სერჟანტი ჰოლისი აღწერდა. სამხედრო ტვირთმზიდავეები ნარინჯისფერ ღრუბლებად იქცნენ, მათგან მხოლოდ რუხინის საბურავები დარჩა, რომლებიც თავისუფლად მიგორავდნენ გზებზე.

– სერ... – ხმა ამოიღო გუშავმა. – სერ, ვფიცავ, რომ...


– ისმინე ბრძანება! – იბღვლა პოლკოვნიკმა, – რიგითო, დაეწიე, ფეხდაფეხ მისდიე, შეიპყარი, დაახრჩე, შიშველი ხელით დაახრჩე! მუშტები, წიხლები ურტყი... თუნდაც ცემით მოკალი, ოღონდ გააჩერე... გააჩერე ღვთის გულისათვის, ეს ბრძანება! მალე თქვენთან ვიქნები! – პოლკოვნიკმა ყურმილი დაავლო, უჯრა გამოაღო, სადაც იარაღი ეგულებოდა, იარაღისკენ ხელი უნდა წაეღო, მაგრამ უშვერი გინება აღმოხდა. იარაღის ტყავის ბუდე მუქი აგურისფერი ჟანგით იყო სავსე...

ოფისის დერეფანში გავარდნილმა პოლკოვნიკმა პირველივე სკამი აიტაცა. „ხისა“, – გაიფიქრა, – „ნამდვილი ძველებური წიფელია“... მრისხანებისაგან ერთთავად აწითლებულმა პოლკოვნიკმა ძალა მოიკრიბა და სკამი კედელს შეაღწეა, დაიხარა, დაშლილი სკამის ნაწილებიდან სკამის ერთი ფეხი შეარჩია, ხელი სტაცა, მკლავში ჩაირტყა. ტკივილმა გამოაფხიზლა და ძალაც შემატა.

– კარგია! ეშმაკმა დალახვროს! გამოდგება! – დაიყვირა, ველური ყიჟინით გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა.

თარგმნა მალხაზ რუსაძემ

ილუსტრაციულ კოლაჟში გამოყენებულია ფრაგმენტი ფრედერიკ ჰარგის ქანდაკებისა "სამი ჯარისკაცი" ვიკინამის ომის მონაწილეთა მემორიალიდან.



• რეი ბრედბერი
კალენი დოსკოვი

პირველივე ბიძგმა რაკეტას გვერდი გაუფატრა, თითქოს უზარმაზარმა კონსერვის დანამ გადახსნაო. ადამიანები სივრცეში აფართხალებული ვერცხლისფერი თევზებივით გამოვარდნენ. წყვილიადის ოკეანეში ჩაიკარგნენ, მილიონ ნამსხვრევად დაშლილმა ზომალდმა კი გზა განაგრძო, მეტეორიტების ნაკადივით, დაკარგულ მზეს რომ ეშურება.

– ბარკლი, ბარკლი, სად ხარ?

ერთმანეთს ეძახდნენ, გზააბნეული ბავშვებივით ცივ ღამეში.

– ვუდ, ვუდ!

– კაპიტანო!

– ჰოლის, ჰოლის, სთოუნ ვარ.

– სთოუნ, ჰოლისი ვარ. სად ხარ?

– არ ვიცი. საიდან მეცოდინება? სადაა ზევით, სადაა ქვევით? ვეცემი! ღმერთო ჩემო, ვეცემი!

ეცემოდნენ. ეცემოდნენ, ჭაში ჩაყრილი კენჭებივით. თითქოს ერთმა მძლავრმა ტყორცნამ მოისრილაო კენჭები... უკვე აღარ იყვნენ ადამიანები, ოდენ ხმები, – ყველანაირი ხმები, უსხეულო, მთრთოლვარე, შეძრული თუ მორჩილებით აღსავსე.

– ერთმანეთს ვშორდებით.

მართლაც ასე იყო. ჰოლისი, რომელიც სივრცეში ბზრიალით მიქროდა, მიხვდა, მართლაც ასეა. მიხვდა და ეს რაღაცნაირი, განყენებული სიმშვიდით მიიღო. ერთმანეთს შორდებიან, ყველას თავის გზა აქვს და უკვე ველარაფერი შეკრებს. ყველანი ჰერმეტიკულ სკაფანდრებში არიან, გაფითრებულ სახეებს გამჭვირვალე პლასტიკის ჩაფხუტები უფარავთ, მაგრამ ვერაფერს მოასწრო ენერგომოწყობილობის გაკეთება. მასთან ერთად თითოეული მათგანი პატარა სამაშველო ნავით იქნებოდა, თავის თავსაც რომ შველის და სხვებსაც კრებს, ერთმანეთს იპოვნიდნენ სივრცეში და ადამიანების კუნძულად იქცეოდნენ, რაღაც გეგმას დააწყობდნენ. მაგრამ ენერგომოწყობილობის გარეშე თითოეული მათგანი მხოლოდ უგრძნობი მეტეორია, საკუთარი, გარდაუვალი ბედისწერა რომ მიაქანებს.

აღბათ, ათიოდე წუთი გავიდა, სანამ პირველმა შეძრწუნებამ გადაუარათ და მის ნაცვლად ყინულივით ცივი სიმშვიდე დაეუფლათ. კოსმოსი, უზარმაზარი, ბნელი საქსოვი დაზგა, ამ საოცარ ხმებს წნავდა, ართავდა, ხმები ერთმანეთში იხლართებოდნენ, მერე ისევ შორდებოდნენ, საბოლოოდ კი ერთიან ორნამენტს ქმნიდნენ.

– ჰოლის, სთოუნი ვარ. რამდენი ხანი შევძლებთ რადიოთი ლაპარაკს?

– გააჩნია, რა სიჩქარით მიფრინავ შენს გზაზე, მე კი – ჩემსაზე

– კიდევ ერთი საათი, ასე მგონია.

– აღბათ, ასეა, – ჰოლისი მშვიდად, განყენებულად გამოეპასუხა.

– და რა მოხდა? – იკითხა ერთი წუთის შემდეგ.

– რაკეტა აფეთქდა, მეტი არაფერი. რაკეტებს ემართებათ ხოლმე.

– საით მიფრინავ?

– როგორც ჩანს, მთვარეს შევასკდები.

– მე კი, დედამიწას. ბებერ დედამიწას ვუბრუნდები საათში ათასი.

მილის სიჩქარით. ასანთივით ჩავიწვები. – ჰოლისმა ეს განსაცვიფრებელი სიმშვიდით გაიფიქრა. თითქოს საკუთარ სხეულს მოშორდა და უყურებს, როგორ ეცემა, ეცემა სიცარიელეში, უყურებს გულგრილი, უყურებს გვერდიდან, როგორც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, ზამთარში – პირველ ფანტელს.

დანარჩენები დუმდნენ, ფიქრობდნენ თავის ბელზე, რომელმაც აქამდე მოიყვანა და ეცემოდნენ, ეცემოდნენ და არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ. კაპიტანიც კი ჩუმად იყო, რადგან არ იცოდა ისეთი ბრძანება ან გეგმა, ერთად რომ შეკრებდა ყველას.

– რა შორს ვეცემი. ოო, რა შორს, ძალიან, ძალიან, ძალიან შორს, – გაისმა ვიღაცის ხმა, – არ მინდა სიკვდილი, არ მინდა სიკვდილი, რა შორს ვეცემი.

– ეს ვინაა?

– არ ვიცი.

– სთიმსონი, მე მგონი. სთიმსონ, შენ ხარ?

– ძალიან, ძალიან შორს, არ მინდა, ო, ღმერთო, არ მინდა!

– სთიმსონ, ჰოლისი ვარ. სთიმსონ, გესმის ჩემი? პაუზა. სრულ სიჩუმეში შორდებოდნენ ერთმანეთს.

– სთიმსონ?

– ჰო. – ბოლოსდაბოლოს უპასუხა.

– სთიმსონ, მარტივად შეხედე. ყველანი ერთნაირად გავებით.

– არ მინდა აქ ვიყო. სადმე სხვაგან მინდა.

– არის შანსი, რომ გვიპოვიან.

– უნდა იყოს, კი, უნდა იყოს, – მიუგო სთიმსონმა, – არა, არ მჯერა, არ მჯერა, რომ ეს მართლა მოხდა.

– ეს უბრალოდ კომმარული სიზმარია, – ჩაუბრუნო ვიღაცამ.

– მოკეტე! – უთხრა ჰოლისმა.

– მოდი და მომაკეტინე, – იმავე ხმამ უპასუხა. ეპლეგითი იყო. მშვიდად ჩაიცივნა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, – მოდი და მომაკეტინე.

ჰოლისმა პირველად შეიგრძნო ბოლომდე საკუთარი მდგომარეობის უძვეობა. საოცარი ძრისხანებით აღივსო, იმ წამს ყველაზე მეტად უნდოდა ეპლეგითის მისწვლამოდა და მისთვის რაღაც ექნა.

მრავალი წელი უნდოდა ეპლგეითისთვის რაღაც ექნა, მაგრამ ახლა უკვე გვიანაა. ეპლგეითი ახლა მხოლოდ ხმაა რადიომიმღებში.

ეცემოდნენ, ეცემოდნენ, ეცემოდნენ...

უეცრად ორმა მათგანმა კივილი მორთო, გეგონება, მხოლოდ ახლა იგრძნეს შიში. ჰოლისმა თითქოს კომმარულ სიზმარში დაინახა, ერთ-ერთი მის გვერდით მოფრინავს, ძალიან ახლოს, კივის და კივის.

– გაჩერდი!

კაცი თითქმის ხელის გაწვდენაზე იყო, არაადამიანურად კიოდა. არასოდეს გაჩერდება. მილიონი მილის მანძილზე იკივლებს, სადამდეც რადიო მისწვდება. ეს კივილი ყველას გადაიყვანს ჭკუიდან და ლაპარაკის საშუალებას არ მისცემს.

ჰოლისმა ხელი გაიშვირა. ასე აჯობებს. კიდევ ერთი მცდელობაც და კაცს შეეხო. წვივზე მოავლო ხელი, ზევით აიწია და, აი, უკვე პირისპირ არიან. ის კიდევ, კივის, ისე ებლაუჭება, როგორც დახრჩობის პირას მყოფი. კივილი მთელ სამყაროს ავსებს.

გასეა თუ ისე, – გაიფიქრა ჰოლისმა, – მაინც ან მთვარე მოკლავს, ან დედამიწა, ან მეტეორიტები. მაშ, ახლავე რატომ არა?

რკინის მუშტი გამჭვირვალე ჩაფხუტზე დაუმვა. კივილი შეწყდა. ჰოლისმა გვამს ხელი ჰკრა და ისიც ბზრიალ-ბზრიალით გაფრინდა თავის გზაზე. ეცემოდა.

ჰოლისიც ეცემა, ეცემა სიცარიელეში, დანარჩენებიც უსასრულოდ ეცემიან, თითქოს სიცარიელეში მღუმარე ქარბორბალა მიაქროლებოთ.

– ჰოლის, ისევ აქ ხარ?

ჰოლისმა არ უპასუხა, მაგრამ იგრძნო, სისხლი როგორ მოაწვა სახეში.

– ეპლგეითი ვარ ისევ.

– მესმის, ეპლგეით.

– მოდი, ვიბაზროთ. მაინც სხვა არაფერი დავგრჩენია.

კაპიტანმა გააწყვეტინა:

– საკმარისია. უნდა მოვიფიქროთ გეგმა, ამ სიტუაციიდან როგორ გამოვიდეთ.

– კაპიტანო, იქნებ მოკვებო? – უთხრა ეპლგეითმა

– რაა!

– მშვენივრად გაიგონე, რაც, კაპიტანო. შენი

წოდებით ნუ მაშინებ, ათი ათასი მილის დაშორებით ხარ და არ გინდა ახლა ამ კომედიის თამაში. როგორც სთიმოსონმა თქვა, ძალიან შორს ვეცემით.

– მომისმინე, ეპლგეით!

– მომწყდი. შეგიძლია ჩათვალო, რომ ეს ერთი კაცის ამბოხია. დასაკარგი აღარაფერი მაქვს, ამის დედაც... შენი ხომალდი არაფრად ვარგოდა, არც შენ ვარგოდი არაფრად, კაპიტანო, და იმედი მაქვს, კისერს წაიმტვრევ, მთვარეს როცა შეასკდები.

– გიბრძანებ, გაჩუმი!

– მიდი, მიდი, მიბრძანე. – ეპლგეითმა ათი ათასი მილის მანძილიდან გაუდიმა.

კაპიტანი დუმდა. ეპლგეითმა გაგრძელა:

– რაზე გაჩერდით, ჰოლის? ჰო, გამახსენდა. ვერ გიტან. თუმცა შენ ეს იცი. დიდი ხანია, იცი.

ჰოლისმა ხელი მოშუშა უმწყოდ.

– ახლა მე რაღაცას მოგიყვები, – უთხრა ეპლგეითმა, – გაგახარებ. ეს მე ჩავიგდე შავი, როდესაც ხუთი წლის წინათ გსარაკეტო კომპანიაში ჰ ადგილის მიღება გინდოდა.

მეტეორიტმა ჩაუქროლა. ჰოლისმა დაიხედა – მარცხენა ხელის მტევანი აღარ ჰქონდა. სისხლი ასხამდა. სკაფანდრიდან ჰაერი წაშში გამოიფრქვა. მაგრამ ფილტვებში საკმარისი ჰაერი ჰქონდა, რომ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავი გადაეჭირა, შეეკრა და ჰერმეტიულობა აღედგინა. ყველაფერი უცებ მოხდა – გაკვირვებაც კი ვერ მოასწრო. უკვე ველარაფერი გააკვირვებს. როგორც კი ჰერმეტიულობა აღდგა, სკაფანდრი ისევ აივსო ჰაერით. ჰოლისმა მკლავი კიდევ უფრო მაგრად გადაიჭირა და სისხლდენა შეწყდა.

ყველაფერი ისე მოხდა, კრინტიც არ დასცდენია საზარელ სიჩუმეში. სხვები კი საუბარს აგრძელებდნენ. ერთ-ერთი – ლესპირი – გაუჩერებლად ქაქანებდა: რომ მარსზე ერთი ცოლი ჰყავს, ვენერაზე – მეორე, იუპიტერზე – მესამე, რომ მაყუთსაც ბლომად შოულობდა და გრიალითაც მაგრად გრიალებდა თავის დროზე – კიდევ სვამდა, კიდევ თამაშობდა, მოკლედ, გემოზე იცხოვრა. ქაქანებდა და ქაქანებდა, სანამ ეცემოდნენ, არ გაჩერებულა. სიკვდილისკენ მიქროდა და წარსულს, ბედნიერ დღეებს იხსენებდა.

საოცარი იყო. სიცარიელე, ათასობით მილი

სიცარელე და მის შუაგულში ხმების თრთოლვა. არავინა ჩანს, მხოლოდ რადიოტალღები ირხევა, ადამიანების ემოციების გამოღვიძებას ცდილობს.

– ბრაზობ, ჰოლის?

– არა.

მართლა არ ბრაზობდა. ისეთმა გულგრილობამ შეიპყრო, თითქოს სიპი ქვა იყო, სიცარიელეში რომ ეცემა დაუსრულებლად.

– შენ ყოველთვის წინ გინდოდა გამოსვლა, ჰოლის. და ყოველთვის გიკვირდა, რატომ ვერ ახერხებდი. ეს მე შეგიტანე შავ სიაში, სანამ თვითონ დამითხოვდნენ.

– ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, – თქვა ჰოლისმა.

მართლაც, მისთვის სულერთი იყო. ყველაფერი უკან დარჩა. როცა ცხოვრება დასრულებულია, კინოფილმივითაა, ეკრანზე რომ გაიელვებს – ყველა ვნება და აკვიატება თვალწინ წამით აინთება, და სანამ წამოიძახებდე – აი, ბედნიერი დღე, ეს კი, უბედური, აი, საძულველი სახე, ეს კი, საყვარელი, – ფირი უკვე ჩამწვარია, ეკრანი ჩაქრა.

ცხოვრების ბოლო ზღვარზე მყოფი, უკან იხედებოდა, მხოლოდ ერთსა ნანობდა – კიდევ უნდოდა ეცოცხლა. ნუთუ ყველა მომაკვდავს ასეთივე შეგრძნება აქვს, თითქოს საერთოდ არ უცხოვრია? ნუთუ ცხოვრება იმდენად მოკლეა, ამოსუნთქვაც კი ვერ მიასწარი და უკვე ყველაფერი დასრულდა? ნუთუ ყველას ასეთი ხანმოკლე ეჩვენება – თუ მხოლოდ მას ეჩვენება აქ, სიცარიელეში, სადაც რამდენიმე საათილა დარჩა, რათა ყველაფერი გაიანჯროს და გააცნობიეროს?

ლესპერი კი არ ცხრებოდა:

– მაგარი დრო ვატარე, მართლა მაგარი. მარსეზეც მყავდა ცოლი, ვენერაზეც და იუპიტერზეც. სამივეს ჰქონდა მაყუთი და სამივე თავს მევლებოდა. რამდენსაც მინდოდა იმდენს ვსვამდი, პოკერში კი ერთხელ ოცი ათასი დოლარი წავაგე.

“მაგრამ ახლა შენ აქ ხარ, – გაიფიქრა ჰოლისმა, – მე მსგავსი არაფერი მქონია. სანამ ცოცხალი ვიყავი, მშურდა შენი, ლესპერ; სანამ ყველაფერი წინ მქონდა, მშურდა შენი ქალების და შენი დროსტარების. ქალებს ვუფრთხოდი და კოსმოსში გავიქეცი, მაგრამ სულ მათ მოლოდინში ვიყავი

და მშურდა შენი, ამდენი ქალი რომ გყავს, და ფულიც ბლომად გაქვს, ასე მხიარულად და გიჟურად ცხოვრობ. მაგრამ ახლა ყველაფერი მორჩა, ჩვენ ვეცემით, და მე აღარ მშურს შენი, რადგან შენთვისაც ყველაფერი დასრულდა ისევე, როგორც ჩემთვის, და ახლა ეს თითქოს არც არასოდეს ყოფილა”.

ჰოლისმა კისერი წაიგრძელა და მიკროფონს ჩასძახა:

– ყველაფერი მორჩა, ლესპერ!

ლუმილი.

– თითქოს არც ყოფილა არასოდეს, ლესპერ!

– რომელი ხარ? – ლესპერს ხმა გაეზარა.

– მე ვარ, ჰოლისი.

ნადირალასავით იქცეოდა. გრძნობდა სიკვდილის არაკაცობას, უაზრო ნადირლობას, ეპლგეითმა გული ატკინა; ახლა მასაც უნდა, სხვას რომ ატკინოს გული. ეპლგეითმა და სიცარიელემ? ორივემ ჩაუკლა გული.

– შენ აქ ხარ, ლესპერ. ყველაფერი მორჩა. თითქოს არც არასოდეს ყოფილა, ასე არ არის?

– არა.

– როცა ყველაფერიმ მთავრდება, ეგ იგივეა, თითქოს არც არაფერი ყოფილა. რითია შენი ცხოვრება ჩემსაზე უკეთესი? აი, ახლა, ამ წამს. რამეთი ჯობია შენი ჩემსას?

– დიახ, ჯობია!

– რით!

– იმით, რომ გასახსენებელი მაქვს! – აღშფოთებით იყვირა ლესპერმა. სანუკვარ გახსენებას ორივე ხელით ებლაუჭებოდა.

და მართალიც იყო. ჰოლისს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. მიხვდა, ლესპერი მართალია. გახსენებასა და ოცნებას შორის არსებობს განსხვავება. თვითონ მხოლოდ ოცნებობდა იმაზე, რისი გაკეთებაც სურდა, ლესპერმა კი გააკეთა და ახლა იხსენებს. და ეს აზრი ჰოლისს ტანჯავდა, თითქოს ყველაზე მტკივნეულ ადგილას ნელ-ნელა უსვამენო დანას.

– და ახლა შენ რა ამ ყველაფრისგან? – ლესპერს უყვირა, – ახლა? როცა ყველაფერი მორჩა, და არაფერი კარგი არ გველის. ჩემზე უკეთ კი არა ხარ.

– მე მშვიდად მივდივარ, – თქვა ლესპერმა, –

ჩემს ცხოვრებაშიც იყო რაღაც, და სიკვდილის წინ ნადირალა არ გავმზვდარვარ, შენსავით.

– ნადირალა? – გაიმეორა ჰოლისმა ისე, თითქოს ამ სიტყვას გემოს უსინჯავსო.

რაც თავი ახსოვს ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა ნადირალა. ვერ ბედავდა. და ეტყობა ყველაფერი, რაც კი სულში დაუგროვდა არაკაცური, წლების განმავლობაში, სწორედ ამ წუთისთვის შემოინახა. “ნადირალა” – ეს სიტყვა გონების ყველაზე შორეულ კუნჭულში შეჩურთა. იგრძნო, როგორ წამოუვიდა ცრემლები, სახე დაენამა. ვიღაცამ ეტყობა გაიგონა, როგორ გაეზარა ხმა.

– არაფერია, ჰოლის.

ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა. ერთი წუთის წინ სხვებს აძლევდა რჩევებს, სთიმსონს; ეგონა, რომ ნამდვილი ვაჟკაცია, მაგრამ აღოჩნდა, ეს ვაჟკაცობა კი არა, უბრალოდ შოკი იყო, შინაგანად გახევდა, შოკის დროს როგორც ხდება ხოლმე. ახლა კი ცდილობს რამდენიმე წუთში ჩატიოს მთელი ცხოვრების განმავლობაში დათრგუნული ემოციები.

– ვიცი, როგორ გრძნობ თავს ახლა, – უთხრა ლესპერმა, ოცი ათასი მილის სიშორიდან, ხმა სუსტდებოდა, – არა ვარ შენზე ნაწყენი.

“მაგრამ განა თანასწორნი არა ვართ? – თავის თავს ეკითხებოდა ჰოლისი, – მე და ლესპერი? ახლა, აქ? თუკი ყველაფერი მორჩა, მორჩა ეთხელ და სამუდამოდ, და რაღაა სიხარულის მომცემია? ასეც კვლები და ისეც.” თუმცა თვითონვე ხვდებოდა, ამო მსჯელობა იყო, თითქოს ცდილობ გაარკვიო, რა განსხვავებაა ცოცხალ ადამიანსა და გვამს შორის. ერთში არის რაღაც ნაპერწკალი, რაღაც იღუმალი, მოუხელთებელი, მეორეში კი – არა.

ასე იყო ლესპერისა და მის შემთხვევაშიც; ლესპერი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, და ამან ახლაც სხვა ადამიანად აქცია, თვითონ კი ძრავალი წელი მკვდარივით იყო. ისინი სიკვდილისკენ სხვადასხვა გზით მიდიოდნენ – თუკი სიკვდილი არაა ყველასთვის ერთი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი და ლესპერის სიკვდილი ისევე განსხვავებული იქნება, როგორც დღე და ღამე. ეტყობა, ათასნაირად შეიძლება მოკვლე და თუ უკვე მოკვდი ერთხელ, მაშ, საბოლოო სიკვდილისგან კარგს რას უნდა ელოდე?

ერთი წამის შემდეგ აღმოაჩინა – მარჯვენა ტერფი აღარ აქვს. კინაღამ გაეცინა. სკაფანდრი ჰაერისგან ისევე დაიცალა. ჰოლისი სწრაფად მოიხარა – სისხლი ასხამდა, მეტეორიტმა სკაფანდრი და ხორცი წვივამდე წაათალა. ჰმ, ერთობ სახალისო რამე ყოფილა სიკვდილი კოსმოსურ სივრცეში. ნაკუწ-ნაკუწ გჭრის, როგორც უხილავი, ბოროტი ყასაბი. ჰოლისმა სკაფანდრის სარქველი მუხლქვეშ გადაიჭირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტკივილისგან თავბრუ დაეხვა, კინაღამ გონება დაკარგა; როგორც იქნა, სარქველი, ბოლომდე დაიხურა, სისხლი შეჩერდა, ჰაერმა ისევე აავსო სკაფანდრი; ჰოლისი გასწორდა, ისევე ეცემა, ეცემა, ეცემა, – ეს იყო ერთადერთი, რაც დარჩენოდა.



– ჰოლის?
 ჰოლისმა თავი დააქნია ძილბურანში, უკვე დაიღალა სიკვდილის მოლოდინში.
 – ეპლგეითი ვარ ისევ, – იმავე ხმამ თქვა.
 – გისმენ.
 – დრო მქონდა ფიქრისათვის. გისმენდი. ეს კარგი არაა. ეს ჩვენ ნაძირლებად გვაქცევს. ცუდია ასე სიკვდილი. მთელ ბოლმას სხვაზე ვანთხვეთ. მისმენ, ჰოლის?
 – გისმენ.
 – ტყუილი გითხარი. ერთი წუთის წინ. ტყუილი გითხარი. არ გამიშავებინარ. არც კი ვიცი, რატომ გითხარი ეს. ალბათ, მინდოდა შენთვის გული მომეკლა. შენ ხომ ასეთი რაღაცისთვის შეგამოჭრილი ხარ. ჩვენ ხომ ერთმანეთს ვერ ვიტანდით.. ეტყობა თვალსა და ხელს შუა ვებრდები და საჩქაროდ მინდა მოვიწინაო... გისმენდი, როგორ ლაპარაკებოდი და თითქოს მე თვითონ შემეცხვა. მოკლედ, როგორც არის, ოღონდ მინდა იცოდე, მეც იდიოტი ვარ. გრამი სიმართლე არაა იმაში, რაც გითხარი. და ჯანდაბამდეც გზა გქონია.
 ჰოლისმა იგრძნო, გულმა ისევ დაუწყო ძგერა. მთელი ხუთი წუთის განმავლობაში თითქოსდა გაჩერებული იყო, ახლა კი სისხლმა ისევ გაუთბო სხეული. პირველმა შოკმა გადაუარა და თითქოს შიშისგანაც გათავისუფლდა, რისხვისგანაც და მარტობისგანაც. ისე გრძნობდა თავს, როგორც კაცი, რომელმაც დილით ცივი შხაპი მიიღო და მზადაა ისაუზმოს, ახალი დღე დაიწყო.
 – გმადლობთ, ეპლგეით.
 – არაფრის. ცხვირი არ ჩამოუჩვია, შე ნაბიჭვარო.
 – ჰეი, – თქვა სთოუნმა.
 – რა? – ჰოლისის ხმამ მთელი სამყარო გაკვეთა; სთოუნს ეძახდა, საუკეთესო მეგობარს.
 – მეტეორიტების ნაკადში მოვხვდი, წვრილ-წვრილი ასტეროიდებია.
 – მეტეორიტების?
 – მე მგონი, მირმიდონელთა ჯგუფი უნდა იყოს, მარსსა და დედამიწას შორის ხუთ წელიწადში ერთხელ რო ჩაიფრენს ხოლმე. ზუსტად შუაგულში ვარ. უზარმაზარი კლაიდასკოპივითაა. ყველანაირი ფორმის, ფერისა და ზომის ლითონის ნამსხვრევებია. ღმერთო, რა სილამაზეა!

დუმილი.
 – მივყვები, – თქვა სთოუნმა, – მიმაქროლებენ. დასწყევლოს ღმერთმა! – თქვა და გაიცინა.
 ჰოლისმა მზერა დაძაბა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მხოლოდ ვეება ალმასები და საფირონები და ზურმუხტისფერი ნისლი, და სიცარიელის კუნაპეტი ხავერდი, კრისტალურ ციმციმში ღმერთის ხმა ისმის. რაღაც გასაოცარი, წარმოუდგენელი იყო გაფიქრება, რომ სთოუნი მეტეორიტებს მიჰყვება, მარსის ორბიტას სცილდება, წლობით იფრენს და ყოველ ხუთ წელიწადში ერთელ მობრუნდება, დედამიწას ჩაუფრენს, ცის კაბადონზე გაიბრწყინებს და ისევ გადაიკარგება, და ეს მილიონი საუკუნე გაგრძელდება. სთოუნი და მირმიდონელთა ჯგუფი იფრენენ, დაუსრულებლად შექმნიან ახალ ორნამენტებს, ფერადი შუმის ნატეხებით კალეიდოსკოპში, რომელიც ხელში გეჭირა ბავშვობაში – მუყაოს გრძელ მილს მზეს მიუშვერდი და ატრიალებდი.
 – მშვიდობით, ჰოლის, – ისმის სთოუნის ხმა, უკვე ძალზე სუსტად, – მშვიდობით.
 – ბედნიერად! – დაუყვია ჰოლისმა ორმოცდაათი ათასი კილომეტრიც მანძილიდან.
 – ნუ მაცინებ! – თქვა სთოუნმა და გაქრა. ვარსკვლავებმა მოიმწყვდიეს.
 ახლა უკვე ყველა ხმა მიინავლა, თითოეული თავისი საკუთარი ტრაექტორიით – ვიღაც მარსისკენ, ვიღაც მზის სისტემის მიღმა, თვითონ ჰოლისი კი... ცფეხქვემ ჩაიხედა. ჰმ, ერთადერთია, ვინც დედამიწას უბრუნდება.
 – მშვიდობით.
 – არ ინაღვლო.
 – მშვიდობით, ჰოლის, – ეპლგეითი იყო.
 ბევრ-ბევრი ნახვამდის. მოკლე-მოკლე დამშვიდობება. უზარმაზარი ტვინი ნაწილებად დაიშალა. ტვინის შემადგენელი ნაწილები, კოსმოსური ხომალდის თავისქალაში ესოდენ ბრწყინვალედ, უზინჯოდ რომ მუშაობდა, სათითაოდ კვდებიან; მათი ერთობლივი ყოფის აზრი დარღვა. და როგორც კვდება სხეული, როცა ტვინი წყვეტს მუშაობას, ისევე – ხომალდის სული, ერთად გატარებული თვეები, და ყველაფერი, რასაც ერთმანეთისთვის წარმოადგენდნენ, – ყველაფერს წერტილი დაესვა. ეპლგეითი ახლა იმაზე მეტი

არ იყო, ვიდრე სხეულისგან მოწყვეტილი თითი, არც მისი სიძულვილი შეიძლება და არც მასთან ბრძოლა. ტვინი აფეთქდა და მისი უაზრო, არაფრისმაქნისი ნაკუწები მიმოიფანტა. ხმები მიწყდა, კოსმოსურ სივრცეში მღუმარებამ დაისადგურა. ჰოლისი მარტო იყო, ეცემოდა.

ყველანი მარტო იყვნენ. მათი ხმა გაქრა, თითქოსდა ექო რამდენიმე სიტყვისა, ღმერთმა რომ ამოთქვა ვარსკვლავებით მოჭედილ სიცარიელეში. აი, კაპიტანი, მთვარისკენ მიექანება; აი, სთოუნი მეტეორიტებს შორის, აი, ეპლეითი პლუტონისკენ მიფრინავს; აი სმიტი, თერნერი, ანდერვუდი და ყველა დანარჩენი — კალეიდოსკოპის ფერადი მინის ნატეხები, რომლებიც მოაზროვნე ორნამენტებს შეადგენდნენ ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში, ახლა აქეთ-იქით მოისროლეს.

“მე კი? — ფიქრობდა ჰოლისი, — მე რა ვქნა? შემძლია რაიმე გავაკეთო, რომ საშინელი, ცარიელი ცხოვრება გამოვისყიდო? ნეტა ერთი კეთილი საქმის გაკეთება მაინც შემეძლოს, რომ გამოვისყიდო ნაძირლობა, რომელიც თურმე წლების განმავლობაში მიგროვდებოდა, მე კი არც ვიცოდი! მაგრამ ახლა აღარავინაა ჩემს გვერდით, მარტო ვარ და რანაირად შეიძლება მარტომ გააკეთო სიკეთე? შეუძლებელია. ხვალ საღამოს დედამიწის ატმოსფეროში შევიჭრები”.

“დავიწვები, — გაიფიქრა, — და ჩემი ფერფლი ყველა კონტინენტის თავზე. გაიფანტები რაღაცაში მეც გამოვდგები. თუნდაც სულ ცოტა, მაგრამ ფერფლი ფერფლია და მიწას შეუერთდება.”

ელვისებურად ეცემოდა, ტყვიასავით, კენჭივით, რკინის საწონივით, მშვიდი, სრულიად მშვიდი, არც სევდას გრძნობდა, არც სიზარულს — არაფერს, მხოლოდ ერთს ნატრობდა, რაღაც კარგი გაეკეთებინა ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, გაეკეთებინა რაიმე კარგი და სცოდნოდა? ეს მე გავაკეთე.

“როცა ატმოსფეროში შევალ, მეტეორიტივით ავინთები.”


— საინტერესოა, — თქვა ხმამაღლა, — ვინმე თუ ღამინახავს?

სოფლის გზაზე პატარა ბიჭმა ცაში აიხედა, შესძახა:

— დედიკო, შეხედე! ვარსკვლავი ვარდება! თვალისმომჭრელად ნათელმა ვარსკვლავმა ილინოისის ღამეული ცა გადასერა.

— სურვილი ჩაიფიქრე! — უთხრა დედამ, — სურვილი ჩაიფიქრე!

თარგმნა ირაკლი ლომოურმა





რეპი ბრემბერი სასწაულები და საოცრებები, გალაქსი შემდეგ

ჩემი დროის მანქანა გაჩერდა. მბრუნავ ნისლში გადმოვედი და მივაყურადე. სიჩუმე. ბგერის ის სრული გაქრობა, რომელსაც საჰაერო ბურთით მფრინავი ადამიანები შეიგრძნობენ. სამყარო წავიდა და მასთან ერთად წავიდა ხმაც. მხოლოდ ბაგირები სუნთქავს წყნარად, შენ კი მიფრინავ იქით, საითაც ქარი მიგაქანებს.

ასეთი სიჩუმე უკვე წუთზე არანაკლებ გაგრძელდა, როდესაც თითქმის ჩემს ფეხებთან უხმაუროდ შეირხა ზღვა. არც ზღვაზე და არც ჩემს ზურგს უკან გადაჭიმულ ხმელეთზე არაფერი არ იყო, მაგრამ მოულოდნელად, ძალზე შორს, ბურუსიდან დიდი ნაბიჯებით მომავალი, მუქტანსაცმლიანი კაცი გამოჩნდა. უკანასკნელი ასი წლის მანძილზე უთვალავმა, მილიონობით ადამიანმა

იგრძნო, თუ როგორ უბიძგებდა მათ ეს ადამიანი უცნობი ზღვებისკენ, უბიძგებდა მოესმინათ ტალღების ტყელაშუნში საკუთარი სახელი და მეც, ძახილით გავიქეცი მისდა შესაგებებლად.

- ბატონო ვერნ! - ვყვიროდი მე, - ჟიულ ვერნ! და მალე ჩვენ ერთად, მდუმარედ მივაბიჯებდით ნაპირზე. ნაპირზე, რომელსაც ცივილიზაცია ჯერ კიდევ არ შეჰხებოდა...

- ვერ ვიჯერებ, - ჟიულ ვერნი ბოლოსდაბოლოს ალაპარაკდა, - თქვენ გამოემგზავრეთ ამ სიშორეზე ჩემგან ინტერვიუს ასალებად და მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა ჩემი გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავია? შეუძლებელია! რით მოაღწიეთ აქამდე? თქვენი საბეჭდი მანქანა - ეს თქვენი დროის მანქანაა? რას ვიზამთ. ჩვენც, გარ-

დაცვლილებსაც გვაქვს საკუთარი დროის მანქანა. მე - ჩემი წიგნები. ისინი კვლავინდებურად ცოცხალია. ისინი სუნთქავენ და მუდმივად მოძრაობენ. მათი წყალობით მე ვმოგზაურობ და ვიცი ეს თქვენი ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წელი ზუსტად ისე, როგორც თქვენ იცით ჩემი სიცოცხლის თითოეულ წელთაგანი. მაგრამ... თქვენი პირველი კითხვა?

ყურადღებით შევხედე ამ მაღალ, ცეცხლით ნაწრთობ ადამიანს, რომლის წვერ-ულვაში ვერ ფარავდა ძლიერ პირს, სახის სწორსა და მტკიცე ნაკვეთს.

- სტატია, რომელსაც დაწვერ, ასე დავასათაურებ! „ყოველ ვერნი წინასწარმეტყველებს მომავალს: 1955-2005“, - ვთქვი მე.

ვერნი ფესვგადგმულივით გაშეშდა ადგილზე.

- მე არასდროს მიწინასწარმეტყველებია მომავალი. მე მხოლოდ მანქანებს ვწინასწარმეტყველებდი. მე მათ ჩამოყალიბებას ვხედავდი. ვხედავდი, როგორი გარდაუვალი იყვნენ. მე შემედლო მეწინასწარმეტყველებინა თქვენი მომავალის მანქანებიც. მაგრამ რაც შეეხება ადამიანებს და იმას, თუ რას მოიმოქმედებენ ადამიანები მანქანებთან... აქ მხოლოდ ვარაუდი თუ შემიძლია.

- ჩემი კითხვის ჩამოყალიბება ასე შეიძლება, - ვთქვი მე, - თქვენ რომ დღეს წერდეთ, რას დაწერდით?

ვერნმა მოძრაობა განაგრძო. ნისლი გაიფანტა. ცას მუქი-მწვანე ელფერი გადაეკრა. მეჩვენებოდა, რომ თავად ოკეანე გვაჩქარებდა.

- უწინარეს ყოვლისა, - განაგრძო ვერნმა, - მე დაწვერდი „ოცი ათას ლიეს წყალქვეშ.“

- კვლავ?

- კვლავ და კვლავ, დღევანდელი დღიდან ორმოცდაათი, ასი წლის შემდეგაც! უბრალოდ შეხედეთ ზღვას. ის კვლავ საიდუმლოებად რჩება. რა შეიცვალა მოყოლებული თქვენი ომიდან ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის? განა ის კვლავ ისეთივე ღრმა არაა, როგორიც იყო? განა გაიფანტა მასზე გაფანტული ბურუსი? მის წიაღს კიდევ ათასი წელი ვერ მივწვდებით. ბევრად ადრე ჩვენ ვარსკვლავებს გავიცნობთ.

- კვლავ დაწვერდით „საიდუმლო კუნძულს“?

- დაწვერდი „მცურავ ქალაქსაც“, „ყინულის სფინქსსაც“, „დიდებულ ორინოკოსსაც“, „მცურავ

კუნძულსაც“, „ზღვაზეც“, და „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენაც“. განა ბევრი იცით თქვენ ახლა, ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტ წელს, ზოგიერთ პოლარულ რაიონზე? სამხრეთ ამერიკის ჯუნგლების ზოგიერთ რაიონზე? ყველაზე შორი სამხრეთის ზღვების ყველაზე შორეულ დაუსახლებელ კუნძულებზე? და სტრატოსფერო? განა ის თქვენთვისაც უზარმაზარ ოკეანედ არ რჩება, რომელიც არცერთ და არანაირ რუკაზე არაა დატანილი? ყველგან, ყველგან, სადაც შეუცნობელია, რომელიც შეცნობილად უნდა იქცეს, მე ვარ. თქვენს დროში, ისევე როგორც ჩვენსაში, მომავლის წინასწარმეტყველება მაინცდამაინც არ მომინდებოდა. მხოლოდ ადამიანის თავისი მანქანებიანად იმ თავდაუჯერებელ და სუსტ ნაბიჯებზე დაწვერდი, რომელნიც შეუცნობელიდან თუნდაც უძცირესი ნაწილის მოტეხას ისახავენ მიზნად. ამ ყველაფერს მე ჩემი ბლოკნოტით მივდეგ და გეოგრაფიულ რომანებს ვწერ.

- გეოგრაფიულ რომანებს, - გავიმეორე, ამ სიტყვებს გემოს ვუსინჯავდი.

- არა. ისე მშრალად არა, როგორც თქვენი სამეცნიერო ფანტასტიკა. სადაა აქ, ამ ორ სიტყვაში, პოეზია?

- ჩვენი საუკუნე არაპოეტურია. ჩვენ ვამბობთ „სამეცნიერო ფანტასტიკას“, რადგან გვეშინია გრძნობებისა, რომელთაც აღძრავს „გეოგრაფიული რომანი“.

- ასე როგორ შეიძლება? - წამოიძახა ვერნმა და ისე გადასწია უკან თავი, თითქოს წვერი დამიმიზნაო, - ჯერ არ ყოფილა საუკუნე, პოეზია რომ არ გააჩნდეს. რაც უნდა უარყოთ ის, სულერთია, მაინც გამოაჩენს თავს. ის უბიძგებს თქვენს მეზღვაურებს ზომალდებისკენ, ის უბიძგებს თქვენს მფრინავებს რეაქტიული თვითმფრინავებისკენ. მთელი მეცნიერება რომანტიკისგან იბადება, შემდეგ ბუნებრივი გზით თავისუფლდება ზედმეტისგან, იკუმშება ფაქტების გროვამდე და როდესაც ეს ფაქტები მშრალი და მყიფე ხდება, იწყება სინამდვილის ახალი განაყოფიერება, მისი ხელახალი რომანტიზება. და ასეა მუდამ. კვლავ და კვლავ. რამეთუ ესე არს ქუეყანასა ზედა მრავალ, ვითარ ჩვენ არარაი ვუწყით შესახებ მათდა და არცა არარაი გვეუწყება არა ოდეს.

- ხომ არ უწოდებდით თქვენს წიგნებს ასევე “Voyages extraordinaires”? [არაჩვეულებრივი მოგზაურობანი (ფრ)] ? ვკითხე მე, - რა საწყენია, რომ თარგმნისას ამდენი იკარგება.

- მაშ, ანაზღაურეთ ეს დანაკარგები, როდესაც თავად წერთ! - კვლავ წამოიძახა ვერნმა და ნაბიჯს აუჩქარა, - ასწავლეთ ადამიანს გააიგივონ თავი ამ მანქანებთან, რომლებიც მთელი თავიანთი მრავალფეროვნებით, ფუნქციებით და შესაძლებლობებით სხვა არაფერია არია, თუ არა საუკეთესო ნაწილი ჩვენი სულისა. ღმერთო ჩემო, მე ხომ მასსოვს, როგორ ვუმზერდი შოტლანდიაში „გრეთ ის-თერნის“ უზარმაზარ კარკასს. ეს წარმოუდგენელი ხომალდი, ჯერ კიდევ მხოლოდ სანახევროდ აგებული, რამდენს ნიშნავდა ადამიანთათვის, ვინც მას ის ფორმა მიანიჭეს, რასაც ზღვა მოითხოვდა! ასევე მასსოვს პარიზი, ციებ-ცხელებით მოცული პარიზი. ადამიანები თმობდნენ უკანასკნელს, რაც ებადათ, ოღონდ მათთვის დაემზადებინათ საჭირო ბურთი, რომლის მეშვეობით ზეცაში უხმაუროდ გაცურდებდნენ.

- როგორც ჩანს, სწორედ მაშინ აიგო „გიგანტი“, საჭირო ბურთი, რომლითაც მთელ ოჯახს შეეძლო ემოგზაურა დედამიწის გარშემო?

- დიახ, სწორედ ამ დროს დაუსრულებლად ვსაუბრობდით არქტიკულ ზღვებზე, აფრიკაზე, მთვარის საიდუმლოებებზე. ყველაფერი ეს ჩემს შემოქმედებაში აისახა, როდესაც ვწერდი ხომალდებზე და მფრინავ აპარატებზე. იმ ხომალდებზე და აპარატებზე, რომელნიც ლეონარდო და ვინჩისგან დაუსრულებლნი ვისესხე და ჩემს წარმოსახვაში დავასრულე. ამ ყველაფრის უკან... ამ ყველაფრის უკან ერთი მოტივი იდგა...

- რომელი?

- დავასახლოთ შეუცნობელი, - ჩუმად თქვა ჟიულ ვერნმა, - გადავლახოთ დრო, რომელიც გვზრავს. არ მივცეთ უდაბნოს უფლება, ქალაქი შთანთქმას.

- და ესაა თქვენი წიგნებს უმრავლესობის მთავარი თემა?

- მთავარი. მაშინაც კი, როდესაც ცხადი არაა, და ის მთავარ თემად რჩება მაშინაც კი, როდესაც არაა ცხადი უკლებლივ ყველა ადამიანისთვის დღეს დედამიწაზე. ადამიანი მოგზაურობს, რათა

შეიცნოს, შეიცნოს, რათა არ დაიღუპოს. მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანმა იმოგზაუროს, მას ჩემნაირები უბიძგებენ; რომლებიც ხომალდებში, საჭირო ბურთებში, ჩინურ ფეიერვერკებში რაღაც მეტს ხედავენ, ვიდრე უბრალოდ არდალუპვისკენ სწრაფვას. ჩემნაირები, ვისთვისაც ყოველივე დიდების, მოგზაურობის, სიმდიდრის შუქითაა მოსილი. ჩვენ, ზღაპრების მთხრობელნი, წინ გავგზავართ და ვეძახით, რომ გამოგვყვნენ, საზოგადოება მოგვდევს და გვეწევა; და მაშინ მეზღაპრებს დრო უდევბათ, ახალი ზღაპრებით ახალ თაობებს ოცნებების ცეცხლი შეუნთონ, ოცნებებისა, რომლებიც ახალ ფაქტებთან მიიყვანენ და, ამდენად, უდაბნოს ოღნავ უკან დაახევინებენ.

- და ეს ყველაფერი მხოლოდ ამიტომ?

- დიახ. ჩვენ ვერ შეგვეუბნებოთ ამ უდაბნოს, ამ მატერიალურ სამყაროს მისი გაუგებარი კანონებით, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს ჩვენს თრთოლვას. ადამიანი მხოლოდ მაშინ დაიწყებს თავისუფლად სუნთქვას, როდესაც უმაღლეს ევერესტზე - კოსმოსში ააღწევს.. იმიტომ კი არა, რომ კოსმოსი არსებობს. სულაც არა. არამედ, იმიტომ, რომ კაცობრიობა არ უნდა დაიღუპოს. ხოლო იმისთვის, რომ არ დაიღუპოს, ყველა მზის ყველა პლანეტა უნდა დაასახლოს.

- ასე რომ, დღესაც დაწერდით „დედამიწიდან მთვარეზე“?

- აუცილებლად დავწერდი. მე საზრისს მოკლებულ არსებობას ვუჯანყდები. კაცობრიობის არსებობა არ აღმოჩნდება საზრისს მოკლებული, - გამტკიცებ მე, - თუ კაცობრიობა ამ უკანასკნელ უმაღლეს მწვერვალზე ააღწევს. ვინაიდან ასვლა დედამიწის ევერესტზე, ბევრისთვის აზრსმოკლებული, სხვა არაფერი იყო, თუ არა გამოცდა კაცობრიობის შეუპოვრობისა, ტკივილისა და წვისა.

- გამოდის, რომ კოსმოსურ მოგზაურობებმა შემთხვევით არ დაიპყრო ზოგიერთი მწერლისა თუ მოაზროვნის წარმოსახვა?

- ჩვენი გზა აქეთ, ჩვენი გზა კოსმოსისკენ დაიწყო მაშინ, როდესაც ხეებიდან მიწაზე გადმოვსახლდით. მღვიმის ადამიანი უკვე გრძნობდა ამას ზამთრის ყინვიან ღამეებში, როდესაც ვარსკვლავები ესაუბრებოდნენ მას სადღაც, მიუწვდომელი შორე-

თის მიღმა მოკიაფე, ზაფხულივით ცხელ ცეცხლზე, ალსა და შარავანდედზე. კოლუმბმა და კორტესმა იახლეს მღვიმის ადამიანის ლტოლვა ვარსკვლავეთისკენ. ამასთან, მშვენიერად მოახერხეს ეს ლტოლვა შეენამებინათ ძალაუფლების სიყვარულთან, თვითკმაყოფილებასთან, გაუმაძღრობასა და რელიგიასთან.

– გამოდის, რომ ორიათას ხუთ წელს ადამიანები თითქმის აუცილებლად იმოგზაურებენ კოსმოსში?

– როდესაც ფლატედან ვვარდებით, განა შეიძლება, ფლატეს ფერდობზე გამოშვერილ ტოტს არ ჩავეჭიდოთ? ადამიანს საკუთარი დანიშნულებისკენ გზას გაუნათებს სიცოცხლის ნება, „გეოგრაფიულ რომანებში“ ბუმტებად მოთუხთუხე. ოცნება, კვლევა, აღმოჩენა, ჭეშმარიტების დადგენა, სტაზისი - ასე აღემართება ჩვენი ისტორია აკობის კიბეზე, აღემართება მალლა და მალლა და ჰქრება შორეთში. მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია გააჩეროს ეს აღმასვლა.

– მგონი, ვხვდები, – მიუვგე, – ჩვენში არსებულ ჯუნგლებს.

– ჩვენს მეორე ნახევარს. დიახ: ბეწვიანი მამონტი, ხმალკბილა ვეფხვი, ბრმა ობობა, სოკოსებრ ღრუბლის მიერ მოტანილ შხამიან წყვდიადში მობორიალე. ბევრად ადვილია, – ვერნის ხმა ძლივს ისმოდა. სმენა დაეძაბე, – ბევრად ადვილია განადგურება, სიკვდილი, საზუღამო დავიწყება. სიკვდილი აგვარებს ყველა პრობლემას და როგორც მუქი მძივების ყელსაბამს, ერთ პეშვ ატომებს ერთად ააცვამს. ამ უზარმაზარი, შავი არსების ენერგია მთელი მონდომებით თქვენი საუკეთესო მანქანების შექმნაზე უნდა მიმართოთ და არა ცუდ მანქანებზე, რომლებიც სოკოს ჩრდილში დამარხვისკენ გიბიძგებენ.

– და თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ სიცოცხლის წყურვილი გაიმარჯვებს?

– ისევ და ისევ, მილიონწლიანი უაზრო ომების მიუხედავად, უაზრობის მიუხედავად, ჩვენ გადავრჩებით. დღეს, ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია შევანსენოთ ადამიანებს კოსმოსის და ვარსკვლავეთის პრობლემა. როდესაც ადამიანები ამ პრობლემას მიადგებიან, მაშინ გაიგებენ, რომ მოდგმა ადამისა თავისთავად ბევრად უფრო

მნიშვნელოვანია, ბევრად ღირსია რწმენისა, ვიდრე კონტინენტთა საზღვრები თუ პოლიტიკური უთანხმოება. თქვენ, მწერლებო, უთხარით ადამიანებს: „ფრთხილად იყავით, როდესაც თავს ზემოთ ატომთა ბლუჯებს ატრიალებთ! თქვენი ქალაქების ირგვლივ უდაბნოა ჩასაფრებული. იგი მზადაა, იგი გელით!“ ახალგაზრდებს უთხარით: „იოცნებეთ ბავშვობის ნათელ ღამეებში, აკეთეთ საქმე მოწიფულობის ნათელ ღამეებში.“ ყოველი მკვლევარის უკან ბავშვი დგას, რომელიც ოდესღაც იგი იყო. მე ხელს ვუწვდი ამ ბავშვს, იგი, თავის მხრივ – მოზრდილს და ერთად ჩვენ ვქმნით ჯადოსნურ ჯაჭვს და ერთად ვიძახებთ სულებს მანქანებისა, რომელნიც ჯერ არავის დასიზმრებია.

– დიახ. მახსოვს, – დავძინე, – მე ვკითხულობდი უილიამ ბიბის, იმ პირველის შესახებ, რომელმაც ფოლადის ბურთით, ბატისკაფით ოკეანე გამოიკვლია. მე ვკითხულობდი მის დოკუმენტურ მოთხრობებს. ბიბი ამბობს, რომ ყველაფერი დაიწყო თქვენი „ოცი ათასი ლიეთი წყალქვეშ.“ და თქვენი „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“? განა მან არ გაუშვა ნორბერ კასტერე მიწისქვეშა მდინარეებისკენ? სანამ, ბოლოსდაბოლოს, პირინეების მიწისქვეშა კარსტული მღვიმეების დიდი მკვლევარი არ გახდა? სერ ჰიუბერტ უილკინსის მოგზაურობა პოლარეთის ყინულქვეშ წყალქვეშა ნავით? განა ადმირალი ბერდი არ ამბობდა „მე გზა ჟიულ ვერნმა მაჩვენა“? და უკანასკნელი, მაგრამ უსიტყვოდ, არანაკლებ მნიშვნელოვანი: განა თავად თქვენ საპატო ლეგიონის ორდენი სუეცის არხის პატრიარქის, ფერდინანდ ლესეფსის იდეით არ მოგანიჭეს?

ისე რომ თვალი არ მოუცილებია ზღვისთვის, ჟიულ ვერნმა თავი დახარა.

- პირველად ეს არხი ლესეფსმა-ბავშვმა გასჭრა, პირდაპირ საკუთარი სახლის წინ, პატარა არხის სახით, წვიმის წყლით რომ ივსებოდა მუდმივად და თავისი საუკეთესო ჩექმები თიხით მოთხუნა. და როგორ ამოძრავდა ისტორიის ბორბალი, როდესაც ძმებმა რაითებმა ქალაქის სათამაშო ვერტმფრენი გააფრინეს, ის კი სასტუმრო ოთახის ჭერამდე აფრინდა და იქ დაეკიდა და პატარა ბიჭუნებს იგივეს ჩასჩურჩულებდა, რასაც ქარი

ეუბნებოდა იკაროსს და დედალოსს, მონგოლფიერს და ლეონარდო და ვინჩის. ეუბნებოდა ივივეს, რასაც ჩვენ მწერლები ვამბობთ, როდესაც ვაგრძელებთ ტრადიციას, მილიონწლიან ტრადიციას.

– განა ასეთი ძველი ტრადიციები არსებობს?

– ერთი არსებობს, – გამეპასუხა ვერნი, – განა სხვანაირად როგორ შეეძლო სამყაროს გაელვობინა წყალმცენარეებით მოტივტივე წყალსატევების მობინადრენი და ეიძულებინა მათთვის ხმელეთზე ამობობლება, თუკი უსიტყვოდ არ მოუყვებოდა მათ ძველთაძველ ისტორიას სასწაულებსა და საოცრებებზე, იმის საზეიმოობაზე, რასაც ისინი ხმელეთზე დაინახავდნენ? ზღვა აცდუნებდა, არწმუნებდა, აიძულებდა, აშინებდა და, ბოლოსდაბოლოს, ზღვამ მათ ტყავი მისცა და ისინიც ამოძვრნენ, გაიჭიმნენ, აღიმართნენ და კვლავ დაეცნენ და ბოლოსდაბოლოს ადგნენ, წელში გაიმართნენ და საკუთარ თავს ადამიანი უწოდეს. ახლა, ოკეანისგან უკვე თავისუფალი ადამიანი ფიქრებში ბედავს თავი დედამიწისგანაც თავისუფლად იხილოს და შემოგვძახის: „კიდევ მოგვიყვით. გავივით ხელებზე და ფეხებზე და აი, ჩვენ ვდგავართ! ახლა ფრთებზე მოგვიყვით, რბილი ღინღლი, მხრებზე ფრთების პირველი ჩხვლეტა განგვაცდევინეთ. მოგვატყუეთ მწერლებო. ჩვენ ამ ტყუილისგან სინამდვილეს შევქმნით!“

ჟიულ ვერნი უკან შებრუნდა და სანაპიროზე საკუთარ ნაკვალევს უკან გავუყვით.

– დაწერდით წიგნს წყალბადის ბომბზე? – მოვიკრიფე გამბედაობა.

– არა. მხოლოდ ადამიანის შესაძლებლობებზე დავწერდი, თუ როგორ გადარჩეს თავისევე ომებისგან.

– და თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი ხსნა ჩვენს ცნობისმოყვარეობაშია, თუკი მას გავაღრმავებთ?

– ცნობისმოყვარეობასა და ჩვენს კანონზომიერ მიზანსწრაფვაში. ჩვენს აზრებში და ჩვენს მისწრაფებაში მივიღოთ წესრიგი ქაოსიდანაც კი. ჩვენს შემდეგ ჩვენი შვილები დარჩებიან. მათში გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლე. მშობლებიდან ბავშვებში გადაიცემა გოცების და აღფრთოვანების უნარი. მოდგმამ ადამისა უნდა დაასახ-

ლოს ყველა ვარსკვლავის ყველა პლანეტა. ჩვენი კოლონიზატორების უწყვეტი განსახლება ყველაზე შორეულ სამყაროებში, რათა ადამიანებს შეეძლოთ არსებობა სამარადჟამოდ, უკუნითი უკუნისამდე; ბოლოს და ბოლოს გვაზიარებს მწვერვალისკენ ჩვენს ხანგრძლივ და ხშირად აუტანელ აღმასვლის აზრს. მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვდავებას მივალწვეთ, მხოლოდ მაშინ გავიანზრებთ, რომ ზედმეტი ადამიანი არასდროს არსებულა, განსხვავებით ზედმეტი, ცარიელი იდეისა.

შევჩერდით, მან ხელი ჩამომართვა. უტყვი ზღვის სანაპიროზე ჩვენს გარშემო, მიდამო უფრო და უფრო ინისლებოდა...

– რაოდენ უყვართ ადამიანებს რუკები, – ხმა შორეთში იკარგებოდა, – და რატომ? იმიტომ რომ იქ, რუკებზე შეგვიძლია შევეხოთ ჩრდილოეთს და სამხრეთს, აღმოსავლეთს და დასავლეთს და შემდეგ ვთქვათ: „აი, ჩვენ და, აი. შეუცნობელი. ჩვენ გავიზრდებით, ის კი შემცირდება.“ შეუდექით საქმეს! გახსოვთ, როგორ გადასცემდით პატარებს კინოთეატრის დარბაზში რიგებიდან რიგებზე ჩურჩულით რაღაც-რაღაცეებს? ახლაც ასე მოიქეცით! ყველა მათგანს, რომელიც მალე გახდება ზრდასრული და ისწავლის ფიქრს; ყურში ჩასჩურჩულეთ: „ისმინე: სასწაულები და საოცრებები“ და ფრთხილად უბიძგე მხარში: „გადაეცი შემდგომ.“

ჟიულ ვერნი უკვე დამცილდა. მისი მუქი ფიგურა უსასრულო სანაპიროზე მიემართებოდა. ოკეანემ ღორღი გამორიყა და უკან დაიხია. მხოლოდ საჭაერო ბურთის ხმა ისმოდა, წყნარად რომ აღიმართებოდა ცარიელ, მშვიდად მსუნთქავ ზეცაში. მომეჩვენა, რომ ადამიანი მუქ ტანსაცმელში შემობრუნდა, უკვე შორეთიდან ხელი დამიქნია და ნისლში ნაცნობი სიტყვები წამოიძახა. ბევრი უსმენდა ამ ყვირილს და ბევრი კვლავ მოისმენს.

და სწორედ ამიტომ გიმეორებთ ამ სიტყვებს, რათა თქვენ შეგეძლოთ მათი გადაცემა თქვენთა ვაჟისთვის, მას კი – მისი ვაჟისთვის: „სასწაულები და საოცრებები“ და ჩურჩულით: „გადაეცი შემდეგ“...

თარგმნა არჩილ კიკვაძემ

ავტობიოგრაფიის ნაცვლად

დავიბადე 1984 წელს, ქალაქ თბილისში. ლიგერატურული კანრიებიდან მიყვარს სამეცნიერო ფანტასტიკა და ძალიან მსიამოვნებს მსოფლიო შედეგების თარგმნა ქართულ ენაზე, რითაც ვარ დაკავებული კიდევ...

ვფიქრობ, რომ პირადი ცხოვრების დაკონკრეტება არ იქნებოდა შენთვის საინტერესო, ძვირფასო მკითხველო. ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია გაჩვენო, თუ რა არის სამეცნიერო ფანტასტიკის არსი და რაში მდგომარეობს ის.

საბჭოთა კავშირიდან გადმოყოლილ უთვალავ კლიშეთაგან ერთ-ერთი არის ის, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა არასერიოზული რამაა და მისით შეიძლება დაეკავდეთ ასე 13-14 წლის ასაკში. თუ საქმე გვაქვს უფრო ღიდ ასაკთან, საჭიროა, შემოვიფარგლოთ მოწყალე ღიმილით და პაგერნალისტური გრძნობებით. საჭიროა, ხაზი გავუსვით მკაცრი რეალობის ვირტუოზული ფლობის ჩვენულ ხელოვნებას და დრო ფუჭად არ ვხარჯოთ

წვრილმანებზე. ასე რომ იყოს, პირველყოფილ ადამიანს არ გაუჩნდებოდა შიშნარევი და ცნობისმოყვარე ლტოლვა ყოველივე იმისადმი, რასაც კუჭსავსეთავისუფალ დროს უმზერდა. სწორედ ამ ლტოლვამ, არსებითად მუსგადაც რომ სამეცნიერო ფანტასტიკამ შექმნა ჩვენი ცივილიზაცია.

როდესაც ჩვენი ჟურნალის ფორმაგი მოგვემს მეტ შესაძლებლობებს, სასურველი იქნებოდა ეს მსჯელობა შემდგომ უფრო განვრცობილიყო. აქ კი დავკმაყოფილდეთ იმის აღნიშვნით რომ აზიმოვი, ბრედბერი, სტრუგაცკები, ლემი, საიმაკი, შეკლი, ჰარისონი და უამრავი სხვა კვლავ და კვლავ დაარწმუნებს ჩვენს ერთგულ მკითხველს არაფერია იმაზე უფრო რეალური პერპეტუუმ თბილე ჩვენი მომავლის, კაცობრიობის ცივილიზაციის სრულყოფის და განვითარების საქმეში, ვიდრე დღევანდელი რეალობიდან გაჭრა, მიცემა გზა ფანტაზიისთვის, რაც არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, ადამის მოღვმის არსებო-



ბის გაგრძელების საშუალებას იძლევა ჯერ კიდევ პალეოლითიდან, როცა „მღვმის ადამიანი უკვე გრძნობდა ამას ზამთრის ყინვიან ღამეებში, როდესაც ვარსკვლავები ესაუბრებოდნენ მას სადღაც, მიუწვდომელი შორეთის მიღმა მოკიაფე ზაფხულივით ცხელ ცეცხლზე, ალზე და შარავანდელებზე.

ჩვენ ბევრჯერ შევხვდებით!...

შენიშვნები რაი ბრედბერის მოთხრობათა თარგმანების თაობაზე

- * **The Man** - ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1949 წელს. ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულის გარდა, ქართულ ენაზე არსებობს ამ მოთხრობის კიდევ ორი თარგმანი: "კაცი", თარგმნა თამარ კოგრიკაძემ, გამ. "ალტერნატივა", № 3, 1998; "კაცი", თარგმნა თამარ მესხმა, კრებულში "ტანზონაგული კაცი". გამომც. "წიგნები ბათუმში", 2015
- * **The Blue Bottle** - ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1950 წელს. ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.
- * **A Piece of Wood** - ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1952 წელს. ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.
- * **Kaleidoscope** - ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1949 წელს. ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულის გარდა, ქართულ ენაზე არსებობს ამ მოთხრობის თარგმანი: "კალიედოსკოპი", თარგმნა ინგა კალაძემ, გამოქვეყნდა კრებულში „451 გრადუსით ფარენჰაიტით, მარსის ქრონიკა, მოთხრობები", გამომცემლობა "მერანი", თბ. 1975
- * **Marvels and Miracles, Pass It On** - მეორე სახელწოდება: My Interview with Jules Verne. ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1955 წელს. ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.
- * **Lazarus Come Forth** - ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1944 წელს. ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.
- * **The Wonderful Death of Dudley Stone** - მეორე სახელწოდება: Chance of a Lifetime; ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1954 წელს. ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულის გარდა, ქართულ ენაზე არსებობს ამ მოთხრობის თარგმანი: "დადლი სტონის საოცარი აღსასრული", თარგმნა ნინო მამისაშვილმა, კრებულში "მუშები ვარსკვლავთმფრენების საუკუნეში". გამომც. "საბჭოთა საქართველო". თბ. 1979
- * **Punishment Without Crime** - ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1950 წელს. ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად

კლუბ ფანტასტიკის განცხადება

ჟურნალი "ფანტასტიკა" ამავე სახელწოდების ლიგერატურული კლუბის ერთობლივი ნამუშევარია – რომ არა კლუბის წევრთა მოწადინება, ჩვენი ჟურნალი ფიზიკურად არ იარსებებდა.


ჩვენი კლუბი ლიგერატურული სტუდიის ფუნქციასაც ითავსებს – ახალგაზრდა, დამწყები ავტორები სხამალა კითხულობენ თავის ნაწარმოებებს, შემდეგ კი იმართება საჯარო განხილვა, კლუბის წევრები გამოთქვამენ თავის აზრსა თუ შენიშვნებს, აძლევენ რჩევებს, რაც დამწყებ შემოქმედს შეიძლება პრაქტიკულად დაეხმაროს. საუკეთესო ნაწარმოებები ჟურნალში გამოქვეყნდება.

კლუბის შეკრებები ჯერ-ჯერობით ორ კვირამი ერთხელ იმართება "მწერალთა სახლში" (მანაბლის № 13) – მეგობრულ, უშუალო ატმოსფეროში, ჭიქა ღვინით ხელში.

ფანტასტიკით დაინტერესებულ, ნებისმიერი ასაკის ადამიანს სულითა და გულით ვეპატიყებით კლუბში – ერთად გაუწვიოთ ფანტასტიკას პოპულარიზაცია საქართველოში, ერთად შეუწვიოთ ხელი დამწყებ ფანტასტებს.

კლუბის კონკრეტული შეკრების თარიღის გაგება შეგიძლიათ ფეისბუქის ჩვენს გვერდზე, რომელსაც ჰქვია "ფანტასტიკა", ანდა ჩვენს საიგზე, რომლის მისამართია www.fantast.ge.

ასევე შეგიძლიათ დაგვირეკოთ: 595 943 888



რეი ბრედბერი

აღსდემ, ლაზარე!

კაიუტაში შემოსულმა ლოგანმა უამურად გაიღიმა.

- საკანში ახალი გვამია, ჩადი და ამოცნობა ჩაატარე.

ლოგანს ბოროტ თვალებში მომწვანო ნაპერ-წკალი უელავდა – საკუთარ სულმდაბლობას ვერასიდეს მალავდა...

ბრენდონმა ჩუმად შეიგინა. მთელი ხომალდის ეკიპაჟი მხოლოდ მისგან და ლოგანისაგან შედგებოდა. მაგრამ კოსმოსური ხომალდ-მორგის ყველაზე დიდ სათავსოშიც კი გაჭირვებით ეტეოდნენ.

მათი კაიუტის გარდა ხომალდზე უამრავი რკინის უჯრა-მაცივარი იყო. იატაკის ქვეშიდან კი ძრავების თანაბარი გუგუნი ისმოდა. ლოგანიც მექანიზმსა ჰკავდა, პატარა, შეუსვენებელივ მოქაქანე მექანიზმს.

– თავი დამანებე, – შეუღრინა ბრენდონმა და

წამოდგა. მაღალი, ტანხმელი ბრენდონი ჟანგისა და დროსგან დაჭმულ მეტეორიტსა ჰკავდა.

– მოკეტე და ჩუმად იჯექი... მეტი არც არაფერი მოგეთხოვება...

ლოგანი ძლივს მბჟუტავ სიგარეტს არხეინად ეწეოდა.

– რამ დაგაფრთხო? გეშინია, შენი შვილი არ აღმოჩნდეს?

ბრენდონი ერთი ნახტომით აღმოჩნდა ლოგანთან, ყელში სწვდა და კედელს მიახეთქა.

ლოგანმა თვალები გადმოკარკლა და დასაკლავი ღორივით ასრიალდა.

ბრენდონი სხეულის მთელი სიმაღლით დააწვა.

– რამდენჯერ გითხრა... მომეცი საშუალება თავად გადავწყვიტო, როგორ ვეძებო ჩემი უბედური ვაჟის სხეული... გაგარტყით შენც და შენს სიტყვებსაც!

ლოგანს თვალეები გაუშეშდა, ვეღარ სუნთქავდა. ბრენდონმა მეტოქეს ხელი შეუშვა. ლოგანი თითქმის უგონოდ, ნელა ჩასრიალდა რკინის იატაკზე, გულაღმა დაგდებული ხარბად ყლაპავდა ჰაერს. ბრენდონი მშვიდად ათვალიერებდა იატაკზე გაშლართულ ლოგანს.

ლოგანი ნელ-ნელა აზრზე მოვიდა, სუნთქვა დაუწყნარდა, თვალეები სისხლით ავესო...

– ლაჩარი ხარ!

– ლაჩარი და პანიკორო?! არასდროს გიომია, ომში არ ყოფილხარ... ერთ შეტაკებაშიც არ მივიღია მონაწილეობა... არაფრით დახმარების-არ შენს მშობლიურ დედამიწას მარსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

– მოკეტე! – ჩუმიდ გამოსცრა ბრენდონმა.

– ვითომ რატომ?! – ლოგანი ნელა გაიმართა წელში და კაიუტის კარისკენ დაიხია. სიჩუმეს მხოლოდ ტუმბოების რიტმული ხმაური არღვევდა.

– არ მოგწონს სიმართლის მოსმენა? თუმცა შენი შვილი შენით იამაყებდა! – ლოგანმა კარისკენ დაიხია.

– შენს ბიჭს რცხვენოდა შენისთანა პატრიოტი მამის. ის ხომ მოხალისედ ჩაეწერა კოსმოფლოტში და ისე მამაცურად იბრძოდა, რომ თავის სადესანტო ხომალდთან ერთად დაიღუპა.

ლოგანმა ტუჩები მოილოკა, ჩაახველა და გადააფურთხა.

– შენ კი სინდისის დასამშვიდელად, ამ მფრინავ მორგში დაიწყე სამსახური, იმედი გაქვს, რომ შვილის გვამს იპოვი და გააცოცხლებ...

კარგად გიცნობ. შენ არ მოინდომე კოსმოსის სახელოვანი გმირების გვერდით ბრძოლა – ვაჟკაცობა არ გეყო. აქ ხომალდ-მორგზე მშვიდი სამსახური კი ზუსტად საშენო საქმეა...

გაფითრებულმა ბრენდონმა თვალეები დახუჭა.

– ვილაცამ უნდა აგროვოს ბრძოლაში დაღუპული ბიჭების გვამები... ბრენდონი იმ ადამიანის ტონით ალაპარაკდა, რომელსაც საკუთარი თავის დარწმუნება სჭირდება. არ შეიძლება, რომ ისინი უსასრულოდ დაფრენდნენ კოსმოსში. ყველა დაღუპული უნდა დაიკრძალოს, ეს ერთადერთია, რისი უფლებაც მათ სიკვდილის შემდეგ მოიპოვეს...

– ვის ატყუებ? – ლოგანი წელში გაიმართა და ზიზღით სავსე მზერით მიაჩერდა ბრენდონს. – მხოლოდ მე მაქვს ამ ხომალდის მართვის და მეთაურობის უფლება. მე ვიბრძოდი ამ ომში!

– ცრუობ, – მშვიდად წარმოთქვა ბრენდონმა. – შენ, შენისთანა კონტრაბანდისტებთან ერთად დაძრწოდი ასტეროიდიდან ასტეროიდზე, რადიუმს ეძებდი, რომ შავ ბაზარზე გაგეყიდა. აქაც იმიტომ მოეწყე, რომ კონტრაბანდისტობა გაგვერძელებინა და თან ომში დაღუპულთა გვამებიც გვეგროვებინა. კარგი გათვლა გაქვს... სარფიანი...

ლოგანმა ჩუმიდ და ბოროტად გაიცინა...

– ლაჩრობას მაინც ვერავინ დამწამებს. ნებისმიერს გავანადგურებ, ვინც გზაზე გადამიდგება.

– თუმცა თუ კარგად გადამიხდის...

ბრენდონი შეტრიალდა, თავს ცუდად გრძნობდა. ღრმად ჩაისუნთქა და თავს აიძულა, მიმღებ კამერაში შესულიყო, სადაც კიდევ ერთი კოსმოსში დაღუპულის სხეული ესვენა.

გვამი ყინულის შუა კამერაში ესვენა. ღრმა ძილში წასულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გარდაცვლილს.

ბრენდონმა შვებით ამოისუნთქა. დაღუპული არც ამჯერად აღმოჩნდა მისი ვაჟი.

ბრენდონს ყოველთვის ეშინოდა საკუთარი შვილის მიმღებ საკანში ხილვა, ეშინოდა და თან ძალიან უნდოდა. ყოველთვის თვალწინ ედგა რიჩარდი, მზეზე გარუჯული, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმით და თვალისმომჭრელი ღიმილით. რიჩარდი, რომელიც მიცურავდა უსასრულოდ შორს, მარადისობაში...

ბრენდონმა ჩაიძუნხლა და გარდაცვლილის დათვალიერება დაიწყო. ყურადღებით აკვირდებოდა გაციებულ სხეულს. უცნაური, მისთვის აქამდე უცხო გრძნობა ეუფლებოდა. ერთი წამით შეჩერდა, პირველად აქ მუშაობის განმავლობაში სტეტოსკოპი გაიკეთა და გვამს დაადო. ასტრონავტის ფორმაც საგონებელში ჩააგდო. ბრენდონს გული აუჩქარდა, ოფლმა დაასხა, შუბლი დაეცვარა.

– ლოგან! – ხმამაღლა დაიძახა. შემდეგ წამოდგა და არეული ნაბიჯით ცენტრალურ კაიუტაში დაბრუნდა.

– ლოგან! მოდი აქ... ჩქარა!

ლოგანი ზოზინით წამოდგა და ბრენდონთან

ერთად კამერა-მაცივარში ჩავიდა.

– შეხედე...

ლოგანი ყურადღებით დააცქერდა ცხედარს...

– ეს აქ რამ გააჩინა?

გარდაცვლილს თოვლივით თეთრი სახე, ყორნის ბოლოსავით შავი თმა და ყინულში ჩასმული საფირონივით ლურჯი თვალები ჰქონდა. თხელი ხელის მტევნები თედოებზე ესვენა. მაგრამ მის იერში მთავარი მუქი პრიალა ფორმა იყო, ფართო ტყავის ქამარი და გაყინულ მკერდზე დამაგრებული ბრინჯაოს სამკუთხედი ნიშანი მასზე ამოტვიფრული ნომრით 51.

– სამასი წელია გასული, ჩურჩულით წარმოთქვა ლოგანმა. სამასი წელი... კიდევ ერთხელ დახედა სამკერდე ნიშანს, ნომერი 51 მას ბევრ რამეზე მეტყველებდა.

– სამასი წლისაა და რა კარგად შენახულა. გვამების უმეტესობას არც ისე სასიამოვნო გამომეტყველება აქვს, ეს კი ისე წევს თითქოს ეძინოს. სამასი წლის წინათ რაღაც უბედურებამ კოსმოსში მოისროლა და მას შემდეგ ეულად დაფრინავს უსასრულო სამყაროში. მე მგონი...

ბრენდონი დადუმდა.

– რა მოხდა? – მკაცრად იკითხა ლოგანმა.

– ამ კაცმა თავი მოიკლა.

– რაზე ატყობ?

– დეჰერმეტიზაციის, დეზინტეგრაციის და სხვიური დამწვრობის არც ერთი ნიშანი არ აქვს. ეტყობა რომ ის უბრალოდ გავიდა ღია კოსმოსში. რამ მიიყვანა 51 დეპარტამენტის მეცნიერი ამ ზომამდე?

– მაშინ დიდი ვერაფერი ომები იყო... ვერც რამე მასშტაბური შეტაკების ისტორიას ვერ ვიხსენებ, მაგრამ პირველად ვხედავ იმდროინდელ ადამიანს. მისი გადარჩენა თითქმის სასწაულია, ამ ხნის განმავლობაში მეტეორიტები მას უბრალოდ გაანდგურებდნენ.

ბრენდონს უცნაურად გააჟრიალა.

– მასხოვს ახალგაზრდობაში წავიკითხე 51-ე დეპარტამენტის ერთი ახალგაზრდა მეცნიერის ისტორია. 2100 წლიდან დაწყებული, დეპარტამენტი საილუმლო კვლევებს აწარმოებდა პლუტონზე. კარგად მასხოვს მათი ფორმა და ეს სამკერდე ნიშანი. ხმები დადიოდა და პრესაც

წერდა, რომ ისინი რაღაც ახალ ზემძლავრ საილუმლო იარაღს ცდიდნენ.

ზღაპრებია, – მოკლედ წარმოთქვა ლოგანმა. – ზღაპრები და ლეგენდები...

– ვინ იცის? შეიძლება ეს ასეა, შეიძლება არა. მარსელებმა დედამიწის აღება ამ იარაღის დასრულებამდე მოასწრეს. შემდეგ მარსელები პლუტონზეც გადასხდნენ. მეცნიერებმა კი, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ თავი ბაზასთან ერთად აიფეთქეს. ამბობენ – ერთი თვეც რომ დასცლოდათ იარაღი ჩვენს ხელთ იქნებოდა და ომის ბედიც სულ სხვანაირად წარიმართებოდაო...

ბრენდონი გაჩუმდა და გარდაცვლილ მეცნიერს დააცქერდა. მას თითქოს ღრმა ძილით ეძინა.

– და სწორედ იმ ორმოცდამეთერთმეტე სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის ახალგაზრდა მეცნიერი დღეს ჩვენთან არის. ალბათ, შინ, დედამიწაზე დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო ღია კოსმოსში გადახტა.

ლოგან! ჩვენს წინაშე კოსმოსიდან მოსული ისტორიის ნაწილია, ამ ცივი და უიშვლილ გაყინული უსახელო გვირის სახით...

– ჰეჰ, – იძულებით ჩაიციხა ლოგანმა. – ის იარაღი რომ მოგვცა, ხომ ვიზიემბდით გამარჯვებას.

– ღმერთო! ბრენდონი სკამიდან წამოიჭრა და ახალგაზრდა მეცნიერის ცხედარს დააკვირდა.

– რა მოგივიდა?

მხრებში გაშლილმა ბრენდონმა თავი ასწია და მშვიდი სიმტკიცით წარმოთქვა:

– შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჩვენ მოვიპოვოთ ეს იარაღი.

ბრენდონს ხელები უკანკალებდა.

კარგად განათებულ საოპერაციო მაგიდის ქვეშ მძლავრად ამოქმედებული ტუმბოები ვიბრირებდნენ, საბორტო კომპიუტერის ულტრა ლაზერული სკანერები ღრმად იკვლევდნენ გარდაცვლილი მეცნიერის სხეულს. ბრენდონი სწრაფად, უშეცდომოდ მოძრაობდა, თითქოს თავად ყოფილიყოს ხომალდის ერთ-ერთი მექანიზმი. მოკლე, მკაცრი ბრძანებებით აიძულა ლოგანს გვამი მოსამზადებელ განყოფილებაში გადაეტანა. გვამს ადრენალინი შეუშხაპუნეს, ცოტა ხანში გამთბობი ხსნარიც მიაყოლეს და სხეულს ხელოვნური სისხლმო-

ქცევის აპარატი მიუერთეს.

– ლოგან, ეხლა კი დაახვიე აქედან. შენგან შარი უფრო მეტია. ვიდრე სარგებელი.

– და ხელის შეშლაც არ გაბელო! მიაძახა გასასვლელისკენ ფეხაკრეფით დაძრულ ლოგანს.

– კარგი, კარგი, ნუ ბუზღუნებ... რა საჭიროა... წლებია ვიმეორებ, რომ...

ბრენდონისათვის სამყარო გაქრა. მას ეჩვენებოდა, რომ ლოგანის ხმა სადღაც შორი, დახშული სივრციდან ესმოდა, მერე ის ხმაც გაქრა. ეხლა მთავარი მხოლოდ ტუმბოების რიტმული ვიბრაცია, სტერილიზატორის ტემპერატურა და სისხლის მიმოქცევის აპარატის გამართული მუშაობა იყო.

ბრენდონი შემთბარი სტიმულატორების გადასხმას შეუდგა. მოულოდნელად სიმღერა წამოიწყო, თავადაც არ ახსოვდა საიდან გაახსენდა სიმღერის სიტყვები. ალბათ, ბავშვობისდროინდელი ბუნდოვანი მოგონებებიდან...

– აღსდექ, ლაზარე! – იმეორებდა მეცნიერის სხეულზე დახრილი ბრენდონი. – აღსდექ, ლაზარე!

– ლაზარეო! ლაზარე არა ის... – დამცინავად ჩაიქირქილა ლოგანმა.

ბრენდონი დაძაბული ჩურჩულით ესაუბრებოდა საკუთარ თავს:

– სადღაც, ცნობიერების სიღრმეებში ჩამალულია ცნობები იარაღის, იმ იარაღის შესახებ, რომელიც დედამიწას მარსთან ომში გაამარჯვებინებს. სამასი წელია, რაც იარაღი იქ, პლუტონზეა დაკონსერვებული. თუ ამ იარაღს ვიპოვნიო...

– ვის გაუგია 300 წლის მკვდრის გაცოცხლება? – თქვა ლოგანმა.

– ნუ იტყვი, ბრწყინვალედაა შენახული. უბრალოდ ძლიერ გაყინულია და სწორედ ამ კოსმოსურმა ყინვამ შეინარჩუნა მისი სხეული. ღმერთო, ეს ბედისწერაა. რიჩარდს დავეძებდი და სხვა ბევრად მნიშვნელოვანი ვიპოვე! ლაზარე! აღსდექ ლაზარე!

მექანიკა რიტმულად მუშაობდა, ბრენდონი მთელი სხეულით გრძნობდა მის ვიბრაციას, დაძაბული აკვირდებოდა ხელსაწყოთა დისპლეებს, ცდილობდა აღდგენილი სიცოცხლის უმცირესი ნიშანიც კი არ გამოჩენოდა.

– ჟანგბადი! – ბრენდონმა უსიცოცხლო სახეს ნიღაბი მოარგო, – წნევა! – რენიმატორის ფოლადის ფირფიტები მეცნიერის მკერდს რბილად შემოეხვია და სხეული მჭიდროდ დააფიქსირა.

– სამი, ორი, ერთი... – ბრენდონმა სარენიმატორო ციკლი ჩართო და აპარატი ამუშავდა...

ოთახში ჩამოვარდნილ სიჩუმეში მხოლოდ წყნარი, რიტმული პულსაციების ხმა ისმოდა.

მექანიკური ტკაცუნით ჩართო რაცია: “ზომალდი-მორგი, საბრძოლო ქვედანაყოფი 766 იმახებს ზომალდ-მორგს. კურსი პლუტონის ორბიტის ზენიტში 234 სს, წერტილი 0-2, 1-7 ზონა. ბრძოლის დასასრული, განადგურებულია მარსელთა შვიდი საბრძოლო ზომალდი. დაღუპულია დედამიწელთა ერთი სადესანტო კრეისერი, დაღუპულები კოსმოსში არიან გაფანტულნი. ორბიტაზე არიან, ორბიტას შორდებიან მზის მიმართულებით 23564 მილი/საათში სიჩქარით. შეაგროვეთ. ბრძანება გადმოგეცათ. კავშირის დასასრული.”

ლოგანმა სიგარეტი ჩააქრო.

– წავედით, ჩვენი სამუშაო დაიწყო. დაანებე მაგ ტიპს თავი, არაფერი არ მოუვა.

– არა! ჩაიღრინა ბრენდონმა. ეს ბიჭი ყველა იმ დაღუპულზე მნიშვნელოვანია. იმათ მოგვიანებითაც შევაგროვებთ. ეს კი... ამას კი... ჩვენი ხსნა შეუძლია!

ვიბრაციები შენელდა, რენიმატორმა შეანელა მუშაობა და ბოლოს გამოირთო. სიჩუმემ დაისადგურა.

ბრენდონმა მეცნიერს გულზე სტეტოსკოპი დაადო, სადღაც მისი სხეულის შორეული სიღრმიდან სუსტი და ნელი პულსაციის ხმა გაარჩია. გული ცოცხლდებოდა...

ბრენდონი დაძაბულობისგან კანკალებდა. მან ხელმეორედ ჩართო აპარატი, ბრენდონი იცინოდა, გაუჩერებელი ლაპარაკობდა. ნამდვილ გიჟს დაემსგავსა.

– ცოცხალია! ცოცხალი! ლაზარე აღსდგა! ლაზარე სამარიდან აღსდგა! ლოგან დედამიწას დაუკავშირდი!

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში პულსი სტაბილური გახდა, დროებით აწეულმა სიცხემ დაუწია. ბრენდონი ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, საბორტო კომპიუტერის ხან ერთ და ხან

მეორე ეკრანს აკვირდებოდა.

ბრენდონი ბედნიერი იყო, თითქოს ცოდვა გამოე-
სყიდოს, ის წლების განმავლობაში ეძებდა მას.
ვინც შელახულ ღირსებას აღუდგენდა, წლები
ეძებდა საკუთარ ვაჟს, რომელიც თავის მღუმარე
ტრაექტორიით კოსმოსში მიცურავდა, ეძებდა შე-
უპოვრად, მაგრამ უშედეგოდ და უეცრად მას ბე-
დისწერამ დიდი მეცნიერის გადარჩენა არგუნო.

ბრენდონი ისეთი ბედნიერი იყო, თითქოს თავი-
სი რიჩარდი გაეცოცხლებინოს. შვილის ამქვეყ-
ნად მობრუნებასთან ერთად ბრუნდებოდა მთელი
პლანეტის და კაცობრიობის იმედი. მის გაცოცხ-
ლებასთან ერთად ცოცხლდებოდა მომავალი.

– ბრენდონ! შენ მართლაც გმირი ყოფილხარ!
– ლოგანმა ღრმა ნაფაზი დაარტყა და სიგარის
კვამლი ჭერისკენ მიმართა.

– მე მგონი, გასაგებად გითხარი, რომ დედამიწა
გაგვერთხილებინა! დაუკავშირდი კოსმობაზას?

– არა, ბრენდონ, სად მეცალა... შენ ისე დას-
ტრიალებდი შენს წიწილას, რომ თვალი ვერ მოგ-
წყვიტე. ასეთ სანახაობას როგორ გამოვტოვებ-
დი. თანაც თავში ერთი იდეა მომივიდა... – ლო-
განმა სიგარა იატაკს დააფერფლა. შესანიშნავი
ნადავლი ჩაიგდე ხელში, ამ ნადავლის ბედმა ძალიან
ჩამაფიქრა.

– ლოგან, ადი კაიუტაში და დედამიწა გამ-
ოიძახე. ბიჭი სასწრაფოდ მთვარის კოსმობაზა-
ზე უნდა გადავიყვანოთ. მერე დავილაპარაკოთ.

ლოგანის თვალელებში ბოროტმა მწვანე ნაპერ-
წკალმა გაიელვა.

– მე საქმეს სხვანაირად ვხედავ! რას მივიღებთ
ამ ტიპის პოვნით? არც არაფერს! დაგვაჯილ-
დოვებს ვინმე, თუ რა?! არა! ეს ჩვენი სამუშაოა?
ჩვენ ხომ გვაძებნის შემგროვებლები ვართ. და აი,
ჩვენ გვყავს ტიპი, რომელსაც ამ დამპალი ომის
დასრულება შეუძლია...

– გამოუძახე დედამიწას, დაუკავშირდი კოს-
მობაზას, მშვიდად გაიმეორა ბრენდონმა.

– მოიცა ბრენდონ, მოიცა... სიტყვა დამამთავრე-
ბინე. ჩემს იდეას გაგიმხელ... აი რა ვიფიქრე,
იქნებ მარსელებიც დაინტერესდნენ ჩვენი ბიჭით.
იქნებ მათაც უნდათ მოისმინონ მისი – მოგონებე-
ბი? იმ იარაღის შესახებ...

ბრენდონი ლოგანისკენ დაიძრა.

– შენ ვერ გაიგე, რა გითხარი?

ლოგანმა ხელი ზურგს უკან წაიღო.

– ბრენდონ! მე შენთან მხოლოდ დალაპარაკება
მინდა, უსიამოვნებანი არ მჭირდება. ამ წინაპარში
რას მივიღებთ? ლოყაზე კოცნას და მკერდზე
მედალს? ფეხებზე მკიდაია...

ბრენდონმა გასარტყმელად ხელი ასწია და
მაშინვე მკერდში დამიზნებული დეზინტეგრატორის
ლულა შენიშნა. ტანში მსურვალე ტკივილმა დაუარა,
ყველა კუნთი მყისიერად ასტკივდა, თითქოს სხ-
ეული ნაწილებად ეგლიჯებოდა.

– ახლა კაიუტისკენ გავწიოთ, რაღაც პატარა
შეტყობინება უნდა გავგზავნო. გაინძერი, ჰოპ და
წავვლით...

ბრენდონი წინააღმდეგობას ეცადა, მაგრამ საშუ-
ალო სიმძლავრეზე მოქმედი დეზინტეგრატორი
მას თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ
აძლევდა.

კაიუტაში შესულმა ლოგანმა მაშინვე რაცია
ჩართო, თან ბრენდონს დეზინტეგრატორის მაგნი-
ტურ სხივს არ აშორებდა.

– ყურადღება! დედამიწის ხომალდი-მორგი
იძახებს მარსის საბრძოლო ხომალდს... დედამი-
წის ხომალდი? მორგი იძახებს მარსის საბრძო-
ლო ხომალდს... – ჩასძახა ლოგანმა რაციის მკ-
როფონს.

მარსელები კავშირზე რამდენიმე წამში გამოვ-
იდნენ... ლოგანი მიკროფონთან მოეწყო.

– ეს წუთია კოსმოსიდან ავიყვანეთ ორმოც-
დამეთერთმეტე დეპარტამენტის მეცნიერის სხეუ-
ლი და მოვახერხეთ მისი გაცოცხლება. მინდა
თქვენი კოსმოფლოტის მეთაურს ველაპარაკო,
მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და
საქმიანი წინადადება მაქვს, მე მგონი, ჩემი წი-
ნადადება ძალზე დაინტერესებს.

– სამხედრო სალამი, მეთაურო!..

ნახევარ საათში მოლაპარაკებაც დასრულდა
და საქმიანი გეგმაც შეიმუშავეს. საკუთარი თავ-
ით კმაყოფილმა ლოგანმა რაცია გამორთო, სიგა-
რას მოუკიდა, მართვის კაიუტაში გავიდა და
ხომალდის მოძრაობის კურსი შეცვალა, შემდეგ
დეზინტეგრატორით აიძულა ბრენდონს ჩაეცვა
მეცნიერისთვის და გასაგზავნად მოემზადებინა.

ლოგანი გარიგებით კმაყოფილი იყო შეიძლება

ითქვას ბედნიერიც კი.

– ნახევარი ტონა რადიუმი, კარგი ნადავლია ბრენდი, ეს ბევრად აღემატება ყველა იმ ჰონორარს, რაც ჩემთვის დედამიწელებს გადაუხდიათ!

– იდიოტი ხარ, – აიჩეხა მხრები ბრენდონმა. – მარსელები უბრალოდ დაგვხოცავენ...

– არც ისეთი იდიოტი ვარ... – ლოგანმა დეზინტეგრატორი მიუშვირა ბრენდონს. მეცნიერის სხეული ბორბლებიან მაგიდაზე გადააყვანინა, მაგიდა კი ზედ მწოლიარე მეცნიერის სხეულით მაშველი კოსმოკაფსულის ლუკთან მიაგორებინა.

– არც ისეთი იდიოტი ვარ-მეთქი, – გაიმეორა ლოგანმა.

– ახლა შენ კაფსულას დანადგავ. ჩვენ ჯერ რადიუმს ავიღებთ, თუ აღმოჩნდება, რომ მარსელებმა მოგვატყუეს კაფსულას ავაფეთქებთ.

– პირობა ასეთია, ისინი გვიგზავნიან რადიუმს, მხოლოდ შემდეგ ვეუბნებით კოსმოსურ კოორდინატებს.

– სანამ ისინი ამ ჩვენი წინაპრის სხეულს დაიადებენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიქნებით. კარგი იდეა, არა?

– ასეთი იარაღის მტრის ხელში ჩავდება თვითმკვლელობაა.

ლოგანმა ჩაიცინა და თავი გააქნია,

– არა, როგორც კი მარსელები სხეულს ხომალდზე მიიღებენ და ჩვენ უკვე სახლის გზას დავადგებით, ერთ პატარა ლილაკს თითოს დავაჭერ და ერთი დიდი აფეთქებით მარსელების მთელ ხომალდს კოსმოსში ავწევ... ეს ისაა, რაც ძალიან კარგად გამოძღვის, ეს ორმაგი თამაშია!

– და მეცნიერის სხეული მარსელებთან ერთად განადგურდება?

– რა თქმა უნდა, იქ ყველაფერი განადგურდება... ნახევარი ტონა ნალმი განა ხუმრობაა. სულაც არ მინდა, რომ ასეთი უნიკალური იარაღი მტერს ჩაუვარდეს.

– და ომიც წლები გაგრძელდება...

– მომისმინე, ბრენდონ, ჩვენ გავიმარჯვებთ, ნელა მაგრამ გავიმარჯვებთ. ომი დამთავრდება თუ არა, დავიწყებ რადიუმის გაყიდვას და უზრუნველი მომავლის შენებას...

– და ამის გამო მზად ხარ სიკვდილისთვის

გაწირო მილიონობით ადამიანი?

– და რა ხეირი ვნახე ამ კაცობრიობის გამო? სწორედ ამ მილიონობით ადამიანს არ შევწირე ჩემი ჯანმრთელობა ბოლო ომის დროს?

– მისმინე ლოგან, მოდი ერთად გადავაგდოთ მარსელები და გადავარჩინოთ მეცნიერი...

– ნუ ხარ სულელი!

– ჩვენ შეგვიძლია კაფსულაში სხვა სხეული ჩავდეთ. ლაზარეს გადავარჩინოთ და ერთად დავბრუნდებით დედამიწაზე.

– არა, ბრენდონ, მარსელები ლაზერული სკანერ ანალიზატორით, ასე ათას მილის მანძილზე არჩევენ ცოცხალსა და მკვდარს. თუ ჩათვლიან, რომ მოვატყუეთ, მათ კოსმოტორპედლებს ვერ გადავურჩებით, ჩვენ ზომ საბრძოლო კრეისერი არ ვართ... ასე რომ, ბრენდონ, უკვე ველარაფერს გავხდებით...

გააფთრებული ბრენდონი ელვისებური ნახტომით ლოგანს ეცა, ლოგანმა მოასწრო, უკან გახტა და დეზინტეგრატორი ჩართო. ბრენდონი მოცე-ლილივით დაეცა ფოლადის იატაკზე და გრძობა დაკარგა...

ბრენდონი გრძობაზე უწონადობამ და სიცივემ მოიყვანა. გაჭირვებით გაახილა თვალი, მიძლებში იყო, მხრები და ხელები ელასტიური დოლბანდით ჰქონდა გაკრული, თავად კი მავთულით იყო დაბ-მული მაგიდაზე.

– ლოგან! – დაიღრიალა მთელი ხმით, ერთ წამს შეიცადა შემდეგ კვლავ იყვირა...

– ლოგან!

განძრევა უნდოდა, ვერ მოახერხა, გრძობდა. როგორ ეჭრებოდა სხეულში მავთული. ბრენდონი დაიძაბა, მარჯვენა ხელი სხეულის გასწვრივ გაჭიმა და ოდნავ მოატრიალა, ტკივილი ოდნავ მოეშვა, იგრძნო, რომ ხელი გათავისუფლდა, თუმცა სრულ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

მსუბუქი ტკაცუნით ჩაირთო რადიომიმღები, საიდანაც კოსმოლინგვაზე წარმოთქმული მარსე-ლი ოფიცრის ცივი და მონოტონური ხმა გაისმა:

– ხუთასი ათასი მილი კონტაქტამდე. ხომალ-დი-მორგი, მოამზადეთ კოსმოკაფსულა, მეცნიერის სხეულით. სამასი ათას მილზე დაახლოებისთანავე, გაეშვას კოსმოკაფსულა. ჩვენ მიერ გაშვების დაფიქსირებისთანავე გამოვგზავნით რადიუმით

დატვირთულ სატრანსპორტო კოსმოკაფსულას. კოსმოკაფსულის მისაღებად გაქვთ ნახევარი საათი გალაქტიკური დროისა. კაფსულა დატვირთულია...

– გასაგებია. გაისმა ლოგანის ხმა. მეცნიერი თავს კარგად გრძნობს, მხოლოდ მისი გაღვიძება დაგჭირდებათ. თქვენ კარგ გარიგებაზე მოწერეთ ხელი.

ბრენდონი გაფითრდა, მრისხანებისაგან სახე მოექცა. კიდევ ერთხელ სცადა თავის გათავისუფლება, წამოიწია, მაგრამ ელასტიური დოლბანდები მავთულებთან ერთად გულის ფიცარზე შემოეჭდნენ ისე, რომ სუნთქვა შეუკრეს, ბრენდონს თვალი დაუბნელდა, იძულებული გახდა ისევ გაუნძრევლად წოლილიყო.

მთელი გონება ლაზარესკენ მიმართა. ისინი, ლოგანი და მარსელები მას მეორე შვილს ართმევდნენ, შვილს, რომელიც მან კოსმოსს გამოსტაცა და სიცოცხლე შთაბერა. ბრენდონი მწარედ აქვითინდა, ოფლით და ცრემლით დაუსველდა სახე...

მიძლებში ფეხის ხმა გაისმა, ცალყბად მოლიმარი ლოგანი ბრენდონის მაგიდას მიუახლოვდა.

– აჰა... გაიღვიძე, მძინარე მზეთუნახავო?

ბრენდონმა ხმა არ გასცა. უკვე დამშვიდებული ცდილობდა მარჯვენა ხელის ბოლომდე გათავისუფლებას.

– ლოგან, შენ არ იზამ ამას.

– ვითომ რატომ?

– დედამიწის ტრიბუნალის წინაშე მოგიწევს პასუხისმგება.

– შენ არაფერს იტყვი! უფრო ზუსტად... ველარაფერს იტყვი!

ლოგანი მიძლებში საქმიანად დაფუსფუსებდა.

ბრენდონი დაიძაბა, მარჯვენა მკლავი გაჭიმა და იგრძნო, რომ მისი დამჭერი დოლბანდი მოეშვა, კვლავ დაიძაბა, ნელა ამოძრავა მხარიც და ხელი დოლბანდებისგან გაითავისუფლა. ოფლიანი, დაღლილი ხელი ხაფანგიდან თავდახსნილ პატარა მხეცს ჰგავდა.

– ჩემი სიკვდილის ინსცენირებას როგორ აპირებ? – უკვე მშვიდად ჰკითხა ლოგანს. ლოგანი მისმა ტონმა გააკვირვა. ერთი წუთით მოჰხედა ბრენდონს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა და თითქმის მხიარულად უპასუხა:

– სულფაკარდიუმის ინექციით. ექსპერტიზა

გულის უკმარისობას დაადგენს. შენისთანა მოხუცისათვის ზომ დიდი ნერვული დატვირთვა იყო ხომალდ-მორგზე მუშაობაც და დაკარგული შვილის ძებნაც.

ლოგანი შპრიცით ხელში მიუახლოვდა მაგიდას.

ბრენდონი სავსებით უმწეო იყო. ხომალდი კი თავის გზას განაგრძობდა. იქ მალა ფოლადის კოსმოკაფსულაში ესვენა ახალგაზრდა მეცნიერის სხეული, მკვდრეთით აღდგენილი, მაგრამ უკვე გაყიდული და დასალუბად განწირული.

ბრენდონმა თავი ხელში აიყვანა...

– ლოგან, შეგიძლია უკანასკნელი პატივი მცე, როგორც გამარჯვებულმა?

– მაინც როგორი?

– დამაძინე... არ მინდა ვუყურო, როგორ ყიდი ლაზარეს. არ მინდა...

– კარგი.

ლოგანმა შპრიცი გამოცვალა და ბრენდონთან მივიდა.

– აი, კიდევ რა. ლოგან...

– წყნარად იწევი... – გააწყვეტინა ლოგანმა და მაგიდისკენ დაიხარა.

– ჰა!

თავისუფალი ხელით ბრენდონი კისერში სწვდა ლოგანს და ტანზე მიიკრა... წინასწარ გათვლილი ზუსტი მოძრაობით და უკანასკნელი ძალით ბრენდონმა ფეხი ჰკრა მაგიდის ჩამრთველ ღილაკს. მაგიდამ სწრაფად დაიწყო აწევა. ლოგანი ახრიალდა, მისი სხეული ტომარასავით ჩამოეკიდა მაგიდასა და იატაკს შორის. მოშვებული ხელიდან გავარდნილი შპრიცი ლითონის იატაკზე დაეცა და დაიმსხვრა.

ზედა ზღვარის მიღწევისას მაგიდამ მოძრაობა ერთი წამით შეწყვიტა, სწრაფად დაეშვა და ლოგანი ქვეშ მოიყოლა. ლოგანმა წამოიყვირა და დადუმდა.

ბრენდონს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, თავის დასახსნელად გლეჯდა დოლბანდიებს და წყვეტდა მავთულებს. ხელის შემშლელი აღარავინ ჰყავდა, მაგრამ კედლის საათზე ჩანდა, რომ მარსელების ხომალდი მალე საკონტაქტო ზონაში შემოვიდოდა.

ჭერზე წითელი ნათურები აციმციმდნენ და ხომალდის კომპიუტერიც ავტომატურად ჩაირ-

თო: “– ყურადღება... გვიანლოვდება უცხო ხომალდი... გვიანლოვდება უცხო ხომალდი... ხომალდი პირველი ხარისხის საკონტაქტო ზონაშია...”

– ლაზარე გამაგრდი! არ გაიღვიძო! – ბრენდონი განწირული ხმით უფრო საკუთარ თავს უყვიროდა.

სისხლის გამონაჟონით დაფარული მარცხენა ხელის მაჯა დაიძრა, მათული მოეშვა. ხუთ წუთში თავისუფალი იყო.

ბრენდონი მაგიდიდან გადმოხტა, ტკივილისაგან კინალამ გონება დაკარგა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა, ერთი წამით შეავლო თვალი საკუთარი სისხლის გუბებში მწოლიარე ლოგანს და კიბისკენ გაიქცა.

გონება ელვისებურად უშუშავებდა, მაგრამ სხეულს გაჭირვებით იმორჩილებდა.

კოსმოკაფსულას ლუკი ღია იყო. მის გვერდით უვნებელად, მაგრამ უგონოდ იწვა ლაზარე. რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ უკვე მისი ახალი მამის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მამისა, რომელზეც ის სამასი წლით უფროსი იყო.

ბრენდონმა საათს შეხედა. ლოგანის მიერ დათქმული პირობის თანახმად, ლაზარე კოსმოკაფსულაში უნდა ჩაეწვინა და კოსმოსში გაეშვა, სადაც მას მარსელები მიიღებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მარსელები ხომალდ-მორგს გაანადგურებდნენ, მასთან ერთად ბრენდონსაც და მეცნიერსაც... შეხვედრამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა.

ოფლისგან ბოლომდე სველი ბრენდონი კაფსულის ლუკთან გაშეშებული იდგა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა, შებრუნდა და სამართავ პულტს ეცა, კავშირის ტუმბლერი ჩართო: “დედამიწა, ყურადღებით, ლაპარაკობს ხომალდი-მორგი... ლაპარაკობს ხომალდი-მორგი... ხომალდი-მორგი ბაზაზე ბრუნდება... გრიფით საიდუმლო, გრიფით საიდუმლო... საგანგებო ტვირთი... საგანგებო ტვირთი... სასწრაფოდ უზრუნველყავით შეხვედრა მთვარის ზონაში... ვითხოვ გაძლიერებული დაცვას... დასასრული.”

ბრენდონმა ხომალდი ავტონომიური ფრენის რეჟიმში გადაიყვანა. მძლავრი ძრავები სრული დატვირთვით ამუშავდნენ, ხომალდმა კურსის შეცვლა დაიწყო. კურსის ბოლოს შორს დედამიწა იყო.

დედამიწაზე დაბრუნების სურვილმა ბრენდონს ლამის გრძობა დააკარგინა. დაბრუნდებოდა, თბილ მიწაზე გაივლიდა, დაივიწყებდა ომს, ათასობით სიკვდილს...

მას შეეძლო ლაზარე მტრისთვის დაეთმო და დედამიწაზე დაბრუნებულიყო, მაგრამ როგორ მიეტოვებინა ახალნაპოვნი შვილი მას მერე, რაც პირველი დაკარგა.

“არა, არასოდეს! ბრენდონი დეზინტეგრატორს სწვდა, გსხეულს გაგანადგურებ” – გაიფიქრა. მაგრამ მეორე წამსვე მოისროლა დეზინტეგრატორი. რა იქნება, რომ ხომალდთან ერთად ისიც დაბრუნდეს დედამიწაზე? მაშინ მარსელები დაეწვიან და მას ტყვედ აიყვანენ, ხომალდ-მორგის სიჩქარე საბრძოლო კრეისერებისას ვერ შეედრება.

ბრენდონი ყოყმანობდა. მიხნარე მეცნიერს. რამდენიმე წამი დასცქეროდა ბრენდონმა მას ალერსით გადაუსვა ხელი თავზე, მკერდზე შეეხო, ტანსაცმელი შეუსწორა, კიდევ ერთხელ დახედა და კოსმოკაფსულასკენ წავიდა...

...მარსელებმა კაფსულა მიიღეს წერტილში სსუ 5199. ხომალდ-მორგის არანაირი კვალი აღარ იყო. კურსიდან გადასული ხომალდი დედამიწისკენ მიემართებოდა.

მარსელებმა ლაზარეს სხეული მყისიერად გადაიტანეს რეანიმაციის ბლოკში. მაგიდაზე დაასვენეს და გაღვიძების ოპერაციას შეუდგნენ.

ვერცხლისფერ უნიფორმაში ჩაცმული ლაზარე, თვალდახუჭული იწვა სარეანიმაციო მაგიდაზე და უკვე მშვიდად სუნთქავდა. მკერდზე მქრქალად ბრწყინავდა ბრინჯაოს სამკერდე ნიშანი მასზე ამოტვიფრული ციფრით – 51.

აღვზნებული მარსელები მაგიდის ირგვლივ შეიკრიბნენ. ამოწმებდნენ, პულსს უსინჯავდნენ, მასზე მიშვერილ ულტრასკანერს აკვირდებოდნენ. დამბულობისგან პატარა, წითელ თვალებს წამდაუწუმ ახამხამებდნენ.

ლაზარემ ღრმად ამოისუნთქა, ის სიცოცხლეს უბრუნდებოდა, საფლავიდან ამოდიოდა სამასწლიანი სიკვდილის კლანჭებიდან სასწაულად გადარჩენილი...

რეანიმაციის მაგიდას მარსელთა დაზვერვის სამსახურის ჯგუფი მიუახლოვდა. ჯგუფი სა-

განგებო აღჭურვილობით იყო შეიარაღებული. მათი ამოცანა იყო ნებისმიერ ფასად აელაპარაკებინათ ლაზარე, თუ ის მარსელებთან თანამშრომლობაზე უარს იტყვოდა.

ლაზარემ თვალი გაახილა... ლაზარე საფლავიდან გამოვიდა...

მან დაინახა მის ირგვლივ შემოჯარული მარსელები: დაზვერვის ოფიცრები პირველ რიგში, მათ უკან მდგომი ექიმები და ხომალდის კეიპაჟის სხვა წევრები. დაინახა მათი უცნაური ცისფერი თავები და ცნობისმოყვარე წითელი თვალები. ლაზარე ცოცხალი იყო, სუნთქავდა და მზად იყო სალაპარაკოდ.

ლაზარემ თავი ასწია, ყურადღებით დაათვალიერა გარემო, გამშრალი ტუჩები მოილოკა და ხმადაბლა ალაპარაკდა:

– რომელი საათია? – ეს იყო მისი პირველი სიტყვები.

ამ უკიდურესად მარტივი ფრაზის გაგონებაზე

მარსელები დაფიქრდნენ, შეეცადნენ გაეგოთ მისი საიდუმლო არსი, მაგრამ ერთერთმა მათგანმა მაინც უპასუხა:

– წერტილ სსუ 5199-ის დროით ოცდასამი საათი და ორმოცდახუთი წუთია... –

ლაზარემ თავი დაუკრა, თვალები დახუჭა და თავი ბალიშზე დადო.

– კარგია, მას საფრთხე აღარ ემუქრება, ის ცოცხალი და უვნებელია...

მარსელებმა ერთმანეთს გადახედეს, მათ დაიმანსოვრეს და ჩაიწერეს ყველა სიტყვა, რომელიც ამ გაცოცხლებულმა ადამიანმა თქვა.

ლაზარე თვალდახუჭული იწვა, შემდეგ წამოჯდა, კიდევ ერთხელ მშვიდად დაათვალიერა დამხდურნი, ხელები განზე გაშალა და თითქმის უხალისოდ, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა:

- მე მქვია ბრენდონი.
და ლაზარემ გაიცინა...

თარგმნა მალხაზ რუსაძემ

ბოლოს დაიბადა XX საუკუნის 50-იანი წლების უკანასკნელ, 1959 წელს.


წინა ცხოვრებათა მუსტი თარიღები უცნობია, თუმცა კარგად ახსოვს, რომ იყო მჭედელი, სამურაი, მარგალიტებზე მონადირე, კონგრახანდისტი, ჯვაროსანი, ფრანცისკანელი ბერი, კალიგრაფი, ოქროს მაძიებელი კლონდაიკზე, მეკობრე (კეთილშობილი), იაპონიის იმპერატორის კარის მხატვარი, რამდენჯერმე მონაწილეობდა აჯანყებებსა და შეთქმულებებში, რის გამოც წინა ცხოვრებებს პერიოდულად ასრულებდა ეშაფოტზე, კატორღაში, ბარაკებებში...

ამ ცხოვრებაში წინა ცხოვრებათაგან განსხვავებით, მეტ ნაკლებად ფუნდამენტალური განათლების მიღების და გაცემის საშუალება მიეცა.

1959 წლიდან დღემდე დაამთავრა საშუალო სკოლა, სამხატვრო სკოლა, პედაგოგიური ინსტიტუტი, თეატრალური ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე, საკუთარ თავს ღობირებული სითამამით თვლის მხატვრად, მწერლად, მთარგმნელად, კინოსცენარისტად და კინოსაც გადაიღებს, თუ მიეცა საშუალება.

პირველი აკადემიურად გამოცემული (მაგარ ყდაში ჩასმული) წიგნი, რომელიც მან ნაყინზე დამოგილი ფულით შეიძინა, იყო “ექსპედიცია დედამიწაზე“, სამეცნიერო ფანტასტიკის კრებული. წიგნი რომ სამეცნიერო ფანტასტიკას განეკუთვნებოდა, მან ეს არ იცოდა (მაშინ მესამე კლასში იყო), სამაგიეროდ გააკეთა დასკვნა: თურმე როგორ ყოფილა მოწყობილი სამყარო...

მაგრამ მალევე გაერკვა (ასაკის მომაგებისთანავე) და სამეცნიერო ფანტასტიკის ერთგულ მკითხველად იქცა, მოგვიანებით გაარკვია, რომ არა მარტო მკითხველად – არამედ მთარგმნელადაც. მის ნამუშევრებს, როგორც ნათარგმნს, ასევე ნახატს, ნახავთ ჟურნალის ამ და ყველა დანარჩენ გამოცემაში.





რეი ბრეიბერი და დიდი სთოუნის ბასაოსარი სიკვდილი

- ცოცხალია!
- მკვდარია!
- ცოცხალია, ნიუ ინგლენდშია, წყეულიმც იყოს!
- გარდაიცვალა ოცი წლის წინ!
- ჩამოატარეთ ქუდი წრეზე. მე თვითონ წავალ და მოგიტანთ მის თავს.

ასეთი საუბარი გაიმართა ერთხელ ღამით, როდესაც ვიღაც უცნობი, ყოვლის მცოდნე სახით ამტკიცებდა, რომ დადლი სთოუნი მკვდარი იყო. ცოცხალია! წამოვიძახეთ ჩვენ. ჩვენ ეს არ უნდა ვიცოდეთ? ნუთუ ჩვენ არ ვართ ის უკანასკნელნი, რომლებიც ოციან წლებში საკმეველს ვუნთებდით და ნათელი გონებით კკითხულობდით მის წიგნებს?

ეს ის დადლი სთოუნია. შესანიშნავი სტილისტი, გამორჩეული დიდებულ ლიტერატორთა შორის.

თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, ღამის თავს რეტი დაგესხათ, ღამის მუხლები მოგეკვეთათ იმ წერილზე, რომელიც მან თავის გამოცემლებს მისწერა.

„ბატონებო, დღეს მე, 30 წლის ასაკში, ვწყვეტ ამ საქმიანობას და თავს ვანებებ წერას. ვწვავ ყველაფერს, რაც შევქმენი და ნაგავში ვისვრი ჩემს უკანასკნელ ხელნაწერს.

მშვიდობით. თქვენი დადლი სთოუნი“

ამ ამბავმა ძირფესვიანად შესძრა ყველა.

„რატომ?“ – წლიდან-წლამდე ვეკითხებოდი ერთმანეთს, ყოველი შეხვედრისას.

ისევე, როგორც საპნის ოპერაზე და მოლაზე, ჩვენ მუდამ ვმსჯელობდით იმაზე, რამ აიძულა

სინამდვილეში დადლი სთოუნს, გადაედგა ეს ნაბიჯი. იქნებ ალკოჰოლმა? ქალებმა? ცხენებმა თუ რამ? რამ აიბუღა შეეწყვიტა კარიერა ეს-ოღენი აღზევების ჟამს?

სათითაოდ ვაღიარებდით, რომ სტოუნს აუცილებლად უნდა განეგრძო წერა. მასთან შედარებით ფოლკნერი, ჰემინგუეი და სტეინბეკი სრულიად გაუფასურდებოდნენ. სამწუხარო იყო, რომ მან თავისი შემოქმედებითი აღზევების ზღვარზე უარი თქვა ამ ყველაფერზე და გადავიდა საცხოვრებლად ქალაქში, რომელსაც სახელად „გაუგებრობა“ შევარქვით. ქალაქი კი ზღვის ნაპირზეა, რომლის შესაბამისი სახელი - „წარსულია“.

„რატომ?“ - ამ კითხვამ სამუდამოდ დაისადგურა თითოეულ იმ ჩვენგანში, ვინც ნათლად დავინახეთ გენიის ბრწყინვალეობა, მის ნაირფეროვან ნამუშევრებში.

რამდენიმე კვირის წინ კი, ერთ საღამოს, დროის ამოებაზე ფიქრისგან დაღლილები, ერთმანეთის სახეებს დავაკვირდით, ყველას რომ უკვე დაგვბერებოდა, თმაც შესაძინევად შეგვთხელებოდა და ერთხმად გავბრაზდით, საზოგადოებისგან დადლი სთოუნის დავიწყებაზე. მისი გენიის შესახებ რომ აღარავინ არაფერი იცოდა.

ჩვენ ვსაუბრობდით თომას ვულფზე, მის განუზომელ წარმატებაზე, სანამ მარადისობაში ჩაიძირებოდა. მარადისობამდე მან წარმატების სრული ნეტარება იგემა. კრიტიკოსები, ცოტა არ იყოს. გაცოცხლები უყურებდნენ, როგორც წყვილადში გაკაშკაშებული მეტეორს, წამიერად რომ გაიბრწყინა. მაგრამ დღეს ვიღას ახსოვს დადლი სთოუნი, მისი წრე, მისით აღფრთოვანებული მიმდევრები ოციან წლებში.

– ჩამოატარეთ ქუდი წრეზე – ვთქვი მე. – მე თვითონ გავემგზავრები სამასი მილის მანძილზე, ჩავავლებ ხელს დადლი სთოუნს და ვეტყვი – „მისმინეთ, მისტერ სთოუნ, რატომ დაგვიკიდეთ ასე ცუდად? ოცდახუთი წლის განმავლობაში რატომ ერთხელ მაინც ვერ მოიცალეთ წიგნის დასაწერად?“

ქუდში ლითონის მონეტები აწკრილდა. ტელეგრამა გავავზავნე და მატარებლისკენ გავემუშრე.

* * *

თვითონაც არ ვიცოდი რას ველოდებოდი, სად-

გურზე ვეწურებოდი საკუთარ თავს. შესაძლებელი იყო შემხვედროდა სწული ღვთისმოსავი, ზღვიდან მონაქროლი ქარავით უფერული, გამხმარი მოჩვენება, რომელსაც ბალახის შრი-ალივით ხმა ექნებოდა. ნერვიულობისგან მუხლები შეკვეთებოდა, როდესაც მატარებელი ბაქანს მიუახლოვდა. ჩამოვედი დაცარიელებულ სადგურზე, სადაც კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ზღვიდან ერთი მილის მანძილზე. საკუთარ თავს კი სულელივით ვეკითხებოდი, რამ ჩამომიყვანა აქ.

სადგურის სტენდზე განცხადებების მთელი წყება იყო გამოკრული. ქალაქი ბლუჯა-ბლუჯად იყო გაკრული, ზოგიც მიწებებული, ზოგიც მილურსმული. ეტყობოდა რომ იქ წლიდან წლამდე აკრავდნენ ახალ-ახალ განცხადებებს. გადახუნებული ქალაქის ფენების ქვეშ, როგორც იქნა, მივაგენი იმას, რაც მჭირდებოდა. დადლი სთოუნი, ქალაქის თვითმართველობის წევრი, დადლი სთოუნი შერიფი, ქალაქის მერი. დროთა განმავლობაში მზისგან და წვიმისგან გადახუნებულ ფოტოზე, ძნელად თუ იცნობდა ვინმე. ნელ-ნელა შევიტყე, რომ მას ამ მხარეში მუდმივად საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. ვიდექი და ვკითხულობდი.

- გამარჯობა!
- დადლი სთოუნი ჩემკენ სწრაფად მოდიოდა.
- ეს თქვენ ხართ მისტერ ღუგლასი?

მოვტრიალდი – ჩემკენ მოდიოდა დიდებული აღნაგობის მამაკაცი, მაღალი, მაგრამ არა ჩასხმული. ფეხებს დგუშებივით ამოძრავებდა, პიჯაკის გადანაკეცზე პრიალა ყვავილი ეკეთა, ყელზე – ბრჭყვიალა ჰალსტუხი. ხელი ჩამომართავა და მიქლანჯელოს ღმერთივით, მაგიური შეხებით, ადამი რომ შექმნა, მაღლიდან გადმომხედა. მისი სახე იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ ქარების ილუსტრირება, ცივად და თბილად რომ ქრიან ზღვაოსანთა ძველისძველ რუკებზე. ეს იყო სახე, რომელიც მოგაგონებდა ეგვიპტური ორნამენტების მზეს, სიცოცხლის მხურვალეობას რომ ასხივებს.

„ღმერთო ჩემო – გავიფიქრე, – ესაა ადამიანი, რომელსაც ოცი წელია აღარაფერი დაუწერია. შეუძლებელია. იმდენადაა სიცოცხლით სავსე, შეუფერებელიც კია. მისი გულისცემაც კი შემიძლია გავიგონო.“

გადავწყვიტე, ფართოდ გამეხილა თვალები და მის შინაგან მდგომარეობას ჩავწვდომოდი, ჩემი გაცხელებული ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა.

– თქვენ ელოდით, რომ შეხვდებოდით მოჩვენებას – სიცილით მითხრა, – აღიარეთ ეს.

– მე...

– ჩემი მეუღლე გველოდება სახლში, სუფრა უკვე გაშლილია, ნიუ ინგლენდური კერძები, ელი და პორტერიც გველოდება. მიყვარს ამ სიტყვების ჟღერადობა. ელი იმისთვის არაა, რომ დათვრე, არამედ იმისთვის, მიძინებული სული რომ გამოაცოცხლო. მაგარი სიტყვაა. მერე, პორტერ – როგორი მშვენიერია და ჯანსაღი. პორტერი!

წელზე ოქროს საათი ჰქონდა ჩამოკიდული – ჟილეტზე შემოვლებულ ბრჭყვიალა ძეწკვზე. ისე მაკვირდებოდა, ისე ათვალისწიებდა ჩემს ჩაცმულობას, თითქოს მოხიბლულიც იყო ჩემით. ხელი მომიკიდა იდაყვზე და თითქოს ჯადოსნური ძალით გზისკენ გამაქანა, თითქოს რაღაც უმწეო არსება, ნადირი რომ მიათრევს ბუნაგისაკენ.

– მოხარული ვარ თქვენი ნახვით, მე მგონი, თქვენც იმიტომ ჩამოხვედით, რის გამოც სხვები მანამდე სხვები, იგივე კითხვები რომ დამისვათ. კი ბატონო, ამჯერად ყველაფერს გეტყვით.

გული გული შემეიტოვდა.

„მშვენიერია“ – გავიფიქრე.

ცარიელი სადგურის მოედანთან 1927 წლის გამოშვების „ფორდი“ ეყენა.

- რა სუფთა ჰაერია. საღამო ხანს როცა მიჰქრინხარ, თითქოს მთლიანად შეიგრძნობ ბუნებას, სივრცეს, ბალახს, ყვავილებს, გრძნობ, რომ ნიავე მხოლოდ შენ გეაღერებს. მჯერა, თქვენ ის კაცი არ იქნებით, ვისაც ამის შეგრძნება არ მოუნდება და ფანჯრებს დახურავს. ჩვენი სახლი ბორცვის კენწეროზეა. ჩვენს სახლში ოთახებს ქარი გვის დაბრძანდით, გთხოვთ.

ათი წუთის შემდეგ გზატკეცილიდან გადავუხვიეთ გზაზე, რომელიც უკვე წლები იყო არ გაესწორებინათ და არ დაეტკეპნათ. დადლი სთოუნს პირდაპირ ოღროჩოღრო და უსწორმასწორო ადგილებზე მიჰყავდა მანქანა, ყოველ დარტყმაზე ელიძებოდა. დარტყმის ხმაზე კი უმაღ ვკრთებოდი. რაღაც ხანი ვიარეთ ასეთ სა ინელ გზაზე და

ბოლოს, როგორც იქნა, სამშვიდობოს გავედით, ორსართულიან, მოუვლელ სახლს მივაღექით. ჩვენთან ერთად, ავტომობილსაც მიეცა დასვენების საშუალება, მძიმედ ამოიხვნეშა და გაყუჩდა.

– გინდათ ვითხრათ სიმართლე? – სთოუნი მომიბრუნდა, თვალებში ჩამხედა და მხარზე ხელი მომავლო, – ზუსტად ოცდახუთი წლის წინ მე ერთმა კაცმა რევოლვერით მომიკლა.

გაოგნებული მივაშტერდი. კარი გააღო და მანქანიდან ისკუბა. მტკიცე იყო კლდესავით, სრულიად არ ჰგავდა იმ მოჩვენებას, რომლის მოლოდინშიც ვიყავი მთელი ეს ხანი. თუმცა ვაცნობიერებდი, მის სიტყვებში იყო სიმართლე, სიტყვებში ესოდენ მოულოდნელად რომ მომახალა სახლში შესვლამდე.

* * *

– ესეც ჩემი ცოლი, ესეც ჩვენი სახლი და აგერ, ვახშამიც გველოდება. სასტუმრო ოთახის ფანჯარაში, რა საუცხოო ხელია: ზღვა, სანაპირო, მდელოები. წელიწადის ოთხი სეზონიდან, სამზე ფანჯრები სულ ღია გვაქვს და არ ვკეტავთ. საუცხოოა, თქვენ აქ ზაფხულობით ზღვის კენჭების სუნსაც იგრძნობთ. დეკემბერში რაღაც უფრო ანტარქტიკის ჰაერი მოედინება, ამიაკის და ნაყინის სურნელის. დაბრძანდით. ლენა, რა კარგია არა, რომ ჩამოვიდა ჩვენთან?

– იმედი მაქვს, მოგეწონებათ ნიუ ინგლენდური შემწვარი კერძი. – თქვა ლენამ.

მაღალი, მკვრივი აგებულების ქალი გახლდათ. სახე აღმოსავლეთის მზესავით უბრწყინავდა, სანტა-კლაუსის ქალიშვილს მოგაგონებდათ. კამკამა ნათურასავით ანათებდა მაგიდაზე დაწყობილი სუფრის ატრიბუტები, დანები და სხვა, ლომის კბილებივით იყო. ოთახში კერძების მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებდა, რაც, რასაკვირველია, უმაღ ვიგრძენით და მოშიებული კუჭის გადაძვირებდა, ლამის ჯოჯოხეთშიც კი ამოვყავი თავი. ჩემი თეფში სამჯერ შეივსო, ნელ-ნელა ვგრძნობდი, რომ დავნაყრდი. ამას ვგრძნობდი მთელი სხეულით – მკერდით, ყელით და ყურებითაც კი. დადლი სთოუნმა დამალევინა თავის ხელით გამოხდილი სასმელი, ველური „კონკორდისგან“ (ამერიკული ყურძნის ჯიშია – მთარგმნ. შენიშვ-

ნა) დაყენებული. შემდეგ აიღო ხელში ცარილი ღვინის ბოთლი, რომელიც უკვე გამოვწრუპეთ, ჩაბერა და სწრაფი, რიტმული მელოდია გამოსცა.

– კარგი. მე თქვენ ცოტა დაგლალეთ, – მითხრა და ისეთი მანძილიდან მომაჩერდა, რომელიც ნასვამ ადამიანებს სჩვევიათ და რომელიც უფრო აშორებს მათ, არადა, ჰგონიათ ხოლმე, რომ ეს მათი სიახლოვის თავისთავადი ნიშანია. – მე თქვენ ჩემი მკვლელობის შესახებ ვიამბობთ, ეს აქამდე არავისთვის მომიყოლია, მერწმუნეთ. ჯონ ოუტის კენდოლი თუ გაგივიათ?

– მეორე ეშელონის მწერალი ოციან წლებში? – კკითხე, – რამდენიმე წიგნის ავტორი, რომელიც ოცდათერთმეტ წელს უკვე დაიშრიტა, გასულ კვირას გარდაიცვალა.

– ღმერთმა ნათელი მისცეს, – მისტერ სთოუნს მომენტალური მელანქოლია შემოაწვა, რომელიც იმ წამსვე გაუქრა, როდესაც საუბარი გააგრძელა, – დიახ, ჯონ ოუტის კენდოლი, დიდი პოტენციალის მქონე მწერალი, რომელიც დაიშრიტა 1931 წელს.

– არც იმდენად დიდი, როგორც თქვენ, – უმაღლესად ჩაუერთე.

– მოითმინეთ. უკაცრავად, ჯონ ოუტისი და მე ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, ერთად გავიზარდეთ, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთი მუხის ჩრდილი დილით ჩემს სახლს ეცემოდა, საღამოს კი – მის სახლს. ერთად ვჭყუმალობდით ტბასა თუ მდინარეში, ერთად გვატკენდა მუცელს მკვახე ვაშლი, ერთად გავსინჯეთ თამბაქო. ერთად მოგვაჯადოვა და მიგვიზიდა ერთი ქერათმიანი გოგონას სილამაზემ. მოზარდობის პერიოდს რომ გადავცდით და ოცი წელი შეგვისრულდა, ერთად დავადექეთ ბედის საძიებლად გზას, მუცლის თუ თავის ასატკიებლად. თავიდან თანაბრად შევებით ცხოვრებისეულ ამოებას, თუმცა შემდეგ გავასწარი და მასზე წინ წავედი. თუ მისმა პირველმა წიგნმა მიიღო ერთი კარგი შეფასება, ჩემმა – ექვსი. თუ მე მივიღე ერთი უარყოფითი შეფასება, მან – ათი. ჩვენ ვიყავით, როგორც ორი მეგობარი მატარებელში, რომლებც ერთმანეთთან განცალკევებით სხედან, სხვადასხვა ვაგონში. შემდეგ ვაგონები ერთმანეთს დააშორეს, ჯონ ოუტისი ჩამორჩენილ ვაგონში დარჩა და იქიდან მიყვიროდა:

“მიშველე, თანქთაუნში, ოჰაიოში მტოვებ, ჩვენ კი ერთი გზა გვაქვს“.

ხოლო მემანქანე უყვიროდა: „გზა კი გაქვთ ერთი, მაგრამ ამ მატარებლით ვერ წამოხვალ“.

აი, მე კი ვიყვიროდი: „მე მჯერა შენი, ჯონ, შენი კეთილი გულის, მე დავბრუნდები შენს საშველად“.

მისი ვაგონი ჩამორჩა, უკან გახედვისას სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა, ვაგონის წითელი და მწვანე მაშუქები ალუბალს და ლიმონს კანფეტებსა ჰგავდნენ. მათი ნათება ნელ-ნელა ილეოდა სიბნელეში. ჩვენ კი ჩვენს მეგობრობას გადაძახილში ვაქსოვდით: „ჯონ, შე ძველო“, „დადლი, ძველო მეგობარო“. სანამ ჯონ ოუტისი სათადარიგო ხაზით წამოვიდოდა, სრულ სიბნელეში აღმოჩნდა და კიდევ დარჩა იქ, ხოლო ჩემმა ორთქლმავალმა აღმების ფრიალითა და საზეიმო ჰანგებით წარმატების განთიადში შეაღწია.

დადლი სთოუნი უცბ დადუმდა, ჩემი დაბნეული მზერა შენიშნა.

– ეს ყოველივე ჩემს მკვლელობასთან კავშირშია, – თქვა მან, – ამის გამო, ჯონ ოუტის კენდოლმა 1930 წელს გაყიდა თავისი ძველი ტანსაცმელი, თავისი წიგნების შემორჩენილი ვეზემპლარები, იარაღი რომ ეყიდა, და კიდევ მოვიდა ჩემთან სახლში, ამ ოთახში.

– თქვენ მოკვლას მართლა გეგმავდა?

– ჯანდაბასაც გეგმავდა. მან ეს გააკეთა. ბუჰ! დალევთ კიდევ ღვინოს? უკეთესი იქნება.

მისის სტოუნმა მარწყვის დაშაქრული ნამცხვარი მოიტანა და მაგიდაზე დადგა, როდესაც ამ გაუგებარი ამბის მოყოლოლისას, ჩემი დაბნეულობით ხალისობდა. სთოუნმა ნამცხვარი სამ ნაწილად დაჭრა და გარემეშო შემოაწყო. თან კეთილი, ახლობლური თვალებით მიყურებდა, როგორც ქორწილის სტუმარს.

– აი, მაგ სავარძელზე იჯდა ჯონ ოუტისი, თქვენ რომ ზინხართ ახლა. მის ზურგსუკან, გარეთ, შესაბოლ ფარდულში 17 ლორი ეკიდა, ღვინის მარანში 500 ბოთლი საუკეთესო ღვინო ეწყო, სარკმლის მიღმა საუცხოო სანახაობა იშლებოდა, საუცხოო ზღვის ხედი თავისი ხიბლით, ზემოთ თვალისმომჭრელი მთვარე, როგორც თეფშზე სურნელოვანი ნაღები. სრულად იგრძნობოდა

გაზაფხულის მშვენიერება. ლენაც მაგიდასთან იჯდა, ის ყვავილობაში შესულ ტირიფის ხესავით იყო, იცინოდა ყველაფერზე, რასაც ვიტყვოდი ანდა დავაპირებდი, რომ მეთქვა. ჩვენ ორივე 30 წლისანი ვიყავით. დაფიქრდით, 30 წელი, ჩვენი ცხოვრება მშვენიერი კარუსელივით იყო, ჩვენი თითები ჰარმონიულ აკორდებს უკრავდნენ, ჩემი წიგნები კარგად იყიდებოდა, ჩვენი საფოსტო ყუთი სავსე იყო თაყვანისმცემლების წერილებით, უღევად მოდიოდა და მოდიოდა. საჯინბოში ცხენებიც მყავდა, ღამით, მთვარის შუქზე გასაჭენებლად დამეუღლ სივრცეში, ან ზღვაზე, რომლის ძლევა მოსილებასთანაც ჩავუთქვამდით ჩვენ სურვილებს, ღამის სიჩუმეში. და ჯონ ოუტისი კი იჯდა მაგ სავარძელზე, რომელზედაც ახლა თქვენ ზიხართ და უხმაურო მოძრაობით პატარა ცისფერი იარაღი ამოიღო უბიდან.

- გამეცინა, ჩვეულებრივი სანთებელა მეკონა, - ჩაურთო მისმა ცოლმა.

- მაგრამ ჯონ ოუტისმა სერიოზული ტონით მითხრა, „მე თქვენ უნდა მოგკლათ, მისტერ სოუნ“.

- და თქვენ რა გააკეთეთ?

- მე? შეძრწუნებული ვიჯექი, დამფრთხალი, წარმოვიდგინე და თითქოს გავიგონე ჩემს სახესთან კუბოს სახურავის დაჭედების ხმა. გავიგონე, როგორ აცვივა ჩემი კუბოს სახურს შავი მიწის გორახები. ამბობენ, ასეთ მომენტში, შენს თვალწინ, მთელი შენი წარსული ცხოვრება გაიფანტება. სისულელეა! შენ წარმოიდგენ მომავალს. შენ ხედავ სისხლში ამოსვრილ საკუთარ სახეს. ვიჯექი და ვეძებდი სიტყვებს, ბოლოს ამოვღერდე: „კი მაგრამ რატომ, ჯონ, რა დავიშავე?“.

„დამიშავე!“ - დამიღრიალა.

თვალი მოავლო თაროების წყებას, იქ ჩამწკრივებული წიგნებს, რომელთა ყუაზე ავაზის თვალებივით ანათებდა ჩემი სახელი. „დამიშავე!“ - წამოიყვირა განწირული ხმით და გაოფლილი ხელი იარაღს მოუჭირა. „ჯონ! - გავაგრძელე, - ამიხსენი, რა გინდა ჩემგან?“

„ერთი რაღაც მინდა ამქვეყნად, - მომიგო, - მინდა მოგკლა და გავხდე სახელგანთქმული, გამოჩნდეს ჩემი სახელი გაზეთებში, ვიყო ისეთი სახელგანთქანი, როგორიც შენ ხარ. ვიყო ცნობილი სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, ვიყო

კაცი, ვინც მოკლა დადლი სოუნი“.

„შენ ამას არ იზამ.“

„ვიზამ! ძალზე ცნობილი გავხდები. იმაზე უფრო ცნობილი, ვიდრე ახლა ვარ, შენს ჩრდილში მყოფი. ო, მისმინე, ამქვეყნად არავინ იცის, როგორი სიძულვილი შეუძლია მწერალს. ღმერთო ჩემო, რომ იცოდე, როგორ მიყვარს შენი შემოქმედება, და როგორ მძულხარ მაგ შენი შესანიშნავი შემოქმედების და ნიჭის გამო. გასაოცარი გაორებაა. მაგრამ მე არ შემიძლია ამაზე მეტი, არ შემიძლია შენაირად ვწერო. ასე რომ, მე მოგნახავ უფრო იოლ გზას განდიდებისათვის, მე შევწყვეტ შენს გზას, სანამ აყვავების ხანა დაგიდგა. ამბობენ შენი შემდეგი წიგნი იქნება საუკეთესო, შენი საუკეთესო ქმნილება“.

„აზვიადებენ“

„მე კი ვფიქრობ, მართლები არიან“ - თქვა მან.

ლენას გადავხედე, რომელიც შეშინებული იჯდა სავარძელში, მაგრამ არც იმდენად შეშინებული, რომ ეყვირა, ან წამომხტარიყო და ჩაეშალა ეს სცენა, შესაძლოა ამ ყველაფრისგან დაზაფრული იყო.

„დამშვიდდი, - ვუთხარი მე, - დამშვიდდი და დაჯექი, ჯონ, მხოლოდ ერთ წუთს გთხოვ, და შემდეგ შეგიძლია გამოჰკრა სასხლეტს“.

„არა,“ - წაიჩურჩულა ლენამ.

„დამშვიდდი,“ - ვუთხარი ყველას, ლენას, ჯონ ოუტისს, ჩემ თავს.

ღია ფანჯარას მივაშტერდი, მონახერი ნიავი შევიგრძენი. გამახსენდა ღვინო, სარდაფში რომ მაქვს, ზღვა, სანაპიროს ყურეები, ღამის მთვარე, საიდანაც პიტნის გრილი სურნელი მოედინება, მარილების ანაორთქლი, მოკაშკაშე ღრუბლები, ვარსკვლავები, წრეს რომ უვლიან განთიადს შესაგებებლად. დაფიქრდი საკუთარ თავზე, ჩემს სულ რაღაც ოცდაათ წელზე, ლენას ოცდაათ წელზეც, მთელი ცხოვრება ხომ წინ გვქონდა. ვფიქრობდი ყველა იმ ცოცხალ ნაყოფზე, რომელიც ჯერ არ მომეწყვიტა და რომელიც მელიოდა, ნამდვილ ლხინს რომ შევდგომოდი. არ ვიყავი ასული მთებზე, არ გადამეცურა ოკეანეები, არასოდეს მეყარა კენჭი ქალაქის მერობაზე, არასოდეს ჩამეყვინთა მარგალიტების საძიებლად, არასოდეს მქონია ტელესკოპი, არასოდეს მეთამაშა სცენაზე, არ ამეშენე-

ბინა სახლი და არ წამეკითხა ყველა კლასიკოსი, რომელიც მინდოდა. ეს ყოველივე გეგმაში მქონდა.

ასეთ ერთბაშად, სამოც წაშში, ბოლოს დაფიქრდი ჩემს კარიერაზეც. წიგნებზე, რომლებიც უკვე დავწერე, რომელსაც ახლა ვწერდი და რომლის დაწერასაც მომავალში ვაპირებდი. რეცენზიებზე, გაყიდვებზე, ჩემს ბანკის ანგარიშებზე. და გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, პირველად ჩემი ცხოვრების განმავლობაში ვიგრძენი თავი ამ ყველაფრისგან თავისუფლად. რაღაც მომენტში კრიტიკოსიც კი გავხდი. ავწონ-დავწონე ყოველივე. სასწორის ერთ მხარეს, პინაზე მოვათავსე ყველა ის ნავი, რომლითაც არ გამეცურა, ყველა ის ყვავილი, რომელიც არ დამერგო, ბავშვები, რომლებიც არ გამეზარდა, ყველა ის მთა-გორი, რომლებიც არ მენახა. და, რაღა თქმა უნდა, ლენა, ჩემთვის ყველაზე სანუკვარი. სასწორის შუაში დავაყენე ჯონ ოუტის კენდოლი, თავისი იარაღით, რომელსაც ეკავა სასწორის ბალანსი. ხოლო მეორე, ცარიელ პინაზე კი მოვათავსე ჩემი კალამი, ჩემი სამეღნე, სუფთა ფურცლები, ათეულობით ჩემი წიგნი. შევიტანე რაღაც გარკვეული კორექტივები. სამოცი წამი კი წიკწიკებდა. სასიამოვნო ღამე იყო, ფანჯრებიდან ნიავი შემოდოდა და თავს გვევლებოდა. ლენას თმის კულულებს ეხებოდა და საამუხრად არხევდა კისერთან. ო, ღმერთო, რა ნაზად, რა ნაზად ეხებოდა.

იარაღს პირდაპირ მიმიზნებდა. ფოტოებზე მინახავს მთვარის კრატერები, და ის ვრცელი ღრმული კოსმოსში, რომელსაც „დიდ ნახშირის ტომარის ნისლოვანებას“ უწოდებენ, მაგრამ მერწმუნეთ, არცერთი ეს ღრმული არ ყოფილა იმაზე დიდი, ვიდრე იმ წუთას მისი იარაღის ლულა იყო, მისმა სიდიდემ მთელი ოთახი მოიცვა.

„ჯონ - ვუთხარი ბოლოს, - ნუთუ ასე ძალიან გეჯავრები? რადგან მე წარმატება მხვდა წილად, შენ კი - არა?“

„ღიას! წყეულიმც იყოს!“ - იყვირა მან.

ეს თითქმის სასაცილო იყო, მას ჩემი შურდა. არადა, არც იმდენად უკეთესი მწერალი ვიყავი მასზე. ხელის ერთი უბრალო მოძრაობა და ყველაფერი შეიცვლება.

„ჯონ, - ვუთხარი მშვიდად, - თუ შენ გინდა რომ მოვკვდე, მე მოვკვდები, შენ, მგონი, გინდა, რომ

მე აღარ ვწერო წიგნები, ასე არაა?“

„მაგაზე მეტი არც არაფერი მინდა! - შეჰყვირა, - მოემზადე!“ - პირდაპირ გულში დამიმიზნა.

„კი ბატონო, - მივუგე, - მე აღარ დავწერ არაფერს.“

„რაა?!“ - გამოსცრა.

„ჩვენ ძველი, ბავშვობის მეგობრები ვართ, ჩვენ არასოდეს მოგვიტყუებია ერთმანეთი, ასე არაა? მიიღე ჩემი სიტყვა, ამ საღამოს შემდეგ ჩემი კალამი ქალაქს აღარ შეეხება.“

„ო, ღმერთო ჩემო“ - ღვარძლიანად და უნდობლად გაეცინა.

„აი, იქ, - ვთქვი მე და თავით ვანიშნე მის ახლოს, საწერ მაგიდაზე, - არის ჩემი ორი წიგნის ხელნაწერები, წიგნებისა, რომლებზეც ვმუშაობდი ბოლო სამი წელიწადი. ერთს ახლავე დავწავკ, შენს თვალწინ, მეორე კი შენი ხელთ შეგიძლია მოისროლო ზღვაში. გაჩხრიკე მთელი სახლი, მონახე მსგავსი ნაწერები და დაწვი, ჩემი გამოცემული წიგნებიც. ინებე.“

წამოვდექი, მას შეეძლო ჩემთვის ესროლა, მაგრამ ჩემმა სიტყვებმა მონუსხა. ერთი ხელნაწერი ბუხარში შევაგდე და ასანთს გავკარი.

„არა,“ - წამოიყვირა ლენამ. მივუბრუნდი.

„მე ვიცი, რასაც ვაკეთებ,“ - ვუთხარი.

ლენა ატირდა, ჯონ ოუტის კენდოლი კი გაფაციცებით მიყურებდა, გაოგნებული. სხვა გამოუქვეყნებელი ხელნაწერი მივაწოდე.

„ინებე,“ - ვუთხარი და ფურცლების დასტა მარჯვენა ფეხსაცმლის ქვეშ ამოვუდე. უკან მოვბრუნდი, დავჯექი. ნიავი ქროდა, თბილი საღამო იყო. ლენა გაფითრებულიყო, როგორც ვაშლის თეთრი ყვავილივის ფერი ედო.

„ღლეიდან ერთ წინადადებასაც კი აღარ დავწერ,“ - ვთქვი.

„კი მაგრამ, როგორ შეძლებ ამას?“ - როგორც იქნა ამოღერდა განცვიფრებულმა ჯონ ოუტისმა.

„ასე ყველა ბენიერი ვიქნებით“ - ვუთხარი, - მინდა, რომ შენც ბენიერი იყო, ამ შემთხვევაში კი ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, კვლავაც მეგობრები ვიქნებით. ლენაც გაბენიერდება იქნება, რადგან მე ისევ მისი ქმარი ვიქნები, ლიტერატურული აგენტის გაწვრთნილი სელაპი კი არა. მეც ბენიერად ვიგრძნობ თავს, რადგან ვიქნები ცოცხა-

ლი და უფრო ხალისიანი ადამიანი, და არა მკვდარი მწერალი. სიკვდილდამუქრებული ადამიანი, რომელსაც სიკვდილი ემუქრება, ყველაფერზე წამსვლელი, ჯონ. ახლა კი აიღე ჩემი უკანასკნელი რომანი და გასწი, მოუსვი აქედან.“

ჩვენ აქ ვისხედით, საბნი, როგორც ახლა ვსხედვართ საბნი, იდგა ლიმონის, ცაცხვისა და კამელიების სურნელი. ქვევით, სანაპიროზე ოკეანე დელავდა და ხმაურით ეხეთქებოდა ქვებს. ღმერთო, როგორი, მთვარის სინათლით აღსავსე, ხმაური იდგა. ჯონ პუტისმა წამოკრიფა ხელნაწერი, ჩაბლუჯა და გაიტანა ოთახიდან, როგორც ჩემი სხეული.

გასვლისას კი კართან შეჩერდა და მითხრა: „მე მჯერა შენი.“ და წავიდა. მესმოდა, როგორ მიდიოდა. ლენა მალევე ჩავაწვინე ლოგინში. ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი ღამე, მანამდე ღამით სანაპიროზე არასოდეს გამესეირნა, მაგრამ მაშინ კი გავისეირნე. ღრმად ვსუნთქავდი, ვეხებოდი საკუთარ მკლავებს, ფეხებს და სახეს, ვტიროდი, როგორც ბავშვი. მივსეირნობდი და ნაპირთან აზვირთებულ ქაფიან ტალღებს ვგრძნობდი. შევიგრძენი მისი ცივი, მარილიანი სურნელი, რომელსაც აფრქვევდა ქაფი და მილიონობით შხეფი.

დადლი სთოუნი გაჩუმდა. ოთახში დრო შეჩერდა თითქოს. თითქოს სხვა პერიოდში, წარსულში გადასულიყო დრო და ჩვენ საბნი ვისხედით იქ, მის მიერ მონათხრობი მკვლელობის დროში.

- და მან გაანადგურა თქვენი უკანასკნელი რომანი? - ვკითხე.

დადლი სტოუნმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

- ერთი კვირის შემდეგ, რამდენიმე ნაბეჭდი გვერდი გამორიყა ნაპირზე წყალმა. როგორც ჩანს. მან ხელნაწერი კლდიდან ისროლა წყალში, მთელი ათასი გვერდი, და ჩემს წარმოსახვებში დავინახე ისინი, როგორც თოლიების გუნდი, რომლების დაეშვნენ განთიადისას წყლის ზედაპირზე და წყალმა წაიღო ისინი. ლენამ შემთხვევით იპოვა ერთ-ერთი გამორიყული ნაბეჭდი გვერდი, ღრიალებდა — „შეხედე, შეხედე ამას“. როდესაც გადამოცა, დავინახე თუ არა, რაც იყო, უკანვე გადავუძახე წყალში.

- არ მითხრათ, რომ თქვენი პირობა შეასრულეთ.

დადლი სთოუნი თვალს არ მაცილებდა.

- და თქვენ რას იზამდით ჩემ ადგილას? აბა, შეხედეთ ამ ყველაფერს სხვა კუთხიდან. ჯონ ოუტისმა შემიწყალა, არ მომკლა, არ მესროლა, მომისმინა, მენდო და შემინარჩუნა სიცოცხლე. მომცა საშუალება კვლავაც მეჭამა, დამეძინა და მესუნთქა. მოულოდნელად მან გააფართოვა ჩემი ჰორიზონტები. მე ვიყავი მადლიერი და როდესაც იმ ღამით ბარდაყვამდე წყალში ვიდექი, ამის გამო ვტიროდი. მე მართლაც მადლიერი ვიყავი, თქვენ შეგიძლიათ ამის გაგება? დიახ, მადლიერი ვარ. მან შემინარჩუნა სიცოცხლე, როდესაც მის ხელში ვიყავი და შეეძლო ერთი ხელის მოსმით გავენადგურებინე.

მისის სთოუნი წამოდგა. ვახშამი დასრულდა. სუფრიდან თევშები აალაგა. ჩვენ კი სიგარებს მოვუკიდეთ და დადლი სთოუნმა კაბინეტში შემიყვანა. საწერ მაგიდაზე ამანათები, გაზეთები, სამეღნეები, საბეჭდი მანქანა, საბუთები, დავთრები და ანბანური მაჩვენებლები იყო დახვავებული.

- ეს ყველაფერი ჩემში შინაგანად დულდა. ჯონ ოუტისმა კი ამას კოვზით ქაფი მოხადა და მთლიანი ნახარში დამანახა. ეს იყო სავსებით ნათელი, — თქვა დადლი სთოუნმა, — წერა ყოველთვის რთული და მომქანცველი იყო ჩემთვის. თითოეული სიტყვის გამოყვანა ფურცელზე, ვრცელი დეპრესიის განცდა გულში და სულში, უტიფარი კრიტიკოსების შემხედვარე, ჩემი ნაწერების შეფასებას. თუ როგორ მცელავდნენ, როგორ მჭრიდნენ ასო-ასო, ძეხვივით. და სალამოს ვახშამზე მსანსლავდნენ. ესაა ყველაზე საშინელი საშუალო. მე უკვე თვითონაც მზად ვიყავი მომესროლა მთელი ეს ტვირთი. ჩემი ჩარხი ტრიალებდა, და ბუჰ! გაჩნდა უცებ ჯონ ოუტისი. ერთი შეხედეთ.

მან გადაქექა საწერ მაგიდაზე დახვავებული ქალღლები და დოკუმენტები, ბოლოს საბუთების და პოსტერების დასტა იპოვა.

- ადრე მე მხოლოდ ვწერდი ცხოვრებაზე. ახლა კი სწორედ მინდა ცხოვრება. მინდა უშუალოდ გამოვცადო ის, რაზეც უწინ ფურცელზე ვწერდი. მე ადგილობრივი საგანმანათლებლო საბჭოს არჩევნებზე ვიყარე კენჭი. გავიმარჯვე. ასევე ქალაქის თვითმართველობაშიც ვიყარე კენჭი, ასევე გავიმარჯვე. შემდეგ ვიყარე კენჭი ქალაქის მერ-



ობაზე, იქაც მოვიგე. შერიფიც გავხდი, ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკარიც. ვკურირებდი ქალაქის წყალგაყვანილობის სისტემას. ხელი მოვკიდე და ჩავები უამრავ საქმიანობაში, სფეროში, ბევრ ვინმეს ჩამოვართვი ხელი, ბევრი რამ ვნახე ცხოვრებაში, ბევრი სასიკეთო საქმეც გავაკეთე. ჩვენ ყველანაირი გამოცდილება მივიღეთ ცხოვრებაში, ყველაფერი გამოვცადეთ, რაც კი შეიძლებოდა; ყველაფერი შევიგრძენით საკუთარი თვალთ, ცხვირით, პირით, სმენითაც და ხელებითაც. ავლიოდით მთებზე და ვნატავდით სურათებს, აგერ, რამდენიმე კედელზეც კიდია. სამჯერ ვიმოგზაურეთ მსოფლიოს გარშემო. შემდეგ მოულოდნელად ბავშვიც გვეყოლა. გაიზარდა და იქორწინა კიდევ, ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს. ჩვენ ვქმნიდით და ვქმნიდით ახალს, - სთოუნი გაჩუმდა, გაეღიმა, - გავიდეთ ეზოში, იქ ტელესკოპი გვიყენია, არ გინდათ, სატურნის რკალი ნახოთ?

ეზოში ვიდექით. ზღვიდან ათასი მილის სიშორიდან, მონაბერი ნიავი ქროდა. სანამ ტელესკოპთან

ვიდექით, ვარსკვლავებს ვუყურებდით, მისის სთოუნი სარდაფში ჩავიდა და უიშვიათესი ესპანური ლვინო ამოიტანა.

* * *

მეორე დღეს, შუადღისას, ზღვასთან მდებარე მოლაღანე მდელოების გავლით, რკინიგზის სადგურამდე მივადით. მისტერ დადლი სთოუნი თავის მანქანას ყურადღებას თითქმის არც აქცევდა, მთელი გზა გამუდმებით რაღაცას მიყვებოდა, ილიმოდა, იცინოდა, რაღაც-რაღაცებზე მიმითითებდა იშვიათ ველურ ყვავილებზე. სადგურზე როცა მივედით, დადუმდა. მატარებელს დავუწყეთ ლოდინი, რომელსაც უნდა გავყოლოდი.

– ასე მგონია, – მითხრა და ცას ახედა, – თქვენ ფიქრობთ, თითქოს მე ჭკუიდან შევიშალე.

– არა. მე ასე არ ვფიქრობ.

– კეთილი, – თქვა მან, – ჯონ ოუტის კენდოლმა მე კიდევ ერთი წყალობა მომცა.

– რას გულისხმობთ?

დადლი სთოუნი შემობრუნდა, ტყავის სავარძელზე გასწორდა, სალაპარაკოდ მოემზადა.

– დამეხმარა, დროზე შევშვებოდი საქმეს, სანამ ეს საქმე კარგად იყო. გულის სიღრმეში კი ვგრძნობდი, რომ ჩემი სალიტერატურო წარმატება, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია, ის ჰგავდა იმ მყარ ყინულს, რომელიც დადნებოდა, როდესაც მისი თერმორეგულატორი გამოირთვებოდა. ქვეცნობიერად ვგრძნობდი, ეს იყო ჩემი მომავლის ჭეშმარიტი სურათი. ვიცოდი, ის, რაც არცერთმა კრიტიკოსმა არ იცოდა, რომ მე ზემოთ კი არა, ქვემოთ ვემშვებოდი. ის ორი წიგნი, ჯონ ოუტისმა რომ გაანადგურა, ძალიან სუსტი იყო. ისინი უფრო მეტად გამანადგურებდნენ, ვიდრე ჯონ ოუტისი. აქედან გამომდინარე, იგი დამეხმარა გადამეწყვეტა ის, რისი გადაწყვეტის სიმამაცე არ მყოფნიდა, რადგან კოტილიონის ცეკვა ჯერ კიდევ გრძელდებოდა და ჩინური ფანრები კიდევ აფრქვევდნენ ვარდისფერ შუქს ჩემს ჰარგარდულ სახეს. ბევრი მწერალი მინახავს ჯერ მაღლა მდგომი, მერე ჩამოქვეითებული, მერე გათიშული, დამჭკნარი, უბედური და ბოლოს, თავი რომ მოუკლავთ. მართლაც საოცარია ამ გარემოებათა შერწყმა, დამთხვევა, ქვეცნობიერის ამოცნობა და ამ ყველაფრისთვის დიდი

მადლობა ჯონ ოუტის კენდოლს, რადგან ვარ უბრალოდ ცოცხალი, ამ შემთხვევითობით ცოცხალი, ბევრი რომ აღარაფერი ვთქვათ.

თბილ, მზიან ადგილას კიდეც ცოტა ხანს ვისხედით.

- შემდეგ კი მქონდა სიამოვნება, მეხილა ჩემი თავი იმ დიდი მწერლების რიგში, რომელშიც ჩამაყენა საზოგადოებამ, როდესაც განვაცხადე ჩემი სამწერლო ასპარეზიდან წასვლის შესახებ. ბოლო პერიოდში ცოტა ავტორს თუ ჰქონია ასეთი პატივი, მსგავსად რომ გაეცილებინოს პუბლიკას. ეს იყო საუცხოო დაკრძალვა! ვხედავდი და მესმოდა, როგორ თვითნებურად აღნიშნავდნენ ამას. მუდმივად ისმოდა ექო. „შემდეგი წიგნი რომ დაეწერა“ - გაჰყვიროდნენ კრიტიკოსები, - „ნამდვილი შედეგური იქნებოდა.“ ვგრძნობდი, როგორ ეკვროდათ სუნთქვა, როგორ ელოდნენ, ცოტა რამ თუ გაეგებოდათ, ახლაც კი ასეა, მეოთხედი საუკუნე გავიდა და ჩემი მკითხველები, ვინც მაშინ კოლეჯის სტუდენტები იყვნენ, ექსკურსიებზეც კი დადიოდნენ ადგილობრივი, მოკლე ხანის, ნავთზე მომუშავე მატარებლებით, ითხუპნებოდნენ, ოღონდ კი ამოეცნოთ ის საიღუმლო, თუ რატომ გავაჭიანურე ჩემი „შედეგის“ შექმნა. კიდეც და კიდეც მადლობა ჯონ ოუტის კენდოლს, ჯერ კიდეც კარგი რეპუტაცია მაქვს. ნელ-ნელა კი მცირდება, თუმცა უმტკივნეულოდ. შემდგომ წელს აუცილებლად მოვკვდებოდი ჩემი საკუთარი ხელითა და კალმით. უკეთესია, შენ თვითონ ჩახსნა შენი საკუთარი ვაგონი, ვიდრე სხვამ ჩახსნას შენ მაგივრად.

რაც შეეხება ჩემს მეგობრობას ჯონ ოუტის კენდოლთან, ის გაგრძელდა, ოღონდ არა ერთბაშად. იგი იყო აქ, ჩემ სანახავად, 1947 წელს. ძალიან კარგი დღე იყო, - ყველაფერი, როგორც ადრეულ

წლებში. ახლა კი იგი მკვდარია. და მე ვიღაცას მაინც ვუამბე ეს ყოველივე. რას ეტყვი თქვენს მეგობრებს, როცა ქალაქში ჩახვალთ? ისინი სიტყვასაც კი არ დაგიჯერებენ. არადა, ეს ყველაფერი ისეთივე სიმართლეა, ვფიცავ, როგორც ის, რომ მე ახლა აქ ვზივარ, ვსუნთქავ ღვთაებრივ ჰაერს, დავყურებ ჩემს ხელებზე კოჭრებს. მართალია, ოდნავ კი გაგონებთ იმ გახუნებულ სარეკლამო ფურცლებს, რომლებითაც მე კენჭს ვიყრიდი საგრაფოს არჩევნებში.

ბაქანზე ვიდექით.

- ახლა კი მშვიდობით! დიდი მადლობა, რომ გაგახსენდით, რომ მომისმინეთ და მომეცით საშუალება გამეწიო მთელი ჩემი გულის ნადები. ღმერთმა დალოცოს ყველა თქვენი ცნობისმოყვარე მეგობარი, რომლებსაც აინტერესებთ ჩემი ამბავი. აი, მატარებელიც გამოჩნდა. საქმეზე მიმეჩქარება. მე და ლენა დღის მეორე ნახევარში, წითელი ჯვრის მისიით, სანაპიროზე მივემგზავრებით. მაშ, ნახვამდის!

უყუარებდი მკვდარ კაცს, რომელიც ფეხების ბაკუნით მიაბიჯებდა ბაქანზე. მის ფეხქვეშ ფიცრებიც ზანზარებდნენ, შინაგანად ჟრუანტელი მივლიდა. დავინახე, როგორ ჩაჯდა თავის მანქანაში, ჩაჯდომისთანავე როგორ დაიწია მანქანამ მისი სიმძიმისგან, როგორ შედგა ფეხი სალონში და დაქოქვისთანავე მიაჭირა პედალს. შემდეგ შემობრუნდა, გამიღიმა, ხელი დამიქნია. შემდეგ ადგილიდან ბლუილ-ბლუილით დაიძრა და გაეშურა გაჩახახახებული ქალაქისკენ, სახელად “უცნობელობა”, რომელიც გაშენებულია ზღვის სანაპიროზე, სახელად “წარსული”.

თარგმნა
გიორგი ლობჯანიძემ

გიორგი ლობჯანიძე

დაიბადა ქალაქ ცხინვალში 1985 წლის 26 აგვისტოს. 2002 წელს ქალაქ გორში დაამთავრა №2 საჯარო სკოლა, რის შემდეგაც ჩააბარა ეკონომიკურ უნივერსიტეტში, ორწლიანი უნაყოფო სწავლის შემდეგ თავი მიახედა და რამდენიმე წელი მუსიკით იყო გატაცებული (უკრავდა გიტარაზე სხვადასხვა როკ-ჯგუფებში). 2008 წელს ჩააბარა თსუში, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც 2012 წელს დაამთავრა. არის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ავტორი. ასევე გატაცებულია წერით. ძირითადად, ფანტასტიკურ-ჰორორ ჟანრში წერს. არის დასაოჯახებული.



რეპი ბრემბერი



სასჯელი
დანაშაულის
გარეშე

- ცოლი გსურთ მოკლათ?
- დიახ. უფრო სწორად, არა... მთლად ისე კი არა... მინდა, რომ...
- სახელი, გვარი?
- მისი თუ ჩემი?
- თქვენი.
- ჯორჯ ჰილი.
- მისამართი?
- 11, საუს სენტ-ჯეიმსი, გლენვიუ.
- კაცი გულგრილად იწერდა.
- თქვენი ცოლის სახელი?
- ქეთრინი.
- ასაკი?
- ოცდათერთმეტი წელი
- კითხვა კითხვას მისდევდა: თმის ფერი, თვალის ფერი, კანის ფერი, საყვარელი სუნამო, როგორია ხელის შეხებით, ტანსაცმლის ზომა...
- მისი სტერეოფოტო გაქვთ? ხმის ჩანაწერი?

- ო, ვხედავ, ყველაფერი მოგიტანიათ. ძალიან კარგი. ახლა კი...
- ამასობაში მთელი საათი გავიდა. ჯორჯ ჰილი, რახანია, ოფლად დაღვარა.
- მორჩა, - თქვა შავთმიანმა და წამოდგა, - ხომ არ გადაიფიქრეთ?
- არა.
- იცით, რომ ეს კანონით აკრძალულია?
- დიახ.
- და რომ შესაძლო შედეგებზე პასუხს არ ვაგებთ?
- ღვთის გულისათვის, საკმარისია! - აღმოხდა ჯორჯს, - რამდენი ხანია აქ მაყურყუტებთ. დროზე გააკეთეთ!
- კაცმა ოდნავშესამჩნევად ჩაიღიმა.
- თოჯინა-ასლის დამზადებას რამდენიმე საათი დასჭირდება. გირჩევთ, წაუძინოთ. ეს ცოტას დაგამშვიდებთ. დერეფანში ხელმარცხნივ მესამე, სარ-

კვებიანი ოთახი თავისუფალია.

ჯორჯი სარკეებიან ოთახში დარეტიანებულივით შებანცალდა. ლურჯი ხავერდის ტახტზე წამოწვა – მისი სხულის წონამ მოძრაობაში მოიყვანა სარკეები ჭერსა და კედლებზე. ხმამ ნახად აჩურჩულა: დაიძინე... დაიძინე... დაიძინე...

– ქეთო, აქ მოსვლა არ მინდოდა. შენ მაიძულებ... ღმერთო, არ მინდა აქ... სახლში მინდა... შენი მოკვლა არ მინდა... – ბუტბუტებდა ჯორჯი, თვალები მიეხლიტა.

ჩაეძინა.

სიზმარში ნახა, რომ კვლავ ორმოცდაერთი წლისაა, ქეთრინთან ერთად გორაკის ამწვანებულ ფერდობზე ჩამორბის – პიკნიკზე არიან, იქვე შორიანლოს მათი ვერტმფრენი დგას. ქეთრინი იცინის, ქარი ოქროსფერ თმას უფრიალებს. ეხვევიან, კოცნიან ერმანეთს, ხელჩაკიდებულები ლექსებს უკითხავენ – არ ჭამენ – მხოლოდ ლექსებს კითხულობენ...

მერე სხვა სურათებმა გაუელვა თვალწინ... მიფრინავენ. სწრაფად იცვლება ფერები. საბერძნეთის, იტალიის, შვეიცარიის ცაში მიფრინავენ – 1997 წლის იმ მოწმენდილი, ხანგრძლივი შემოდგომით! მიფრინავენ და მიფრინავენ!

და უეცრად – კოშმარი – ქეთრინი და ლეონარდ ფელპსი. ჯორჯმა ძილში წამოიყვირა... როგორ მოხდა? საიდან გაჩნდა ფელპსი? რატომ შემოიჭრა მათ სამყაროში? რატომ არ შეიძლება ცხოვრება იყოს მშვიდი, სიკეთით აღსავსე? ნუთუ ასაკში განსხვავების გამო? ჯორჯი თითქმის ორმოცდაათისაა, ქეთრინი კი ახალგაზრდაა, ძალზე ახალგაზრდა! ო, რატომ, რატომ?..

ეს სცენა საშუალოდ შეიჭრა მის მენსიერებაში. ლეონარდ ფელპსი და ქეთრინი პარკში არიან, ქალაქგარეთ. ჯორჯი ზუსტად იმ მომენტში გამოვიდა მოსახვევიდან, როდესაც ერთმანეთს კოცნიდნენ.

განრისხება, ჩხუბი. ფელპსის მოკვლის მცდელობა.

მერე კი დაუსრულებლად გაწეილი დღეები. კოშმარები

ჯორჯს აცრემლებულს გაეღვიძა...

– მისტერ ჰილ, ყველაფერი მოვამზადეთ.

გაჭირვებით წამოდგა. საკუთარი თავი დაინახა მაღალ, ახლა უძრავ სარკეში. დიახ, მართლაც ორმოცდაათი წლის კაცივით გამოიყურება. საზარელი შეცდომა დაუშვა. მასზე გაცილებით მიმზიდველი კაცებს ცოლად შეურთავთ ახალგაზრდები და ისინიც ბოლოს დარწმუნებულან, უცილობლად გარბიან, ქრებიან წყალში დამდნარი შაქრის მარცვლებივით. გაბოროტებით ათვალეიერებდა საკუთარ ანარეკლს. მომცრო ღიპი დაედო. მომცრო ლაბაბიც გასჩენია. მეტისმეტად ბევრი ჭალარა აქვს თმაში...

შავთმიანმა გვერდითა ოთახში გაიყვანა.

ჯორჯს სუნთქვა შეეკრა.

– მაგრამ ეს ზომ ქეთრინის ოთახია!

– ფირმა მაქსიმალურად ცდილობს კლიენტების მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ჯორჯ ჰილმა ხელი მოაწერა ჩეკს 10000 დოლარზე. შავთმიანმა ჩეკი აიღო და ოთახიდან გავიდა.

ოთახში თბილოდა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ჯორჯი საწოლზე ჩამოჯდა და ჯიბეში პისტოლეტი მოისინჯა. მართალია, დიდი ფულია, მაგრამ მდიდარ ადამიანებს აქვთ საშუალება, საკუთარ თავს განმწმენდი მკვლელობის ფუფუნება მიანიჭონ. ძალადობა ძალადობის გარეშე. სიკვდილი სიკვდილის გარეშე. გულზე მოევა. მოულოდნელად დამშვიდდა. კარებს უყურებდა. აი, ბოლოსდაბოლოს, დგება მომენტი, რომელზეც უკვე ნახევრი წელია გამუდმებით ფიქრობს. ახლა ყველაფერი მორჩება. ერთი წამის შემდეგ ოთახში შემოვა მშვენიერი რობოტი, მარიონეტი, რომელსაც უხილავი ძაფებით მართავენ და...

– გამარჯობა, ჯორჯ!

– ქეთო!

ერთიანად შებრუნდა.

– ქეთო! – აღმოხდა.

მის ზურგსუკან იდგა, უკანა კარებში. ეცვა საოცრად ნაზი, მწვანე კაბა, ფეხზე – ოქროსფერი, დაწნული სანდალები. თმა ქერა ტალღებად ეშვებოდა მხრებზე, თვალები კი უძირო ცისფერი ჰქონდა.

ისეთი ძლიერი შოკი მიიღო, დაბუნჯდა. ბოლოს ამოღერდა:



– მშვენიერი ხარ.
 – და ოდესმე სხვანაირი ვიყავი?
 – კარგად უნდა დაგათვალიერო, – თითქოს სხვისი ხმით ჩაილაპარაკა.
 ხელი გაიშვირა, მთვარეულივით. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ნელა მოძრაობდა, თითქოს საშინელი სიმძიმე აწევბაო. გარშემო უვლიდა და ქალის ტანს სათუთად ეხებოდა.
 – შენ რა, ამდენი წლის განმავლობაში ჩემი თვალიერებით გული ვერ იჯერე?
 – ვერასოდეს ვიჯერებ... – მიუგო და თვალზე ცრემლი მოადგა.
 – და რაზე გინდოდა ჩემთან დალაპარაკება?
 – ერთი წამით მაცადე, თუ შეიძლება, ერთი წამით.
 უეცრად სისუსტე იგრძნო და დივანზე ჩამოჯდა აკანკალებული ხელები გულზე მიიღო, თვალები მაგრად დახუჭა.
 – ეს უბრალოდ შეუძლებელია. ესეც კომმარია... როგორ მოახერხეს შენი გაკეთება?
 – ამაზე ლაპარაკი აკრძალული გვაქვს. ილუზია დაიდრევევა.
 – ეს რაღაც ჯადოქრობაა.

– არა. მეცნიერება.
 ხელები თბილი ჰქონდა. ფეხები სრულყოფილი ოკეანის ნიჟარებით. პატარა ხინჯვი, უმცირესი ნაკერიც კი არსად ჩანდა. ჯორჯი უყურებდა მას და ახსენდებოდა სიტყვები, რომლებსაც ხშირად კითხულობდნენ იმ ბედნიერ დროს: აჰა, მშვენიერი ხარ, სატროფოვ ჩემო, მშვენიერი ხარ! შენი თვალები ორი მტრედია შენს პირბადის ქვეშ... შენი ბაგეები ორი ძოწის ძაფია და შენი პირი? საამური... ორი ძუძუ შენი ორი თიკანია ნიამორისა, მარჩბივი, მძოვარი შრომანთა შორის... ყოვლად მშვენიერი ხარ, სატროფოვ ჩემო და უბიწო!
 – ჯორჯ!
 – ბატონო? – თვალები ყინულივით ცივი ჰქონდა. მოუნდა ეკოცნა.
 – თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ; შენი სამოსელის სურნელი ლიბანის სურნელია!
 – ჯორჯ!
 უცებ თავში რაღაც გამაყრუებელი ხმა გაიგონა. ოთახი მის თვალწინ თითქოს ზანზარებდა.
 – ჰო, ჰო, ახლავე, ერთი წამიც... – თავი გააქნია, როგორმე ხმა რომ მოეშორებინა.
 – როგორ დამშვენდნენ შენი ფეხები შენს ხამ-

ლებში: ზეპურო ასულო! თეძოთა სიმრგვალე მანაიკს გიგავს, შექმნილს ხელოვანის ხელით.

– არა, როგორ მოახერხეს? – წამოიყვირა.

ასე სწრაფად! ცხრა საათის განმავლობაში, სანამ ეძინა. როგორ მოახერხეს – დაადნეს ოქრო, შეთხზეს უწვრილესი ზამბარები, ალმასები, ძვირფასი ლალები, თხევადი ვერცხლი, სპილენძის მავთულები? ანდა მისი თმა? ნუთუ ის ლითონის მწერებმა მოქსოვეს? არა, ალბათ, ოქროსფერ-ყვითელი ალი ყალიბში ჩაასხეს და მისცეს საშუალება, გაციუბულიყო...

– შენ თუ ამაზე ილაპარაკებ, ახლავე წავალ, – თქვა მან.

– არა, არა, არ წახვიდე!

– მაშინ საქმეზე გადავიდეთ, – ცივად ჩაილაპარაკა – შენ გინდოდა ჩემთა დალაპარაკება ლეონარდზე.

– მოდი, ამაზე ცოტა მოგვიანებით.

– არა, ახლა, – დაიჟინა მან.

რისხვა სადღაც გაქრა. თითქოს იმ წამს, როცა კი დაინახა, ყველაფერი ტალღამ გადარეცხა. თავს პატარა საზიზღარ ბიჭადა გრძნობდა.

– რატომ მოხვედი ჩემთან? – იკითხა ღიმილის გარეშე.

– ძალიან გთხოვ...

– არა, მიპასუხე. თუ ლეონარდის გამო, ხომ იცი, რომ მე მიყვარს ლეონარდი.

– გაჩუმდი! – ყურებზე ხელები აიფარა.

მაგრამ ქეთრინი არ ცხრებოდა.

– შენ მშვენივრად იცი, რომ მე ახლა მუდმივად მასთან ვერ. ახლა მე და ლეონარდი იმ ადგილებს ვსტუმრობთ, სადაც შენთან ერთად ვიმოგზაურე. გახსოვს მდელი მონტე-ვერდესთან? იქ ჩვენ წინა კვირას ვიყავით. ერთი თვის წინ კი ათენში ჩავფრინდით, თან ერთი ყუთი შამპანური წავიერთ.

ჯორჯმა გამშრალი ტუჩები გაილოკა.

– ეს შენი ბრალი არ არის! არა! – შესძახა, წამოხტა და ხელი ჩასჭიდა, – შენ ეს წუთია, რაც გაჩნდი, შენ არა ხარ ის. ისაა დამნაშავე, შენ კი არა! შენ სრულიად სხვა ხარ!

– ტყუილია, – უთხრა ქალმა, – მე სწორედაც ის ვარ. მე შემიძლია მოვიქცე მხოლოდ ისე, როგორ იქცევა ის. ჩემში ერთი გრამიც კი არა არის

იმისა, რაც მასში არაა. პრაქტიკულად ჩვენ ერთი და იმავეს წარმოვადგენთ.

– მაგრამ შენ ხომ არ იქცეოდი ისე, როგორც ის!

– მე ზუსტად ისე ვიქცეოდი, მე მას ვკიცნიდი.

– არა, შენ ამას ვერ გააკეთებდი, შენ ეს წუთის წინ გაჩნდი!

– დიახ, მაგრამ მისი წარსულიდან და შენი მეხსიერებიდან.

– მომისმინე, – მუდართ ეუბნებოდა, ცდილობდა, როგორმე ეიძულებინა, მოესმინა მისთვის, – იქნებ შეიძლება... იქნებ შეიძლება, რომ... მეტი ფული გადავიხადო? და აქედან წავიყვანო? ჩვენ გავფრინდებით პარიზში, სტოკჰოლმში, სადაც გინდა!

გაეცინა.

– თოჯინები არ იყიდება. მათი მხოლოდ დაქირავება შეიძლება.

– მაგრამ მე მაქვს ფული!

– ასეთ რაღაცას უკვე შეეცადნენ, დიდი ხნის წინათ. აკრძალულია. ასეთ რაღაცას ადამიანი ჭკუიდან გადაჰყავს. ისიც კი, რაც აქ ხდება, კანონით აკრძალულია, ხომ იცი. ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვარსებობთ, რომ ხელისუფლება თავს იბრძავებს.

– ქეთი, მხოლოდ ერთი რაღაც მინდა, შენთან ყოფნა.



– ეს შეუძლებელია. მე ხომ სწორედ ის ქეთი ვარ, თავიდან ბოლომდე, უკანასკნელ უჯრედამდე. მერე კიდევ, ჩვენ გვსურს ავიცილოთ კონკურენცია. თოჯინების გატანა ფირმის შენობიდან აკრძალულია: თუ დაგვშლიან და შეგვისწავლიან, ჩვენი საიდუმლოებები შეიძლება გაიგონ. მაგრამ გვეყოფა ამაზე. მე ხომ გაგაფრთხილე, ამაზე არ უნდა ვილაპარაკოთ. ილუზია დაიკარგება. როცა წახვალ დაუკმაყოფილებლობის განცდა გექნება. შენ ხომ ფული გადაიხადე, მაშ, გააკეთე, რაც ჩაიფიქრე.

– მაგრამ მე არ მინდა შენი მოკვლა.

– შენი არსების ნაწილს უნდა. შენ უბრალოდ თრგუნავ ამ სურვილს შენში, არ აძლევ უფლებას, გარეთ გამოარწიოს.

ჯორჯმა ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო.

– ბებერი რეგენი ვარ. არ უნდა მოვსულიყავი აქ... შენ ისეთი მშვენიერი ხარ!

– ამ საღამოს მე ისევ შევხვდები ლეონარდს.

– გაჩემდი!

– ხვალ დილით ჩვენ პარიზში მივფრინავთ.

– გაიგე, რა გითხარი?

– იქიდან კი, სტოკჰოლმში, – მხიარულად გაიცინა და ნიკაპზე ხელი მოუთათუნა – აი, ასე, ჩემო მსუქანავ.

თითქოს რაღაცამ წაუჭირა სულში. გაფითრდა. ცხადად აცნობიერებდა, რა ემართება: მასში ფეთქავდა დაფარული რისხვა, ზიზღი, სიძულვილი, ამ ფენომენალური მექანიზმის უფაქიზესი ტელეპათიური ძაფები კი სიკვდილის სიგნალებს იჭერდნენ. მარიონეტი! ჯორჯი თვითონ მართავდა მას უხილავი ძაფების მეშვეობით.

– ჩემი მსუქანა... არადა, ოდესღაც მომხიბლავი მამაკაცი იყავი.

– გეყოფა!

– ბებერი ხარ, ბებერი! მე კიდევ მხოლოდ ოცდათერთმეტი წლისა ვარ. ო, ჯორჯ, როგორ ბეცი ყოფილხარ, სანამ შენ თავაულებლად მუშაობდი, მე კვლავ შემიყვარდა... ლეონარდი სიცოცხლეა, არა?

პისტოლეტი შემართა, თუმცა არ უყურებდა.

– ქეთი!

– თავი მისი ოქროა რჩეული... – წაიჩურჩულა ქალმა.

– ქეთი, არ გინდა! – იყვირა.

– ხვეულია თმები მისი, შავია ყორანიოვით... ხელები მისი თლილი ოქროა, იაგუნდებით მოოჭვილი!

საიდანაა მასში ქებათა ქებას ლექსები? ეს ხომ მის საკუთარ გონებაში ჟღერს, როგორ გამოდის, რომ ამ სიტყვებს ქეთი ამბობს?

– ქეთი, ნუ მაძულე გავაკეთო ეს!

– ლაწვები მისი სურნელთა კვლებია... – ბუტბუტებდა თვალდახუჭული და ოთახში უხმაუროდ დააბიჯებდა. – მუცელი მისი გათლილი სპილოს ძვალია... წვივები მისი მარმარილოს სვეტებია...

– ქეთი! –

– მისი სასა სიტკბობაა... გასროლა.

– ეს არის საყვარელი ჩემი... კიდევ ერთი გასროლა. ქეთი დაეცა.

– ქეთი! ქეთი! ქეთი!

კიდევ ოთხი ტყვია დააჭედა. იატაკზე ეგდო, ძაგბაგებდა. უგრძნობი პირი ფართოდ გაეღო, რაღაც მექანიზმი აიძულებდა კიდევ და კიდევ გაემეორებინა: საყვარელი, საყვარელი, საყვარელი...

ჯორჯ ჰილმა გონება დაკარგა.

შუბლზე სველი ნაჭრის შეხებამ გამოაფხიზლა.

– ყველაფერი დასრულდა, – უთხრა შავთმიანმა.

– დასრულდა? – ჯორჯმა ჩურჩულით იკითხა. შავთმიანმა. თავი დაუქნია.

ჯორჯმა უღონოდ დაიხედა ხელებზე. ახსოვდა, რომ ხელები გასისხლიანებული ჰქონდა. როცა გონება დაკარგა, წაიქცა, მაგრამ ცხადად ახსოვდა, ხელები სისხლში ჰქონდა.

თუმცა ახლა ხელებზე წვეთ სისხლსაც ვერ ამჩნევდა.

– უნდა წავიდე, – თქვა ჯორჯ ჰილმა.

– თუკი თავს კარგად გრძნობთ...

– დიახ, სრულიად... – უპასუხა, – პარიზში გავემგზავრები. ყველაფერს თავიდან დავიწყებ. ქეთოს, ალბათ, არ უნდა დავურეკო და მსგავსი არაფერი გავაკეთო.

– ქეთი მკვდარია.

– ა, ჰო, მე ხომ მოკალი! ღმერთო ჩემო, სისხლი ნამდვილივით იყო.

– ამ დეტალებით ჩვენ მეტად ვამაყობთ.

ჯორჯ ჰილი ლიფტით დაეშვა ჰოლში და ქუჩაში გავიდა. წვიმდა. მაგრამ ქუჩაში უნდოდა ხეტიალი. განიწმინდა რისხვსა და მკვლელობის სურვილისგან, გახსენება საზარელი გახლდათ, მაგრამ ესმოდა, მოკვლა მეტი აღარასოდეს მოუწოდებდა. იმ წუთას ნამდვილი ემი რომ გამოჩენილიყო, ყველაფერს დაივიწყებდა, ფეხებში ჩაუვარდებოდა და ღმერთს მადლობას შესწირავდა, მაგრამ ის ხომ მკვდარია. მან განახორციელა ჩანაფიქრი. მან გათელა კანონი, თუმცა ამას ვერავინ გაიგებს.

სახეზე წვიმის გრილი წვეთები ჩამოსდიოდა – სიამოვნებას ჰგვრიდა. სასწრაფოდ უნდა დატოვოს ქალაქი, სანამ განწმენდის შეგრძნებამ არ გადაუარა. ბოლოს და ბოლოს, რა აზრი ექნება ამ განმწმენდ პროცედურას, თუკი ისევ ძველს მიუბრუნდება? თოჯინების ნამდვილი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ რ ე ა ლ უ რ ი დანაშაული არ მოხდეს. მოგინდა ვინმეს მოკლა, ცემა თუ წამება, და შევიძლია გული იჯერო მარიონეტზე... შინ დაბრუნებას არავითარი აზრი არ აქვს. შესაძლოა, ქეთი ახლა იქაა, არადა მან უნდა იფიქროს ქეთიზე, როგორც მხოლოდ მკვდარზე – ამაზე ხომ უკვე იზრუნა.

ტროტუარის კიდეზე შეჩერდა და მოძრავ მანქანებს გახედა. ღრმად ისუნთქავდა ნაწვიმარ ჰაერს და გრძნობდა, როგორ მშვიდდება.

– მისტერ ჰილი? – მოესმა.

– ღიახ? რაშია საქმე?

მაჯებზე ბორკილებმა გაიტკაცუნეს.

– თქვენ დაპატიმრებული ხართ.

– კი მაგრამ...

– წამობრძანდით. სმიტ, ზემოთ ყველა დააპატიმრეთ.

– თქვენ არ გაქვთ უფლება.


– მკვლელობისთვის, გვაქვს.

დაიქუნა.

სალამოა. ცხრას ათი აკლია. უკვე ათი დღეა, რაც გადაუღებლად წვიმს. ახლაც ასველებს ციხის კედლებს. ჯორჯმა ხელები გაყო გისოსებში და

ახლა წვიმის წვეთები ციცქნა გუბებზე გროვდება მის მოცახცახე ხელისგულებზე...

კარმა გაიჭრიალა, მაგრამ არ მიბრუნებულა, ხელებს ისევ წვიმა უსველებს.



ადვოკატმა ჯორჯის ზურგს გახედა და თქვა:
 – ყველაფერი დასრულდა. ამ ღამით სიკვდილი-
 ით დაგსჯიან.

– მე არა ვარ მკვლელი. ის უბრალოდ თოჯინა
 იყო. – თქვა ჰილმა და წვიმის წვეთებს მიაყურა-
 და.

– კანონი კანონია, ვერაფერს გააწყობ. თქვენ
 ეს მოგეხსენებათ. სხვებიც ასე დასაჯეს. პრეზიდ-
 ენტი კომპანიისა – “მარიონეტს ინტერკორპორ-
 ეითიდ” – შუალამისას მოკვდება მისი სამი თა-
 ნაშემწე – პირველ საათზე. თქვენ – ორის ნახე-
 ვარზე.

– გმადლობთ, – თქვა ჰილმა, – თქვენ გააკეთეთ
 ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო. ეტყობა ეს
 მრთალა მკვლელობა იყო, თუმც კი მე ცოცხალი
 ადამიანი არ მომიკლავს. სურვილი კი არსებობ-
 და, განზრახვაც და გეგმაც. არ იყო მხოლოდ
 ცოცხალი ქეითი.

– თქვენ არ გაგიმართლათ, ცუდ მომენტში
 მოგიგდეს ხელთ, – გააგრძელა ადვოკატმა, – ათი
 წლის წინათ არ გამოიტანდნენ სასიკვდილო გა-
 ნაჩენს და არც ათი წლის მერე გამოიტანენ. ახლა
 კი მათ სჭირდებათ ვიღაცა, ვისაც სამაგალითოდ
 დასჯიან... – სხვებმა ჭკუა რომ ისწავლონ. აჟიო-
 ტაჟმა თოჯინების გარშემო, ბოლო წლის განმავ-
 ლობაში, რაღაც ფანტატსიკური მასშტაბები მი-
 იღო. ამიტომ უნდა დააშინონ ხალხი, თანაც და-
 შინონ საფუძლიანად. წინააღმდეგ შემთხვევაში,
 სადამდე მივა ეს ყველაფერ, არავინ იცის... ამ
 პრობლემას თავისი რელიგიურ-ეთიკური ასპექტიც
 აქვს: სად იწყება და სად მთავრდება სიცოცხლე,
 რას წარმოადგენენ რობოტები, ცოცხალი არსებე-
 ბი არიან თუ მანქანები? რაღაც თვალსაზრისით
 ისინი ძალზე ახლოს დგანან ცოცხალ ორგა-
 ნიზმებთან: რეაგირებენ გარეგან იმპულზებზე,
 აზროვნებენ კიდევ. ხომ იცით – ორი თვის წინათ
 გამოსცეს კანონი ცოცხალი რობოტების შესახებ.
 სწორედ ამ კანონის მოქმედების შედეგია თქვენი
 განაჩენი... მომენტიც ასეთი, უბრალოდ, არ გაგიმა-
 რთლათ...

– მთავრობა სწორად მოქმედებს, ახლა მივხვ-
 დი ამას, – თქვა ჰილმა.

– მოხარული ვარ, რომ მართლმსაჯულების
 პოზიციას ამართლებთ

– დიას. აბა, მკვლელობის ლეგალიზაციას ხომ
 ვერ მოახდენენ? თუნდაც ასეთი პირობითი მკვ-
 ლელობის – ტელეპატიის, მექანიზმებისა და ცვი-
 ლის გამოყენებით. მათი მხრიდან ფარისევლობა
 იქნებოდა, თუკი გამიშვებდნენ. მე ჩავიდინე დანა-
 შაული. იმ წამიდან მოყოლებული, მთელი ამ დროის
 განმავლობაში ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ. ვგრძნობ,
 რომ უნდა დავისაჯო. საოცარია, არა? აი, როგორ
 ბატონობს საზოგადოება ადამიანის ცნობიერება-
 ზე. აიძულებს იგრძნოს თავი დამნაშავედ მაშინაც
 კი, როდესაც საამისოდ საფუძველი, თითქოსდა,
 არც არსებობს.

– ჩემი წასვლის დროა. რამეს ხომ არ დამა-
 ბარებთ?

– არა, გმადლობთ, არაფერი მინდა.

– მშვიდობით, მისტე ჰილ.

კარი დაიხურა.

ჯორჯ ჰილი ფანჯარასთან იდგა, წვიმისგან
 სველ ხელებს ერთმანეთს მაგრად უჭერდა გი-
 სოსებს მიღმა. კედელზე კაშკაშა წითელი ნათურ-
 ა აინთო და რეპროდუქტორიდან ხმა გაისმა.

– მისტერ ჰილ. თქვენი ცოლია მოსული. პაე-
 მანი სურს თქვენთან.

გისოსებს ჩაეჭიდა.

ის ხო მკვდარია – გაიფიქრა.

– მისტერ ჰილ, – ისევ გაიმა ხმა.

– ის მკვდარია, მე მოკვალი.

– თქვენი ცოლი გელოდებათ. გსურთ მისი
 ნახვა?

– მე დავინახე, როგორ დაეცა, მე ვესროლე მას,
 დავინახე, როგორ დაეცა მკვდარი!

– მისტერ ჰილ, გესმით ჩემი?

– კი-კი! – იყვირა და კედელს მუშტები დაუ-
 შინა, – მესმის! მესმის თქვენი! მკვდარია, მკვდარი
 და თავი გამანებოს! მე მოკვალი ის და არ მინდა
 მის ნახვა, ის მკვდარია!

პაუზა.

– გასაგებია, მისტერ ჰილ, – ჩაიბუტბუტა ხმამ.
 წითელი ნათურა ჩაქრა.

ცაზე ელვა გაიკლაკნა, სახე გაუნათა. სახე უხ-
 ურდა. გისოსებს მიეკრო ლოყით და დიდხანს
 იდგა ასე. წვიმა კი ასხამდა და ასხამდა. ბოლოს
 და ბოლოს, ქვემოთ კარი გაიღო და კანცელარი-
 ის მისაღებიდან გამოვიდა ორი ადამიანი. ლა-

ბადები ეცვათ. კაშკაშა ლამპიონის ქვეს გაჩერდნენ და მაღლა აისედეს.

ეს ქეთი იყო. მის გვერდით ლეონარდ ფელბისი იდგა.

– ქეთ!

ქეთი გატრიალდა, მამაკაცმა ხელი ჩასჭიდა. წვიმაში გადაირბინეს ბნელი გზა და სპორტულ მანქანში ჩასხდნენ.

– ის ცოცხალია! ჰეი, ვინ ხართ მანდ! დავნახე! ცოცხალია! არ მომიკლავს, შეგიძლიათ გამიშვათ! მე არავინ მომიკლავს, ეს ხუმრობა იყო, მე ვნახე ის. ქეთ, დაბრუნდი, უთხარი, რომ ცოცხალი ხარ! ქეთ!

საკანში ბადრაგი შემოვარდა.

– თქვენ ვერ დამსჯით სიკვდილით! მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია! ქეთი ცოცხალია, ეს წუთია ვნახე! ცოცხალია!

– ჩვენც ვნახეთ, სერ!

– მაშინ გამიშვით! ახლავე გამიშვით!

არა, ეს შეუძლებელია, ისინი უბრალოდ ჭკუიდან შეიშალნენ. სუნთქვა შეეკვრა და კინაღამ დაეცა.

– სასამართლომ უკვე გამოიტანა განაჩენი, სერ.

– მაგრამ ეს უსამართლობაა!

ადგილზე შეხტა და გისოსებს ჩაეჭიდა, სასოწაკვეთილი აყვირდა.

მანქანა დაიდრა, ქეთი და ლეონარდი წაიყვანა. მიჰყავდა პარიზში, ათენში, ვენეციაში, გაზაფხულზე კი – ლონდონში, ზაფხულში – სტოკჰოლმში, შემოდგომაზე – ვენაში.


– ქეთ, დაბრუნდი! ქეთ, შენ ასე ვერ დამტოვებ!

მანქანის წითელი შუქნიშნები სულ უფრო პატარავდებოდა, ციმციმებდა, თითქოს თვალს უკრავსო წვიმის ფარდის მიღმა. ბადრაგი ზურგიდან მიადგა, გააკავა, ჯორჯ ჰილი კი ყვიროდა და ყვიროდა.

თარგმნა ირაკლი ლომოურმა



ინტერვიუ



„მე მორალისტი ვარ...“

(წარმოვიდგენთ ფრაგმენტებს რეი ბრედბერის რამდენიმე ინტერვიუდან)

ლიმე სფეროს გავყვებოდი: ვხატავდი, ვმსახიობობდი და ვწერდი.

– როდის დაიწყო წერა?

– ყველაფერი დაიწყო მას მერე, რაც ედგარ ალან პო წავიკითხე. 12-დან 18 წლამდე მას ვბაძავდი. იმავეს ვიტყვი ედგარ ბეროუსსა და ჯონ კარტერზე. ტრადიციულ ჰორორ-მოთხრობებს ვწერდი. ალბათ, ყველა ასე იწყებს, ვინც ამ ჟანრშია.

12 წლისა როცა ვიყავი, კომიქსებმა და რადიოშოუებმა გამიტაცეს, ყოველ ღამე, შოუს დასრულებისთანავე, დავჯდებოდი და ვიწყებდი წერას და კომიქსების ხატვას. ჩვეულებრივ, სათავადასავლო მოთხრობებს ვკმნიდი. მოქმედების ადგილი სამხრეთ ამერიკა, ან აფრიკა იყო ხოლმე. ჯერ კიდევ მაშინ ვიცოდი, ხელოვნების რომე-

– როგორც ჩანს, მრავალფეროვანი გავლენებისადმი ვახსნილი იყავით.

დიახ, ყველანარი გავლენებისადმი, თუმცა "ლიტერატურული" პრიორიტეტები მეც მაქვს. შუალამისას საკუთარ თავს წარმოვიდგენ ხოლმე ამერიკის ირგვლივ მოძრავ მატარებელში, სადაც ჩემს საყვარელ ავტორებს ვესაუბრები. მატარებელში აუცილებლად არის ბერნარდ შოუ, რომელსაც ერთი-ორი ისეთი რამე აქვს დაწერილი, რასაც დღეს სამეცნიერო ფანტასტიკა შეიძლება ვუწოდოთ. ჰოდა, ვსხედვართ გვიან ღამე მატარებელში, ერთმანეთს იდეებს ვუზიარებთ და ვამბობთ: ეს თუ 1900 წელს მცხოვრებ ქალებზე სიმართლეა, ნეტავ, 2050-ში რაღა იქნება?

– *კიდევ ვინაა მატარებელში?*

უამრავი პოეტი: ჰოპკინსი, ფროსტი, შექსპირი. და ისეთი მწერლები, როგორებიც არიან სტეინბეკი, ჰაქსლი, თომას ვულფი.

რას იტყვით პრუსტზე, ჯოისზე მწერლებზე, რომლებიც ლიტერატურას უფრო სტილისა და ფორმის კონტექსტში განიხილავენ. აზროვნების ეს მხარე ოდესმე თუ გაინტერესებდათ?

არა, არ მაინტერესებდა. ვინმეს თუ ჩემი დაძინება შეუძლია, სწორედ ეს ადამიანები არიან. ღმერთო, რამდენჯერ მიცდია პრუსტი! მისი სტილის სილამაზესაც ვაღიარებ, მაგრამ მაძინებს. იგივე შემთხვევა ვთქვა ჯოისზე. მას ბევრი იდეა არ აქვს, მე კი სრულიად იდეებზე ვარ ორიენტირებული.

– *თვითგანათლება გაქვთ მიღებული?*

ღიას. განათლება მთლიანად ბიბლიოთეკაში მაქვს მიღებული. კოლეჯში არასდროს მივლია. ნამდვილი ბიბლიოთეკარი ვარ. საკუთარი თავი იქ აღმოვაჩინე. სანამ ბიბლიოთეკა შემეყვარებოდა, ჩვეულებრივი 6 წლის ბიჭი ვიყავი. წიგნებმა კი ჩემს ცნობისმოყვარეობას ცეცხლი შეუთო. როცა ცოლი მოვიყვანე, მივხვდი, რომ საქმე მოთავებულ იქონდა. ასე რომ, ბიბლიოთეკა 27 წლისამ "დავაძინებ".

– *რას აკეთებდით, სანამ თქვენთვის ლიტერატურული ჰონორარების გადახდას რეგულარულად დაიწყებდნენ?*

გაზეთებს ვყიდდი ქუჩაში. კვირაში მთელ ათ დოლარს ვიღებდი. თავიდან მე და ჩემი ცოლი მეტი ძალზე ხელმოკლედ ვცხოვრობდით. ავეჯის მაღაზიაში მუშაობდა და კვირაში დაახლოებით რვა დოლარს იღებდა. ამ ფულით როგორღაც ვახერხებდით და ჩვენს თავსაც ვინახავდით და ჩვენს ქალიშვილებსაც. თუმცა, როდესაც ჩემი ნაწერების პუბლიკაცია დაიწყო, სიტუაცია ბევრად არ შეცვლილა. "მარსის ქრონიკების" პირველი გამოცემა გამოვიდა ერთობ მცირე ტირაჟით. სამი ათასი ეკუმპლარი. და სამი წელი გავიდა, სანამ ბოლომდე გაიყიდა.

– *გჯერათ, რომ კოლეჯში წერის სწავლა შეიძლება?*

კოლეჯი მწერლებისთვის ძალიან ცუდი ადგილია, რადგან მასწავლებლებს სულ ჰგონიათ, რომ შენზე მეტი იციან, არადა, ასე არაა. შეიძლება მოსწონდეთ, ვთქვათ, ჰენრი ჯეიმსი, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ შენ არ გინდა ჰენრი ჯეიმსით წერა? კოლეჯისგან განსხვავებით, ბიბლიოთეკებში წინასწარი განწყობები არ არსებობს. ინფორმაციას შენით უნდა გაუკეთო ინტერპრეტირება. არავინ მოვა და გეტყვის, როგორ უნდა იფიქრო.

– *კი, მაგრამ თქვენს წიგნებს სკოლაში ასწავლიან.*

იცით, რატომ იყენებენ ჩემს წიგნებს მასწავლებლები? იმიტომ, რომ მეტაფორულად ვწერ. დღეს ჩემი მოთხრობები ათასობით ანთოლოგიაშია შესული. ასე რომ, ძალიან კარგ კომპანიაშიც ვარ.

– *სამუშაო გრაფიკი გაწერილი გაქვთ?*

ჩემს ვნებებს ყოველდღიურად მივყავარ საბეჭდ მანქანასთან. და 12 წლის ასაკიდან ასეა. ამიტომ, გვემეზე ზრუნვა არასდროს მიწევს. რაღაც აზრი უცებ ამიფეთქდება თავში და მეტყვის: ღროზე, საბეჭდ მანქანასთან მიდი!

– *სად წერთ ხოლმე?*

წერა ყველგან შემიძლია. ვმუშაობდი სასტუმრო ოთახშიც, სადაც რადიო, ჩემი მშობლები და ძმა ერთდროულად ლაპარაკობდნენ. მოგვიანებით, როცა "451 გრადუსი ფარენჰაიტით"-ის დამეწერა მიხლოდა, წავედი ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტში, რომლის სარდაფშიც ერთი ოთახი აღმოვაჩინე – საბეჭდ მანქანაში 10 ცენტთანს თუ ჩავაგდებდი, ნახევარი საათი შემემლო მებეჭდა.

– *სამეცნიერო ფანტასტიკამ განვითარების დიდი გზა განვლო, პერბერტ უელსის "სამყაროთა ომიდან" და ფრანკენშტეინის მსგავსი ურჩხულებიდან რთულ და მეტად ქმედით ფორმულამდე, რომელსაც დღეს იყენებენ. რა განსხვავებაა უელსის წიგნებსა და, ვთქვათ, თქვენს ნაწარმოებებს შორის?*

უპირველესად, უნდა გითხრათ, რომ კითხვა არასწორადაა ფორმულირებული. არავითარი ქმედითი ფორმულა, რომლის მიხედვითაც დღეს წერენ ფანტასტიკას, არ არსებობს. ნებისმიერი მწერალი, რომელიც ფორმულით წერს, ვერაფერ ღირებულს ვერ შექმნის, რაც უნდა ნიჭიერი იყოს. ნამდვილი მწერალი წერს იმიტომ, რომ განიცდის მოთხოვნილებას, წყურვილს წეროს, რადგან ლიტერატურა ალვიძებს მასში სიხარულს, ვნებას, სიამოვნებას, ალტაცებას – რაც გსურთ, ის უწოდეთ. იგი ამ თავისი ვნებითა ცხოვრობს, ვნება კი ფორმულებთან შეუთავსებელია. კაცი, რომელიც ლოგინში წვება სქესობრივი ცხოვრების სახელმძღვანელოთი, ჯობია უმალ ადგეს, რადგან არაფერი გამოუვა მახინჯი გაუკულმართების გარდა. წერო – ეს იგივეა, რომ იცხოვრო. ფორმულებმა კი შეიძლება ნებისმიერი ბუნებრივი პროცესი გააუკულმართონ. საუკეთესო სამეცნიერო ფანტასტიკას, საბოლოო ჯამში ქმნის ის, ვინც ჩვენს საზოგადოებაში რაღაცით უკმაყოფილოა და თავის აღშფოთებას გამოხატავს დაყოვნების გარეშე, მძვინვარედ. აი, კარგი მაგალითი, – ჩემი მოთხრობა "ფეხით მოსიარულე". როდესაც ღამით სასეირნოდ მივდიოდი, ქუჩაში ხშირად მაკავებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხით მივდიოდი. მე ეს ძალიან მაბრაზებდა და ბოლოს დავწერე მოთხრობა სამყაროს მომავალზე, სადაც ყველა, ვინც გაბედავს და ღამით ქალაქში გაივლის, დამნაშავედ ცხადდება. რაც შეეხება უელსს, მას დღემდე უყურებ, როგორც ბიძას. ჩვენ განსხვავებებიც გვაქვს, ცხადია, მაგრამ მორალური თვალსაზრისით, ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს ვენახი, რომელსაც ერთად ვამუშავებდით ჩვენი პაპის, ჟიულ ვერნის ხელმძღვანელობით...

– მიგაჩნიათ თუ არა თქვენი თავი და სხვა თანამედროვე ფანტასტი მწერლები მორალისტებად?

ჩემს თავზე შემიძლია ვთქვა, რომ მე, უპირობოდ და უპირველესად, მორალისტი ვარ, რადგან ჩვენ მიერ შექმნილ ყოველ ახალ მანქანასთან ერთად ახალი მორალური პრობლემები ჩნდება. როდესაც ახალ გამოგონება ავსებს მსოფლიოს, საჭირო ხდება ახალი კანონები, რომელიც მის გამოყენებას

გააკონტროლებს. თვით მანქანას მორალის ცნებას ვერ მიუყენებ, მაგრამ ზოგჯერ ის, თუ რა საშუალებით არის შექმნილი და ძალა, რომელიც მასშია ჩაქსოვილი, იწვევს ადამიანების დაშტერებას ან გაგიჟებას და ალვიძებს ბოროტებას. ჩვენი დროის ყველაზე ლიბერალურ ადამიანებს შორის არიან ისეთები, რომლებიც დემონურად უმოწყალონი ხდებიან, როგორც კი ავტომობილის საჭეს მიუსხდებიან... რაც შეეხება სხვა ფანტასტ მწერლებს, ჩემი აზრით, მორალური პრობლემები მათთვისაც გარდაუვალია, ეს პრობლემები ჩნდება იმავე წამს, როდესაც გამოგონებულს მომავალი მანქანის იდეა გაუელვებს თავში. სანამ ორთქლმავალი გადაკვეთდა პრერიას და დასავლეთ სანაპირომდე მიღწევდა, ნებისმიერი მწერალი განჭვრეტდა ამის შედეგებს ადამიანისთვის, ერთი საათი მაინც რომ დაფიქრებულიყო. ათიდან ცხრა თანამედროვე ფანტასტში მორალისტს ვხედავ.

– 1950 წელს თქვენ დაწერეთ წიგნი, რომელმაც მსოფლიოში გაგითქვათ სახელი - „მარსის ქრონიკები“. იქ ნათქვამია, რომ მეორე ათასწლეულის დასაწყისში მარსზე უკვე იქნება ადამიანთა დასახლებები, სულაც, ქალაქები. როგორ ფიქრობთ, რატომ არ განხორციელდა ეს?



ამ კითხვას ხშირად მისვამენ და ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად ვპასუხობ – მომწონს ფანტაზირება ამ კითხვის პასუხად. დღევანდელი დღის პასუხია: იმიტომ, რომ ადამიანები იდიოტები არიან! მათ უამრავი სისულელე გააკეთეს: გამოიგონეს კოსტიუმები ძაღლებისათვის, სარეკლამო მენეჯერის თანამდებობა და ისეთი რაღაც-რაღაცეები, როგორიცაა აიფონი. მაგრამ სანაცვლოდ არაფერი მიუღიათ, გარდა მომჟავო გემოსი, პირში რომ გრჩება. აი, ჩვენ რომ გაგვევითარებინა მეცნიერება, აგვეთვისებინა მთვარე, მარსი, ვენერა... ვინ იცის, როგორი იქნებოდა სამყარო მაშინ? კაცობრიობას მისცეს შესაძლებლობა იქროლოს კოსმოსში, მაგრამ მას არაფერი აინტერესებს მომხმარებლობის გარდა. უნდა სვას ლუდი და უყუროს სერიალებს... ისე, ჩემს სიტყვებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ეს ბებრული ბუზღუნია (იცინის) – მე ხომ მალე 100 წლისა ვაგხდები.

– *სამაგიეროდ, თქვენს თავს წინასწარმეტყველი შეგიძლიათ უწოდოთ. თქვენს რომანში "451 გრადუსი ფარენჰაიტით" აღწერილია საზოგადოება, სადაც ხალხი შეპყრობილია მომხმარებლობით, მასობრივი კულტურით, წიგნებს კი სპობენ – მათ წვავენ საგანგებო რაზმები, რომლებსაც „მეხანძრეებს“ უწოდებენ. მე ეს წიგნი ერთი ოცჯერ მაქვს გადაკითხული. თითქმის ყველაფერი ახდა. თითქმის ყველაფერი... მომხმარებლობა XXI საუკუნეში – ახალი რელიგიაა, წიგნებს კი სულ უფრო ცოტას კითხულობენ... კითხვა თითქოსდა მოდიდან გადავიდა...*

ამაზე მეც ხშირად ვფიქრობ. ოდესღაც საშინელი ზღაპარი დავწერე, ის კიდევ კომმარულ რეალობად იქცა. მე მაქვს განცდა, რომ წიგნი კვდება... ელექტრონული საკითხავი საშუალება – ეს მაინც არაა წიგნი... ჩემთვის ბიბლიოთეკის სამყარო ამაზონის ჯუნგლები იყო, რომელსაც შეეძლო ადამიანი თავიდან ბოლომდე მოეცვა, ფურცლების შრიალით გაებრუებინა, სულისშემკვრელ თავგადასავლებში ჩაეძირა. მონიტორისგან ამ ყველაფერს ვერ მიიღებ, იქ მხოლოდ მშრალი ტექსტია, ქალაქის სურნელის გარეშე – გამოშიგნულია, არანა-

რი სიტბო არ გააჩნია. თუმცა ისევ ვბუზღუნებ (იცინის). ეს რა მჭირს? მე, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე კონსერვატორი ფანტასტი-მწერალი ვარ. თუ გსმენიათ, ძვირფასო სერ, ჩემზე რა საშინელი ლეგენდები ვრცელდება?

– *ერთი წამით, ახლავე ჩამოვითვლით: თქვენ არ იცით მანქანის ტარება, არ ხმარობთ კომპიუტერს, არ დაფრინავთ თვითმფრინავით. რომანებს ბეჭდავთ საბეჭდო მანქანაზე.*

ამას კიდევ დავუბეჭდებ – ნებისმიერი ტექნიკური სიახლე პანიკაში მაგდებს. ეგეთ რაღაცეებს უბრალოდ ვერ ვიტან. არა, ლიფტს კიდევ არაუშავს რა, თუმცა ის ჩემს სახლში არ მჭირდება. მე, რასაკვირველია, არ ვიტყვოდი უარს პერსონალურ კოსმოსურ ხომალდზე, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თავის ეკიპაჟიანად და ერთ ყუთ საძილე საშუალებებთან ერთად მაჩუქებდნენ. გადაყლაპავ აბებს და შეგიძლია იძინო მთელი გზა, სანამ საყვარელ მარსზე ჩაფრინდები.

– *აი, კიდევ რა მარცებს – თქვენ მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული ფანტასტი-მწერალი ხართ. ამავე დროს, ცხოვრობთ მეტად მოკრძალებულად: პატარა სახლი, არავითარი დაცვა, ყოველი ოთახი სავსეა წიგნებით, ქაღალდებით, ხელნაწერებით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ საკუთარი სამყარო შეიქმენით.*

ო, არა, მე თქვენ გაგაცურეთ. ხედავთ ტუტანხამონის მუმიას? (უთითებს ეგვიპტურ სუვენირზე) ფანტასტიკური ფული ღირს! (იცინის) კაიროს მუზეუმიდან მოვიპარე! კარგი-კარგი... მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მწერლის შრომა ფული ღირს. საბჭოთა კავშირში გამოსცემდნენ „მარსის ქრონიკებს“, მაგრამ ერთი რუბლიც კი არ მოუციათ! არადა, მე ძალიან მიყვარს რუბლები! (იცინის). თუმცა ფულს არ ვეთაყვანები. თვალეები შუბლზე ამდის, როცა ვხედავ, კაცი მილიონს იშოვის თუ არა, ეგრევე ყიდულობს ძვირადღირებულ „პორმეს“, ქირაობს პირად დაცვას და აღარ ესალმება მეზობლებს. მე მჭირდება მინიმუმი. აი, აქ კი თქვენ მართალი ხართ, ჩემი სამყარო – ძველი სახლია, რომელიც პირთამდე სავსეა

წიგნებით, სახლიდან გასვლა კი – ეს ჩემთვის იგივეა, რაც თქვენთვის საზღვარგარეთ გამგზავრება. რატომ? მე ხომ ფანტასტი ვარ. თვალს მოვხუჭავ თუ არა, უკვე მარსზე ვარ...

– მოზარდების გარდა ფანტასტიკას, ძირითადად, მამაკაცები კითხულობენ. რა არის მიზეზი, რომ ქალებს ის ნაკლებად აინტერესებთ?

რასაც არ უნდა ამბობდნენ ქალთა უფლებების დამცველები, დედამიწაზე ორი რასაა – ქალთა და კაცთა. მამაკაცებს, ძირითადად, სათამაშოები და მეცნიერება ამოძრავებთ, რადგან მამაკაცის დანიშნულებაა შთამომავლობის გაჩენა, ამ პროცესის ინტერვალებში კი – დრო უნდა მოკლან. ამიტომ მუდმივად ეძებენ, რით გაირთონ თავი. მამაკაცებში, გარდა შთამომავლობის აღწარმოებისა, არანაირი სამყაროსეული ცენტრები არ არის, ქალები კი, პირიქით, ამით იბადებიან, მათ აქვთ უნარი შექმნან სამყარო, გაზარდონ, გამოკვებონ და მოუარონ. მამაკაცები, უმეტესად, კითხულობენ სამეცნიერო ფანტასტიკას, რადგან ცდილობენ შექმნან მომავალი, ქალებს კი ეს არ სჭირდებათ – თავად არიან მომავალი.

– თქვენი ეს დაყოფა სქესის მიხედვით, ბევრს არ მოსწონს. ინტერვიუში, რომელიც ჟურნალ "People"-ს მიეცით, ბრძანეთ, რომ CD-ROM – უფრო მამაკაცური რამეა, ვიდრე ქალური და რედაქცია წააღივას ქალების წერილებმა, სადაც თქვენ სექსისტს ვიწოდებენ.

ო, მართალია. არავითარი სექსი აღარ მექნება მათთან! (იცინის). მისმინეთ, ყველა კაცი – თავისებურად უცნაურია, ახალგაზრდები კი სულაც შერეკილები. ჩვენ გვიყვარს სათამაშოები. მე, მაგალითად ასეულობით სათამაშო მაქვს. ასე რომ, კომპიუტერები – ყველაზე ვულგარული სათამაშოებია, თავს რომ ვევლებთ, რათა შემოქმედებად ვიგრძნოთ საკუთარი "მე".

– მაგრამ ეს სათამაშოები ასევე მომავლის გასაღებიცაა, არ მეთანხნებით?

ინტერნეტზე ამბობენ, რომ, ვითომცდა, მწერლისთვის შემოქმედებითი ინსტრუმენტია. სრული სიბრყველა. მე გეუბნებით: თავი შორს დაიჭირეთ მისგან, და ნუ ემუსაიფებით ხალხს მთელს მსოფლიოში იმის ნაცვლად, რომ თქვენი საქმე აკეთოთ. ჩვენ ყველას გვაბითურებს ბილ გეიტსი თავის პარტნიორებითურთ.

– კაცისთვის, რომელმაც სახელი მომავლის შესახებ წერით შექიმნა, მეტიმეტად სკეპტიკური დამოკიდებულება გაქვთ მაღალ ტექნოლოგიების მიმართ.

მათ არავითარი აზრი არა აქვთ, წერა-კითხვა თუ არ იცი. ვერასოდეს ვერაფერს მოგცემენ.

– მაღალ ტექნოლოგიებში ჩართულია პროცესები, როდესაც კითხულობ და წერ, ასე არ არის? მაგალითად, ახლა შეიძლება დაწერო ინტერაქტიული რომანი, როდესაც მკითხველები ირჩევენ სოიფეტურ სვლას და გეუბნებიან, რა უნდათ, რომ წიგნში ნახონ.

არასოდეს მითხრათ, როგორ უნდა ვწერო ჩემი წიგნები. ნუ ცდილობთ გამოიგონოთ "უკეთესი ფინალი" და ასე შემდეგ. ამისთვის დრო არ მაქვს.

– რა გაიბულებთ წერას?

სანამ გადავწყვეტდი, რომ მწერალი უნდა გავხდე, გადავწყვიტე – ჯადოქარი გავმხდარიყავი. მე ვიყავი პატარა ბიჭი, რომელიც სცენაზე აჩვენებდა ფოკუსს ხელოვნური ულვაშებით, რომლებიც ჩვენების პროცეში ქრებიან. დღემდე ზოგჯერ ვაჩვენებ ხოლმე მას. მერე კი ჯადოქრობად იქცა წიგნების წერა. და კიდევ, მწერლები წერენ, რადგან უნდათ, რომ ისინი უყვარდეთ. მერკანტილურად ჟღერს, ალბათ... მაგრამ მე მწერლობა კიდევ ერთ რაღაცაშიც დამეხმარა. როდესაც წერა დავიწყე ისე, როგორც ზრდასრული უნდა წერდეს, ჩემი ცხოვრების მთავარი აღმოჩენა გავაკეთე: მე ყოველთვის მართალი ვარ, ყველა სხვა კი, ვინც არ მეთანხმება – ცდება. არავის არ მოუსმინოთ, ყოველთვის თქვენი გზით იარეთ...

მარიამ ცინცაძე

რეი ბრედბერის კორტრეტი -
რეი, ანუ ადამიანი მარსიდან

სიყვარული, სინაზე, თავგანწირვა, სიმამაცე, მეგობრობა და სიღრმე - ჩამოთვლილი თვისებები ახასიათებს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე რომანტიკულ გმირს, რომელ მონტეგის. თუმცა, მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს მეორე მონტეგიც, მაგრამ არა რომელი. პირველი, აბსოლუტური უმრავლესობის ფავორიტი, უილიამ შექსპირის შექმნილია, ხოლო მეორე, პირველის სრული ანტიპოდი და არც ისე ბევრის რჩეული, რეი ბრედბერის კალამს ეკუთვნის. უილიამისეული მონტეგი თუ თანაგრძნობას გვიღვიძებს და ცხარე ცრემლებით გვატირებს, ბრედბერისეულ მონტეგის მსგავსი არაფერი შეუძლია, პირიქით, ერთადერთი რასაც ის ჩვენში იწვევს, ნეიტრალური გრძნობები და, ხშირად, აგრესიაა. და მაინც, ეს მეორეც ისევე კარგად მივიღეთ, როგორც ყველასთვის საყვარელი პირველი მონტეგი. საინტერესოა, რატომ? სავარაუდოდ იმიტომ, რომ მსგავსი მონტეგი ჩვენთვის ბევრად უფრო ორგანულია, ვიდრე ის პირველი, რომელიც იდეალი იყო, არის და იქნება.

რა ნიჭი და თავდაჯერებულობაა საჭირო იმისთვის, რათა შენი რომანის მთავარ გმირს მონტეგი დაარქვა. ალბათ, ამას ვერც ვერავინ გაბედავს, თუ რეი ბრედბერი არ ხარ.



რეიმონდ დაგლას ბრედბერი დაიბადა 1920 წლის 22 აგვისტოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, უოკიგანში. ის იყო ამერიკის პირველმკვიდრების შთამომავალი. ოჯახში იყვნენ რეის დედ-მამა, ორი ძმა და და, რომელთაგან ერთი ძმა და და ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ. რეის ოჯახი მატერიალურად ძლიერი არ იყო, ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ ის შეუდგა მუშაობას და უსახსრობის გამო ვერ გააგრძელა სწავლა კოლეჯში. როგორც თვითონ მწერალმა აღნიშნა ინტერვიუში, ის სამი წლის განმავლობაში იდგა ქუჩის კუთხეში და ყიდდა გაზეთებს დღეში სამი საათის განმავლობაში. ის იყო მწერალი, რომელსაც გაზეთების გაყიდვისთვის კვირაში ათ დოლარს უხდიდნენ. თუმცა ეს არ გამხდარა რეისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი განათლების მიღებაში: “კოლეჯის მაგივრად მე

დავამთავრე ბიბლიოთეკა. მე ვიყავი მოზარდი, რომელმაც იმოგზაურა მარსზე 1932 წელს”.

27 წლის ასაკში რეი გახდა ბიბლიოთეკის კურსდამთავრებული. ბიბლიოთეკის ასეთი ინტენსიობით სტუმრობა კი იმით იყო გამოწვეული, რომ მომავალ მწერალს არ ჰქონდა ფული იმისთვის, რათა საკუთარი წიგნი ეყიდა.

ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, რეი ბრედბერი 20 წლის ასაკში გადაწყვიტა, რომ გამხდარიყო მწერალი იმიტომ, რომ ის შეყვარებული იყო წერაზე და მწერლობაზე. მას შთააგონებენ ბიბლიოთეკები და ის ადამიანები, რომლებიც ბიბლიოთეკების მაგიური სამყაროს წევრნი იყვნენ.

წიგნებისა და წერის სიყვარულის ამოკითხვა რეი ბრედბერის გარეგნობაზეც მარტივად შეიძლება. მას სახეს უძმვენებდა კარგა მოზრდილი სათვალე, მაღალი შუბლი და მუდმივი ღიმილი. სამივე ინტელექტუალი და მრავალწიგნამოვლილი ხალხისთვის დამახასიათებელი ნიშნებია.

1942 წლამდე ის აგრძელებდა ქუჩაში გაზეთების გაყიდვას და, პარალელურად, გამუდმებით წერდა, რათა შეემუშავებინა ინდივიდუალური სტილი. ის ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ჩამოყალიბებულიყო კარგ ფან-

ტასტ მწერლად. სწორედ ამ მიზნით, 1937 წელს მომავალი მწერალი გაწვერიანდა “სამეცნიერო ფანტასტიკების ლიგაში”,



წერდა ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობებს და აქვეყნებდა ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა ეძლეოდა. ხშირად ხდებოდა ისე, რომ ბრედბერის მოთხრობები დაბალხარისხიან გამოცემებში ხვდებოდა. მაგრამ წარუმატებლობები სამწერლობო ასპარეზზე ვერ უცრუებდა იმედს რეი ბრედბერის. ის სამწერლობო თვალსაწიერის გაფართოების მიზნით თვალყურს ადევნებდა ტექნოლოგიების განვითარებას და დიდ დროს უთმობდა მომავლის საფრთხეებზე ფიქრს.

რეი ბრედბერის ცხოვრება და შემოქმედება სავსეა წიგნებით, ისინი გაბუღებული ავტორის გვერდით და გარშემო ივნიან და განსაზღვრავენ მის ბედს. როგორც ზევით უკვე აღვნიშნე, მან ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა ბიბლიოთეკაში, წიგნების კითხვაში,

არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ნაწილი - წიგნების წერაში. არც ის არის გასაკვირი, რომ რეი მისი ცხოვრების სიყვარულს სწორედ წიგნებმა შეახვედრეს. 1946 წელს ლოს-ანჯელესის წიგნის მაღაზიაში მწერალმა გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე სუსანა მაკლური (მეგი), რომელიც ამ მაღაზიაში მუშაობდა. მათ შექმნეს ოჯახი და შეეძინათ ოთხი ქალიშვილი. ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა და მეგის ბევრი მუშაობა უწევდა, რადგან რეის შემოსავალი ფაქტობრივად არ ჰქონდა. იგი მთელ თავის დროს მოთხრობების წერას უთმობდა და ფიზიკურად ვეღარ იცლიდა იმისთვის, რათა ემუშავა და ფული ეშოვა. ქორწინების პირველ წლებში ოჯახის შემოსავალს ორას ორმოცდაათი დოლარი შეადგენდა, რომლის უმეტესობასაც მეგი გამოიმუშავებდა. თუმცა ის აქტიურად უჭერდა მხარს ქმრის სამწერლობო მისწრაფებებსა და გეგმებს. ბრედბერი განაგრძობდა მოთხრობების წერას და მათ შორის საუკეთესოები გამოიცაკრებულში “შავი მასკარადი”, თუმცა მას მწერლისთვის აღიარება არ მოუტანია. ამ მხრივ აღსანიშნავია მოთხრობათა კრებული მარსის შესახებ, რომელსაც “მარსის ქრონიკები” ეწოდა. რატომ მაინცდამაინც მარსი? ესეც, როგორც ბევრი და მნიშვნელოვანი მოვლენა რეი ბრედბერის ცხოვრებაში, წიგნებს უკავშირდება. მარსზე მოთხრობების დასაწერად იგი შთააგონა მისმა საყვარელმა წიგნმა ედგარ რეი ბეროუზის “ჯონ კარტერი” და “მარსის მბრძანებელმა”. ორივე

წიგნი შედის ბეროუზის წიგნების სერიაში მარსის შესახებ. ბრედბერიმ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: “ეს წიგნები ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრნენ მაშინ, როდესაც მე ვიყავი ათი წლის და მათ მაიძულეს, გავსულიყავი მზიან მინდორში, ხელები აღმეპყრო მაღლა და შევევლრებოდი მარსს, რომ წავეყვანე სახლში. სულ მალე დავიწყე წერა და ეს ყველაფერი გამოიწვია ედგარ ბეროუზმა.” ბედისწერად ქცეულმა მარსმა მოუტანა მას წარმატება, სწორედ იმ მარსმა, რომელთანაც დაბრუნებაზე ათი წლის რეი ოცნებობდა. არსებობდა მოსაზრება, რომ ბრედბერის მარსის ქრონიკები იყო წინასწარმეტყველება და მესამე ათასწლეულის დასაწყისში ადამიანი შეძლებდა მარსზე გამგზავრებას. ამის შესახებ ბრედბერისაც უთხრეს და ჰკითხეს, თუ რატომ არ არხდა მისი წინასწარმეტყველება. პასუხი კი მარტივი იყო: წინასწარმეტყველება იმიტომ არ ახდა, რომ ადამიანები იდიოტები არიან და დროს კარგავენ ბევრ ისეთ უაზრო რაღაცებში, როგორებიც სარეკლამო მენეჯერის თანამდებობა და აიფონია. მწერალს სიცოცხლის ბოლომდე ღრმად სწამდა, რომ ადამიანთა რასის რომელიმე ჯონ კარტერი აუცილებლად დაუბრუნდებოდა მშობლიურ მარსს.

რეი ბრედბერიმ მსოფლიო აღიარება მოიპოვა მას შემდეგ, რაც გამოვიდა რომანი “451 გრადუსი ფარენჰაიტი”. რომანი პირველად დაიბეჭდა ახლდარსებულ ჟურნალში “ფლეიბოი”.

პირველად რეი ბრედბერისა და

“451 გრადუსი ფარენჰაიტის” შესახებ გავიგე ინგლისურის სახელმძღვანელოდან. მაშინ თითქმის არაფერს ვკითხულობდი ფანტასტიკის ჟანრის გარდა და დაახლოებით ისიც ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა სამეცნიერო ფანტასტიკა. ხარბად წავიკითხე სტატია, სადაც განხილული იყო “საი ფაის” ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი, მაგრამ როდესაც კითხვას მოვრჩი, უკმაყოფილების გრძობა დამრჩა. არ გეგონოთ, რომ ეს უსიამოვნი შეგრძნება წიგნის მოკლე შინაარსმა დამიტოვა. არა, უბრალოდ ეს შინაარსი ვერაფრით ჩავსვი ვერც სამეცნიერო ფანტასტიკის და ვერც ფანტასტიკის ჟანრში, თუმცა სტატიაში და, შემდეგ, წიგნის ანიტაციაშიც გამალებით მიმტკიცებდნენ, რომ წიგნი სწორედ საი ფაის ჟანრს მიეკუთვნებოდა. თვითონ მწერალიც თვლიდა, რომ “451 გრადუსი ფარენჰაიტით” იყო სამეცნიერო ფანტასტიკა: “უპირველეს ყოვლისა, მე არ ვწერ სამეცნიერო

ფანტასტიკის ჟანრში. ამ ჟანრში მხოლოდ ერთი წიგნი მაქვს - “451 გრადუსი ფარენჰაიტით” და ის არის დაფუძნებული რეალობაზე. სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს არის რელობის აღწერა. ფენტეზი, ეს არის არარეალურის აღწერა”. ამ ნაწარმოებშიც ნათლად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენდნენ წიგნები რეი ბრედბერიზე. მან თავისი ყველაზე წარმატებული წიგნი სწორედ წიგნებზე, უფრო სწორად უწიგნობაზე დაწერა და ამით აღწერა ის ჯოჯოხეთი, რომელშიც მსოფლიო ჩავარდება, თუკი უარს იტყვის წიგნებზე და მათ კითხვაზე. რეის ამ რომანშიც იგრძნობა მწერლობის გავლენა, კერძოდ კი უილიამ შექსპირის, რომლისგანაც ნასესხებია უკვდავი გვარი, ამჯერად სახელად გარდაქმნილი - მონტეგი. როგორც ბრედბერი თავად ამბობდა, შექსპირის პიესებმა დიდი გავლენა მოახდინეს მასზე. თუმცა თავად მას რომ არ აღენიშნა ეს ფაქტი, მაინც არ იქნებოდა ძნელი იმის მიხვედრა, თუ

რომელი მწერლის გავლენით დაერქვა სახელი მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ მწიგნობარ მეხანძრეს.

სამოცდაცხრამეტი წლის ასაკში ბრედბერიმ გადაიტანა ინსულტი და მიეჯაჭვა ინვალიდის საგარძელს, მაგრამ ეს არ გამხდარა იმის მიზეზი, რომ იუმორის გრძობა და ახალგაზრდული შემართება დაეკარგა. როდესაც ის ოთხმოცდაათი წლის გახდა და მისგან ინტერვიუ აიღეს, ასეთი რამ თქვა: “იცით, ოთხმოცდაათი წელი, ეს არც ისეთი მაგარია, როგორც ადრე მიმაჩნდა... ასი უბრალოდ ბევრად სოლიდურად ჟღერს. წარმოიდგინეთ გაზეთებში გამოქვეყნებული სათაურები მთელი მსოფლიოს მასშტაბით: “ბრედბერის შეუსრულდა ასი წელი! მაშინვე რაღაც პრემიას გადმოცემენ მხოლოდ იმის გამო, რომ ასი წლის გავხდი”.

ოთხმოცდატერთმეტი წლის ასაკში დედამიწაზე შემთხვევით მოხვედრილი ჯონ კარტერი, სხვა სახელითა და გვარით, მარსზე დაბრუნდა.

..მაქვს დიდი ოჯახი, სადაც ყოველთვის მხიარულება, ხმაური და მძვინვარებაა. ვარ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მეოთხე კურსის სტუდენტი. ვსწავლობ ჟურნალისტიკას. სამომავლოდ არ ვაპირებ, რომ ამ განხრით გავაგრძელო სწავლა, მაგრამ რას გავყვები, ჯერ არ გადამიწყვეტია. ფანტასტიკას გავეცანი "ჰარი პოტერის" წყალობით და მან ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სწორედ "ჰარი პოტერმა" დამაახლოვა ლიტერატურასთან და კინემატოგრაფიასთან: იმ ორ დარგთან, რო-

მელიც დღესდღეობით ყველაზე მეტად მიყვარს.

რეი ბრედბერის პროგრესის დაწერა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჟურნალის ნომერი სწორედ მას ეძღვნებოდა. ხშირად გვემარება ხოლმე მწერლების ბიოგრაფიების წაკითხვა, თუნდაც ეს მწერალი ჩვენს დიდ სიყვარულს იმსახურებდეს. მე კი მინდოდა, რომ მკითხველები არა მხოლოდ რეი ბრედბერის შემოქმედებას გასცნობოდნენ, არამედ მისი პიროვნების შესახებაც გაეგოთ რამე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ რეი ბრედბერის პროფილი დამეწერა.

მარია ტინცაძე



ინგა მილორავა

რედი ბრედბერის სემინარი და მშვენიერი იზაკი



დედამიწაზე მრავალი ცივილიზაცია გაქრა. მათი კვალი მხოლოდ ძველისძველ ნანგრევებში, ფრესკებსა და ქანდაკებებში, უკეთეს შემთხვევაში, ხელნაწერებშია შემონახული, მაგრამ ისინი, ვინც ეს ყველაფერი შექმნა, დღეს უკვე აღარ არსებობენ. მათ მიწაზე სხვა ჯურის და რჯულის ადამიანები დააბიჯებენ ან სულაც უღმობელი დავიწყების ქარი დათარეშობს და ნანგრევებშიც აღარ სურს შეინახოს გარდასული სიცოცხლის ნაშთები, უკვალოდ გააქროს ადამიანის სულის ნაყოფი. ნუთუ ეს არის მომავლის „უცილო ხატი“, გარდაუვალი ხვედრი, აქლემი, რომელიც ოდესმე ყველას კართან დაიხოქებს და გოგნას ტბის ნანგრევებში ჩამარხული მშვენიერების და გამქრალი იმედების ტკივილით დასერავს გულს? ახლა ზარივით ისმის გალაკტიონის ხმა:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული“.

ასე შეიძლება მოხდეს, არ ყოფილა თურმე შეუძლებელი, რომ ვეღარ გაიროს ადამიანმა თავის მი-

წაზე ცვრიან ბალახზე, დაკარგოს ის, რაც მის არსებობას საზრისსა და ღვთიურ მნიშვნელობას ანიჭებს. მერე ბიოლოგიური, ანთროპოლოგიური სახეობა გინდ ყოფილა, გინდ არა. ის აღარაა მამული, სადაც ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული და სილამაზე.

ამერიკელი მწერლის რედი ბრედბერისათვის თითქოს ორგანული არ უნდა ყოფილიყო მისი ცივილიზაციის გაქრობის შიში. ის ყველაზე ძლიერი და დაცული სახელმწიფოს შვილი იყო, მაგრამ მის ტექსტებში ძალიან მძაფრად დგას ყოვლივე მშვენიერის, ადამიანურის, მარადიულის, მშობლიურის დამარცხების შიში. ბრედბერი არ იყო ტრადიციული მწერალი-ფანტასტი. მისმა მხატვრულმა ქსოვილმა შორს მოიტოვა science fiction-ის გამაოგნებელი ტექნიკური ეფექტები, მოქმედების დაძაბულობა, თავგადასავლის აზარტი და შორს, წინ, ადამიანურობისა და სითბოსკენ წავიდა. მისი რომანები და მოთხრობები უფრო თანამედროვე იგაგებია, რომლებშიც ფანტასტიური ამბავი, მომავლის სახეები და კოსმოსის უჩვეულო სანახები მხოლოდ ფონია, რომელიც


უძიძმეს სულიერ პროცესებს აშიშვლებს და ააშკარავებს, ადამიანებს მათ საკუთარ თავში, საკუთარ ბედსა და მომავალში გარკვევისაკენ უბიძგებს, აფრთხილებს. ასეთი მშვენიერი იგავი-გაფრთხილება იყო მისი რომანი „451 გრადუსი ფარენჰაიტით“, რომელშიც მომავლის ადამიანებმა აკრძალეს და მეხანძრეები წვავენ წიგნებს. მწერალი ნათლად გრძობდა, რომ უსულგულობამ, მშვენიერების, სიბრძნის გაქრობამ შეიძლება დაანგრის უძლიერესი ცივილიზაცია, ან აქციოს საშინელ, გამანადგურებელ აგრესორად, რაც არსებითად ისევე მის განადგურებას ნიშნავს, თანაც ორმაგად: ანგრევს სხვას, სხვის სულიერებას, მაშასადამე, ინგრევა თვითონაც, შინაგანად იშლება.



თუმცა, მიუხედავად მისი რომან-იგავების დრამატულობისა, რეი ბრედბერისათვის სილამაზის გაქრობა შეუძლებელია. საფრთხეს კი აშკარად გრძობს. მანქანურმა ცივილიზაციამ შეიძლება დაჭყლიტოს, დაანაკუნოს გულები და ადამიანის ფანტაზიით შექმნილი მშვენიერება – წიგნი, ქალაქი, ნახატი, ჰანგი, ქვეყანა, ერი... ერთ-ერთ ინტერვიოში ბრედბერი წერდა: „მე უპირველესად და უეჭველად მორალისტი ვარ, რადგან ყოველი ახლად შექმნილი მანქანა ჩვენ წინაშე სწორედ მორალურ და ეთიკურ პრობლემებს წამოჭრის... თვით მანქანები ცარიელი ხელთათმანია, მაგრამ მას იცვამს ადამიანის ხელი, რომელიც ავიც შეიძლება იყოს და კეთილიც.“

მაგრამ მტრისას, თუ ადამიანმა ჩაიცვა რკინის ხელთათმანი და მისდგა ყველაზე მთავარს. რეი ბრედბერის რომანში „მარსის ქრონიკები“ არის ერთი მოთხრობა („მარსის ქრონიკებს“ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ რომანი, ის მარსის ათვისების ამბის ძირითად ძაფზე ასხმული დამოუკიდებელი მოთხრობებისაგან შედგება) – „მთვარე იქნება კვლავ სხივმფინარი“. ამერიკელთა კოსმოსური ხომალდი დაეშვა მარსზე. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი ხანია დაიხოცნენ, მაგრამ დარჩა მათი არაჩვეულებრივი ქალაქები – მათი ოცნების და შემოქმედების ნაყოფი. მწერალმა ფანტასტიკა, კოსმიური მოგზაურობა და უცხო პლანეტის ლანდშაფტი საბურველად, საიმედო და მიმზიდველ ფარდად გამოიყენა, რომელიც ძალიანაც გამჭვირვალეა და მის მიღმა ნაღვლიანი და ძველი თიხის ქოთანით მრგვალი და თბილი იგავი ინახება, რომელიც ისევე დიდხანს ინახავს სათქმელს, როგორც ის ძველი ქოთანი ინ-

ახავდა სურნელოვან სასმელს. მხოლოდ ამ იგავი-ქოთნის გადმოპირქვაება გახდის შესაძლებელს გაიგო, რა არის შიგ, რა გემოსია სასმელი, რომელიც კოსმიური სივრცის, ვარსკვლავების ციმციმის, წვიმის, ცეცხლის, წვეთებისა და ტკივილისაგან შეაზავა მწერალმა (მაგრამ თუ ოდესმე წიგნი უნდა დაიწვას, რაღა დარჩებათ ადამიანებს, რილას გემოს შეიგრძნობენ?)

მაშასადამე, იგავი ადამიანებზე, რომლებიც მოხვდნენ სხვა სამყაროში, შეჯახნენ სხვა კულტურას, რომელიც მთლიანად სულიერებითაა გაჯერებული. და როგორ იქცევიან ისინი?! გარდასული მშვენიერების სევდიან სიჩუმეში იჭრებიან ველური ღრიალით, ყვებიან უხამს ამბებს, ესვრიან ტყვიას მარსელთა უნატიფეს ნაკეთობებს, გეგმავენ როგორ გადააკეთებენ ყველაფერს, როგორ დაარქმევენ ახალ, მხოლოდ მათთვის მისაღებ სახელს. მათ შეზღუდულ წარმოსახვაში მონიშნული „ახალი“ მარსი იქნება უკვე დაცემული, სმოგითა და ტექნოკრატული ცივილიზაციის „სიკეთებით“ პირთამდე ამოვსებული დედამიწის და, განსაკუთრებით კი, ამერიკის, ზუსტი ასლი. და ამ დროს ერთ-ერთ მათგანს, სპენდერს, „451 გრადუსი ფარენჰაიტით“ გმირის, მეხანძრე გაი მონტეგის მსგავსად, ეწვევა სურნელი. არა, მარწყვის და ჭერმის არა, როგორც მონტეგს, რომელმაც წიგნების დაწვავა უარი თქვა და სიცოცხლის რისკის ფასად შეიყვარა და შეიფარა წიგნი, არამედ მარსული ქალაქებიდან წამოსული სილამაზის, ხასხასა ფერების, სიყვარულის სურნელი. თანდათან ამხანაგების უსულგულო ლაყობა, უაზრო სიტყვათა ასევე უაზრო გაცვლა-გამოცვლა სადღაც ქრება, უფრო სწორად, ისმის, არ გამქრალა, მაგრამ სპენდერის გულამდე აღარ აღწევს. ის აცნობიერებს იმ მაგიურ ძალას, რომელიც






თან სდევს ადვილს, სახელს, ნივთს. იგი მიდის, გარბის ხომალდიდან შორს, უკაცრიელ მარსულ ქალაქში, რათა გაიგოს მისგან აბსოლუტურად განსხვავებული, მაგრამ გონიერი და მგრძობიარე ხალხის – მარსელების სულის მოძრაობა, იმ ხალხის გულს ჩასწვდეს, რომელიც აქ ცხოვრობდა, რომელმაც ეს სამყარო შექმნა. მას სჯერა სულის და სახელის მარადიულობის: „ჰოდა, თუ მკითხავთ – მჯერა თუ არა იმ საგანთა სულისა, რომელთაც ისინი ხმარობდნენ, ვიპასუხებთ, რომ – მჯერა. აი, აქ არიან ისინი – საგნები, რომლითაც სარგებლობდნენ მარსელები, მთები, რომელთაც თავიანთი სახელები ჰქონდათ და ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ ვისარგებლოთ ამ საგნებით ისე, რომ შეცბუნების გრძნობა დავძლიოთ. სახელები, რომელთაც ამ მთებს, არხებსა და ქალაქებს შევარქმევთ, ისევე არ შერჩებათ მათ, როგორც კედელს ცერცვი.“

სპენდერს არ სურს იყოს დამპყრობელი, მით უმეტეს, რომ აქ ცოცხალი დასაპყრობი აღარავინაა. დედამიწიდან მოსულ ადამიანებს, მხოლოდ დიდი კულტურის კვლავი, სულის, შემოქმედების ნაყოფთან მოუწევთ შერკინება, ეს უნდა ალგავონ მარსის პირიდან, უნდა წაშალონ ხსოვნა. სპენდერს არ მოუნდა ცინიკურად მოერგო ადამიანში ადამიანურობის დამორგუნველი ჯვალათის, მოძალადის როლი, სხვისი სულიერი სივრცის მიმტაცებლად ევლო ჯერ თუნდაც უცხო მიწაზე. იგი მიდის მკვდარ ქალაქში,

მაგრამ სინამდვილეში არ ყოფილა მკვდარი – არც ქალაქი, არც ზღვა, არც არხები... ყველგან მათი შემქმნელების კვალია, მათი ნაფიქრი, ნაგრძნობი, ნატანჯი. ისინი მარსელები იყვნენ, მაგრამ ნათელია, რომ მწერალი ადამიანებს გულისხმობდა. იმ ადამიანებს, რომლებსაც სხვა ადამიანები თავისი შექმნილის, ნაგრძნობის, საკუთარის, ნივთებში, ხელოვნების ნიმუშებში, შენობებში, წიგნებში შემონახული სულიერი სამშობლოს წართმევას უპირებენ, თუნდაც მას მერე, რაც ისინი ფიზიკურად აღარ არიან. სპენდერი იწყებს მარსელთა უძველესი დამწერლობის შესწავლას და კითხულობს მათ ვერცხლის წიგნებს. ცდილობს ამოიცნოს ფრესკათა იდუმალი მნიშვნელობა, საოცარ მუსიკალურ ინსტრუმენტთა ჟღერადობას მოუძებნოს მისთვის გასაგები ახსნა.

სპენდერი „დამპყრობ-დამანგრეველთა“ ჯან-ღონით სავსე ბანაკიდან ინაცვლებს „შემქმნელთა“ ფიზიკურად გამქრალ, მაგრამ მფეთქავ, მაინც, ყველა კანონის საწონაალმდეგოდ, ცოცხალ ბანაკში. მას უკვე აღარ აინტერესებს, სდევნიან თუ არა ყოფილი მეგობრები. მის წინ სულ სხვა სამყაროა გადაშლილი. „მან ძირს დადო ვერცხლის წიგნი, რომელსაც ბრტყელ ლოდზე მოკალათებული კითხულობდა. პაპიროსის ქალაღლივით სიფრიფანა, წმინდა ვერცხლის ფურცლები წიგნისა სევადითა და ოქროთი იყო მოხატული. ათი ათასი წლის წინათ დაწერილ ამ ფილოსოფიურ თხზულებას იგი მარსული დაბის



ობის ნათელით გაბრწყინებული, აგრესიიდან დაკლილი ცხოვრება, რომელიც მან აქ, ამ გამჭრალი ცივილიზაციის ნაშთებიდან შეიქმნო. და, რაც მთავარია, სპენდერი უკვე თავის სამშობლოდ გრძნობს ამ მიწას, რომელმაც მას თავისი სიბრძნე გაუზიარა და რომელზეც ახლა „სხვა ხალხის ფრიაბული“ ისმის და სწორედ ეს მშობლიურის განცდა აიძულებს შორიდან მოსულ უცხოს – სპენდერს თავი გასწიროს უკვე სამშობლოდ ქცეული მარსის სულის შესანარჩუნებლად, ამით იგი თავის თავში გადაარჩენს ადამიანს.

ერთ-ერთ ვილაში წააწყდა. ძალიან დაენანა ახლა მისი გვერდზე გადადება.“ სპენდერს არ სურს მოწყდეს ამ ახლადამოჩენილ, მაგრამ უკვე საკუთრად ქცეულ სამყაროს. არადა, სდევნიან, ესვრიან, სურთ გაანადგურონ, მისივე ყოფილ მეგობრებს, რადგან მათთვის ის, ვინც ამ სამყაროს მათ ჭკუაზე „გადაკეთებას“, მათ ზრახვებს ხელს უშლის, ის, ვინც ყველას არ ჰგავს და ყველასავით არ ფიქრობს, მტერია.

სპენდერმა შეიქმნო, რომ მარსელებმა შეძლეს ხელოვნების შერწყმა ცხოვრებასთან. ერთ თარგზე მოჭრილი საზოგადოების უნიფიცირებულ წევრებს – მის ყოფილ ამხანაგებს - კი ამის არც გაგება შეუძლიათ და თუ შეუძლიათ, სულაც არ აძლევთ ხელს. სპენდერი ცდილობს აუხსნას კაპიტანს, თუ რა მშვენიერია ხელოვნების, სულიერების, ზნეობრი-

სპენდერს კლავენ. იგი ხელს უშლიდა ექსპედიციას. მაგრამ მან მაინც მოასწრო პაწაწინა მარცვალის ჩაეგლო კაპიტანის გულში: „მეორე დღეს ერთ-ერთ მკვდარ ქალაქში პარკჰილი მიზანში სროლით იქცევა თავს – თხემებს აცლიდა ნატიფ, მყიფე კოშკებს და ბროლის ფანჯრებს ნიშანში იღებდა. კაპიტანმა პარკჰილი დაიჭირა და კბილები დააყრევინა.“

აგრესიაა, მაგრამ მაინც რეაქციაა, თითქმის ადეკვატური. იქნებ სწორედ ასეთი რეაქცია სჭირდება იმას, ვინც სხვის სამყაროს ითვისებს, ანგრევს ნატიფ ოცნების კოშკებს, ფეხქვეშ თელავს ფერად ტილოებს, წვავს წიგნებს და ანადგურებს სხვის სამშობლოს, ამით კი სპობს საკუთარ თავში უმთავრესს – სულს.



ინგა მილორაჟა

დაამთავრა 55-ე სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ნიკო ლორთქიფანიძის მხაგრულ დროსა და სივრცეზე და სადოქტორო – მოდერნისტულ მოთხრობაზე. მუშაობს შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში და თსუ-ში. არის სამეცნიერო შრომების, ლიტერ-

ატურული წერილების, მოთხრობების, ლექსების, მლაპრების ავტორი. აქვს რამდენიმე წიგნი.

ძალიან უყვარს ფანტასტიკა. ჯერ ცოცხალია და არ იცის როდის მოკვდება და საერთოდ თარიღებს და რიცხვებს ყურადღებას არ აქცევს და არც წერს. სიცოცხლე დროსა და სივრცეში უჩარხოთ ფანტასტიკური ამბავია.



თამარ კოტრიკაძე

რეი ბრედბერის „ბაბუაწვერას ღვინო“ – სელასლა აღმოჩენილი ამერიკა

თავისი ვრცელი მოთხრობა თუ მცირე რომანი „ბაბუაწვერას ღვინო“ ამერიკელმა მწერალმა რეი ბრედბერმა 1957 წელს გამოაქვეყნა. ეს ავტორი, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო ფანტასტიკის ბრწყინვალე ნიმუშებითაა ცნობილი, თუმცა ვინც კარგად იცნობს ბრედბერის შემოქმედებას, დამეთანხმება, რომ ფანტასტიკის ჟანრული ელემენტები მისთვის მხოლოდ სათქმელის უკეთ გამოხატვის საშუალებაა, – ერთ-ერთი საშუალება.

ამის საუკეთესო საბუთი ამ ავტორის არაერთი, ეგრეთ წოდებული, „რეალისტური“ მოთხრობა და, პირველ რიგში, სწორედ „ბაბუაწვერას ღვინო“ გახლავთ: ის არც კოსმოსურ მოგზაურობებზე გვიამბობს, როგორც დაუვიწყარი „მარსის ქრონიკა“ (თუმცა ეს ნაწარმოებიც, ჩემი აზრით, უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ფანტასტიკური), არც ანტიუტოპიას წარმოადგენს, როგორც შემზარავი „451 გრადუსი ფარენჰაიტით“. ეს წიგნი 12 წლის ილინოისელი ბიჭის, დაგლას სპოლდინგის, ზაფხულია, – თავიდან ბოლომდე, დღითიდღე მოთხრობილი.

და მაინც, ბრედბერის შემთხვევაში, ჟანრულ-სტილისტური დეფინიციისათვის სრულიად არასაკმარისია ვამტკიცოთ, „ბაბუაწვერას ღვინო“ მხოლოდ იმიტომაა რეალისტური პროზაული ნაწარმოები, რომ მასში, ერთი შეხედვით, არაფერი ფანტასტიკურ-ზღაპრული არ ხდება. შესაძლოა, ეს ნაწარმოები სწორედაც რეალურსა და ფანტასტიკურს შორის ზღვარის წასაშლელად იყოს დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, მისი კითხვისას ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენებიც კი ჯადოსნურ ხიბლსა და იდუმალებას იძენს. პერსონაჟთა, და თავად ავტორის მიერ სამყაროს ხედვა, გარკვეულწილად, სიურეალისტურიცაა: აქ რეალობის მიღმა ყოველ ნაბიჯზე სხვა, მიღმიერი სინამდვილე გამოსჭვივის. დაგლასსა და მის ძმასთან, ტომთან ერთად სიცოცხლე არა მხოლოდ ბავშვურად გვიხარია, არამედ გვიყვარს კიდევ, მისი როგორც ნათელი, ისე ბნელი მხარეებით: არა მხოლოდ მოზუზუნე ყვავილებიანი მდელო და გრილი ჭალა, არა მხოლოდ მზის გულზე მთვლეშარე პატარა ქალაქი, – მანსარდებიან-აივნები-

ანი „ერთსართულიანი ამერიკის“ მთელი ეს სილალე და სიმშვიდე, – არამედ ის ბნელი ხევიც, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ათას საფრთხეს რომ იტევს და უღმობელ „მემენტო მორი“-ვით რომ სერავს ქალაქის სიმყუდროვეს.

„ზაფხულის ბიჭები, ფენმარდად მრბოლელები!“ – ამ შეძახილს დაადევნებს ავტორი ბავშვების უსწრაფესად ჩამოქროლილ და წაშში გაუჩინარებულ გუნდს. დინამიურობითა და სიცოცხლის ხალისით დამუხტული რიტმი, რომელიც ძალაუნებურად მკითხველზეც გადადის, ისევეა დამახასიათებელი ბრედბერის მთელი შემოქმედებისათვის, როგორც პოეტური მეტაფორებით გამდიდრებული სტილი, რომელზედაც თითქმის ყველა კრიტიკოსი ამხვილებს ყურადღებას. ორივე ეს ნიშანი მთელი შესაძლო სისრულით იჩენს თავს „ბაბუაწვერას ღვინოში“.

აი, როგორ აღწერს ავტორი ბუნებისა და ცივილიზაციის მარად ჭიდილს: „ბალახისა და ყვავილების თვალუწვდენი ზღვის ლივლივა ზედაპირი წელიწადის დროთა ცვალებადობასთან ერთად შორი მინდვრებიდან აგორებულ ტალღებად აწყდებოდა ქალაქს. ღამ-ღამობით ვერანი მიდამო და ხასხასა მღელო ჩაიღვრებოდა ხოლმე ხევიში, როგორც მდინარის კალაპოტში, მიუყვებოდა მას, თან მიჰქონდა ბალახისა და წყლის სუნი და საბოლოოდ ტბორავდა ქუჩებს. ქალაქს ყველანაირი სიცოცხლის ნიშანწყალს ართმევდა და მიწასთან ასწორებდა. და ყოველ დილით აღმოჩნდებოდა, რომ ხევი კიდევ ერთ სოლად შეჭრილა ქალაქის სხეულში, გარაჟებს ჩაყლაპვით ემუქრებოდა, ზვირთებზე მოტივტივე ნავებივით ნთქავდა წვიმისა და, მაშასადამე, ჟანგისათვის მსხვერპლად შეწირულ ძველ მიტოვებულ ავტომანქანებს“. ეს სტრიქონები ავტორს ჭეშმარიტ პოეტად წარმოგვიჩენს – პოეტად, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე პროზას წერს.

ამასთანავე, ძალზე მკაფიოდ იკვეთება პროვინციული ცხოვრების ისეთი ხედვა, რომელშიც უშეცდომოდ ამოვიცნობთ „მარსის ქრონიკის“ ავტორს: იგი არასოდეს გვავიწყებს თავისი ფილოსოფიის უმთავრეს იდეას: იმას, რომ თითოეული საგანი თუ არსება უსასრულო კოსმოსური მთლიანის ნაწილია, მის სუნთქვასა და მაჯისცე-

მაშია ჩართული: „...უკვე მართლაც ღამდებოდა ამ პატარა ქუჩაზე, პატარა ქალაქში, ღიდ შტატში, უზარმაზარ კონტინენტზე, პლანეტა დედამიწაზე, რომელიც უსასრულო კოსმოსურ სივრცეში არარასკენ, ან იქნებ, რაღაც მიზნისაკენ მიექანებოდა, და ტომიც ამ უსასრულო ვარდნის ყოველ კილომეტრს შეიგრძნობდა. ის შემოსასვლელი კარის მინაში გაჰყურებდა ამ მქროლავ სიბნელეს, უცოდველი იერით თავს რომ იკატუნებდა, აქაო და უძრავად ვარო. თვალებს თუ მოხუჭავდი და წამოწვებოდი, მაშინღა გრძნობდი შენი საწოლის ქვეშ სამყაროს ტრიალს...“

სამყაროს პოეტურ და ფანტასტიკურ ხედვასთან ერთად ბრედბერი მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტის მეშვეობით ქმნის საკუთარ განუმეორებელ მითოსს. ეს მესამე ელემენტი ავტობიოგრაფიულობაა, რომელიც მხოლოდ იმით როდი გამოიხატება, რომ წიგნის მთავარ პერსონაჟს ავტორის მეორე სახელი ჰქვია, არც იმით, რომ აქ აღწერილი „გრინტაუნი“ – მწვანე ქალაქი – ავტორის მშობლიური უოკიგანის ტყუპისცალია. პერსონაჟის შინაგანი ცხოვრება, მისი გრძნობები ისეთი ფსიქოლოგიური სიზუსტითაა აღწერილი, რომ ცხადზე ცხადია: ავტორი საკუთარი სიყმაწვილის განცდებს გვიამბობს. თუ რაოდენ ეძვირფასება მას ეს განცდები, ამაზე ის ფაქტი მოწმობს, რომ ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდგომ, 2007 წელს, ბრედბერი კვლავ დაუბრუნდა გრინტაუნს და გამოსცა „ბაბუაწვერას ღვინის“ გაგრძელება, წიგნი სახელწოდებით „მშვიდობით, ზაფხულო“ („Farewell, Summer“), რომლის მოქმედებაც მომდევნო წლის ზაფხულის მიწურულს ხდება.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ავტობიოგრაფიულობა, ამ შემთხვევაში, დოკუმენტურობას არ ნიშნავს, რადგან შეუძლებელია, ერთმა ზაფხულმა ამდენი მნიშვნელოვანი და არაორდინალური მოვლენა დაიტიოს. თუმცა ტექსტში პირდაპირ არის დასახელებული თარიღი, 1928 წელი, მაინც გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს აქ კონცენტრირებული, შემჭიდროებული სახითაა თავმოყრილი რამდენიმე წლის ამბები, ყოველი წუთი უძვირფასესი შინაარსითაა გაჯერებული, ყოველივე უმნიშვნელო – უკუგდებული. ემპირიული რეალო-

ბის სწორედ ამგვარ კონცენტრირებაში მდგომარეობს მითოსის არსი.

მთავარ პერსონაჟსა და ავტორს შორის, ერთი შეხედვით, შეუსაბამობას ქმნის შემდეგი მომენტი: ბრედბერი არაერთხელ აღნიშნავს, რომ მის ცხოვრებაში იმთავითვე უდიდეს როლს თამაშობდა ლიტერატურა, მისი სიყმაწვილე წიგნების სამყაროში მიმდინარეობდა. თვითონ ცხრა წლის ასაკიდან დაიწყო წერა. აი, რას ამბობს ის ერთ-ერთ ინტერვიუში: „ყოველ ვერნი მამაჩემი იყო. ჰერბერტ უელსი – ჩემი ბრძენი ბიძა. ჩვენი სახლის სხვენში ბინადრობდა ჩემი ლამურისფრთიანი ბიძაშვილი ედვარდ ალან პო. ალბათ, ზედმეტიც კია იმის თქმა, რომ დედად „ფრანკენშტეინის“ ავტორი მერი ფულსტონკრაფტ შელი მიმაჩნდა“. ასეთი შთაბეჭდილი სურათის საწინააღმდეგოდ „ბაბუაწვევრას ღვინოში“ წიგნის ხსენება საერთოდ არ არის, ბავშვები სრულიად ჩვეულებრივ (თუმცა დარბაისლურად პატრიარქალურ) ოჯახში, ჩვეულებრივი ნათესაების, პაპა-ბებიების, ბიძებისა და დეიდების გარემოცვაში იზრდებიან, დიდიდან დაღამებამდე დაქრიან და დაძვრებიან და, როგორც ჩანს, არანაირ საკითხავს სათოფეზეც კი არ ეკარებიან. ერთ მშვენიერ დღეს მალაზიის ვიტრინაში გამოფენილ წიგნებს, კალმებსა და რვეულებს „სხვა სამყაროდან მოვლენილ საგნებად“ და ზაფხულის დასასრულის უტყუარ ნიშნებად აღიქვამენ. ზაფხული ის დროა, როდესაც არაფერი იცი, არაფერზე ფიქრობ, უბრალოდ ხარ, აგროვებ შთაბეჭდილებებს, რათა შემდგომში გაიხსენო და გააცნობიერო. და მაინც, ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური მომენტი ავტორს მის პატარა ორეულთან აკავშირებს: ესაა საგანგებო, „ნიკელის ყდინი ყვითელი ბლოკნოტი“, რომელშიც დაგლასი ყველა ფასეულ მოვლენას აფიქსირებს და მასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებასაც აღწერს, რითაც ერთდროულად მწერლადაც გვევლინება და ფილოსოფოსადაც.

ზაფხული, საბოლოოდ, წიგნის მთავარ სიმბოლოდ გვევლინება: ის თავად ბავშვობაა – ის ედემის ბაღი, სადაც პიროვნება ლაღად და უღარდელად მწიფს მომავალი ცხოვრებისათვის მზადებაში.

ამ გზისათვის აუცილებელ ბიძგად უნდა ჩავთვალო-

თ მომენტი, როდესაც მამასთან და ძმასთან ერთად ტყეში სეირნობისას დაგლასს თითქოს თვალები აეხილება და ის პირველად გააცნობიერებს, რომ ცოცხალია. ბიჭი გაცოცხლებულია იმით, რომ ეს აქამდე არასოდეს შეუნიშნავს. ეპიზოდი, როდესაც სამივე ტყის მწვანე ჩრდილში მიმოდის და კენკრას აგროვებს, ძალზე ნატიფი ფსიქოლოგიური ნიუანსებით არის გადმოცემული: მამა საკუთარი ფანტაზიებით ართობს და აინტრიგებს ბიჭებს, ცდილობს, მათი ყურადღება ბუნების დიდ და მცირე საოცრებებზე შეაჩეროს; ათი წლის ტომი მამას ყველაფერში ეთანხმება, მოვლენებს მისი თვალებით უყურებს, ხოლო მასზე ორი წლით უფროსი დაგლასი, რომელშიც უკვე პიროვნება იღვიძებს, მათ ერთსულოვნებას ვერ იზიარებს, მას უკვე ყველაფრის საკუთარი ხედვა აქვს, თანაც დღეს იგი მარტოა რაღაც დიდისა და მნიშვნელოვანის მოახლოების მოლოდინში:

„დაგლასი გაყურდა და მიაყურადა.

ჰო, რაღაც უნდა მოხდეს, გაიფიქრა, ნამდვილად ვიცი!

– აქ გვიმრავა, – ვედროს ჟღარუნით გვერდზე ჩაუარა მამამ, – გრძნობთ ამას? – მიწას დაჰკრა ფეხი, – აქ მილიონი წლის მანძილზე ნაგროვები ნეშომპალა ფენია. წარმოიდგინეთ, რამდენ ფოთოლცვენას უნდა ჩაეველო, ვიდრე ეს პოხიერი ნიადაგი მომზადდებოდა!

– აუ, ინდიელივით დავდივარ, – თქვა ტომმა, – რბილად და უხმოდ.

დაგლასმაც მოსინჯა, მაგრამ ვერ იგრძნო მიწის სირბილე. გაფაციცებული, ყურს უგდებდა არემარეს. ალყაში ვართ! გაიფიქრა. აი, ახლა უნდა მოხდეს! ნეტავ რა? ბიჭი გაიჭრუნა. გამოდი, სადაც ხარ, ვინცა ხარ! დაიყვირა უხმოდ.“

ვიდრე დაგლასი გარინდულია და გაფაციცებით ელის ამ გამოუცნობის მობრძანებას, მამა და ტომი კი გამუდმებით ხელს უშლიან ყურადღების კონცენტრირებაში, გამოუცნობი არ მოდის. მაგრამ, აი, ტომთან ხმაურიანი, აქოშინებული ჭიდაობის წუთებში დაგლასს ერთბაშად ტალღასავით გადაეველება თავზე ის, რასაც მთელი დღე ელოდა: მე ცოცხალი ვარ. ამ, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო აღმოჩნით, რაც სინამდვილეში საკუთარი თავის პოვნას ნიშნავს, დაგლასი აღმოაჩენს

მთელ სამყაროს, რომელმაც ახლა „თვალების მომრგვალებული მინის გასწვრივ ჩაუქროლა ჯადოსნურ სფეროში მოციმციმე გამოსახულებასავით“. დაგლასის შეგრძნებები იღვიძებს, მისთვის ბალახი ჩურჩულს იწყებს, ქარი – ოხვრას, „ყვავილები თურმე მზეები ყოფილან, თუ ზეცის მოელვარე ნაგლეჯები, ვიღაცის ხელს უხვად რომ მიმოფანტა ტყის მდელოზე“.

სწორედ ამ დღეს იწყებს დაგლასი ყვითელ ბლოკნოტში მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული განცდების აღწერას. ბლოკნოტს ორ ნაწილად ჰყოფს, პირველს ასათაურებს „რიტუალები და ცერემონიები“ („Rites and Ceremonies“), ხოლო მეორეს „აღმოჩენები და გამოცხადებანი“ („Discoveries and Revelations“). პირველში ზაფხულის ყოველწლიურად გამეორებული აუცილებელი ატრიბუტებია ჩამოთვლილი: ვერანდაზე საქანელის ჩამოკიდება, ბალახზე შიშველი ტერფებით პირველი გარბენა, სპორტული ფეხსაცმლის ყიდვა, პირველი კოდოს ნაკენი... ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი კი ოჯახის უხუცესის, პაპას ხელმძღვანელობით ბაბუაწვერას ღვინის დაწურვაა.

ბაბუაწვერას ყვავილისაგან სასმელის დამზადება დაგლასის ოჯახში ყოველწლიურ ტრადიციად ქცეულა. თვით ეს ყვავილი თავისი მჭახვე ფერით თითქოს მზის ენერჯის კონცენტრირებას ახდენს. ყვითელი ფერი ლაიტიმოტივად მეორდება ნაწარმოებში და მთელ მის ტონალობას განსაზღვრავს. ბაბუაწვერას სასმელი საკუთარ თავში ინახავს ზაფხულის ფერსაც, გემოსა და სურნელსაც, – და, რაც მთავარია, მის სულს – და ზაფხულით სიმბოლიზებული ბავშვობის კიდევ ერთ, ძალზე ტევად სიმბოლოდ გვევლინება. ეს ზღაპრული ბანგია, ბედნიერი წუთების შეჩერებისა და დაბრუნების საშუალება, ნებისმიერ დროის მანქანაზე უფრო ეფექტური.

ყვითელი ბლოკნოტის პირველ განყოფილებაში გაკეთებულ ჩანაწერს: „ამ ზაფხულს მამამ პირველად 24 ივნისის დილით გამტყიპა“ შეესაბამება „აღმოჩენების“ განყოფილებაში მოთავსებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბავშვები და უფროსები ორ სხვადასხვა მოდგმას ეკუთვნიან და ერთერთს ბოლომდე ვერასოდეს გაუგებენ.

ალბათ, ძნელი არაა დაგლასის ბლოკნოტში თვით „ბაბუაწვერას ღვინის“ პირველი მონახაზის ამოცნობა. ჩვენს წინაშეა, გარკვეულწილად, წიგნი წიგნში; წიგნი საკუთარი შექმნის ამბავს მოგვითხრობს. მას თავისუფლად შეგვიძლია, „აღმოჩენათა წიგნი“ ვუწოდოთ, რადგანაც ახლად თვალახელილი დაგლასი ჩვეულ, განმეორებად რიტუალებსაც კი სრულიად ახლებურად აცნობიერებს.

იმის აღმოჩენას, რომ ცოცხალი ხარ, ფეხდაფეხ მოსდევს სხვა აღმოჩენაც: რომ ადამიანი მოკვდავია, რომ ძვირფასმა ადამიანმა შეიძლება მიგატოვოს ან გარდაიცვალოს... აქ ვაწყდებით ნაწარმოების და, ზოგადად, ბრედბერის მსოფლმხედველობის, უმთავრეს ტრაგიკულ კონფლიქტს: ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისის, ტენდენციის თუ მიმართულების მტკივნეულ ჭიდილს. ისინი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სიცოცხლე და



სიკვდილი, ძველი და ახალი, წარსულის ნოსტალგია და მომავლისაკენ სწრაფვა ან, თუნდაც დაგლასის ტერმინებით, როგორც რიტუალი/ტრადიცია და აღმოჩენა/გამოცხადება. ბრედბერი მუდამ უმძიმესად განიცდის სინამდვილის ყველა სფეროში ძველის კარგვას, ქრობას, ახალი, ხშირად საეჭვო ფასეულობებით შეცვლას. ბრედბერი, კონსერვატორია, ამ სიტყვის კარგი გაგებით, და სწორედ ამით გამოირჩევა თავისი თანამოძმე ფანტასტებისგან, სწორედ ამის გამოა ის არა მხოლოდ კარგი მთხრობელი, არამედ ფაქიზი სულის ღრმა მოაზროვნეც. მისთვის იდეალურია ისეთი სამყარო, სადაც ტექნიკური პროგრესის ხარჯზე არ ნადგურდება ბუნებისა და ადამიანური სულის სიმდიდრეები; სადაც ადამიანი შეიძლება თავისი ფიციური სახლის წინ მოლს კრეჭდეს და, ამავედროულად, ცაში გაელვებულ, უშორესი პლანეტისაკენ მისწრაფებულ რაკეტას აპყურებდეს; სადაც რელიგია, მეცნიერება და კულტურა ერთურთთან ჰარმონიულადაა შერწყმული. სწორედ ასეთი იდეალის სახითაა წარმოდგენილი „მარსის ქრონიკაში“ ადამიანთა მიერ განადგურებულ მარსის მკვიდრთა ცივილიზაცია. ჩვენთან კი...

დაგლასი მტკივნეულად განიცდის პატარა ქალაქის ლამაზი, მყუდრო და ეკოლოგიურად სუფთა ტრამპაის ავტობუსით შეცვლას, დიდი ბებიისა და მოხუცი პოლკოვნიკი ფრილაის გარდაცვალებას. მისთვის სიანხლეა ის, რომ მატარებელმა, რომელიც ყოველდღე გადის პატარა სადგურიდან, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება საშუალოდ სხვა ქალაქში წაიყვანოს მისი საუკეთესო მეგობარი. ბრედბერი საგულისხმო ფაქტზე მიგვივითობს: ბავშვებს, ვისაც ბუნებრივად, ფიზიოლოგიურად გააჩნიათ მომავლისაკენ, ახლისკენ, ზრდისკენ სწრაფვა, ამავედროულად ახასიათებთ შინაგანი პროტესტი ყოველგვარი ცვლილების მიმართ, მათ არ სურთ ჩვეული, ძვირფასი წესრიგის შეცვლა, არ სურთ იმ ედემის ბაღიდან გამოსვლა, სადაც თავს მყუდროდ გრძნობენ. ამას შეიძლება პიტერ პენის სინდრომი ვუწოდოთ, – ბავშვი, რომელსაც არ სურს გაიზარდოს. „ბაბუაწვევრას ღვინოზე“ ბევრად უფრო მძაფრად ეს მომენტი წარმოდგენილია ბრედბერის

მოთხრობაში „მარადი გაზაფხულის დღეებში“, სადაც არსებითად იმავე პერსონაჟსა და გარემოცვას ვხვდებით. მოთხრობაში ბიჭი უარს ამბობს საკვების მიღებაზე, რადგან გრძნობს, რომ საკვებთან ერთად მასში შემოდის რაღაც უცხო, თავად მასაც ახალ, უცხო არსებად რომ გარდასახავს. „მათ სურთ შემცვალონ“, – ამ სიტყვებით ის მთელი ძალით ეწინააღმდეგება გარე სამყაროს შემოტევას და თვითგანადგურების ზღვარსაც კი აღწევს. მხოლოდ თანატოლ გოგონასთან დაახლოების, მამასადამე, პირველი ეროტიკული განცდის წყალობით ხდება მასში შემობრუნება სიცოცხლისაკენ და იგი დასტურით ხვდება მის არსებაში შემოსულ სამყაროს.

დაგლასს ჯერ წინ აქვს ამგვარი გარდატეხა, ის უფრო მშვიდია და უფრო მიზანსწრაფულიც. ბედისწერის გარდუვალობას იგი უფრო პრაქტიკული – ან, უფრო პოეტური – ხერხით ებრძვის: სათამაშო აპარატების დარბაზიდან იტაცებს მისანი მადამ ტაროს ცვილის ფიგურას, რომელიც ჯერ კიდევ პაპამისის ბავშვობაში ხურდაფულის ფასად ბანქოს ბარათებზე დაწერილი წინასწარმეტყველებებით აშინებდა ან ანუგეშებდა მსურველებს, ახლა კი, რახანია, მწყობრიდან გამოსულა და მტვრით დაფარულა. დაგლასს სწამს, რომ ცვილისა და მტვრის საფარქვეშ ცოცხალი მოჯადოებული მადამ ტარო იმალება. ფიგურის ხელიდან გადმოვარდნილ ცარიელ ბარათზე ბიჭის წარმოსახვა ბედნიერი და უსასრულო სიცოცხლის დაშიფრულ წინასწარმეტყველებას ამოიკითხავს, სიკვდილის აჩრდილი უკან იხევს, დამშვიდებული დაგლასი კი კვლავაც განაგრძობს სამყაროს უდარდელ ხალისიან შეცნობას.

ბრედბერისეული დიალექტიკის ფარგლებში ბავშვის ხედვას მუდამ გვერდით უდგას და უპირისპირდება მოხუცის ხედვა. წიგნის დასასრულს ბიჭები პაპასთან ერთად პარმალიდან გადაპყურებენ არემარეს და ჰაერს ყნოსავენ. „ზაფხული მიდის“, – ჩაესმით მათ მოხუცის მშვიდი, ფატალისტური განაჩენი. იგივე მოტივი უმძაფრესი შთამბეჭდაობითაა წარმოდგენილი მოთხრობაში „შეიძლება მივდივართ“, რომელსაც უფრო უპირიანი იქნება, პოეტური ჩანახატი ვუწოდოთ. აქ ინდიელთა ერთ-

ერთი ტომის ორი წარმომადგენელი, უხუცესი და ყველაზე უმცროსი, პაპა და ბიჭი, ზუსტად ასევე გაჰყურებენ არემარეს, ჰაერს ყნოსავენ და იმის გარკვევას ცდილობენ, თუ საიდან უახლოვდებათ რაღაც ახალი, გამოუცნობი, რასაც მათ გარდა ჯერ სხვა ვერავინ გრძნობს. მოთხრობა იმ დღის შესახებ გვიამბობს, როდესაც ევროპელებმა პირველად შემოდგეს ფენი ამერიკის კონტინენტზე, რაც ინდიელებისათვის საკუთარ მიწაზე მშვიდი ცხოვრების დასასრულსა და მრავალ მომავალ ტანჯვა-წამებას მოასწავებდა. აქ კვლავაც და უფრო მასშტაბურადაა გათამაშებული ზაფხულის სიმბოლიკა:

„ჩიტები, უეცრად დაიყვირეს მოხუცის ხელებმა, ჩიტები სამხრეთისკენ მიფრინავენ! ზაფხული დამთავრდა!

არა, უთხრეს ბიჭის ხელებმა, ზაფხული ახლა დაიწყო. ჩიტებს ვერ ვხედავ!

ისე მალლა არიან, რომ მხოლოდ ბრმა ხედავს მათ მოძრაობას. გულს უფრო ჰფენენ ჩრდილს, ვიდრე მიწას. ჩემი სისხლით შევიგრძნობ სამხრეთისაკენ მათ ქროლვას. ზაფხული მიდის. შეიძლება, ჩვენც გავყვეთ. შეიძლება, უკვე მივიღვართ.

არა! დაბრუნდით! შესძახა ბიჭმა ცარიელ ზეცას, უხილავ ჩიტებს, უჩრდილო ჰაერს. ზაფხულო, დარჩი!


აზრი არა აქვს, უთხრა მოხუცის ეულმა ხელმა, თავისით რომ მოძრაობდა. ვერც შენ, ვერც მე და ვერც ჩვენი ხალხი ამ ავდარს ვერ შევაჩერებთ.

ახალი დროება მოდის ამ მიწაზე სამუდამოდ დასამკვიდრებლად...“

ზაფხულის ბოლოს დაგლასი და ტომი კიდევ ერთ სრულიად მოულოდნელ აღმოჩენას აკეთებენ: ამდენი დაუვიწყარი წვრილმანით დახუნძლული ზაფხულის დღეები პაპასთვის თურმე სრულიად ერთფეროვანი, ერთურთისგან არაფრით გამორჩეული ყოფილა. მოხუცს ყველა აღმოჩენა, რა ხანია, უკან მიტოვებული და მივიწყებული აქვს. ჩვენც ახლავ ვხვდებით, რომ „ბაბუაწვერას ღვინოში“ არ არის ერთი გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი, ამბავი, თავგადასავალი. შეიძლება კიდევ გაავიჭირდეს ამ წიგნის შინაარსის გადმოცემა. ეს ჩვეულებრივი ან ჯადოსნური ეპიზოდების წყებაა. ეს ზაფხულიც და მომავალი ზაფხულებიც

თითებს შორის ქვიშად ჩაეფშვნიტებათ წამოზრდილ ბიჭებს. მაგრამ, ამავე დროს, ზაფხულის ყოველი დღე სარდაფში მწყობრად დალაგებულ ბაბუაწვერას ღვინის ბოთლებში იქნება შემონახული. „გახედავ ჭურჭელში ზამთრის დღეს და დამდნარი თოვლი წამში ბალახად გადაიქცევა, მიშველი ხეები ჩიტებით, ფოთლებით, ყვავილებით დაიხუნძლება, – თითქოს ყველაფერს პეპლების ფარფატით აღძრულმა ზღაპრულმა სიომ შემოუქროლაო.“

დროის უღმობელ დინებასაც ჩვენთვის ნაბობები უდიდესი ჩვეულებრივი სასწაულით თუ შეგებრძოლებით: განცდას მოგონებად ვაქცევთ, მოგონებას კი – შემოქმედებად და ამ მნიშვნელობასაც საკუთარ თავში ბაბუაწვერას ღვინის სიმბოლო იტევს: უკვე არა ბოთლში, არამედ წიგნში დამწყვდეული განცდა, რომელიც მრავალი წლის შემდეგაც კი სულში ყვითელ, ბაბუაწვერისფერ, მზისფერ ლაქად დაგვრჩება.





ლევან გელაშვილი

ფანტასტიკა, რობორც ჟანრი

ლიტერატურის განსაზღვრება მეტად მრავალფეროვანია. არისტოტელესეული შეფასება დღემდე ძალაშია: „ისტორიკოსი და პოეტი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ პირველი ნამდვილად მომხდარს აღწერს, მეორე კი იმას, რაც შეიძლება მომხდარიყო“. ფანტასტიკა, როგორც ლიტერატურის ჟანრი, ამ მხრივ ყველაზე უკიდურესი მიმართულებაა. ეს არის ამბების თხრობა, რომელიც არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო რეალობაში, მაგრამ წარმოსახვით სამყაროში შეიძლება განხორციელდეს. მიუხედავად ამისა, ფანტასტიკა მაინც ადამიანურ აღქმის უნარს ვერ აღემატება და ადამიანურ არსებობას ასახავს. წარმოსახულიც და რეალობაც ადამიანური პრიმატით არის აღბეჭდილი, ის არსებობს ჯერ გონებაში შეზღუდული ფორმით, ადამიანური წარმოსახვების იქით, არაფერი არ არსებობს და ეს არაფერიც ადამიანს ვერ წარმოუდგენია. რეალობა ისაა, რასაც ადამიანური შეგრძნებების მეშვეობით აღვიქვამთ, სინამდვილეში რეალობა შეიძლება სრულიად სხვანაირია. ფანტასტიკა ესაა

არარსებულის პერსპექტიული მომავალი, ფანტასტიკა ერთგვარად შუალედური რგოლია - ემოციური ფიქრების პარალელური სინამდვილე, რომელიც ერთდროულად გვიჩვენებს ადამიანურ წარმოსახვას და ძალისხმევას. სიტყვა „ფანტაზია“ ძველბერძნული წარმოშობისაა და „წარმოსახვის ხელოვნებას“ ნიშნავს. ფანტასტიკა არარსებულის ხელოვნებაა, ეს არის დაუსრულებელი შესაძლებლობის სამყარო, როგორც წარმოსახვაში არსებული განზომილება. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანური ფანტაზია, უკვე ნანახის და განცდილის სუბლიმაციაა, რომ ადამიანი ვერაფერს ისეთს ვერ წარმოიდგენს, რაც მის ადამიანურ ხედვას აღემატება. ამ აზრით, ფანტასტიკა, როგორც რეალობის დარღვევის სულიერი ეკვივალენტი, გამოგონილ, ემოციურ გარემოში - საკუთარი ნამდვილი სახის დანახვაა. რეალობა, ყოველთვის სხვანაირია, ის ზღუდავს წარმოსახულს. შინაგანი ილუზიების და რეალურ საგანთა ფორმირების შეხვედრის წერტილი, სხვადასხვა სიბრტყეშია. ლოსევი ესეში „დუმილი“ წერს: „რეალო-

ბად“ დადგინდა მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც შეგვრძნობდათა ორგანოებისთვის მისაწვდომია. ყოველი საგნის ღირებულება, იმ უნარით განისაზღვრება, რომლითაც იგი ხელშესახებ შედეგებს იძლევა”. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტექსტში რეალობის საზღვრების დარღვევა, უკვე ფანტასტიკაა. გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაციაში“ ამბობს: „ხედვის ადამიანური წერტილი, ის წერტილია, საიდანაც ჩვენ განვიცილოთ სიტუაციებს, ადამიანებსა და საგნებს. გარდა საგნებისა, სამყარო ჩვენი იდეებისგანაც შედგება. ამ იდეებს ჩვენ ადამიანურად ვიყენებთ, როცა მათი მეშვეობით ვიაზრებთ საგნებს, მაგრამ ეს საგნები, სულ სხვანაირია წარმოსახვაში“. ფანტასტიკა ეს არის შეჯახება ნამდვილთან, როდესაც ადამიანური აღქმა ვერ ღებულობს ადამიანის მიერ წარმოსახულს, როგორც ნორმალურს და შესაძლებელს. სამყაროში, საწყისშივე რომ არ არსებობდეს რეალური და არარეალური მოდგმა, არც ფანტასტიკა იარსებებდა. ცნობილი ფანტასტიკა ბრაიან ოლდისი წერდა: „ფანტასტიკას საქმე აქვს არა ადამიანებთან, არამედ ადამიანურ მოდგმასთან და ადამიანურ მიდგომებთან, როგორც ასეთთან“.

თხზულებაში არარეალური ელემენტების გაჩენა, ვერ გახდის მას ფანტასტიკურს. ჟანრის კლასიფიკაციისთვის, მნიშვნელოვანია ჟანრული საზღვრების ჩამოყალიბება. საჭიროა გაირკვეს ფანტასტიკური ჟანრის გამომხატველი ელემენტები, რამდენად ატარებენ ძირითად დატვირთვას თხზულებაში. როდესაც ფანტასტიკური დაშვება არის ძირითადი სტრუქტურის გამომხატველი პრინციპი, მაშინ უკვე შესაძლებელია ამ თხზულების, ფანტასტიკის ჟანრისთვის მიკუთვნება. სხვა შემთხვევაში, არჩევნად გამოიყენონ ტერმინი: „ხელოვნების ფორმალური ფანტასტიკა“. ამ შემთხვევაში, საუბარი მიდის სხვა ჟანრებზე, სადაც ფანტასტიკური დაშვება, დამატებითი დამხმარე ელემენტია ავტორისთვის, თავის ჩანაფიქრი რომ გახსნას. ეს ელემენტი არ ახდენს ძლიერ გავლენას იდეაზე და სიუჟეტზე. კონცეფცია ასეთია: არსებობს ფანტასტიკა-მიზანი და ფანტასტიკა-საშუალება. წლების განმავლობაში, ეს კონცეფცია იყო ფანტასტიკის ჟანრის განმსაზღვრელი. ამ კონცეფციამ ჩამოაყალიბა ორი შეხედულება ფანტას-

ტიკაზე. პირველი, ტრადიციული შეხედულებით, ფანტასტიკა არის ხელოვნების და ლიტერატურის ჟანრი. მეორე შეხედულებით, ფანტასტიკა არის მხოლოდ მხატვრული ხერხი და მეთოდი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ბორის სტრუგაცკის აზრით, თხზულებაში არაჩვეულებრივი ელემენტის შეტანით, ფანტასტიკა ხდება ფანტასტიკური.

დღემდე არ არსებობს ფანტასტიკის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ფენომენის, მკაფიო, მონოდეფინიციური განსაზღვრება. ფანტასტიკის ყველა მკვლევარი გვთავაზობს თავის თეორიას, კლასიფიკაციასა და სისტემატიზების მეთოდს. ფანტასტიკის კლასიფიკაცია, დღეს ძალზე მრავალფეროვანია, არ არსებობს ერთი კრიტერიუმი და არცაა ჰერსპექტივა, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი რამ გამოჩნდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფანტასტიკას, ტექსტის შრეობრივ არეალში მულტიფუნქციური დატვირთვა აქვს. აქედან მოდის მრავალფეროვანი ინტერპრეტაციები ფანტასტიკის ელემენტზე და მის როლზე ნაწარმოებში. ფანტასტიკის თითოეული კლასიფიკაცია, შეიცავს რაციონალურ ხედვას, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის სრულყოფილი.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ფანტასტიკად. თითქმის ყველა თანხმდება იმ აზრზე, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, დაფუძნებულია სამეცნიერო საზღვრებს შიგნით არსებულ მოცემულობის დაშვებაზე: ახალ გამოგონებაზე, ბუნების ახალი კანონის აღმოჩენაზე, საზოგადოების ახალი მოდელის შექმნაზე და სხვა. სამეცნიერო ფანტასტიკაში, მოვლენები ერთი სამეცნიერო იდეის გარშემო ლაგდება: დროის მანქანა, სინათლის სიჩქარეზე სწრაფი გადაადგილების საშუალება და სხვა. ამ ჟანრის სათავეში ჟიულ ვერნი და ჰერბერტ უელსი დგანან.

ტერმინი: „მყარი სამეცნიერო ფანტასტიკა“ (“Hard Science Fiction”) პირველად გამოყენებული იყო ლიტერატურულ რეცენზიაში Schuyler Miller-ის მიერ, 1957 წელს, ჟურნალ “Astounding Science Fiction”-ში, თებერვალის ნომერში. 1970 წელს ვ. ატელინგი წერდა ინგლისურ ტერმინზე

Science Fiction. უელსი თავდაპირველად იყენებდა ამ ტერმინს იმ მნიშვნელობით, რასაც ჩვენ დღეს მყარ, სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეშ ვგლუსხმობთ. სიტყვა რობოტი კი პირველად გამოიყენა ჩეხმა მწერალმა კარლ ჩაპეკმა. თხზულებაში: "R.U.R" ("როსუმის უნივერსალური რობოტები").

"Science Fiction"-ის ქართული თარგმანი: „სამეცნიერო ფანტასტიკა“, არ არის ზუსტი თარგმანი. თუმცა, ეს ორივე ტერმინი, ერთი მნიშვნელობით იხმარება და ერთი სახის ნაწარმოებებს გულისხმობს. სიტყვათშეთანხმება "Science Fiction" სიტყვასიტყვით გულისხმობს სამეცნიერო მხატვრულ გამოგონებას, ან მხატვრულ გამოგონებას მეცნიერების შესახებ. "Fiction"-ს, საზოგადოდ, მხატვრული ლიტერატურის, "ბელეტრისტიკის" მნიშვნელობით ხმარობენ. ფრანგულში, გერმანულში და სხვა ევროპულ ენებში, გამოიყენება ნასესხები, ინგლისური დასახელება: „სამეცნიერო ფანტასტიკა“. ზოგადად კი, ფანტასტიკის გადმოსაცემად იყენებენ ქართულის ანალოგიურ შესატყვისს – ფანტასტიკა. ფრანგული: "Fantastique", გერმანული: "Phantastik", ესპანური: "Fantástico".

ფანტასტიკის განვითარება, გარკვეულწილად დაკავშირებული იყო, მეცხრამეტე საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან. თავდაპირველად ის იყო ლიტერატურული ჟანრი, რომელიც აღწერდა მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებს, მის პერსპექტიულ განვითარებას, ხშირად – უტოპიის დისკურსში, როგორც მომავლის სამყაროს. ფანტასტიკის პირველ კლასიკად, როგორც აღვნიშნე, ჟიულ ვერნის რომანები მიიჩნევა. მეოცე საუკუნეში ფანტასტიკა, განსაკუთრებით ამერიკელი მწერლების ხელში განვითარდა. რეი ბრედბერის, აიზეკ აზიმოვას, რობერ ჰაინლაინის თხზულებებში. სადაც, ტექნოლოიურ სიახლეებთან ერთად, ფილოსოფიური საკითხებიცაა დასმული.

ჩვეულებრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ფანტასტიკის ორი მიმართულების გამოყოფა: სამეცნიერო ფანტასტიკა ("science fiction") და ფენტეზი ("fantasy"). სამეცნიერო ფანტასტიკაში "მოვლენები მეცნიერულ კანონებს ემორჩილება, რომელსაც რეალურ დროში ვიაზრებთ. ამ ჟანრის ნაწარმოებებში, უჩვეულო და საოცარი, იქმნება მატერიალური ძალებით, მეცნიერების და

ტექნიკის გამოყენებით. ფენტეზში კი, ჩვენი კულტურისთვის დამახასიათებელი, ზღაპრული პერსონაჟები არიან. ფართო გაგებით, სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს არის ფანტასტიკა, ზღაპრული და მისტიკური დისკურსის გარეშე, სადაც მოვლენის ახსნა სამეცნიერო გზით ხდება და არა ზებუნებრივის მოხმობით. თუმცა, სხვა მოსაზრებით, სამეცნიერო ფანტასტიკა თანამედროვე მატერიალისტურ-ტექნიციისტური მსოფლიოს მითოლოგიაა, ძირითადი მითოთემების დამუშავება და თანამედროვე ფოლკლორის შექმნის მცდელობა.

თანამედროვე ტექნიციისტურ ერას თავისი მითოლოგია აქვს. მაგალითად, კოსმოსური ლიფტის იდეას, მითოლოგიური საწყისები ეძებნება. სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოებების ქარგას, მითოლოგიური არქიტექტონიკა უდევს საფუძვლად. „ფრანკენშტეინი“ ამის საუკეთესო მაგალითია.

სამეცნიერი მითები მეცნიერების მიღწევებს ეფუძნება, მაგრამ მათი განვითარება ხდება სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში, რომელსაც ასევე უწოდებენ ექსპერიმენტულ ლაბორატორიას მითების შესაქმნელად. შემთხვევითი არ არის, რომ "ნასას" (ამერიკის შეერთებული შტატების აეროკოსმიურ სააგენტოს) აქვს სპეციალური განყოფილება, სადაც მწერლები მუშაობენ კონკრეტული სამეცნიერო გამოგონების, ლიტერატურაში სუბლიმირებისთვის; ამ მიმართულებით წერენ სცენარებს, რომანებს და მოთხრობებს. ხშირად, სამეცნიერო ფანტასტიკაში მოქმედება ვითარდება არც ისე შორეულ მომავალში. ბევრი მწერალი ცდილობს დედამიწის მომავალი, რეალური ასპექტებში აღწეროს, როგორც ეს სცადეს არტურ კლარკმა და სტანისლავ ლემმა. ბევრი მწერალი მომავალს იყენებს იდეის გახსნის საშუალებად, რომ წარმოაჩინოს თავის კონცეფცია მომავალი მოსფლიოს შესახებ. ხშირად მწერლები წინასწარმეტყველებენ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების უარყოფით შედეგებს და პოსტ-აპოკალიპტურ რეზულტატებს, ერთგვარად აფრთხილებენ მკითხველს. ზოგადი მახასიათებელი რომ გამოვიყოს, სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს არის სამეცნიერო დაშვება. აქ ერთვება ძირი-

თადად ტექნოლოგიური ინოვაციები, ისტორიული რეალობები, დროში მოგზაურობები, კოსმოსური მოგზაურობები და სხვა.

ცნობილი ავტორი და ფანტასტიკის მკვლევარი დ. უოლჰეიმი განასხვავებს: “science fiction”, საოცრებათა ლიტერატურას, საიდუმლო მოთხრობას (“weird fantasy”), შეუძლებელის დაშვებას, “pure fantasy”, ნონსენსს, გროტესკს და თამაშს.

ჰანლაინმა 1947 წელს შემოგვთავაზა სამეცნიერო ფანტასტიკის ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი: “speculative fiction”. ამ ტიპის ტექსტებში თეორეტიკოსი გამოყოფს ერთ საერთო თვისებას, როდესაც თხზულებაში ტექნიკური მიღწევა ადამიანური მოქმედებების მოდელირების მიზეზია.

ჩენი მწერალი ონჯეი ნეფი სამეცნიერო ფანტასტიკის შემდგენიარ კლასიფიკაციას გვთავაზობს: (1) მეცნიერული (სამეცნიერო) – წვდომის ზღვარი; (2) სოციალური – სოციალური ფილოსოფიის სიღრმე და პრობლემატიკა. (3) ფანტასტიურობა – მწერლის დამაჯერებლობა და ოსტატობა ფანტასტიური გამომსახველობის განფენილობაში.

ჯონ კლუტიმ შემოგვთავაზა გამოვიყენოთ სამეცნიერო ფანტასტიკის, ფენტეზის, ფანტასტიკური ჰორორის და სხვა ქვეჟანრების აღსანიშნავად გამართიანებელი ტერმინი “fantastika”.

ზოგი მკვლევარი ფანტასტიკას ყოფს: სამეცნიერო ფანტასტიკად, მითოლოგიური ფანტასტიკად და ფუტოროლოგიის ქვეჟანრებად: მყარი სამეცნიერო ფანტასტიკა და სოციალური ფანტასტიკა. ქრონოფანტასტიკა, ალტერნატიული-ისტორიული ფანტასტიკა და აპოკალიპტური ფანტასტიკა, პოსტაპოკალიპტური ფანტასტიკა. უტოპია, ანტიუტოპია, კოსმიური ოპერა, კიბერფანტასტიკა, სტიმპანკი, დიზელპანკი, ტექნოფენტეზი და სამეცნიერო ფენტეზი.

ზოგიერთ ენციკლოპედიაში ჟანრის შემდეგ კლასიფიკაციას ვხვდებით: ზისტი სამეცნიერო ფანტასტიკა, ნამდვილი სამეცნიერო ფანტასტიკა, ტექნოლოგიური სამეცნიერო ფანტასტიკა, რბილი ან ჰუმანიტარული სამეცნიერო ფანტასტიკა, უტოპია, ანტიუტოპია, რომანი-გაფრთხილება და სხვა. ფენტეზი (“fantasy”) იყოფა: ზღაპრული, მითოლოგიური, საგმირო, შავი, საშინელებათა, ჯა-

დოქრული თამაშის და ოცნების ფანტასტიკად. ჯ.კლუტი ენციკლოპედიაში “The Encyclopeda of Science Fiction” ფანტასტიკის ქვეჟანრებს გამოყოფს: დაკარგული სამყარო, ჰიპერპანკი, კოსმოსური ოპერა, სამეცნიერო ფენტეზი, ახალი ტალღა, პლანეტარული ფანტასტიკა, სტიმპანკი, პირობითი ფანტასტიკა და სხვა. დროდადრო ფანტასტ მწერლებს შორის იბადება, ახალი ჟანრული მარკერები და ელემენტები, რის გამოც სუბჟანრების კლასიფიკაცია იცვლება ხოლმე.

თითქმის ყველა კლასიფიკაციაში ფენტეზი ცალკე ქვეჟანრად არის გამოყოფილი. XX საუკუნეში გაჩნდა თეორია, რომ სამყაროს სამეცნიერო ხედვა არ არის აბსოლუტური და სრულყოფილი. დაიწყო სამეცნიერო მსოფლმხედველობის კრიზისი. ამდენად, ლიტერატურული ჟანრი “ფენტეზი”, გახდა ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც მითოლოგიურ-მაგიურ შრეს შეიცავდა. ფენტეზის, როგორც ქვეჟანრის, ფორმირება, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება. ჟანრის მთავარი წყარო არის ფრანგული ზღაპრები, კელტური და სკანდინავიური ფოლკლორი. თვით ფენტეზის კლასიფიკაცია, ძალზე მრავალფეროვანია. ფენტეზის ჟანრად ჩამოყალიბებისთანავე, მწერლებმა, ერთი ინდივიდუალური, ცალკეული, ვიწრო მიმართულება განავითარეს. ამდენად, ფენტეზის შიგნით გამოიყოფა ქვეჟანრები: მისტიკურ-ფილოსოფიური ფენტეზი, მეტაფორული ფენტეზი, შავი ფენტეზი, საგმირო ფენტეზი, ეპიკური ფენტეზი, ფოლკლორულ-ზღაპრული ფენტეზი, საგმირო-ეპიკური ფენტეზი, მითიურ გამომსახველობითი ფენტეზი, რომანტიული ფენტეზი, ისტორიული ფენტეზი, თამაშობრივი ფენტეზი, დეტექტიური ფენტეზი, მაგიური რეალიზმი, მითოლოგიური ფენტეზი, მისტიკური ფენტეზი, სლავური ფენტეზი, სკანდინავიური ფენტეზი, ქალაქური ფენტეზი, ტექნო-ფენტეზი, საბავშვო ფენტეზი, ქალური ფენტეზი და სხვა.

ყველა ეს მიმართულება, კონკრეტული ნიშან-თვისებებით გამოირჩევა, სადაც ავტორი თავის საკუთარ ინდივიდუალურ მახასიათებლებს ამატებს. როდესაც ავტორი გრძნობს, – მისი ნაწერი ფენტეზის უკვე ცნობილ მიმართულებებს არ მიეკუთვნება, ახალ მიმართულებას აყალიბებს.

ზოგი მკვლევარი, ფენტეზის ოთხ ძირითად ტიპს

გამოყოფს: (1) მისტიკურ-ფილოსოფიური ფენტეზი; (2) მეტაფორული ფენტეზი; (3) შავი ფენტეზი; (4) საგმირო ფენტეზი.

ფენტეზში მაგია და რეალობა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ფანტასტიკური და მითიური არსებები ერთად თანამყოფობენ: ჯადოქრები, ღმერთები, პარალელური სამყაროები. ხანდახან შეიძლება შემოვიდეს სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტები, მაგრამ ეს ხდება იშვიათად და ფასადური დატვირთვა აქვს.

ფენტეზის ჟანრის ერთ-ერთი პირველი წიგნი, "The Wood Beyond the World" 1894 წელს გამოვიდა მისი ავტორია უილიამ მორისი. ეპიკური ფენტეზის საუკეთესო ნიმუშია ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“ ("The Lord of the Rings) და „ჰობიტი“ ("Hobbit").

ფენტეზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია, ლორდ დანსენი. (მასზე ცალკე წერილს შემოგთავაზებთ)

მისტიკურ-ფილოსოფიურ ფენტეზში, ფანტასტიკური დაშვება განსაზღვრავს მოქმედების არსსა და ნარატივს. ფანტასტიკური რეალობა გადამწყვეტია მთავარი გმირისთვის – მისი ბედი მასზეა დამოკიდებული. მისტიკურ-ფილოსოფიური ასპექტი, არის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი მოქმედების დისკურსი და ავტორის ერთადერთი მიზანი.

მეტაფორულ ფენტეზში ფანტასტიკური დაშვება, საოცრების შექმნის დისკურსია. ამ ტიპის ფენტეზში, თხზულების ცენტრში ადამიანის შინაგანი სამყაროა და მისი სულიერი განვითარების ეტაპები. მეტაფორულ ფენტეზში, გმირები არიან ადამიანები, რთული შინაგანი სამყაროთი, რომლებიც გარესამყაროს განიცდიან და იაზრებენ.

შავი ფენტეზი, იგივე საშინელებათა ფენტეზია, სადაც შავი არარეალური ძალები აღწევენ რეალობაში. ამერიკელი მწერლის, სტივენ კინგის ცნობილი წიგნების სერია: „ბნელი კოშკი,“ შავი ფენტეზის საუკეთესო ნიმუშია.

ჰორორის ძირითადი თვისება, რითიც ის განსხვავდება ჩვეულებრივი ფენტეზისგან, არის მისი პერსონაჟების ადამიანური უმწეობა, ზებუნებრივ ძალებთან მიმართებაში. ოკულტიზმი, მისტიკა, ზებუნებრივი ძალები და კატასტროფები არ არის

ადამიანური ძალების მმართველობის ქვეშ. ჰორორი ხასიათდება შიშის ატმოსფეროს შექმნით, ფატალიზმით, გამოუვალი მდგომარეობის შექმნის დისკურსით. ამ ჟანრის საუკეთესო წარმომადგენლები არიან ლავკრაფტი და სტივენ კინგი.

ჟანრული ტენდენციების სინთეზის თვალსაზრისით, პრინციპული განსხვავება სამეცნიერო ფანტასტიკასა და ფენტეზს შორის, თითქმის არ არსებობს. ეს ორი ჟანრი, მჭიდროდ ერთ-ერთზე მოქმედების ქვეშ განვითარდა. მათ აქვთ საერთო ფესვები, როგორც გოთიკურ რომანს. ორივე ჟანრის მოტივები ერთ თხზულებაში შეიძლება შეგხვდეს.

ფენტეზის და სამეცნიერო ფანტასტიკის გზავარედინზე ჩამოყალიბდა, ჰიბრიდული მიმართულება სამეცნიერო ფენტეზი და ტექნოფენტეზი. თავის მხრივ, სამეცნიერო ფენტეზის და ხისტი სამეცნიერო ფანტასტიკის საზღვარზე განვითარდა კოსმოსური ოპერა. მთავარი განსხვავება, კოსმოსურ ოპერას და სამეცნიერო ფანტასტიკას შორის, არის კოსმოსურ ოპერაში სამეცნიერო ტექნიკური ასპექტების და თამაშის ანტურაჟის როლის წინ წამოწევა. მოქმედება ვითარდება კოსმოსურ სივრცეში ან სხვა პლანეტაზე. პერსონაჟები, მკაფიოდ გამოკვეთილი დადებითი ან უარყოფითი გმირები არიან. მთავარი გმირი, ჩახლართული, მძიმე სიტუაციიდან ერთადერთ სწორ გამოსავალს პოულობს და უვნებელი გამოდის, იმარჯვებს.

სოციალური ფანტასტიკა ცდილობს გამოკვეთოს საზოგადოების ახალი მოდელი, მისი განვითარების კანონები და ადამიანური არსებობისთვის უჩვეულო პირობები. სოციალური ფანტასტიკის მიზანია, ცივილიზაციის განვითარების ეტაპების შესწავლა, ადამიანური არსებობის საზრისის მიგნება – მისი მიმართება შეუცნობელ გონთან. სოციალური ფანტასტიკა, არა იმდენად სამეცნიერო იდეებთან, არამედ ჰუმანიტარულ მიმართულებებთანაა დაკავშირებული. სოციალური ფანტასტიკის მიზანია, ადამიანურ ბელზე დაფიქრება. ხისტი სამეცნიერო ფანტასტიკისგან განსხვავებით, სოციალური ფანტასტიკა ხასიათდება გლობალური და ჰუმანიტარული პრობლემების წინ წამოწევით. იყენებს იუმორს, სატირას, რთულ სიუჟე-

ტურ სქემებს, ინტელექტუალურ თამაშს და პარადოქსებს. მისი მკაფიო ქვეყანარებია, უტოპია და ანტიუტოპია.

პირველ უტოპიურ თხზულებად მიიჩნევა პლატონის დიალოგი: „სახელმწიფო“.

უტოპია არის ფანტასტიკის ჟანრი ლიტერატურაში, რომელიც საზოგადოების იდეალურ მოდელს გვიხატავს. პირველად სიტყვა უტოპია, როგორც იდეალური საზოგადოების მოდელი, გვხვდება ინგლისელ ავტორ პერჩესთან. „მომლოცველი“, ასე ჰქვია მის თხზულებას, რომელიც 1613 წელს დაწერა. თანამედროვე უტოპიის ფუძემდებლად მაინც თომას მორია მიჩნეული. იგი დაიბადა ინგლისის სასამართლო მოხელის ოჯახში, განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში და ჰენრი VIII-ის სამეფო კარზე საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა.

1515 წელს თომას მორი დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ფლანდრიაში. აქ მან გაიცნო ნიდერლანდელი ჰუმანისტი პეტრე ეგიდიუსი. აქვე დაიწყო „უტოპიაზე“ მუშაობა. „უტოპია“ არის ორი ნაწილისაგან შემდგარი ნაწარმოები, რომელიც გადმოგვცემს არარსებული კუნძულის, უტოპიის პოლიტიკურ-სოციალურ წყობას. ნაწარმოების პირველი ნაწილი ეძღვნება ინგლისის სახელმწიფო სტრუქტურის მკაცრ კრიტიკას, ხოლო მეორე ნაწილში გადმოცემულია უტოპიური სახელმწიფოს პოზიტიური შინაარსი. კომპოზიცია იმგვარად არის შეკრული, რომ კრიტიკულად შეფასებული ინგლისის სახელმწიფო მოწყობა უტოპიელთა სახელმწიფოს სრულ ანტიპოდს წარმოადგენს.

ამ ჟანრში, საბჭოთა პერიოდში, შეიქმნა რამდენიმე თხზულება, რომელიც აღწერდა სოციალისტურ საზოგადოებას მომავალში. მაგალითად ეფრემოვის „ანდრომედას ნისლეული“ და ბოგდანოვის „წითელი ვარსკვლავი“.

სოციალური ფანტასტიკის ერთ-ერთი ქვეჟანრი, რომელიც უტოპიისგან განსხვავებით, უარყოფით მხარეებს გვიჩვენებს, არის ანტიუტოპია.

ანტიუტოპიის საუკეთესო ნიმუშებია: ჯორჯ ორუელის „1984“, რეი ბრედბერის „451 გრადუსი ფარენჰაიტით“, ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“, უელსის „როცა მძინარე გაიღვიძებს“,

ზამიატინის „ჩვენ“, რობერტ შეკლის „უკვდავების კორპორაცია“, ძმები სტრუგაცკების „განწიერი ქალაქი“, ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“ და სხვა.

მისტიკა – ფანტასტიკური ლიტერატურის ჟანრი, სადაც ადამიანები ზებუნებრივ ძალებთან მიმართებაში უმწეო სათამაშოები არიან. პერსონაჟები: მითოლოგიური გმირები, დემონები, ვამპირები, ზომბები, მოჩვენებები. პერსონაჟების რაგვარობის მიხედვით გამოყოფენ: „ვამპირულ რომანს“, „რომანს მაქციებზე“, „რომანი მოჩვენებების შეახებ“, „დემონით შეპყრობილობა“ და სხვას. ყველა ამ ქვეჟანრისთვის შიშის ატმოსფეროს შექმნა ერთი საერთო თვისებაა.

ფანტასტიკის ერთ-ერთი საინტერესო ქვეჟანრია: „ალტერნატიული ისტორია“. ის, რაც შეიძლება მომხდარიყო, თუ ისტორია თავის ერთ-ერთ გადაწყვეტს, საკვანძო მომენტში (ბიფურკაციის წერტილიდან) სხვა მიმართულებით განვითარდებოდა. ეს ლიტერატურული ჟანრი, არ უნდა აგვერიოს ალტერნატიულ ისტორიულ თეორიასთან, რომელიც მისგან სრულიად განსხვავდება. ალტერნატიულ-ისტორიულ თეორიაში, წარსულის კონკრეტული მოვლენა, ნაწილობრივ ან სრულად, შეცდომით განვითარებულ ვერსიად მიიჩნევა. ალტერნატიულ ისტორიაში, წარსულში ისტორიის განვითარების გზა იცვლება, რაც უკვე არსებულ რეალობას აუცილებლობის დისკურსით ცვლის. წარსულში მომხდარ მოვლენაში, ცვლილებების შეტანა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს; შემთხვევით, შინაგანი ძალებით, მომავლიდან მოსული სტუმრების მეშვეობით და სხვა. ცვლილება უნდა იყოს საკვანძო, რათა რეალური ისტორია შეიცვალოს. ზოგიერთ თხზულებაში, გამოყენებულია პარალელური სამყაროების იდეა. მოვლენების განვითარების ალტერნატიული ვარიანტი, ჩვენს სამყაროში კი არ ვითარდება, არამედ პარალელურ სამყაროში, სადაც ისტორიის სხვა ვერსიას ვეცნობით. ამასთან უშუალო კავშირშია ცნობილი ლოგიკური პარადოქსი, რომელსაც ინსენიებენ, როგორც „მოკლული ბაბუის პარადოქსი“ – როცა შვილიშვილი მოგზაურობს წარსულში და შემთხვევით კლავს საკუთარ ბაბუას, სანამ ბაბუა გახდებოდა. ალტერნატიული ჟან-

რის ფუძემდებლად მიიჩნევა, რომელი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი, რომელმაც აღწერა რომის შესახებ ისტორია. მან შემოგვთავაზა ვერსია, თუ რა მოხდებოდა, ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში რომ არ მომკვდარიყო და იმპერიის მმართველობა განეგრძო.

ალტერნატიული ისტორიის ქვეყანები და მონათესავე ჟანრებია: ალტერნატიული გეოგრაფია (ემყარება დაშვებას, რომ დედამიწას სხვა გეოგრაფია აქვს), კრიპტოისტორია (ალტერნატიული ისტორიის ერთ-ერთი სახეობა, სადაც აღწერილია რეალობა, რომელიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი ისტორიისგან, მაგრამ მასში მონაწილეობენ სტუმრები მომავლიდან, მაგები და სხვა.).

პოსტაპოკალიპტიკა – ეს ჟანრი ანტიუტოპიასთან ახლოს დგას, აღწერს ცივილიზაციას, რომელმაც გადაიტანა მძიმე კატაკლიზმები, ეკოლოგიური კატასტროფები, ეპიდემია, ატომური ომი და სხვა.

კიბერპანკი – ჟანრი, რომელიც განიხილავს ახალი ტექნოლოგიების ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებას. განსაკუთრებული ადგილი მათ შორის უჭირავს ტელეკომუნიკაციებს, კომპიუტერებს, ნეიროქირურგიულ ინტერფეისებს და სხვა. ამ ტიპის მხატვრულ ნაწარმოებებში მთავარი წერტილ-ცენტრია: კიბორგი, ანდროიდი და სუპერკომპიუტერი, რომელიც ემსახურება, ტე-

ქნოკრატიულ, კორუმპირებულ და ამორალურ ორგანიზაციებსა და რეჟიმებს. ტერმინი კიბერპანკი, პირველად გამოიყენა მწერალმა ბრიუს ბეტკემ. ხოლო კრიტიკოსმა გარდნერ ღოზუამ ეს სიტყვა აიტაცა და ახალი ჟანრის სახელწოდებად გამოიყენა. მან მოკლედ და მკაფიოდ განსაზღვრა კიბერპანკი, როგორც სამეცნიერო ფანტასტიკის სუბჟანრი. კიბერპანკში, უმაღლესი ტექნოლოგიური განვითარება და ვირტუალური რეალობა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემაა. კიბერპანკის კლასიკად და მამამთავრად ითვლება უილიამ გიბსონი, თავის ნაწარმოებით „ნირომანტი“ (1984), ასევე ბრიუს სტერლინგის „სქიზმატრიცა“ (1985). კიბერპანკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ფილიპ დიკმა, თხზულებებით - „ოცნებობენ თუ არა ანდროიდები, ელექტრონულ ცხვარზე“, „ღრმა მეხსიერებიდან“ და სხვა.

კიბერპანკი ხშირად კვეთავს სამეცნიერო ფანტასტიკის სხვა სუბჟანრებს. განსაკუთრებით ანტიუტოპიას. კიბერპანკის თითქმის ყველა ნაწარმოებში, ასახულია კაპიტალისტური ანტიუტოპია, ტოტალური კონტროლი და ზემდგომი კორპორაციები. ეს განსაკუთრებულად დამახასიათებელია ფილიპ დიკის წიგნებისათვის.

საუბარს ფანტასტიკის ჟანრებისა და ქვეჟანრების რაობაზე, ჟურნალის მომდევნო ნომრებშიც გავაგრძელებთ.



ლევან გელაშვილი


დაიბადა თბილისში 1984 წელს.

2001-2005 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა – ქართული ენის და ლიტერატურის სპეციალობით (ბაკალავრი).

2001-2006 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინომცოდნეობის სპეციალობაზე.

2005-2007 წლებში გაიარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით გათვალისწინებული სრული კურსი უახლესი ქართული ლიტერატურის სპეციალობით (მაგისტრი). ამჟამად არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2001 წლიდან მისი მოთხრობები და სამეცნიერო წერილები იბეჭდება პერიოდულ პრესაში.



თამარ შანიძე

(წინასიტყვაობა წიგნისა, რომელიც გამომცემლობა “სიესტამ” დაბეჭდა)

“...მაგრამ უტოპიები ვაცილებით რეალური აღმოჩნდა, ვიდრე გვევონა.

...და ახლა მეორე მტანჯველი შეკითხვა ითხოვს პასუხს: როგორ ავირიდოთ თავიდან მათი საბოლოო განხორციელება [...] უტოპიები შესაძლებელია. [...] ცხოვრება უტოპიებისკენ მიდის. და იქნებ ინტელიგენციისა და კულტურული ფენის ოცნებათა ახალი ასწლეული იწყება, რომელიც დასვამს შეკითხვას, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან უტოპიები და როგორ დაუბრუნდეთ არაუტოპიურ, ნაკლებად “სრულყოფილს” და უფრო თავისუფალ საზოგადოებას.


ნიკოლაი ბერდიაევი

ქართველი მკითხველი განებივრებული იყო და არის მსოფლიო ლიტერატურის შედეგების შესანიშნავი ქართული თარგმანებით, თუმცა დღემდე, რატომღაც, ოლდოს ჰაქსლის სულ რამდენიმე

ნაწარმოებია გადმოქართულებული. მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი დისტოპიური რომანის - “საოცარი ახალი სამყაროს”. წინამდებარე თარგმანი ამ სიცარიელის ამოვსებას ისახავს მიზნად.

“საოცარი ახალი სამყარო” ამერიკული “უახლესი ბიბლიოთეკის” მე-20 საუკუნის საუკეთესო რომანების ასეულში მოხვდა. ის სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში აკრძალული იყო. რომანი, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ორუელის “1984”-ს და “ცხოველების ფერმას” თუ ბრედბერის “451 გრადუსი ფარენჰაიტი”-ს, რომანი-წინასწარმეტყველება, რომანი-გაფრთხილება - ოლდოს ლეონარდ ჰაქსლის (1894-1963) ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია.

ჰუმანიზტი, პაციფისტი და სატირის დიდოსტატი ჰაქსლი დაბადებიდანვე ინტელექტუალობისთვის იყო “განწირული“. მისი ოჯახი ინგლი-



HARPERPERENNIAL MODERNCLASSICS

P.S.
INSIGHTS,
INTERVIEWS
& MORE...

სის სამეცნიერო და კულტურულ არისტოკრატის მიეკუთვნებოდა. მამა ლეონარდ ჰაქსლი მწერალი იყო; ბაბუა, თომას ჰაქსლი – ბიოლოგი, „დარვინის ბუღლოგი“, როგორც მას ევოლუციური თეორიის მხარდაჭერისთვის უწოდებდნენ; ძმა ჯულიანი – ასევე ცნობილი ბიოლოგი და იუნესკოს პირველი დირექტორი გახლდათ. ჰაქსლის დედა არნოლდების გვარს ენათესავებოდა, რომელმაც ინგლისურ კულტურას არაერთი გამოჩენილი ადამიანი მოუვლინა. ჰაქსლიმ განათლება იტონსა და ოქსფორდში მიიღო. 16 წლის ასაკში თვალის დაავადებამ სერიოზულად დაუზიანა მხედველობა, რის გამოც უარი თქვა სამედიცინო კარიერაზე და 17 წლის ასაკში წერა დაიწყო.

მწერლის ორმოცწლიანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძალიან მრავალფეროვანი და უნივერსალურია: ლექსები, მოთხრობები, სცენარები, სამოგზაურო ქრონიკები, ისტორიული ბიოგრაფიები, კრიტიკული ესეები ლიტერატურასა და ხე-


ლოვნებაზე, ფილოსოფიური ტრაქტატები. თუმცა საყოველთაო წარმატება მას 1920-30-იან წლებში გამოქვეყნებულმა რომანებმა მოუტანა. „ყვითელი კრონი“, „მასხრული ფერხული“, „კონტრაპუნქტი“, „ის უნაყოფო ფოთლები“, „საოცარი ახალი სამყარო“, „ბრმა ღაზაში“ – ამ ინტელექტუალურ, ე.წ. იდეების რომანებში ჰაქსლი ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტიკისა და ეთიკის ფუნდამენტურ საკითხებს იკვლევს. შემოქმედების გვიანდელ ეტაპზე მას სპირიტუალიზმი, კერძოდ პარაფსიქოლოგია და ფსიქოლოგიური მისტიციზმი იტაცებს. ამ პერიოდის ნაწარმოებებია „მარადიული ფილოსოფია“, „მრავალი ზაფხულის შემდეგ კვდება გედი“, „დრო უნდა გაჩერდეს“ და სხვა. ჰაქსლი დაინტერესებული იყო ადამიანის ფსიქიკასა და ცნობიერებაზე ფსიქოდელოგიური ნივთიერებების ზემოქმედებით. 1954 წელს, საკუთარი ექსპერიმენტული გამოცდილების საფუძველზე, მან ამ თემას მიუძღვნა ესეები „სამოთხე და ჯოჯოხეთი“ და „ალქმის კარი“. ეს უკანასკნელი საკულტო ტექსტად იქცა და სწორედ აქედან აიღო სახელწოდება როკ ჯგუფმა – „The Doors“; ლეგენდარულმა „ბითლზმა“ კი ჰაქსლის ფოტო ალბომ ‘Sgt. Pepper’s’-ის გარეკანის ფოტოკოლაჟში მოათავსა.

ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“ ჩაფიქრებული იყო, როგორც პაროდია ჰ. უელსის დისტოპიურ რომანზე „ადამიანები, როგორც ღმერთები“. ის 1932 წელს, პოლიტიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ზნეობრივ-ეთიკური რევოლუციების პერიოდში გამოიცა. კომუნისმი რუსეთში, ფაშიზმის მომძლავრება ევროპაში, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის განვითარება, ხმოვანი კინო, მოდა, მასობრივი წარმოება – ფასულობების ასეთივე რევოლუციური გადაფასება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მოხდა. ამ წანამძღვრებს ჰაქსლი სატირული, გროტესკული ხერხებით გამოგვემს რომანში და მისი თანამედროვე ტენდენციების იმ საზარელ შედეგებს წინასწარმეტყველებს, რომლებიც ექვსასი წლის შემდეგ, არცთუ უსისხლოდ, ტოტალიტარულ მსოფლიო სახელმწიფოდ ყალიბდება. ამ “საოცარ ახალ სამყაროში” სტაბილურობას, ტექნიკურ პროგრესს, მომხმარებლობის და კეთილდღეობის აპოლო-

გიას ადამიანის თავისუფლება და ინდივიდუალობა, რელიგია და კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება ეწირება; ოჯახი, გრძნობები და ადამიანური ურთიერთობები ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიების, შობადობის ტოტალიტარული კონტროლისა და ახალი სექსუალური ტრადიციების მსხვერპლია; აქ უარყოფილია ისტორია და ახალი წელთაღრიცხვა პირველი საწარმოო კონვეიერის შემქმნელის, ჰენრი ფორდის დაბადებიდან იწყება; აქ ღმერთთან გაიგივებული არიან ფორდი და ფროიდი, ანუ მასობრივი წარმოება და მოხმარება,ლიბიდო და ჰიპნოზი; აქ,ინგლისურის გარდა, ყველა ენა მკვდარია, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად წახალისებული ნარკოტიკის წყალობით, არავინაა მარტო და ამ „სამოთხეში“ ყველა „ბედნიერია“.

რომანის სათაური ჰაქსლიმ შექსპირის „ქარიშხლიდან“ აიღო, ხოლო თავად შექსპირის თემა, როგორც ხელოვნების, კაცობრიობის გენიის და ჰუმანიზმის სიმბოლო, სულიერებისგან აბსოლუტურად დაცლილ ახალ სამყაროს დაუბირისპირა.

კრიტიკამ თავდაპირველად უარყოფითად მიიღო რომანი. მწერალს სიუჟეტი და პერსონაჟების ზედაპირულობა, სტრუქტურის სქემატურობა და ტონი დაუწუნეს. რომანში გამოთქმული აზრები უადგილო, არცთუ ორიგინალურ პროპაგანდად შერაცხეს, ჰაქსლის ბურჟუაზიული შეზღუდულობა დასწამეს და ჩათვალეს, რომ რომანის დაწერა „თავის შეწუხებადაც არ ღირდა“. ამ ფონზე, დადებითი შეფასებები ბევრად მოკრძალებული იყო. მიუხედავად ამისა, რომანმა დროის



ოლდოს ჰაქსლი

გამოცდას გაუძლო. თაობების ინტერესი მის მიმართ ოთხმოცი წლის მანძილზე არ განელეზულა. დღეს ის გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე – დღევანდელი გლობალიზებული, მასობრივი ცნობიერებისა და პოპ-კულტურის სამყარო ამის ცხადზე უცხადესი დადასტურებაა.

„ჩემი მაშინდელი პროგნოზი ექვსასი წლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. დღეს კი სავსებით შესაძლებლად მეჩვენება, რომ ეს კომმარირთ საუკუნეში დაგვატყდეს თავს“ – ამბობდა ჰაქსლი, რომლის ოცნება იყო სამეცნიერო პროგრესის გამოყენება ადამიანის გასათავისუფლებლად და არა მის დასამონებლად. სიცოცხლის ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ჰაქსლის მოწოდება გამოღვიძებისა და დაფიქრებისკენ.

გამოვიღვიძოთ და დაფიქრდეთ, სანამ გვიან არ არის.



თამარ შანიძე

მთარგმნელი
დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

წლების განმავლობაში მუშაობდა კლინიკური მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროებში, ჯანდაცვის საერთაშორისო პროექტებში.

აქვს ინგლისური ენის თარჯიმნად და გრანსნაციონალურ კომპანიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის გა-

ნხრით მუშაობის გამოცდილება.

ლიტერატურული თარგმანზე მუშაობა უილიამ სომერსეტ მოემის რამოდენიმე მოთხრობით დაიწყო.

2014 წლიდან თანამშრომლობს ქურნალთან "National Geographic".

თარგმნა ოლდოს ჰაქსლის დისკოპიური რომანი „მშვენიერი ახალი სამყარო“, რომელიც „სიესგამ“ 2013 წელს გამოსცა.



ლევან კაპანაძე

უელბეკის რომანი-ანტიუტოპია –
რა ელის ევროპას?

საოცარი დამთხვევა მოხდა 7 იანვარს: დილით გაყიდვაში გამოვიდა მიშელ უელბეკის ახალი რომანი-ანტიუტოპია „მორჩილება“ – იმის შესახებ, რომ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე 2022 წელს იმარჯვებს მუსლიმი (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) და იმავე დილით ისლამიტებმა დახვრიტეს „შარლი ებდოს“ რედაქცია. ტერაქტამდე გამოსული ჟურნალის ბოლო ნომერში მოთავსებული გახლდათ კარიკატურა უელბეკსა და მის ახალ რომანზე...

მწარე ირონია, მეტი რომ არა ვთქვათ...

ამ ტრაგიკულმა დამთხვევამ უელბეკის ახალი რომანის მიმართ საზოგადოების ყურადღება ერთიორად გაზარდა – ანუ ტერაქტმა, ძალაუნებურად, რეკლამის როლი ითამაშა. ამჟამად რომანი საფრანგეთში ბესტსელერია. ქართველ გამომცემლებს ვურჩევთ, დროზე იზრუნონ საავტორო უფლებების შეძენაზე (ამ სფეროში, მგონი, ჩვენთანაც იზრდება კონკურენცია, რაც ნამდვილად მისასალმებელია).

ძალზე მოკლედ მოგაწვდით ინფორმაციას რომან „მორჩილების“ (სიტყვა „ისლამი“ არაბულად სწორედ მორჩილებას ნიშნავს) ძირითადი სიუჟე-

ტური ხაზისა და თავისებურებების შესახებ. მოკლედ იმიტომ, რომ ჩვენი მიზანია გამომცემელთა დაინტერესება, ქართველ მკითხველს დროზე რომ მიაწოდონ სსენებული წიგნი – მერე კი მკითხველი თავად გაეცნობა და შეაფასებს უელბეკის ანტიუტოპიას. ჩვენი მხრიდან, უბრალოდ, უსინდისობა იქნება, დეტალურად თუკი მოგიხსრობთ, რა ხდება რომანში.

ერთი სიტყვით, უელბეკის მიხედვით, საფრანგეთის 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებს მოჰამედ ბენ აბასი (ესაა ერთადერთი გამოგონილი პოლიტიკოსი რომელიც წიგნში ჩანს, ყველა დანარჩენი რეალურია), ზომიერი ისლამური პარტიის ლიდერი, რომელსაც, სპეციალისტების პროგნოზებით, ხმების დაახლოებით 20% შეიძლება მოეგროვებინა. მაგრამ იწყება არეულობა. არჩევნებს გააუქმებენ, მერე მაინც ჩაატარებენ და ბენ აბასი იმარჯვებს. მისი გამარჯვებით იწყება საკუთრივ ანტიუტოპია – ანუ საფრანგეთის ისლამიზაცია...

როგორ წარმოუდგენია მწერალს მუსლიმური საფრანგეთი, ამას არ მოგივყვებით, მხოლოდ ერთს ვიტყვით – „მორჩილება“ ძალზე პესიმისტური

წიგნია. ავტორის აზრით, ისლამის გაბატონება ევროპაში შედეგია იმისა, რომ დიდი ევროპული ქრისტიანული ცივილიზაცია, სინამდვილეში, მკვდარია.

რომანის მთავარი გმირი და მთხრობელი, ფრანსუა, დაბნეულია ისევე, როგორც მოსახლეობის დიდი ნაწილი. ისლამისტები საფრანგეთს ფულით აავსებენ, სორბონა ისლამური უნივერსიტეტი ხდება, ფრანსუას სამსახურიდან დაითხოვენ, თუმცა ძალიან კარგ პენსიას დაუნიშნავენ (მეცნიერია, გიუისმანსის შემოქმედების მკვლევარი)...

საფრანგეთში ყველაფერი იცვლება, შემოდის შარ-

იათი, მკვიდრდება პოლიგამია... ფრანსუა თვითმკვლელობაზე ფიქრობს, მაგრამ ამის მიზეზი სასოწარკვეთა კი არ არის, არამედ მოწყენილობა, არ იცის, რა აკეთოს, (ფული სამყოფზე მეტი აქვს), მაგრამ სოციალური ცხოვრებიდან ამოვარდნილია... და, აი, ფრანსუას სთავაზობენ ისლამი მიიღოს, თუ დათანხმდება, უნივერსიტეტში ალაღვენენ...

რომანის ფინალი მოულოდნელია...

იმედია, უილბეკის ანტიუტოპიას წელსვე ვიხილავთ ქართულ ენაზე...

მიშელ უელბეკი (Michel Houellebecq,

ნამდვილი გვარია ტომა – დაიბადა 1965 წლის 26 თებერვალს კუნძულ რეუნიონზე (საფრანგეთის კოლონია ინდოეთის ოკეანეში). მშობლები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ამიტომ ბებიანებთან იზრდებდა. მოგვიანებით სწორედ ერთი-ერთი ბებიის გვარი აიღო ლიტერატურულ ფსევდონიმად. 16 წლის ასაკში თავისთვის აღმოაჩინა ლავკრაფტის შემოქმედება, რომელსაც შემდგომ ცალკე წიგნი მიუძღვნა. სწავლობდა პარიზის ლიცეუმში, შემდეგ კი ნაციონალურ აგრონომიულ ინსტიტუტში, რომელიც 1975 წელს დაამთავრა "ეკოლოგისა და გარემოს დაცვის" სპეციალობით. სტუდენტობისას წერდა ლექსებს, პოემებს, გამოსცემდა ხელნაწერ ჟურნალს, იღებდა სამოყვარულო ფილმებს. შემდეგ ჩააბარა უმაღლეს ნაციონალურ სკოლაში, კინემატოგრაფიის განყოფილებაზე, რომელიც 1981 წელს დაამთავრა.

მის პირველ წიგნებს – ლექსებისა და ესეების კრებულებს – წარმატება არ მოჰყოლია.

მიშელ უელბეკი შენიშნეს, როდესაც გამოცა პირველი რომანი „ბრძოლის ველის გაფართოება“ (1994). მისი ცნობილი რომანებია: „ელემენტარული ნაწილაკები“ (1998), „კუნძულის შესაძლებლობა“ (2005), „რუკა და ტერიტორია“ (2010).

უელბეკი ისლამისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა – 2001 წელს მან საჯაროდ განაცხადა, რომ ისლამი “ბრიყვული და საშიში რელიგიაა”. საფრანგეთის ოთხმა მუსლიმურმა ორგანიზაციამ სასამართლოში უჩივლა, „ისლამოფობიასა“ და შუღლის გაღვივებაში დასდეს ბრალი. პროცესზე მწერალმა განაცხადა, რომ მუსლიმების მიმართ არავითარ სიძულვილს არ განიცდის, მაგრამ ყოველთვის სძულდა და სძულს ისლამი.

რედაქციის მიწაწერი:

როგორც გავარკვიეთ, უელბეკის რომანის გამოცემას გეგმავს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. წიგნი სექტემბრისთვის უნდა გამოვიდეს.

არსებობს მსგავსი სიუჟეტის მქონე რომანი-ანტიუტოპია, რომლის ავტორია რუსი მწერალი ელენა ჩუდინოვა – “პარიზის ღვთისმშობლის მეჩეთი” (მოქმედება ხდება 2048 წელს). წიგნი გამოვიდა 2005 წელს.

ჩუდინოვას რომანი შეგიძლიათ წაიკითხოთ ინტერნეტში.

წიგნის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ „YouTube“-ზე

გიორგი
ლოგუა

წერილი
სტივენ
კინგს



გამარჯობა სტივენ!

სულ მინდოდა შენთვის ერთი პატარა წერილი მომეწერა, მაგრამ არსებობდა რამდენიმე პრობლემა, რის გამოც ვერ გწერდი. ჯერ ერთი ის, რომ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. იმით, რომ ძალიან მომწონს შენი წიგნები და კკითხულობ ისე, თვალს ვერ ვწყვეტ-მეთქი, თუ სხვა რამ მომეფიქრებინა, როგორც შენ იწყებ შენს წიგნებს, დაწყებიდანვე რომ ითრევ მკითხველს და ვეღარ წყვეტს თვალს. რითიც უფრო დაინტერესდები და ბოლომდე ჩაიკითხავდი წერილს. რა თქმა უნდა, ჯერ სალაშს გეტყვოდი, სალაში ხომ ღვთისაა. მეორე პრობლემა კი ისაა – რამდენად მოაღწევს შენამდე. სამწუხაროდ, არ ვიცი, ამ წერილს წაიკითხავ თუ არა. შენ ხომ ახლა მსოფლიო გიცნობს, შენი წიგნებითა და მათ მიხედვით გადაღებული უამრავი ფილმით, ხოლო მე ვინ ვარ. ჯერ ახლა ავიდგი ფეხი მწერლობაში, ახალი გამოჩეკილი ბარტყევით ვარ, რომელიც სიარულს სწავლობს. რა გასაკვირი იქნებოდა, რომც მოეღწია წერილს შენამდე, მაინც რომ არ წაგეკითხა. უამრავი წერილის კითხვა გიწევს და ჩემსას მცირე შანსი ჰქონდა შენამდე მოსვლის. ასე არაა?

მაპატიეთ! არც ის ვიცი, როგორ მოგმართოთ, თქვენობით თუ შენობით, მაგრამ თავს ვაძლევ მაინც იმის უფლებას, რომ შენობით მოგმართო. მაქვს ამის მიზეზი და გეტყვი – რატომაც. კი, შენ ყველა გიცნობს და მე არავინ ვარ შენთან შედარებით, მაგრამ წიგნებმა დამანახეს, რომ მეც

შემიძლია მივალწიო ცხოვრებაში იმდენს, რომ გამიცნოს ხალხმა და შემიყვაროს ისე, როგორც შენ. შენი წიგნებით. იმდენი რჩევა მომეცი უფასოდ, რომ სათანადოდ გამომადლა და ამისთვის ღიდად მადლობელი ვარ შენი. ერთ-ერთი მიზეზი რატომაც მიყვარს შენი წიგნების კითხვა არის ის, რომ მკითხველს ითრევ და თავისუფლად აკითხებ თავს, თან ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ღიდი ხანია გიცნობ და ერთად ბევრი დრო გვაქვს გატარებული. იმის გარდა, რაც წიგნის შინაარსს ეხება, ის, რასაც პირდაპირ მკითხველს ეუბნები, ძალიან მომწონს. რა თქმა უნდა, თავს ვგრძნობ შენს მეგობრად და შენობით სწორედ ამიტომ მოგმართავ. შენი წიგნების კითხვის დროს მგონია, ერთად ვსხედვართ ბარში, სადაც უამრავი ადამიანი ირევა. მიმტანს ვეძახით და მეგობრული ღიმილით ვითხოვთ სასმელს, თან თვალს ვუკრავთ და ხუთ დოლარიანს ჯიბეში ვუცურებთ. მე შენს პირისპირ - შენ ჩემს პირდაპირ, ვისკის ვწრუპავთ და ერთ-მანეთისა და ოჯახების მოკითხვის შემდეგ იწყებ ამბის, შენი თავგადასავლების თხრობას. თითქოს შენც იქ იყო და მე კი ისე გისმენდე, რომ ნათლად ვხედავდე თითოეულ პერსონაჟს, მეტიც, ერთ-ერთ პერსონაჟადაც კი წარმოვიდგინო თავი. გავიგე, როგორ გაიტყეცი შოუშენკიდან, როგორ დაგიჭირა შენმა „ფანმა“ და რა დღეში ჩაგაგდო ავარიაში მოხვედრის შემდეგაც, რომ გთხოვდა – განაგრძე წერა! – და როგორ გაგიბრაზდა, საყვარელი პერსონაჟი რომ მოუკალი. კიდევ იმ პატარა ბიჭის

ამბავიც მასსოვს, რომ ცდილობდა მეორე მსოფლიო ომზე ბევრი რამ გაეგო და მერე თურმე ხალხსაც რომ ხოცავდა.

„ბნელი კოშკი“ მიყვარს საოცრად, უფრო სწორედ, ის, რაც დასაწყისშია. ამ წიგნით გაგიცანი ისეთი, როგორც ხარ და ბევრი საერთო აღმოვაჩინე შენთან. მაგალითად ის, რომ მეც 19 წლის ვარ და ამბიცია გამიჩნდა წიგნის წერისა. მეც მაქვს ამბიცია დავიპყრო ჩემი წიგნებით მსოფლიო და გარდავქმნა ადამიანთა გონება. განსაკუთრებით მომწონს ის სიტყვები, რაც პირდაპირ რჩევად აღვიქვი, „ნუ მისცემ მშობლებს და ვითომ შენზე ჭკვიან ადამიანებს იმის უფლებას, რომ აზრი შეგაცვლევინონ“. ამ სიტყვებმა ისეთი სტიმული მომცეს, რომ არ ვაპირებ თავი დავანებო იმას, რაც ასე ძალიან მიყვარს. ჩემთვის წერა არის ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. რასაც წერის დროს განვიცდი, ამ გრძნობას ვერაფერი შეედრება – ეს ცხოვრებას მიხალისებს. ასე ვინარჩუნებ საღ აზრს, მეხმარება, რომ არ გავგიჟდე. შენმა წიგნებმა შთამაგონეს და გარდამქმნეს სრულიად, შენ ეს მოახერხე ნამდვილად - მოახერხე, რაც ასე ძალიან გინდოდა. მეც იმავე ჟანრში დავიწყე წერა, რაშიც შენ. მინდა ხალხის სიყვარულს ვიღებდე სანაცვლოდ, მინდა ყველამ გამიცნოს. ალბათ, კარგია, როცა ხალხს უყვარხარ და ასეთ წერილებს გიგზავნიან, არა? შენ ამ ყველაფერს იმსახურებ, რადგან უდავოდ საუკეთესო მწერალი ხარ ჩემთვის. შენ ნომერ პირველად აღვიქვამ და თითქოს, რაღაც ვიპოვე შენში ისეთი, რამაც დამარწმუნა წერაში, რამაც დამარწმუნა, როგორ მეცხოვრა და რა მინდოდა ამ ცხოვრებისგან. ცხოვრებაში ბევრი რამ შეიძლება გადაიტანოს კაცმა, შენც ბოროტი პატრული გაფერხებს, მაგრამ მაინც არ ემორჩილები წესებს და სწრაფად მიიწევ წინ, ცდი მის მოთმინებას, ბოროტი პატრული კი, ალბათ, შურით და ბოლომდე სკდება, რომ მაინც ვერ მიაღწია საწადელს შენი თხრილში გადავადების შემდეგ.

შენით ისე დავინტერესდი, რომ დავიწყე ბიოგრაფიის კითხვა, აუცილებლად მინდოდა გამეგო ყველაფერი შენს შესახებ, რადგან ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო. ეს ჩემი ცხოვრების ძირითადი ეტაპი იყო. გავეცანი შენს ბიოგრაფიას

და უფრო დაგიახლოვდი ამით. შენს საუკეთესო მეგობრად მიმაჩნია თავი, მერე რა, რომ პირადად არ გიცნობ. იცი, ჩემი ოცნება სწორედ რომ შენი გაცნობაა. მინდა ისე გაგიცნო, როგორც მწერალმა მწერალი... მწერალი, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს და ვის წიგნებსაც ისე ვუფრთხილდები, როგორც არ მოვუფრთხილდები ჩემს შვილებსაც კი, ალბათ. ჩემთვის ნამდვილად საამაყო იქნება ის დღე, როდესაც შენი გაცნობა შემიძლება და მჯერა, რომ ეს დღეც დადგება.

21 სექტემბერი ჩვენთვისაც დიდი დღეა, რადგან ამ დღეს ღვთისმშობლობას აღვნიშნავთ. „უიმელოთა ქალაქის“ წაკითხვის შემდეგ, როდესაც გაგიცანი, ეს დღე ჩემთვის ორმაგად სასიხარულია. მეორე მიზეზი ის არის, რომ ამ დღეს დაიბადე შენ. როცა ამ წერილს ვწერ კიდევ ხუთი დღე დარჩა შენს დაბადების დღემდე, მაგრამ მინდა გულით მოგილოცო ეს დღე. შენი არსებობით ბევრ ადამიანს გაუხარე გული და კიდევ დიდხანს და ჯანმრთელად გაცხოვროს უფალმა. შენს წიგნებს მოუთმენლად დაველოდები ყოველთვის. კიდევ ბევრი წიგნი დაგვიწერე და არ მოგვაკლო ყურადღება შენს მკითხველებს. შენი წიგნებიდან ამას ყოველთვის ვგრძნობ. დიდხანს იცოცხლე, რადგან მინდა ჩემი ოცნება ავისრულო და გაგიცნო!

შენი ცოლ-შვილი როგორაა? ხომ კარგად არიან? ისინიც ბედნიერად უნდა იყვნენ შენს გვერდით. ცოლ-შვილი მომიკითხე და კიდევ პოლი. ხო, პოლი ჰქვია, როგორც მასსოვს. პოლის ამბებს განვიცდი, როგორ ჩაარტყა ფეხში ცული ენი უილკსმა. იმედია, მალე კიდევ გააგრძელებს წერას და ისიც შემოგვთავაზებს რამე საინტერესოს, მარტო მიზეზზე ხომ არ იქნება, არა?

ოვერლუკს მას შემდეგ ვერიდები, რაც ტორენსის ამბავი გავიგე. საშინელება იყო პირდაპირ და კიდევ კარგი აფეთქდა ეგ სასტუმრო. იმედი მაქვს ველარ აღადგენენ. არადა, ტორენსი მაგ სასტუმროში მოხვედრამდე კარგი კაცი იყო, პირადად არ იცნობდი? მასსოვს რომ მომიყვები, კარგად მასსოვს.

ჩესტერმილელ ხალხთან თუ გაქვს ახლა მიმოწერა? იმედია, კარგად არიან, მიუხედავად იმისა, რომ ჩაიკეტნენ თავიანთ პატარა დაბაში. მანდ რომ ვყოფილიყავი, მეც შეემშინდებოდა და,

ბუნებრივია, არ მიკვირს მათი რეაქციაც. მათ ადვილას პანიკა ვის არ დაეუფლებოდა? ვერ დავიჯერებ იმას, რომ რაღაც ამოუცნობი მოვლენის მომსწრე ხარ და არ გეშინია.

მსროლელის ამბავიც ძალიან მაინტერესებს, რას შერება კიდევ ცოცხალია? ბოლოს, რომ ვნახე ცოცხალი იყო, კი კარგად მახსოვს შავსამოსიან კაცთან ერთად რაც გადახდა და კიდევ ის წინასწარმეტყველებაც. ღმერთო, როგორ განვიცადე, რაც მათ გადახდათ. საშინელება იყო პირდაპირ. შემდეგ ამბებსაც, რომ შეესწრები, იმედია, გამაგებინებ. და ძალიან გთხოვ არ გამომტოვო, დამირეკე ან მომწერე, როგორც ყოველთვის კითხვა უფრო მირჩევნია, მაგრამ ტელეფონით უკეთ ამიხსნი. ან დავსხდეთ სადმე. ჯონ კოფის სულისთვის ვლოცულობ, ის მართლა უდანაშაულო იყო და მაინც მოკლეს, მოვალეობის მოხდის გამო. არადა, რამდენს დაეხმარა, რამდენი განკურნა და მაინც ასე გაიმეტეს. შენგან გავიგე, აი, წერილი რომ მომწერე მაშინ და იმდენი ვიტირე, ვერ შევიკავე ცრემლები. ყველაფერი შემატყობინე, როცა ამ წერილს წაიკითხავ და კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს, მეგობარო. შენ რომ არა, ბევრს ვერაფერს გავიგებდი. იმედი მაქვს კიდევ ბევრ რამეს გამაგებინებ და ყველა ამბავი ასეთი საინტერესო იქნება, მაგრამ ზოგი მართლა ისეთია, გული დაგეწვება კაცს. შენგან ერთ დიდ მოზრდილ წერილს ველოდები, როგორც იცი ხოლმე. ერთ წერილში უნდა ჩაატო, იცოდე, ყველაფერი და

გამომიგზავნო ჩემს ქვეყანაში. პატარა საქართველოში, სადაც ახლა ვცხოვრობ, მაგრამ მალე ჩამოვალ და აუცილებლად გინახულებ. ტაბიტა მაგარი ქალია ძალიან, მისი მაღლიერი უნდა იყო სტივენ, ძმაო. ეგ რომ არა ახლა „ქერის“ ამბავს ვერაფრით გავიგებდი და, მოკლედ, მაგის დამსახურებაა, რომ გიცნობ. შენი შვილი კი ისეთივე სასახელო ბიჭი დამდგარა, როგორც შენ იყავი ახალგაზრდობაში. ფრთხილად, არ გაჯობოს, ხომ იცი, ახალგაზრდებს უფრო უჭრით გონება და გაცილებით უკეთ შეიძლება შეგაშინონ.

აბა, წარმატებები. ველი სიახლეებს! დიდხანს იცოცხლე!

შენი ერთგული ფანი გიორგი!

როგორ დაიწერა ეს წერილი:

გამომცემლობამ “წიგნები ბათუმში” 2014 წელს გამოაცხადა კონკურსი, სტივენ კინგისთვის დაბადების დღის (21 სექტემბერი) მისალოც საუკეთესო ბარათზე. როგორც სტივენ კინგის მოყვარულს, სულ მინდოდა მისთვის მიმეწერა, ამიტომ, გავიგე თუ არა კონკურსის შესახებ, წერას შევუდექი. წარმოვიდგინე, ვითომ პირადად სტივენს მივმართავ... მე ხომ მისი გაცნობა ძალიან მინდა.. მინდა იცოდეს, რომ მან დამაწყებინა წერა და მისი ყველა წიგნი ძალიან მომწონს. ასე და ამგვარად დაიწერა ეს წერილი.

გიორგი ლოგუა



გიორგი ლოგუა

დაიბადა 1995 წლის 25 მაისს თბილისში. დედა – დიასახლისი, მამა – ინჟინერი, თვითონ კი ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია. სწავლობს ბიზნესის ადმინისტრირებაზე – მეორე კურსზე.

ლექსების წერა რვა წლისამ დაიწყო, თუმცა არავის აჩვენებდა, გრძნობდა, უფრო მეტის გაკეთება შეეძლო.

როცა სტუდენტი გახდა, მის ცხოვრებაში სიყვარული შემოვიდა, რის გამოც მოთხრობების წერა დაიწყო – რომ დაემტკიცებინა ყველასთვის და, პირველ რიგში, თავისი თავისთვის – რა შეუძლია, დარწმუნებულიყო საკუთარ ძალებში...

გიორგის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა სტივენ კინგის

ნაწარმოებების გაცნობა, მისმა რომანებმა დააწყებინეს წერა ფანგასტიკის ჟანრში.

”ხანდახან საჭიროა, რომ ცხოვრებას ჩასწვლე ისეთს, როგორც არის და არ გაეხვიო მის მიერ წარმოქმნილ ილუზიებში, ან შენივე შექმნილ ამბავში” – გიორგისთვის ფანგასტიკა რეალობასთან უშუალო კავშირშია, “ფანგასტიკა, ესაა რეალობა არარეალურში. რეალობა, რომლის შექმნაც ადამიანს განუზრახავს, და ის რეალობა, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს”.

ფანგასტიკა მისთვის კონცნასავით გკბილია, გალაქტიკასავით ამოუცნობი, ქარივით ხელშეუხებელი და ამქვეყნად ყველაზე მეტად საინტერესო.

ვერცხლის ნაწილაკი შეხვედრის შედეგად

დებიუტი

მისილ შაველაშვილი

ურჩხული

პატარა გოგონა და უზარმაზარი სამთავა ურჩხული.

არსება გაკვირვებული უყურებს ბავშვს, რომელიც მისკენ ნდობით იშვერს ხელებს. მან იცის, რომ ადამიანის ნაწიერი მისი საჭმელია, მან იცის, რომ გოგო უნდა შეჭამოს, მაგრამ რაღაც უშლის. გოგონას კი თამაში უნდოდა...

ქვრივი დედაბერი ეზოში იდგა და აცრემლიანებული თვალებით გზას უყურებდა. ერთი თვეა, რაც მისი უფროსი ვაჟი სამხრეთით, ურჩხულის მოსაკლავად, გაემგზავრა. დედის ცრემლებმა ის ვერ შეაჩერეს.

წასვლამდე მხოლოდ ერთხელ მოიხედა, მიწას დანა დაარჭო და თქვა - დანას ჟანგი თუ დაედო, ცოცხალი აღარ ვარ.

წასვლის წინ ქალმა შვილს ორი ნამცხვარი გამოუცხო, ერთი ლოცვითა, მეორე კი, დიდი - წყევლით. მან დიდი აირჩია...

უფროსი ვაჟი ცხენს სამხრეთისკენ მიაჭენებდა. ვერც სიცხე, ვერც ყინვა, ვერც ქარიშხალი და ვერც მრავალი მტერი მას ვერ გააჩერებდა. მას საგმირო საქმე უნდა ჩაედინა.


მას ურჩხული უნდა მოეკლა...


გოგო ურჩხულის თათებთან წევს. მას არ ემინია თავისი დიდი და სისხლისმსმელი მეზობლის.

მღვიმის შესასვლელთან ძახილი გაისმა. ეს მორიგი ვაჟკაცი მოვიდა გამოქვაბულის მეპატრონის მოსაკლავად.

ურჩხული მათ თავისი ცეცხლოვანი სუნთქვით წვავდა ხოლმე, მაგრამ ამჟამად გადაწყვიტა პირადად შებრძოლოდა საცოდავს...

რამდენიმე წელია არაფერი ისმის საბრძოლველად წასულისგან. მისი ძმა უკვე წამოიზარდა,





დაიწყო ხმლის ტარება. ეზოს შემოსასვლელთან დარტყობილ დანას კი ჟანგი დაეცყო...

უმცროსმა შვილმა პატარა ნამცხვარი აიღო, დედის ლოცვიანი ნამცხვარი, და გააჭენა სამხრეთით...

უფროსი ძმა გამოქვაბულის შესასვლელში წევს, მისი სხეული ჩონჩხადაა ქცეული, ძვლებს შორის კი ჯეჯილი აბიბინებულა.

ძმის გვამთან მდგარი მეომარი შურისძიების საშინელ ფიცს დებს და ურჩხულს საბრძოლვე-

ლად იწვევს.

ის არ გამოდის.

უმცროსი ძმა შედის გამოქვაბულში, ის მზადაა უეცარი შეტევისთვის, მაგრამ რას ხედავს?

უზარმაზარი სამთავიანი ურჩხულის მუხლებზე ზის ბავშვი და ორივენი რალაცაზე მხიარულად იცინიან. შემდეგ გამოქვაბულის ბინადარმა დაინახა სტუმარი, ექვსივე თვალი აენტო.

ვაჟკაცმა ხმალი იშიშვლა...

უმცროსი ძმა გამოქვაბულში დგას და მახვილს სისხლისგან წმენდს. მისი გული სიხარულითაა სავსე - საზარელი არსება განგმირულია, და ის ბავშვიც, ადამიანთა მოდგმის მოლაღატე, გამოასალმა სიცოცხლეს მისმა ერთგულმა ხმალმა.

მან გადადგა ნაბიჯი გასასვლელისკენ და უცბად საშინელი ტკივილი იგრძნო. მთელი სხეული ეწვოდა და თითქოს აღარ ეტეოდა აბჯარში. მუხლებზე დაცემულმა სცადა ჯაჭვის პერანგისგან ამოძრომა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ხელ-ფეხი მართლა ეზრდებოდა...

თავისივე ყვირილი გაიგო. სანამ გონი წაუვილოდა, მოესმა, რომ მის ხმას კიდევ ორი დაემატა...

პატარა გოგონა და უზარმაზარი სამთავა ურჩხული.

არსება გაუგებრობაში უყურებს ბავშვს, რომელიც მისკენ ნდობით იშვერს ხელებს. მან იცის, რომ ადამიანის ნაშიერი მისი საჭმელია, მან იცის, რომ გოგო უნდა შეჭამოს, მაგრამ რალაც უშლის. გოგონას კი თამაში უნდოდა...

ქვრივი დედაბერი ეზოში იდგა და აცრემლიანებული თვალებით გზას უყურებდა. ერთი თვეა, რაც მისი უფროსი ვაჟი სამხრეთით, ურჩხულის მოსაკლავად, გაემგზავრა. დედის ცრემლებმა ის ვერ შეაჩერეს.

ილუსტრაციულ კოლაჟში გამოყენებულია კალრი ენგონი და ჯო რუსოს ფილმიდან "კაპიგანი ამერიკა-შამთრის ჯარისკაცი" მთ. როლში კრის ევანსი

მისილ შაველაშვილი

დაიბადა 1994 წელს. ამჟამად ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტია. ფანგასტიკით დაინტერესებულია ბავშვობიდან - ოჯახში ფანგასტიკური ლიტერატურის საკმაოდ დიდი კოლექცია აქვს.





ილია ბაბუნაშვილი

აღაშიანთა სფერო

ქარი ზღვიდან უბერავდა. უკვე ბნელოდა. დუქნის გარეთ დაბმული ცხენები ფრუტუნებდნენ. შიგნით ორი კამპანია ქეიფობდა – ცოტა მდიდრებისა და მათზე ხელმოკლეების. მდიდრები ვაჭრები უნდა ყოფილიყვნენ, ვილაც შლაპიანი ბერძენი დაეპატიჟებინათ და ათრობდნენ. შორიდან ასე ჩანდა ყოველ შემთხვევაში. ესენი კი ათრობდნენ, მაგრამ კიჭი მელუქნესთვის რომ გეკითხათ, დიდი ოხერი კაცი უნდა ყოფილიყო ის ბერძენი – ქეიფსაც შეირგებდა და კაპიკსაც არ დათმობდა.

„ძნელად მოატყუებ ბერძენს ფოთელი, ნამდვილად“ – გაიფიქრა კიჭიმ და ვაშლი გააგორა.

დახლის კიდესთან მარცხენა ხელით დაიჭირა თურაშაული. შემდეგ, უკან გამოაგორა, მარჯვენა ხელისკენ. ეს რა ჯანდაბა დასჩემდა ამ სალამოს. ჯობს, სამზარეულოში გავიდე და ძაბუს შეუფუცხუნოს. შეკვეთილ გებჟალიას მოითხოვენ სტუმრები მალე.

უფრო ხელმოკლე კამპანიას სუფრაც უფრო ღარიბული ჰქონდა და ჩოხა-ახალუხიც ძველი ეცვა. არც არავის ათრობდნენ, თავისთვის სვამდნენ წყალში გაზავებულ ღვინოს და ეგ იყო. ალბათ, დიდხანს არც გაჩერდებოდნენ.

კაცმა რომ თქვას, კიჭისთვის მთავარი იყო ბოლშევიკები და ტერორისტები არ შემოსულიყვნენ. ერთი, რომ მთვრალები ჭერში დამბაჩების სროლას ატეხავდნენ, მეორე – შეძლება ფული არ გადაეხადათ და კიდეც, გულს შეუტყამდა მერე ჟანდარმი ვალიკო სიღამონიძე: ვინ იყვნენ,

რაზე ლაპარაკობდნენ, სიტყვა ექსპროპრიაცია ხომ არ უხსენებიათო... კიჭის ეჭვი ჰქონდა, რომ მისი ხელის ბიჭი, გონებასუსტი ამბაკო სიდამონიძის კაცი იყო. სამაგიეროდ, მთელ ფოთს თვითონ მეღუქნე ეგონა ხელმწიფის სამსახურთან შეკრული.

კიჭი სამზარეულოდან დაბრუნდა. ორი კაცი შემოსულიყო დუქანში, ამბაკოს დაესვა პატარა მაგიდასთან. ერთს იცნობდა კიჭი, სამი თუ ოთხი წლის წინ გადმოვიდა ფოთში საცხოვრებლად სადღაც გურიიდან... ან შეიძლება იმერეთიდანაც. ბერძენიშვილი იყო თუ სიხარულიძე... ან შეიძლება ბუცხრიკიძეც. შალვა ერქვა თუ... კი, კი შალვა ერქვა ნამდვილად. აი, მეორეს კი პირველად ხედავდა. რომ მიუახლოვდა, მეგრული კილო შეამჩნია. არ ესიამოვნა მეღუქნეს უცხო კაცის დანახვა, მაგრამ ფართოდ გაუღიმა მაინც.

– უცხო კაცი ჩანხართ ფოთში... მაგრამ, ჩაცმულობით გეტყობათ, რომ გამოსული უნდა იყოთ ძალიან. – მიეპირფერა კიჭი.

უცხო კაცმაც გაუღიმა:

– სტამბოლში ვიყავი ათი წელიწდი გადახვეწილი.

– ოხ! დიდებული!

– ავქსენტი მქვია მე, ავქსენტი.

– ხელმწიფის საქმეზე იქნებოდით სტამბოლში.

– საქვამე მქონდა პატარა.

– ოხ, ოხ! კაი, ნამეტანი. და რას ინებებთ, ავქსენტი პატენი.

– ღვინოს დავლევთ კიჭი ჩვენ. – ჩაერია შალვა სიხარულიძე, ბერძენიშვილი თუ ბუცხრიკიძე.

– და ზაკუსკა?

– შვუკვეთთ უკვე ამბაკოს.

– ოხ! აჰა, მე აღარ შეგაწუხებთ, კიდო.

და მეღუქნე გაეცალა. შალვას გაეღიმა.

– ნამეტანი შესანიშნავი აქცენტი გაქვთ, პროფესორო.

– ეგ ადვილი საქმეა, ჩემო კარგო. მითუმეტეს, როდესაც მხოლოდ ერთი ენა გაქვს სასწავლი. ფოთური, ხომ?

– ქართულ-მეგრულ... – დაიწყო შალვამ, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია, – მარა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. რამდენიმე საათით ხართ მაინც ჩამოსული.

– მართლა არა აქვს მნიშვნელი. ღვინო რომ თქვი, ღვინო, ის რა არის, შემახსენე, თუ ძმა ხარ. უნდა დავლიოთო და... ეგ დავლიოთ რა არის ისიც არ ვიცი კარგად.

– ღვინო სასმელია. პირიდან კუჭში ჩასასხმელი სითხე. გადაიმეორეთ ადამიანების ანატომია? სასიამოვნო კია, მარა გაბრუება იცის ცოტა. ამიტომ, წყალში უნდა გავაზავოთ და სულ ორი ან სამი ჭიქა დავლიოთ. აქ ყველა სვამს და ჩვენც დავლიოთ, თითო ჭიქა, თორემ ეუცხოებათ. თან, გეიგებთ სადღაც გამომაგ ზავნეთ.

უცხად, დუქანში ხმამაღალი ზუზუნი გაისმა. ძალიან ჰგავდა ტელეგრაფის ბოძთან რომ იცის, იმას. ყველა სუფრასთან სიჩუმე ჩამოვარდა.

– რაია, კიჭი, დუქანში ტელეგრაფი გიდგია? – დაიძახა ვაჭრების მაგიდიდან ყველაზე შემოვრალმა. ბერძენს ლოყები აწითლებოდა, მაგრამ თავს აკონტროლებდა და ზუზუნისთვის სულ არ სცხელოდა.

– არ ვიცი, პატენი... – ხელები გაშალა მეღუქნემ, – გარეთ ვნახავ, ეგება იქ იყო რამე.

ხელმოკლეები დაბნეულბი ატრიალებდნენ თავებს აქეთ-იქით.

– პროფესორო, პროფესორო! – შემფოთებულმა შალვამ თანამოსაუბრეს ხელზე ხელი მთელი ძალით მოუჭირა, – ფრთხილად! ხომ შევთანხმდით, რომ აქ, ამათებურად უნდა ვილაპარაკოთ.

პროფესორი შეცბა.

– უჰ, ძალიან ბოდიში. როგორ მომივიდა ეს, კაცო, როგორ?! გამოვასწორობ, ახლავე!

– არა, არა! – შალვამ ახლა ლამის მაჯაში გადაუტეხა ადამიანის ხელი პროფესორს. – არაფერი არ გააკეთოთ. ვიცი მე ამათი ამბავი.

– რას გულისხმობ, მაინც?

– არ დაიწყებენ აგენი უცხო წარმოშობის ბგერების გამოკვლევას. თან ღვინო აქვთ ნასში. თვარა ნახავთ.

პროფესორმა გაკვირვებული სახით მიმოიხედა. წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ დუქნის კარი გაჭრიდა. კიჭი დაბრუნდა.

– მშვიდობაა გარეთ.

– ჰოდა, მშვიდობა მოგცევს ღმერთმა. – კმაყოფილებით თქვა ერთ-ერთმა ხელმოკლემ.

– ზღვიდან იქნებოდა რაცხა. – კვერი დაუკრა

ვაჭრების მაგიდიდან ევროპულად ჩაცმულმა.

და ყველა თავის სუფრას მიუბრუნდა.

– ეს იყო სულ?

– აბა, რავა გეგონათ, პროფესორო? ვიცი მე ეს მოდგმა. ამათი დათვლით უკვე ოთხი წელი, ხუთი თვე და თერთმეტი დღეა, აქ ვარ.

– კაი, მაშინ. საქმეზე გადავიდეთ. ისე, მთავარ თეორემაზე ამათებურად ლაპარაკი ცოტა უხერხული კია, მარა...

– რას იზამ, პროფესორო. ამათ ტყავსა და სხეულში ყოფნა არაა ვითომ უხერხული? თქვენ რა გიჭირთ, ერთი აქაური საათია, რაც ჩამოფრინდით და წახვალთ. მე ვიკითხო.

პროფესორი უკმაყოფილოდ დაიჯღანა.

– დამისხი ერთი ეგ გამაბრუებელი სითხე. ვნახავ, დალევა რას ჰქვია და მერე დავიწყოთ მგონია.

შალვამ დაუსხა.

– მალაღეც, გემრიელი ყოფილა. – ტუჩები მოიწმინდა პროფესორმა.

– ცოტა ხნის მერე კიდევ დავისხამთ. დავიწყოთ ახლა, ჰე.

პროფესორმა თავი დახარა, პაუზა გააკეთა, შემდეგ, თითქოს აზრი მოიკრიბაო, თანამოსაუბრეს თვალეში შეხედა და იდუმალბაშეპარული ხმით თქვა:

– დედამიწის ლაბორატორიიდან თქვენი გამოგზავნილი სინჯები და კვლევის შედეგები დავახარისხეთ და შევაჯერეთ სხვა გალაქტიკებიდან და პლანეტებიდან გამოგზავნილ სინჯებთან და შედეგებთან. ერთად გამოვიკვლიეთ, ყველაფერი. მერე მთავარ კომპიუტერში შევიტანეთ პარამეტრები და დღემდე არსებულ ყველა ფორმულაში ჩავსვით. იმ პაღლეცის ფორმულაც კი არ გამოგვრჩენია. და შედეგი მივიღეთ გასაოცარი, ნამდვილად. ყველაფრემა სამყაროს სფერულობაზე მიგვითითა.

– აბღლის ფორმულამაც?

– ყვე-ლა-ფერ-მა!

– და...

პროფესორი შალვას აღარ დაელოდა, მღელვარებისგან თვითონ დაისხა ღვინო და წყალში გაუზავებლად გადაკრა. „ეტყობა სტამბოლში რომაა ნაცხოვრები. ისე გადაკრა არც კი უთქვამს საღლეგრძელო“ – გაიფიქრა კიჭიმ დახლ-

თან.

– მერე? – ვეღარ მოითმინა შალვამ.

დუქანში ისევ მოკლე ზუზუნნი გაისმა, მაგრამ მცისვე შეწყდა.

– პროფესორო...

– ხო, ხო...

საბედნიეროდ, ზუზუნს აღარავინ მიაქცია ყურადღება. ხელმოკლეები უკვე გადიოდნენ, ვაჭრები ხმამაღლა ლაპარაკოდნენ. ბერძენს ეშმაკურად უყუყუნებდა თვალები.

– ყველაფერი მტკიცდება. – საჩვენებელი თითი მაღლა აღმართა პროფესორმა, რომელიც მაგიდაზე იმდენად წინ გადაწეულიყო, რომ შალვას მსუბუქი ბიძგით მისი უკან, სკამზე დაბრუნებაც კი მოუხდა. ადამიანის სხეული თავისივე აღიზიანება და სხვის მიახლოებას ვეღარ აიტანდა.

– ის, რაც აღრე რელიგია იყო, ხო, ახლა დამტკიცებული თეორემა! აგერ გეტყვი, ა, პატენი... ესე იგი, იეჭვი აღარ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ თავიდან სამყარო ძირეული სუბსტანციით მთლიანად იყო შევსებული, მაგრამ მერე ის შეიკუმშა, შეიკუმშა და ერთ წერტილში მოიყარა თავი. თეორიულად ამ წერტილის ადგილ-სამყოფელი ვიცით, მაგრამ ვერ მივალთ იქ ჯერ. შეუძლებელია მისვლა. და მერე გამოვიდა ამ წერტილიდან სხივი. გამოვიდა და გაეშურა უსასრულობაში, მარა როგორ თუ იცი? ერთმანეთისგან თანაბარ მანძილებზე ჩერდებოდა, თითქოს დაღლილმა შეისვენაო და იქ, ცენტრალური წერტილის გარშემო სფეროებს ქმნიდა. და გამოვიდა ასე, ა: ცენტრის გარშემო ჯერ პატარა სფერო, ყველაზე ახლოს რომელიცაა ცენტრთან; მერე უფრო დიდი; მერე კიდო დიდი, კიდო, კიდო და ასე უსარულოდ. პატარა სამყაროებია ესენი ყველა, დიდი, უსასრულო სამყაროს შემადგენელი ნაწილები.

ანაზღად ისევ გაისმა მოკლე დაზუზუნება, მაგრამ წამზე მეტი არ გაგრძელებულა. როგორც ჩანს, პროფესორმა მოუთმენლობის გრძნობა მოთოკა. შალვამ მხოლოდ წაბები აჭიმა, მაგრამ მერე დაუშვა.

– ახლა რომელ სფეროში ვართ? – იკითხა შალვამ.

– ეს სამყარო, სადაც ადამიანებიც ცხოვრობენ, თავისი მატერიით, გალაქტიკებითა და მზის სისტე-

მებით ყველაზე შორსაა ცენტრიდან. ამის იქით ჯერ ვერაფერი ვიპოვნეთო, დამაწიეს გამოფრენის წინ ლაბორატორიიდან. განვითარების ყველაზე დაბალი დონეა აქ, მატერიაა და მიტო. და ამ ყველაფრის აზრი რაა თუ იცი?

პროფესორმა ახლა პირდაპირ დოქიდან მოსვა. ხარბად ყლაპავდა თხევად რაღაცას, რისი სახელი აღარც კი ახსოვდა. შალვას ეს არ ესია-მოვნა, რადან იცოდა, როგორ მოქმედებს ადამიანის სხეულზე ღვინო.

– გეყოფათ, პროფესორო, თვარა გადელდები.

პროფესორმა ყური არ ათხოვა.

– ყველაფრის აზრი კი, ჩემო კარგო, იგია, რომ ეს ყველაფერი ისევ ერთ წერტილში უნდა დაბრუნდეს და მერე, თითქოს ამოისუნთქოს, კვლავ ამოიფრქვეს და შეავსოს უსასრულობა ძველებურად.

– მაშასადამე, ამ სამყაროს მაცხოვრებლები ნელ-ნელა შიდა სფეროებში უნდა გადაბარგდნენ?

– ეს ყოფილა ამ საცოდავების სიკვიდილის აზრიც. ზოგი პიველივე ჯერით შეაღწევს შემდეგ სამყაროში, ზოგი სიკვიდილს არც დაელოდება, გაიხდის სხულს და შევა ისე, ზოგი კიდო თორმეტჯერ ცდის, მარა თორმეტჯერ უკან დააბრუნებენ ა, ამასთან. – და პროფესორი ისევ დოქისკენ გაიწია.

„ეს მალე ვეღარც დაიზუზუნებს“ – გაიფიქრა შალვამ ადამიანების ფიქრით. ჰმ, აზროვნებისა და ლაპარაკის მშობლიურ სტრუქტურას უკვე ზუზუნიც უწოდა.

– და ჩვენ? ჩვენი სამყაროდან ცენტრამდე რამდენი სფეროა?

– ა, აგერ, – უპასუხა პროფესორმა და ჯიბიდან პატარა სხივი ამოიღო, რომლთაც მაგიდაზე ჯერ სამგანზომილებიანი სფერო გამოხატა, შემდეგ კი იქვე, ფიალების და ჯამების სიმაღლეზე ჰაერში ფორმულების წერას შეუდგა. კიჭის დახლზე ჩამოსძინებოდა, ვაჭრები ერთმანთს რაღაცაზე იყოლიებდნენ, გონებასუსტი ამბაკო კი პირჯვარს იწერდა.

პროფესორმა დოქი დასცალა. შალვა მოსმენილისგან მსუბუქ შოკში იყო. შემდეგ ისინი დუქნიდან გამოვიდნენ და ხარბად ჩაყლაპეს შავი ზღვიდან მონაბერი შემოდგომის ჰაერი.

– სფერორო! სფერორო გამოდგა ყველაფერი. აბა, მუჭო?

პროფესორს ფეხი ერეოდა. შალვა მის სიმთვრალეს უკვე მიეჩვია. უკან მისდევდა სამყაროს დედააზრის ანალიზის კოსმიური პროექტის ხელმძღვანელსა და სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნეს. ფოთის ქუჩებს მიუყვებოდნენ უაზროდ. კარგა ხანს მიდიოდნენ. რამდენიმე ქუჩა ორჯერაც კი გაიარეს.

ერთგან პროფესორი გაჩერდა. ხელით ღობეს მიეყრდნო. წონასწორობას ინარჩუნებდა. შალვა მიუახლოვდა. იფიქრა, თუ წაიქცევა, დავიჭერო; მოეშადა, მაგრამ პროფესორმა საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიღო.

– ჩუ!

– რაიო?

– სუ, მეთქი! ჩუ!

– დედა, რაშია საქმე?

– გესმის?

ღობის უკან სახლი იდგა, სახლის ფანჯრიდან ჩვილის ტირილი გამოდიოდა.

– კი, მესმის.

– მერე? რა დააშავა ამ ბავშვმა?

– არაფერი. რა უნდა დაეშავებინა.

– რატომ არ უნდა იცოდეს მან, რომ სამყარო სფეროთა უსასრულო რიგია?

– გაიზრდება და ასწავლიან სკოლაში. – შალვამ იგრძნო, რომ ოღონდ პროფესორი დაეშოშმინებინა და უკვე მზად იყო ნებისმიერი სისულელე ეთქვა.

პროფესორმა ხელი გააქნია და დაიჯღანა.

– ვინ ასწავლის, წიე, ესენი? ადამიანები? ესენი კიდო რამდენიმე საუკუნე ვერ მიხვდებიან რა არის სფერო. ვისი და რისი მსწავლებლები არიან ადამიანები, ნეტავ.

ბავშვმა კი ტირილს უმატა.

– მამრია, ხომ ხედავ?

– მამრია, აშკარად.

– აბა, რას მეტყვი კიდევ. ჩართე ტელეპატია, გონებაში ჩაუძვერი პატარას.

შალვამ თვალები დახუჭა, დაიძაბა.

– ძლიერი ადამიანია. წინამძღოლია ბუნებით.

– თქვა ერთი ხნის შემდეგ.

– მართალია! – მრავალმნიშვნელოვნად აღმარ-

თა თითი პროფესორმა, – ჰოდა, ახლა მე მაგას ჩავუნერგავ, რომ სამყაროში მთავარია სფერო. სფერო იდეაა!

– იქნებ არ ღირდეს...

– ჩჩჩუ! სსსუ!

და პროფესორმა თავზე ხელები შეემოიწყო. მისი ადამიანური ორგანიზმი ერთიანად დაძაბა. სფეროზე მოჰყვა რაღაცის ჩურჩულს. ცოტა ხანში ახლომახლო ქუჩებში მკაფიო და გვარიანად ძლიერი ზუზუნიც გაისმა. ტელეგრაფის ბოდის ქვეშ რომ იცის, ისეთი. ფოთში ძაღლები აყეფდნენ.

* * *

1946 წლის 26 აპრილს, აღდგომა დღეს, საღამოს ექვს საათზე, თბილისში, ლავრენტი ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ადგილობრივი ოსტატი ფეხბურთელები მოსკოველ თანაკლუბელებს ხვდებოდნენ. მოსკოველებს ახალი მოვლილი ჰქონდათ ინგლისის სტადიონები, რაც მამ-

ინდელი საბჭოთა გუნდებისთვის წარმოუდგენელი იყო და ამიტომ მათი სახელი ქუხდა. სტადიონი შეივსო. ბიჭ-ბუჭები ღობეს გადაეველენ და ისე აიპარნენ ტრიბუნებზე. ცხენოსანმა პოლიციამ სტადიონის გარშემო ნეხვები დატოვა. დიდისა და პატარას მზერა მოედანს იყო მიჯაჭვული. არავის მიუქცევია ყურადღება დიდუბის თავზე დაკიდებული ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბაცი ღრუბლისთვის რომელიც ჯიუტად არ იცვლიდა ადგილს. თითქოს ისიც ფეხბურთის მატჩს დასჩერებოდა.

ამბობენ, რომ მაგანმა ენკავედეშნიკმა ა. ვართაპეტოვმა ღრუბლიდან ძლიერი ზუზუნის ხმა გაიგონა, რის შესახებაც უპატაკა კიდეც ხელმძღვანელ ამხანაგებს, თუმცა, მართლა ასე მოხდა თუ არა, არავინ იცის, ა. ვართაპეტოვის შთამომავლების ჩათვლით.

ღრუბელი კი სინამდვილეში სულაც არ იყო ღრუბელი. ის სამყაროთმორისი საფრენი აპარა-



ტი გახლდათ და შიგ რამდენიმე პლაზმური სხეული იჯდა. არც ზუზუნნი იყო ზუზუნნი...

– პილოტო, დარწმუნებული ხარ, რომ ეს დედამიწის ის ზღვისპირა ქვეყანაა... რას ეძახით აღარ მახსოვს. – იკითხა იასამნისფერმა პლაზმამ. ეტყობა ხომალდს ის ხელმძღვანელობდა.

– სავსებით, პროფესორო.

– და ის განათებული ნაგებობა დაბლა რომ ჩანს, ნამდვილად არ არის ჩვენი სადგური?

– ძალიან კი გავს პროფესორო, მაგრამ ჩვენს სადგურში ადამიანებს არავინ გააჭაჭანებს აქ კი ჩაიხედეთ რა ხდება.

პროფესორმა ჩაიხედა. სწორედ ამ დროს მოედნის ცენტრში ბურთი ბორის პაიჭაძემ მიიღო და რომ დაინახა თანაგუნდელებთან ვერავინ ეხმარებოდა, თამაში საკუთარ თავზე აიღო – დრიბლინგით მეტოქის კარისკენ დაიძრა. მას გზა რამდენიმე მოსკოველმა გადაულობა, მაგრამ პაიჭაძემ ისინი ცრუმოდრაობით ერთიმეორის მიყოლებით ჩამოიტოვა და...

– ჩემო კარგო, ერთი წუთით აქეთ მობრძანდით. – გასძახა იასამნისფერმა პლაზმამ მესამეს, რომელიც აქამდე თავისი საქმით იყო დაკავებული.

– დიას, პროფესორო.

– ერთი ჩახედეთ, რა ხდება იქ და მიაქციეთ ყურადღება თეთრებში ჩაცმულ ადამიანს, რომელიც სხვათაგან განსხვავებით ანათებს. მისი ნათების კოდის ამოკითხვაც კი მკაფიოდ შეიძლება. განა ეს ყველაფერი გასაკვირი არ არის? ნუთუ, ადამიანებთან მაღალი განვითარების ცივილიზაციებიდან ვინმემ უკვე იმუშავა?

მესამე პლაზმამ დედამიწაზე ჩაიხედა.

– რას იტყვით? – ჩააცვიდა პროფესორო.

– ძნელია რამის თქმა. კოდს ამოვწერ და მონაცემთა ბაზაში შევამოწმებ.

– შედეგი აუცილებლად მომახსენეთ! გესმით, აუცილებლად!

– რასაკვირველია! – პლაზმურად გაელიმა მესამეს.

– თან, თუ შეაძინეთ, ისინი სფეროსთან ატარებენ რალაც ექსპერიმენტს. განსაკუთრებით გამოირჩევა, ადამიანი, რომელსაც ნათება შეენიშნება, – ვერ ისვენებდა პროფესორო.

– ვინ იცის, ჰიპნოზის ძალით ოდესმე, რომელიმე მეცნიერმა მასში სფეროს საბაზისო მონაცემები ჩატვირთა და მას მერე ეს ადამიანი მთელი ცხოვრება სფეროსთან მუშაობს. ვინმე მთვრალი მეცნიერი იქნებოდა.

– რა იქნებოდა?

– არა, არაფერი, ბატონო პროფესორო.

ილია ბაბუნაშვილი



დაიბადა 1964 წლის 11 ოქტომბერს თბილისში. 1981 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1986 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1990 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი.

1989 წლიდან დაიწყო ჟურნალისტობა. 1990 წლიდან ჩამოყალიბდა სპორტულ ჟურნალისტად. მუშაობდა გაზეთებში „სარბიელი“ და „ლელო“; ჟურნალებში „გოლი“, „სარბიელი“, World Soccer და „ათიანი“; იშვიათად თანამშრომლობდა სხვადასხვა ტელეარხთან. არის სპორტულ თემატიკაზე შექმნილი რამდენიმე წიგნის ავტორი ან თანაავტორი. მუშაობდა საზოგადო-

ბრივ-ლიგერაგურულ ჟურნალში „ათიანი“.

იმავედროულად წერს მოთხრობებსა და რომანებს. 2001 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „იმპერატორის მახვილი“, 2001 წელს იმავე ციკლის მეორე წიგნი „ემ ეზუნავორანი“. ამავე ციკლის კიდევ ორი რომანი „პროფესორი პენდოლინი“ და „ცვილის კაცი და მეწამული მონასტრის საიდუმლოება“ იბეჭდებოდა ჟურნალში „ლიგერაგურული პალიგრა“. 2012 წელს გამოიცა მისი მოთხრობების კრებული „თეთრი ფანქრით დახატული ნისლი“.

ფიქრობს ბედი სცადოს ფანტასტიკის ჟანრში.



თორნიკე ბერიშვილი

საანსალნლო ზღაპარი

1. ბინტუმანი

ბინტუმანი ყველაზე მაღალი წერტილია სიერა-ლეონეში. ყველაზე დიდი მთაა მთელ დასავლეთ აფრიკაში.

სიერა-ლეონეს დედაქალაქიდან, ფრიტაუნიდან, ჯერ ფრიტაუნის ნახევარკუნძული უნდა გადაკვეთო, ვიწრო ყელით მატერიკზე გაძვრე და გეზი ქვეყნის ცენტრისაკენ აიღო, უნდა გაიარო ვატერლოო და სიერა-ლეონეს მთავარი გზის გასაყა-

რზე, მაშაკაში მარცხენა შარას დაადგე. როგბერიში კიდევ ერთხელ გაიყოფა გზა, ერთი მარცხნივ გვინეისკენ მიდის, მეორე კი – მარჯვნივ ქვეყნის შუაგულისკენ. სწორედ ესაა ჩვენი გეზი. გაივლი ლუნშარს, "მარამპა მაინის" უმდიდრეს რკინის საბადოებს და ჩახვალ ქალაქ მაკენიში. აქაც იყოფა გზა, მარჯვენა ალმასების საბადოებისაკენ, კონოსაკენ მიემართება, მარცხენა – ქალაქ კაბალასაკენ. ჩვენს სამიზნემდე ერთითაც შეიძლება მისვლა და მეორითაც, ოღონდ ორივეგან სადღაც შუაში უნდა მიატოვო ცივილიზებული ტრასა, გზიდან გადაუხვიო და შეუყვე აფრიკის გრუნტის გზებს, ბილიკებსა და გაუვალ ჯუნგლებს. მხოლოდ ასე თუ მიაღწევ იმ ადგილებს, რომლებზეც, მინდა, მოგიტხროთ.

ამ რეგიონში, ეს არის სიერა-ლეონეს ჩრდილოეთი პროვინცია, კოინადუგუს რეგიონი, ძირითადად ორ, ნიენისა და ნიას საბელადობის მიწაზე უამრავი საინტერესო რამ არის თავმოყრილი.

რუქას რომ დახედოთ, ქალაქ კაბალადან ქვემოთ და აღმოსავლეთით ორი ტერიტორიაა ნაციონალურ პარკად გამოცხადებული. ტბა სანფონის პარკი და "ლომა მაუნტინს".

ტბა სანფონი არაჩვეულებრივი ადგილია, აქედან იწყება გეოლოგებისათვის უაღრესად საინტერესო დელამიწის მანტიის ნახლენი, რომელიც სამხრეთისაკენ, ქვეყნის შუაგულისაკენ, შეუხორცებელ იარასავით, თითქოს ალესილი მაჩეტე დაუსვესო, ნახევრით ჩასდევს ქვეყანას. მილიონობით წლის წინ სწორედ აქ მოხდა უცნაური კატაკლიზმი, რის შედეგადაც ამოიყარა და მიმოიბნა ოქრო, ალმასი, რკინა, ბოქსიტი და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი სასარგებლო და უცნაური რამ.

ბუნებასაც ამ პლასტების მოძრაობის ნიშანი ატყვია. აქედან სათავეს იღებს ბევრი მდინარე, მათ შორის ორი უმთავრესი, სევა – სამხრეთ-დასავლეთისკენ და როკელი – ჩრდილო-დასავლეთისკენ.

აღმოსავლეთისაკენ თუ გადავიწევთ, საღლაც 40 კილომეტრით, მივადგებით "ლომა მაუნტინს", ლომას მთებს. და სწორედ აქ, ფრიტაუნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 346 კილომეტრში, არის ლომას მთის მასივის და მთელი დასავლეთ აფრიკის უმაღლესი წერტილი, ბინტუმანი. ზღვის დონიდან 6381 ფუტია ანუ 1945 მეტრი. კავკასიონის მკვიდრებს ეს სიმაღლე ვერ გაგვაკვირვებს, მაგრამ სიმაღლე არ არის ამ საოცარი მთის მთავარი თვისება.

ზღვის დონიდან 400 მეტრიდან და ვიდრე თითქმის 1900 მეტრამდე არაჩვეულებრივი, ხელუხლებელი ტყის მასივია, რასაც "რეინფორესტ"-ს ეძახიან. ამ მიდამოებში ბუნებაც თითქმის უვნებლად არის შენარჩუნებული და მისი მკვიდრნიც. აქაურობა ცნობილია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით.

ბოტანიკოსებისათვის და ორნიტოლოგებისათვის აქ ნამდვილი სამოთხეა, ისეთი მრავალფეროვნება და სიმდიდრეა. მსმენია შემთხვევები, როდესაც სამეცნიერო ექსპედიციებით ჩამოსულები

თავიანთი ნებით აღარ მიდიოდნენ და მათ მოსაძებნად და სამშობლოში ძალით დასაბრუნებლად ახალ ექსპედიციებს მართავდნენ.

ნაკლებად, მაგრამ მაინც გადარჩენილია ცხოველთა სამყაროც. სამოქალაქო ომის შემდეგ სიერა-ლეონელები მართლაც ცდილობენ, ეს ნაკრძალი დაიცვან და უამრავი საერთაშორისო მომწვანობიც ცდას და დახმარებას არ აკლებენ. აქ არის უამრავი მაიმუნი და, მათ შორის, შიმპანზეები, ანუ შიმპები, როგორც აქ ამბობენ, ტყის სპილოები, ირმები, ლეოპარდი, პაწაწინა ბეჭემოტი - "პიგმეი ჰიპო", "ბუფალო", ანაკონდა და მწვანე მამბა, ნიანგი და სხვა წვრილფეხობა.

ამ ადგილების მისაღწევად კი კარგა ჯანიანი მანქანაა საჭირო, რომელიც, საღლაც თხუთმეტი კილომეტრით არმისული, უნდა დააგლო სადმე. მერე კი უკვე ფეხით შეუყვე ხელუხლებელ აფრიკას. მდინარეები ღიანებით დაწული დაკიდებული ხიდებით უნდა გადალახო ან მეჩხერი წყალი მოძებნო და გატოპო, თუ ნიანგს გადაურჩი. ჯუნგლები მაჩეტეებიანი გამყოლების დახმარებით უნდა გაჩეხო, რომ გზა გაიკვლიო, ზღვის დონიდან ცოტა ზევით კი უცნაურ, თითქოს გამოქანდაკებულ, უშველებელ ქვებსა და კლდეებს შორის უნდა გაცოცდე.

გააჩნია რომელი მხრიდან მიადგები "ჰლომა მაუნტინს", ადამიანის ბოლო დასახლებებია ბანდაკარაია, ტილიკორო, იოგომუსაია, კომბაია ან კრუტო.

აბა, რა გული გამიძლებდა, ამ ყველაფრისათვის ერთხელ მაინც თვალი რომ არ შემეველო. ერთხელაც, ვისარგებლე, რომ საქმეც იქითა მიმართულებით მიხმობდა, გზა გავიგრძელე და "ლომა მაუნტინს"-ის მიდამოებში საბოდილოდ მოვიცალე. უნდა გითხრათ, რომ მთლად ძველებულ ფორმაში ვერ ვარ და ბევრი სიარულის ჯანი და ქანცი აღარ მაქვს, მაგრამ მაინც საკმაოდ ვიარე.

როდესმე, როცა ცალკე ექსპედიციას მოვაწყობთ, ბინტუმანის წვერზე ავძვრებით და იქიდან პირდაპირ ექსპრესს რეპორტაჟს მოგახსენებთ, ახლა კი ჩვენს თხრობას მივუბრუნდეთ.

წინ მაჩეტეებიანი ორი გამყოლი მიდიოდა და გზას კაფავდა, უკან სამი კაცი მომყვებოდა და ძირითადად წყალი და სხვა რამე-რუმე საგზალი

მოჭქონდა. მე მკაცრად გამფრთხილეს, - ფეხქვეშ იყურე, ემანდ, რამეს ფეხი არ დააბიჯო. მეც აქეთ-იქით, მაღლა-დაბლა ვაცეცებდი თვალებს, იმდენი იყო საკვირველი სანახავი, იმდენი ფერი და ხმა მოდიოდა აქეთ-იქიდან. როცა მახსენდებოდა, ამ შთაბეჭდილებებისგან თავბრუდახვეულს, ფეხქვეშაც ვიყურებოდი.

ერთიც ქვევით რომ დავიხედე, ამ მრავალფეროვნებაში და მაინც ჰარმონიულ ფერთა გამაში, რაღაც მეუცხოვა. ჩვენი ბილიკიდან ოდნავ მარჯვნივ, ნახევრად მიწაში ჩაფლული ნივთი შავად პრიალებდა. ბალახი გავწიე და დავითრიე. ცელოფანში გახვეული შავყდიანი წიგნია! თუ ბლოკნოტი?

უტყობა, კარგა დიდი ხნის წინ იყო დაკარგული, თითქმის გახვეებული ცელოფანი შემოვავლიფე. “მოლესკინი”-ს ბლოკნოტი!!!

საოცრებაა! “მოლესკინის” ლეგენდარული ბლოკნოტები ორი საუკუნის წინ გამოჩნდა პარიზის საკანცელარიოებში. პატარა მანუფაქტურა, სადა, მაგრამ ძალიან მოსახერხებელ და გემოვნებიან ბლოკნოტებს უშვებდა, ტრადიციულად, შავი ტყავის ყდით და მოყვითალო ფურცლებით. “მოლესკინის” ფასი და პოპულარობა კიდევ იმან დაუძველდა, თუ ვის ხელში გაიარა ამ პატარა წიგნაკმა... ვან გოგი, პიკასო, ჰემინგუეი, ჩეტვინი და სხვები და სხვები. 1986 წელს გაიყიდა ბოლო “მოლესკინი” წარმოება დაიხურა. მაგრამ 1998 წელს პატარა მილანურმა გამოძეგვლობამ იყიდა სახელი და უფლებები და აღადგინა წიგნაკების წარმოება.

ეს ყველაფერი იმიტომ ვიცი, რომ ერთხელაც საჩუქრად მივიღე “მოლესკინის” წიგნაკი. იმდენად მომწონს და დავკანკალებ, რომ შიგ ჩაწერაც კი მენანება, არ შემომეხარჯოს-მეთქი. რამდენჯერ გამიჩერებია მომარჯვებული კალამი, ვერ არის მთლად მოძნებულელი აზრი და ამისთვის “მოლესკინის” გვერდებს ხომ არ გავაფუჭებ-მეთქი. მოკლედ, ყველას თავის სიგიჟეები აქვს.

და, აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, აი ეს წიგნაკი ვიპოვე აფრიკის ჯუნგლებში, ლომას მთებში ბორიალისას. საოცრებაა! რასაკვირველია, უმაღლესი ვიცანი. ისე მიმოვიხედე, თითქოს ვინმე წართმევას მიპირებდა. არც გადამიშლია, უმაღლესი ჩავიღე

შარვლის დიდ ჯიბეში. გარემოს ინტერესი დავკარგე, ერთი სული მქონდა, მალე ჩავვემთავრებინა ეს ჩვენი ექსკურსია, სახლში მივსულიყავი და “მოლესკინი” გადამეშალა. სიარულისას წარამარა ვამოწმებდი, ხომ არ დამეკარგა, ხომ ისევ აქ არის-მეთქი.

ბევრი რომ არ შეგაწყინოთ, ამ უცნაურმა წინათგრძნობამ არ მომატყუა. როცა წიგნაკი გადავშალე, ფორმულებით, ნახაზებით, სახელდახელო ჩანახატებითა და ჩანაწერებით სავსე აღმოჩნდა. თან რა ჩანაწერებით!

პირველი გვერდი, სადაც პატრონი, როგორც წესი, თავის სახელსა და გვარს წერს, სისველისგან დალაქავებულიყო და ვერაფერი გავარჩიე. იმ იმედით, რომ ტექსტში სადმე მაინც დასცდებოდა სიტყვა თავის შესახებ, დავიწყე გაშიფვრა. ხელნაწერი ინგლისური ძნელი წასაკითხი აღმოჩნდა და ბევრი ვუკირკიტე, მაგრამ მოყოლილმა ამბებმა იმდენად გამიტაცა და ჩამითრია, რომ არც ძილი მახსოვდა და არც საჭმელი.

რამდენი რამ ყოფილა გადახლართული და გადაჯაჭვული, უცნაური ლოგიკით და ზოგჯერ აუხსნელად დაკავშირებული. ლომას მთიანეთი, ბინტუმანის მთის საიდუმლოება, ქრისტეშობა და ახალი წელი, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი, ისტორია, აფრიკის გული და მთელი მსოფლიო, გინდათ – კაცობრიობა და მილიონი წლების წინ განხლეჩილი დედამიწის მანტია...

როგორც კი წიგნაკი გადაიშალა, ნამდვილი საშობაო ზღაპარი, ოღონდ სერიოზული ზღაპარი, გამეხსნა. ან იქნებ ეს ყველაფერი სიმართლეა? ვინ იცის?

მოკლედ, აუცილებლად უნდა გიამბოთ.

* * *

ხვალ ქრისტეშობაა, ჩვენი ფრიტაუნის კარმიდამოს ღამის დარაჯმა, პოლიციელმა მომომ ალაყაფი გამიღო, ეზოში შემეშვა და მომლოდინედ შემომაცქერდა.

— მომო, გილოცავ ქრისტეშობას! “მერი ქრისტმას!” აი შენი კონვერტი და მოსალოცი ბარათი, იმედია გაუხარდება შენს ოჯახს.

— მერი ქრისტმას, სერ! გმადლობთ, - გაბადრულმა მომომ სიამოვნებით შეათამაშა კონვერტი,

თითქოს წონისო, კიდევ უფრო გაიბადრა, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა. - ცოლს გავახარებ, სერ!

- მერი ქრისმას! მომო...

- სერ! არ წახვიდეთ, ერთი წუთით... კონვერტში ვერ ჩავდეთ, არ ჩაეჭია.

მომომ თავისი სკამის უკნიდან აფრიკული მოწნული ხონჩა ამოიღო, ორი უშველებელი ანანასი, დარჩეული ბანანები და რამდენიმე მანგო.

- მერი ქრისმას, სერ, - და ხონჩა გამომიწოდა არაჩვეულებრივ ნატურმორტი ნებისმიერი პრეზიდენტის საახალწლო სუფრას დაამშვენებდა! თანაც რა გემრიელია...

აბა, დროებით, დანარჩენსაც მალე გაიგებთ.

2. "მოლესკინი"

როგორც იქნა, გადავმალე "მოლესკინი." წიგნაკის ფურცლები სავესე იყო ჩანახატებით, ჩემთვის გაუგებარი უცნაური ფორმულებითა და ჩანაწერებით. ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

წიგნაკიდან:

"... დაიწყო იმით, რომ ფრიტაუნში, აბერდინის სანაპიროზე ბარში ვიჯექი. სუვენირების აბეზარი გამყიდველი მომადგა და აღარ მომეშვა. გამწარებული ცდილობდა, რამე შემოესაღებინა. ვერ მოვიცილე თავიდან. ბოლოს ანაკონდას უშველებელი ტყავი გაშალა.

- იყიდეთ, სერ! ეს ჩვეულებრივი ტყავი არ არის, ეს ბინტუმანის ფერდებზეა მოკლული, თანაც შობა დღეს, როდესაც მთა მღერის და ანათებს. რამე შეაკერინეთ ამისგან. მაჯიქ! მაჯიქ! ავადმყოფობისგან დავიცავთ და ძალას მოგცემთ...

უცნაურად დამაბა ამ სიტყვებმა "...მთა მღერის და ანათებს..." დავიწყე გამოკითხვა და გამორკვევა."

ძალიან ჯიუტი და ინტერესიანი აღმოჩნდა თავგადასვლების ჩვენი უსახელო მადიებელი. რაც უფრო მეტი წინააღმდეგობა დახვდა, მით უფრო გაკერპდა. უამრავი ხალხი გაიცნო. რამდენჯერმე იმოგზაურა ლომას მთებისკენ, ბინტუმანის ფერდები სულ შემოიარა. ვერაფერი კონკრეტული და ხელმოსაკიდი ვერ გაარკვია, მაგრამ იმდენი ლეგენდა და თქმულება მოისმინა, რომ ინტერესი კიდევ უფრო გაუღვივდა და ლამის იღვით შეპყ-

რობილ, გაგიჟებულ მანიაკად გადაიქცა.

ერთი ფაქტი იყო, ბინტუმანის მთა დროდადრო "...მღერის და ანათებს...", დანამდვილებით არავინ იცოდა, რა დროს ხდება ეს, როდის მოვა მთა სიმღერის ხასიათზე, მაგრამ, როგორც წესი, საშობაოდ და საახალწლოდ, როდესაც საპარიდან "ჰამატანი" უბერავს, თითქმის აუცილებლად.

გადაწყვეტილებაც ლოგიკური იყო, ჩვენი მოგზაური კარგად მოემზადა და ფაქტობრივად ლომას მთებში გადასახლდა. ნიენის ჩიფლომში (საბელალოში) დამკვიდრდა, ბელადებს დაუმეგობრდა. უკვე ნასწავლმა და გამოცდილმა, მოთმინება მოიკრიბა და თავის სანუკვარ მიზანზე ხმას აღარ იღებდა. უბრალოდ ცხოვრობდა, საბელალოს რითიც შეეძლო, ეხმარებოდა და ფლორას და ფაუნას აკვირდებოდა. გაშიანურდა, საბელალომ მიიღო უცნაური თეთრი კაცი. ბავშვებს პეპლები და ხოჭოები მოჰქონდათ მასთან. მონადირეები ნადავლს უყოფდნენ. მთა დუმდა და არანაირი ნათების ნიშნებიც არ იყო.

გადიოდა თვეები, დიდი ნდობისა და მეგობრობის ნიშნად საიღუმლო საზოგადოებაში, "პორო"-ში, მიღება შესთავაზეს. ეს უკვე წარმატება იყო. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა, როდესაც გაიგო, რომ "პორო"-სთან ზიარების ერთ-ერთი უმთავრესი რიტუალი საგანგებო გამოქვაბულში ღამის გატარება იყო, როდესაც მთა ამღერდებოდა ველარ მოითმინა.

- ეგ როდის მოხდება?

- მალე ჰამატანი დაბერავს, შობაც მოდის, დაველოლოთ, - დაამშვიდა ბელადმა.

დეკემბერია. 23-ში დილიდან ბინტუმანის ფერდებს უცნაურობა დაეჭყო, ყველა სულიერი სადღაც გაქრა, თითქოს ყველაფერი გაშემდა. აღარ ისმოდა არც მაიმუნების ჭყვილი, არც ჩიტების ხმა, თითქოს ფოთოლიც კი აღარ შრიალებდა. ღამეც თითქოს მოვიდა, მაგრამ აღარ დაბნელდა, უცნაური ბინდი იდგა, თითქოს შუქიც არ იყო, მაგრამ ყველაფერი ჩანდა. ყოველთვის ხმაურიანი და ჟივილხივილიანი საბელალოც დადუმდა. ხალხი თითქმის არ ლაპარაკობდა. დასერიოზულები და სევდიან-დაძაბულები მიმოდიოდნენ.

24-ში ბელადი შემოვიდა მოგზაურის ქოხში.

- წავედით, დროა, გამოცდა უნდა გაიარო.

წიგნაკიდან:

"... დიდხანს ვიარეთ ბილიკებით, ვიძრომიალეთ უშველებელ გლუვ ქვებს შორის. ბოლოს ქვაბულში შესასვლელს მივაღებთ.

— ეს გვირახის დასაწყისია. ჩვენ ვეღარ გამოგვევებით. მარტო წახვალ, ბოლომდე იარე, სანამ კედელს არ მიაღებები. აი ეს ჩირაღდანი წაიღე, მერე მიხვდები, რომ აღარ დაგჭირდება. ჩვენ აქ დაგელოდებით, მთა თვითონ გიკარნახებს, როდის უნდა დაბრუნდე.

სახელდახელოდ გამჩხრიკეს, ფანარი, ფოტოაპარატი, დიქტოფონი... ყველაფერი ამართვეს, არ შეიძლებაო."

გამოქვაბულის კედლები თითქოს ასხივებდნენ. დროდადრო სხვადასხვა ფერის შუქი გაირბენდა რომელიმე კედელზე. უცნაურ გაელვებებს თან ხმაც მოსდევდა, მთის სიღრმიდან, გულიდან წამოსული ამოიხვრა. ურთიმო და უწესრიგო მუსიკა მოდიოდა. იმის შეგრძნებაც იყო, თითქოს სიტყვა-პასუხია, საუბარია.

იქ, გამოქვაბულის კედლებს მიღმა, მთის წიაღში, რაღაც ხდებოდა, რაღაც მნიშვნელოვანი, აზრიანი და საიდუმლო.

ისედაც გადარეულმა და შეპყრობილმა მოგზაურმა სულ დაკარგა მოსვენება. დაუღალავად, გიჟური ენერგიით ეძებდა მთის გულში მოსახვედრ გზებს. დარწმუნებული იყო, რომ ასეთი კარი არსებობს, თუმცა ამის არანაირი ნიშანი არ არსებობდა და არც არავინ არაფერი იცოდა.

"მოლესკინის" წიგნაკში რამდენიმე ფურცელი ამოხეულია. ეჭვი მაქვს, სწორედ ის ფურცლებია, სადაც ბინტუმანის წიაღში მოხვედრის გზა აღწერილი, თუმცა, ვინ იცის?

წიგნაკიდან:

"... ვარდნისაგან, ეტყობა, გონება დავკარგე. ფერად ქვიშაზე ვეგდე. ნელ-ნელა დავიწყე მოძრაობა, თითქოს ყველაფერი მთელი მქონდა. უბრალოდ, მაგრად ვიყავი დაბეჭილი. წელი ავითრიე, წამოვდექი და მიმოვიხედე..."

ტბის პირას ვიყავი. სწორი ფორმის მრგვალი ტბა იყო. ტბის ნაპირი ქვიშისა. ტბის გარშემო უზარმაზარი ქვები, ყველა სხვადასხვა ფორმისა. კარგად რომ დაკვირვებოდი, სხვადასხვა ცხოველებს მიაძვავსებდი. გიგანტური სპილო,

უზარმაზარი კუ, მაიმუნი თითქოს ზის და ხელები მიწაზე დასტრევის, უკანა ფეხებზე შემდგარი და პირდაფრენილი ავაზა, ნიანგი უშველებელ კულს იქნევს.

ვერაფრის ფერს ვერ გავარჩევდი, რადგან მუდმივი ციალი და ნათება მოდიოდა ყველა მხრიდან, დრო დადრო ელვასავით გადაუვლიდა შუქი. ხან რომელი ნაწილი აკიაფდებოდა და ხან რომელი, თანაც სხვადასხვა ფერად. ეს ყველაფერი თვალს ჭრიდა და დიდხანს თვალგახელილი ყოფნა შეუძლებელი იყო. ამ სივრცის ზედა საზღვარიც არ ჩანდა და უსასრულობის განცდა იქმნებოდა. ნათებას სინქრონულად ხმაც მოსდევდა, სხვადასხვა სიმაღლისა და ტონის. ღრმა, ყრუ ბუბუნებიდან დაწყებული, მაღალი წუილით და კივილით დამთავრებული. კაკაფონიაა. შუქის, ფერისა და ბგერის ქარიშხალია.

...მაინც რაღაც კანონზომიერება და წესრიგი, ლოგიკა იგრძნობა ამ თითქოსდა არეულობაში. აუცილებლად უნდა გავერკვიო..."

...კი მაგრამ, ეს ხომ დედამიწის მოდელია, რუქაა? ძალიან თავისებური მოდელია..."

ბინტუმანის მთა დედამიწის გრძობად-ენერგეტიკული ცენტრი აღმოჩნდა. ეს არის ადგილი, სადაც ადამიანების ემოციები იკრიბება და ენერგიაში გარდაიხსება. ამ მთის გულიდან უზარმაზარი ფესვებივით, ნერვებივით, მთელს მსოფლიოს ხლართავს საცეცები და ემოციას აგროვებს. აქსონები მთელს დედამიწას ბადესავით არტყია. ჯერ წვრილები, მერე ერთიანდებიან, მსხვილდებიან, ბოლოს მთის ფერდებად იქცევიან და ბინტუმანის წიაღში აგროვებენ მთელი მსოფლიოდან ადამიანების განცდებს.

ერთი, ორი, თუნდაც ათეული ან ათასეული ადამიანის განცდა დიდ გავლენას ვერ ახდენს, რადგან გზაში, აქსონებში ინავლება და იკარგება. მაგრამ ემოციამ თუ კრიტიკულ რაოდენობას გადააჭარბა, მაშინ, პირიქით, გაძლიერება ხდება, განცდა-ენერგიის კაპერანტული კანონის (ვ.ი. შტილმანი 1937 წ.) მიხედვით.

ბინტუმანის წიაღში გრანდიოზული ქვა-ცხოველები კონტინენტებს შეესაბამებიან, ამ ცხოველების სხვადასხვა ნაწილები კი — ქვეყნებს. მაგალითად, რომელიმე სპილოს თუ ბარძაყი დაუწყებს

ნათებას, ე.ი. შესაბამის ქვეყანაში ისეთი რამ მოხდა, რომ ერთდროულად რამდენიმე მილიონმა ადამიანმა ერთი განცლით ამოისუნთქა. ნათებას შესაბამისი ინტონაციისა და ემოციის ხმაც ერთვის თან.

მთელ მსოფლიოში ყოველდღე რაიმე ხდება და ბინტუმანის შიგთავსიც ლივლივებს ათასფერად და ზუის ათასგვარად, მაგრამ ეს ყოველდღიური, ყოფითი ემოციები არ ყოფნის იმას, რომ ხმამ და შუქის სხივებმა გარეთ გამოატანონ. ამისათვის ერთობლივი, მძლავრი მუხტია საჭირო.

საოცარი ამბები გავიგე წიგნაკიდან. ემოცერგია (ემოციური ენერგია) თურმე უკვალოდ არ ქრება. ნელ-ნელა, წვეთწვეთობით გროვდება და მომავალ დიდ ამოფრქვევებსაც მიმართულებას აძლევს. დიდი დარტყმები თავისებურ კვალს ტოვებენ და ბინტუმანის ტბის გარშემო სხვადასხვა ფერის და სიმაღლის ჩაქვავებულ ზოლებს ტოვებენ. როგორც გადაჭრილ კუნძუზე დარჩენილი რგოლებით შეგვიძლია წავიკითხოთ ხის ასაკი, ასე ბინტუმანის ქვესკნელში ზოლებს ბევრი რამის მოთხრობა შეუძლიათ. კარგი წამკითხველი დროსაც დიდი სიზუსტით დაადგენს და გრძნობების ხლართებშიც გაეკვევა. ერთი მიმართულების ემოციები ერთმანეთს ავსებენ, სხვადასხვისა - ებრძვიან.

ბოლო ფენხურთის ჩემპიონატის დროს დიდი ამბავი იყო ბინტუმანის წიაღში, როდესაც ბრაზილია და არგენტინა გავარდნენ, კინალამ შუაზე გაიპო უშველებელი ქვის ლოდი, რომელიც სამხრეთ ამერიკას ნიშნავდა იმ მომენტში, მგონი, ნიანგს რომ წააგავს, ის იყო. უნდა ითქვას, რომ ქვები-ცხოველები იცვლებიან და ხან ერთი კონტინენტიდან ისრუტავენ ემოციას და ხანაც სხვიდან, ესეც ბალანსის დასამყარებლად არის საჭირო. საერთოდ, ამ ჩემპიონატისას ისეთი ფოიერვერკი ყოფილა ბინტუმანის თავზე და ისეთი ხმაური, რომ ყველა ვუვუხელას აჯობა.

იმ დაწყველილ დღეს, როდესაც ნიუ-იორკში ტყუპები თვითმფრინავებით დაატარანეს, თითქმის მთელმა მსოფლიომ დაზაფრულმა და გაოგნებულმა ამოვიგინა. აქსონებმა უმაღლესი შეკრიბეს ეს მძაფრი ემოცია. იმავე დროს სხვა მხრიდან გაავებული სიხარული შემოვარდა, ეს ორი განც-

და დაეჯახა ერთმანეთს ბინტუმანის ტბის თავზე და მთამაც ავისმომასწავლებლად დაიგრუნუნა. კარგა ხანს ფეთქავდნენ ბინტუმანის ფერლები, ვიდრე დამშვიდდებოდნენ.

თუ როდესმე მოხდება, რომ ყველა კონტინენტიდან წამოსული განცდები უნისონში ერთფერად ააელვარებს თავის ქვის ცხოველს და ერთნაირი ბგერა გაიჟღერებს, მაშინ მოგროვებული ენერგია უბრალოდ კი არ დაემატება ერთმანეთს, არამედ გადამრავლდება და გაათკეცდება... მაშინ კი...

ამისათვის ემზადება ლომას მთიანეთი და ბინტუმანის მთა. მაშინ დაიწყება რაღაც ახალი, თვისობრივად განსხვავებული... რა? არავინ იცის.

ამ მომენტთან ყველაზე ახლოს შობა და, კიდევ უფრო, ახალი წელია. შობა შეეჯიბრებოდა ახალ წელს, ქრისტიანული სამყარო გაყოფილი რომ არ იყოს. 24-25 დეკემბერს ვარვარებს და მღერის ბინტუმანის სიღრმეში ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, ევროპა, ავსტრალია, აფრიკა (ისე აფრიკა ყველასთან ერთად ყველაფერში მონაწილეობს, ოლონდ აზვიმე), მაგრამ გამოაკლდნენ ორთოდოქსი ქრისტიანები - აქაოდა, 25 დეკემბერი 7 იანვარს არისო. ჩინეთი, იაპონია, კორეა და მთელი აღმოსავლეთი მეტნაკლებად პასიურია, ასევე არ მონაწილეობენ ამ ემოციაში მუსლიმანური ქვეყნები.

ყველაზე უფრო ერთიანი მსოფლიო ახალ წელს არის. ამ დროს ლამის ერთ ნაბიჯშია ბინტუმანის მთა თავის მიზანთან. თითქმის მთელი მსოფლიო აღიარებს 31 დეკემბრიდან 1 იანვარს გარდამავალ წამს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელების ახალი წელი სულ სხვაა და თანაც მოძრავია, თანაც ერთსა და იმავე დღეს არ ემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმების წელიწადი 11-12 დღით მოკლეა, ვიდრე გრეგორიანული კალენდარი, და საერთოდ, მათთან ახლა 1433 წელი ღვება, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის უძრავლესობისთვის ახალი წელი სადღაც მარტშია, მიუხედავად ბევრი სხვა ასეთივე სხვაობებისა, მაინც ნელ-ნელა ყველა ხარკს უხდის გრეგორიანული ახალი წლის დადგომას და შესაბამის ემოციასაც მეტნაკლებად გამოხატავენ.

ასე რომ, ყოველ ახალ წელს ბინტუმანი ვარვარებს და ანათებს, მთის გულ-ღვიძლიდან მო-

დის ხმა, რომელიც სულ უფრო და უფრო წააგავს სიმღერას. შიგნით კი ანთია და ასხივებს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, ევროპა, ყოფილი საბჭოთა კავშირი, აფრიკა, ავსტრალია, იაპონია, ნელ-ნელა ღვივდება ინდოეთი, ჩინეთი, თქვენ წარმოიდგინეთ, მუსლიმანური ქვეყნებიც კი ებმებიან ამ ფერხულში. ყოველ ახალ წელს უფრო და უფრო ძლიერდება შუქისა და ბგერის უნისონი. ერთხელაც იქნება და...

სხვათა შორის, ასეთი ემოცერგიის შემკრები სამი მთა ყოფილა მთელს დედამიწაზე. სამივე ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მათ შორის კავშირი და ურთიერთგავლენა ჯერ კიდევ საკვლევიანია. და საერთოდ, ეს ემოცერგიის შემკრები წერტილები ბუნების შექმნილია თუ რომელიმე უცხო ინტელექტის ნახელავია, ესეც საკითხავია.

ჰოდა, ამ სამიდან ერთი ბინტუმანია; დასავლეთ აფრიკაში, სიერა-ლეონე. დანარჩენი ორის ხსენება "მოლესკინის" წიგნაკის ბოლო გვერდზე ვიპოვნე.

მეორე – სამხრეთ ამერიკაში, ანდების მთიანეთში, პიჩინჩას მთა, რომელიც ეკვადორის ტერიტორიაზეა.

მესამეზე კი წიგნაკში ეწერა: "...კავკასიონი, ჯორჯია, ხვამლის მთა..."

ასე რომ, თუკი სადმე ლეჩხუმში, საეჭვო გარეგნობის ინგლისურად მოლაპარაკე უცნობს შეხვდებით, მაშინვე ჰკითხეთ, "მოლესკინის" წიგნაკი ხომ არ დაუკარგავს სადმე და გთხოვთ, უმაღლადმიკავშირდით.

* * *

ჩვენი ფრიტაუნის კარმიდამოს ღამის დარაჯი, პოლიციელი მოძო სახელდახელოდ ემზადება საახალწლოდ. ახალ ფორმაში გამოეწყო, ღილე-ბი და ეპოლეტები სულ უბზინავს.

- რაო, მოძო? ახალი წელი მოდის?

- დიახ, სერ! და ხომ იცით, რა ხასიათზეც შეხვდებით, მთელი წელიც ისეთი იქნება!

ქ. ფრიტაუნი
31 დეკემბერი, 2010 წელი



თორნიკე ბერიშვილი

დაიბადა 1960 წელს თბილისში.

1982 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

2004 წლიდან ცხოვრობდა და მუშაობდა აფრიკაში, სიერა-ლეონეს დედაქალაქ ფრიტაუნში. მისი "აფროქართველის ჩანაწერები" ქვეყნდებოდა გაზეთ "24 საათის" დამატებაში "უიკენდი" ("საახალწლო ზღაპარი" ამ ციკლიდანაა).


ამჟამად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ივა მინდაკე

ფოფოსურათი

ყულფში თავი გაყვავი, ბოლოჯერ ჩავისუნთქე და სკამს ფეხი ვკარი. თოკი დაიჭიმა, გაისმა ტკაცუნის ხმა, თითქოს ბუხარში ნედლმა შეშამ ნაპერწკლები გაყარა. ნაპერწკლები ჯერ კიდევ ჰაერში ლივლივებდა, სასიგნალო მამხალეებივით, როდესაც სკამი გრუხუნით დაეცა და იატაკიდან

მტვრის პატარა ღრუბელი აწია. ღრუბელი ცოტა ხანს ჰაერში გაჩერდა, მაგრამ მერე ქარს გაყვა და სინჯების კარადისკენ დაიდრა. ნიავი მეც ვიგრძენი, თითქოს ორპირ ქარში ვიჯექი და გამიკვირდა, ხელოვნური ფოტოსინთეზის ლაბორატორიაში ერთი ფანჯარაც კი არ იყო, მით უმეტეს, ორპირი ქარი. ლაბორატორიის ერთადერთი კარი გრძელ, შორი-შორ დაკიდებული ნეონის ნათურებით განათებულ ღერეფანში გადიოდა, რომელიც ლიფტებთან მთავრდებოდა. აუხსნელი მიზეზით, სარდაფის სართულზე კიბის უჯრედი არ იყო გათვალ-



ისწინებული, და ამიტომ ზედა სართულებზე მხოლოდ ლიფტით თუ მოხვდებოდი. უშუქობის დროს ერთი-ორჯერ მომიწია ლაბორატორიაში ღამის გათევა, სანამ ღენი მოვიდოდა და ტყვეობიდან დამიხსნიდა.

სხეულში არნახული სიმსუბუქე ვიგრძენი, ადგილზე ვეღარ ვაგჩერდი და დერეფანში გავედი. სანამ ლიფტებამდე მივედი, კისერს ვიფშენეტი, და თან უსიამოვნო გრძობის გასაქრობად ნამდვილ მასაჟს ვნატრობდი, თამთამ რომ იცის, ისეთს. დერეფანი უფრო გრძელი მომეჩვენა, ვიდრე ყოველთვის, თითქოს დროთა განმავლობაში წლების გარდა, მეტრებიც მოიმატა. დერეფანი ბევრად უფრო კარგად განათებული იყო, ვიდრე სხვა დროს. ბევრად უფრო სუფთა. მეტლახის ფილებით მოპირკეთებული იატაკი ნეონის სინათლეს ირეკლავდა და თვალს მჭრიდა. ნეტა, როდის მოასწრეს იატაკის გაპრიალება?!

ლიფტიც თითქოს საგანგებოდ მელოდება, ღილაკის დაჭერისთანავე კარი გაიღო და შიგნით შევედი. ნიაგი უცებ გაშმაგდა და ლიფტში ტორნალოსავით შემომივარდა, მიწას მომწყვიტა და ზემოთ ამიტაცა. თანაც შემოდგომის ყვითელი ფოთლები და სიგარეტის ნამწვავები შემომაცარა. სანამ ტანსაცმელს ვიფერთხავდი, ლიფტის კარი გაიღო და მეც ჩვენი ინსტიტუტის ჰოლში აღმოვჩნდი. ჩქარი ნაბიჯით გადავკვეთე ომის ვეტერანების ფოტოსურათებით მორთული დიდების დერეფანი და ქუჩაზე გასასვლელ ბზრიალა კარს შევები.

ბნელოდა და წვრილად, თითქოს საცერში გაატარესო, ისე თოვდა. ქურთუკის საყელო ავიწიე და მეტროს გაჩერებისკენ გავიქეცი. მიწისქვეშა გადასასვლელში ვატო გიტარაზე უკრავდა. ოცი თეთრი დაუვადე, მაგრამ ვატომ არც კი ამომხედა, გიტარის გრიფზე მოხტუნავე თითებს აკვირდებოდა და აქცენტნარევი ინგლისურით უმღეროდა ბაბილონის მდინარეებს. ვატო, მინდოდა დამეძახა, მაგრამ გადავიფიქრე და მეტროს ჯურღმულში ჩავყვინთე.

ბაქანზე სულ რამდენიმე ადამიანი იყო. მეტროს გვირაბიდან აქლემების ქარავანი გამოვიდა და მდორედ ჩაუარა მატარებლის მომლოდინე ხალხს. ერთი ახალგაზრდა ქალი შეიშმუნა, კული აბზი-

კა და უკან გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, აქლემებს ცხვრის ფარის სპეციფიკური სუნი სდიოდა.

ამ დროს ჩემი მატარებელიც ჩამოდგა. სკამზე დავეჯექი და მოხსენების კითხვა დავიწყე. მეტრო ჩემი საყვარელი ტრანსპორტია, რაც კი წამიკითხავს, ძირითადად, სულ ღრმა ღელესა და დელისს შორის მოვახერხე. ბოლო დროს ისე გავიწყაფე, რომ თავის დამთავრებას მეორე ხაზზე გადასასვლელს ვამთხვევ. ახლაც კონფერენციისთვის ვემზადებოდი, ხუთწუთიანი მოხსენების წაკითხვა მქონდა დაგალებული, ანუ სადგურიდან პოლიტექნიკურ უნივერსიტეტამდე.

მოხსენების ტექსტს ვებუტბუტებდი, როდესაც ფეხზე დამაბიჯა, „უკაცრავად“, მომიგლო და გვერდზე დამიჯდა. ლამაზი გოგო იყო, თამთასფერი თმებით და ოდნავ აპრეხილი ცხვირით. მოხსენება გადაიღო, თვალს ვერ ვწყვეტდი.

უკაცრავად, შემთხვევით დაგაბიჯეთ. – გაიმეორა. წინ იყურებოდა, ეტყობა გახუნებულ სარეკლამო პლაკატებს კითხულობდა.

– უკაცრავად, თქვენ თუშეთში ხომ არ იყავით შარშან – ნივა, რომ გადავარდა გზიდან, ჯვარბოსელთან?

გოგომ თავი მოატრიალა და ამათვალიერა. თამთასი არაფერი ეცხო, ცალ ხელში წერაყინი ეკავა, და გულიც გამიჩერდა, ვაითუ მიმაჭყედა ახლა ამ წერაყინით ვაგონის სკამს. მოხსენების გარდა წასაკითხიც თან არაფერი მქონდა და წარმოვდგინე, როგორ ვკითხულობ ერთსა და იმავე მოხსენებას, დღიდან დღემდე, სადგურიდან სადგურამდე.

ღელისის სადგურზე ჩამოვედი და ჩქარი ნაბიჯით ავირბინე სახლში, თან უკან ვიყურებოდი, ის გოგო ხომ არ მომდევს, ვამოწმებდი. სახლში შესვლისთანავე გაზის სუნი ვიგრძენი. გაზქურის ღუმელი გამოღებული იყო, მაგრამ ცეცხლი არ ენთო. ისევე ნათიას დარჩებოდა გაზი, უკმაყოფილოდ გავიფიქრე და გაზი გადავკეტე. ნათია ჩემი რძალია, რაც დათო მოსკოვში წავიდა, მას მერე ნამცხვრების გამოცხობით გააქვს თავი. წამდაუწუმ ტოვებს გაზს ჩართულს. თვითონ კიდე იძინებს.

კაბინეტში შევედი და საწერი მაგიდის უჯრა გამოვადე. პისტოლეტი შევამოწმე. მჭიდში შვიდი ტყვია იღო. ერთი მასრაც გვერდზე ეგლო,

დენთის სუნი სდიოდა. უჯრა დაგკეტე და კომპიუტერზე მიკრულ თამთას სურათს დავაკვირდი. თვალები დახუჭული აქვს და ზედა ტუჩი ოდნავ აწეული. მწვანე საძილე ტომრის ფონზე ქერა თმა ოქროსფრად ელავს, და თავს შარავანდედად გადასდის. თამთას კარავში ძინავს.

უგემურად შევჭამე გუშინდელი აჯაფსანდლის ნარჩენები, წყალი დავისხი და დილით ნაყიდი დასაძინებელი წამალი ავიღე. ცუდად მძინავს, ვტრიალებ და ათას სისულელეზე ვფიქრობ — ფოტოსინთეზის პროცესის კატალიზატორებზე, ბალდადის დაბომბვაზე, თამთას კატის სასიყვარულო ისტორიებზე, ნოეს კიდობანზე, ნეტა კატები არ გადაერჩინა. აბებს წყალი დავაყოლე და ცარიელი ფლაკონი ნაგვის ყუთში ჩავაგდე.

საბანი დავიფარე და სინათლე ჩავაქრე, მთვარის შუქი ხანჯალს მკრთალად ანათებდა, კედელზე უადგილოდ ჩამოკიდებულს. როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდს. ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული თამთას თვალები.

ვიღაცამ ბინის კარი შემოაღო, ძალიან ფრთხილად, ქურდულად. მერე გიტარის წკრიალა ხმა გავიგონე, ქურდი გიტარით მოსულა, ხელი სიმებზე მოჭერილი ჰქონდა, ახლა კი აუშვა და შემთხვევით პირველი სიმი ააჟღერა. ვატო იქნება გავიფიქრე, რა ვერ ისწავლა ჭკუა, რომ ღროზე დაბრუნდეს სამსახურიდან.

დილით ვატოს გიტარის ხმამ გამაღვიძა, ისევ პირველ სიმს გამოეღო და თან გასვლისას კარი ისე გაიჯახუნა, რომ მე კი არა, ყველა მეზობელი გააღვიძა. მერე გუშინწინდელი აჯაფსანდლით ვისაუბრე და სამსახურში გავიქეცი, კონფერენციაზე მაგვიანდებოდა. მეტროში სიცარიელე იყო, ცხვრის სუნი განიავებულიყო და ის გოგოც არ ჩანდა. ვაგონის სკამზე ერთი შუა ხნის კაცი იჯდა, წერაყინით მიჭედლილი. ხელში ანა კარენინა ეკავა და ღინჯად ფურცლავდა. ღიდხანს ეყოფა, შურით გავიფიქრე და მეორე ხაზზე გადავედი. ყველაფერი ისევ ჩვეულებრივად იყო, კარავი გაშლილი და შტანგავავრდნილი ნივა წოვაძთის გზაზე. დენი ისევ არ იყო და ღიდხანს მომიწია ომის ვეტერანების ფოტოების თვალიერება, სანამ სარდაფის სართულზე, ჩემს ლაბორატორიაში, მოვხვდი. სკამი შუა ოთახში იდგა, პირდაპირ

ნეონის ჭკალის ქვეშ. საკონფერენციო მასალებიდან თოკი ამოვაცურე. ცხოვრება ზვირთებით მიედინებოდა, როგორც ენგური ვიწრობში და თითქოს კომპიუტერზე მიკრული ფოტოს გარდა კიდევ რაიმეს მოცემას გვპირდებოდა. ამიტომ სკამზე ავედი, ყულფში თავი გავყავი, ბოლოჯერ ჩავისუნთქე და სკამს ფეხი ვკარი.

შეკითხვები

“შეგობრებო!


გიხაროდეთ, დედამიწას საკუთარი შეკითხვალოგი ჰყავს, ეს ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო პროფესია; და რადგან ამიერიდან ჩემგან და, ალბათ, ჩემზეც მეტს ვერაფერს შეიტყობთ, წვრილად მოგახსენებთ რას წარმოვადგენ და როგორ გავხდი შეკითხვალოგი.

მეც თქვენსავით თავიდან პასუხებს ვეძებდი, დამაჯერებელს, არგუმენტირებულს, ჭეშმარიტს. ბევრია ასეთი პასუხი, ბევრი მათგანი წიგნებშია თავმოყრილი, ჰოდა მეც ვკითხულობდი, რომ მესწავლა, თუ რა მანძილია დედამიწასა და მთვარეს შორის, როგორ უნდა გადავრჩე ოკეანეს შუაგულში სასმელი წყლის გარეშე, როდის დაიპყრეს ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი, როდის დაიბადა გოეთე, ფოტოსინთეზი რა არის და ასე დაუსრულებლად. კიდევ ბევრი რამ ვიცოდი, აურაცხელი, რადგან გაწაფული ვიყავი ამ საქმეში. ბედნიერად ვგრძობდი თავს, ყოველ დღე ახალ-ახალ პასუხებს ვეუფლებოდი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, შემთხვევით, უცნაური ფრაზა არ ამოვიკითხე, რომ პასუხებზე მნიშვნელოვანი სწორი შეკითხვის დასმაა. ადრე რომ გეკითხათ, უმაღლეს პასუხებით, თუ ვინ თქვა ეს და როდის, ახლაც მგონია, რომ ფიზიკოსი იქნებოდა ის კაცი, ან ფსიქოლოგი მაინც, რადგან სამყაროს ისინი შებრუნებულად უყურებენ ხოლმე, თავდაყირა, სხვების გულის გასახეთქად. ალბათ, რომელიმე ღიდთაგანი იქნებოდა, მაგალითად, აინშტაინი ან ფროიდი ან კიდევ ვინმე ასეთი, ნაკლებთა აზრები მაშინ არ მაინტერესებდა. მაგრამ მას მერე პასუხებს აღარ ვეძებ, მე შეკითხვებს ვსვამ.

თავიდან ეს ძალიან იოლი მეგონა, შეკითხვას

რა გამოლევს ამ ქვეყანაზე— ესეც შეკითხვაა, ცხადია! რა დიდი ფილოსოფია, ვეუბნებოდი ჩემ თავს, ეს ხომ ტრივიალურია, თავს ვიმხნევებდი, რასაც დაინახავ ყველაფერს იოლად აქცევ შეკითხვად. თვალს გაახეღ და რომელი საათია, იკითხავ, ფანჯარაში გაიხედავ და მზე როდის ამოვიდაო — შესძახებ. ეს ფანჯარაც რა მასალისგანაა დამზადებული, დაინტერესდები და იქნები ასე. ჩემსავით. პატარა, მყუდრო ოთახში გამოკეტილი. მარტოდ-მარტო. იშვითად კარს თუ შეაღებს ვინმე, რომ საჭმლის მორიგი ულუფა მომაწოდოს. გააღებს თუ არა, მივახლი ხოლმე პირდაპირ აწურულ ცხვირ-პირში, დღეს სადილზე რა გვაქვს-მეთქი, მასაც, თითქოს უხილავ პრესში მოახვედრესო, უფრო და უფრო უვიწროვდება სახე, და სწრაფად იბურწება ოთახიდან, ეტყობა გასრესის ეშინია, პასუხს კი არ მცემს, თუმცა კარს უკან ესმის ჩემი: რომელ მწერს აქვს შეჭიდული გენები, რა არის სამოქალაქო საზოგადოება, ბოზბაში ჯობს თუ ჩიხირთმა, ენა განსაზღვრავს აზროვნებას თუ აზროვნება ენას, და მრავალი სხვა, საჭირობოროტო თუ სახალისო შეკითხვა.

შეკითხვის დასმას სწავლა და ვარჯიში სჭირდება და მეც დიდი დრო მოვანდომე ამ ხელოვნების დაუფლებას, სანამ ნებისმიერ წუთს, ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერი სიგრძისა და წონის შეკითხვის დასმა ვისწავლე. გაუჩერებლად შემქმლო შეკითხვების დასმა, წუთში ათის, თხუთმეტის, ოცდაათის, თანაც რვა საათს ისე ვიმუშავებდი, ერთი შეკითხვაც კი არ გამეორდებოდა. მერე კი თავში გამიელვა, კი მაგრამ ვის ვეკითხები, ხომ აქვს ამას მნიშვნელობა-მეთქი. ღმერთო ჩემო, ელდა მეცა ამის გაფიქრებაზე, მთავარია პასუხის გამცემს ჰკითხო, თორემ ისე რა აზრი აქვს შეკითხვას! წყალში არ ჩამეყაროს ამდენი წლის შრომა — შემეშინდა. მას მერე მხოლოდ მათ ვეკითხები, ვისაც შეუძლია პასუხის გაცემა, თეორიულად მაინც, ფიზიოლოგიურად მაინც, სამეტყველო აპარატის დახმარებით. ჩემთვის შეკითხვებს აღარ ვბუტბუტებ და მიუხედავად იმისა, რომ თავში ათასი შეკითხვა მიტრიალებს, თანაც ერთი მეორეზე კონტა, მაინც ჩუმად ვარ, აბა, კედელს გინდა შეკითხვა დაუსვი და გინდა ცერცვი შეაყარე, ეს თავადაც გეცოდინებათ.



ადრე კი, სანამ აქ დავიდებდი ბინას, და როდესაც შეკითხვას შეკითხვაზე ვისროდი, დეიდისგან ერთი პასუხი რაა, ისიც კი არ მიმიღია. ჩემი შეკითხვების გაგონებაზე, სკამზე დაეშვებოდა, ცრემლები წასკდებოდა, და რა ბედნიერია ცირა, ამას რომ ვერ მოესწრო, ქვითინით იტყოდა, აბა, ეს რა პასუხია, როდესაც მეორე მსოფლიო ომში აფეთქებული ტანკების რაოდენობა გაინტერესებს, ან რომელმა ფილმა აიღო ყველაზე მეტი ოსკარი და თან როდესაც ხეზე ჭრის ტიპოლოგია გტანჯავს, რითი განსხვავდება ამოკაწრული ორნამენტი, რელიეფურისაგან, ის რა არ ამოკაწრეს თუ რა— სხვათა შორის, ცირაა ვინაა, ამაზეც პასუხი ვერა და ვერ მივიღე. ახლაც არ ვიცი, რას მოესწრო ესეთს ეს ცირა, მე თუ ვერ მომესწრო— ერთი-ორჯერ იმ კაცსაც ვკითხე, საჭმელი რომ მოაქვს ჩემთვის და რომელსაც კვირაში ერთხელ აბანოში მიყვებარ, ვინაა ცირა-მეთქი, მაგრამ დეიდა ჩემისა არ იყოს, არც მან მიპასუხა.

პირდაპირ გეტყვით იმას, რასაც, ალბათ, თქვენც უკვე მიმიხვდით, დეიდა არაფერში გამომადლა, არც პასუხის გაცემა იცოდა ხეირიანის, და არც საჭმლის კეთება. დროაო ასეთი, ამბობდა, თითქოს გემრიელად შემწვარ-მოხრაკულს რამე განსხვავებულ დრო აქვს, გარდა ვანშამ-სადილისა— ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს, ავდექი და გარეთ გავედი, რომ ვინმე უფრო საზრიანი მომეძებნა და მისთვის მეკითხა, რაც ასე მაწუხებდა. ეჰ, მაშინ უკვე ბევრი შეკითხვა მქონდა დაგროვილი, ბაიტებში აუწონავი.

სადარბაზოსთან ჩვენი ეზოს ბიჭები შეკრებილიყვნენ, ვიფიქრე ამათ ბევრი რამ ექნებათ გავონილ-მოსმენილი და შეკითხვები დავაყარე, ვჩქარობდი, რადგან ვიცოდი, დეიდა მალე დაბრუნდებოდა და სახლში ამიყვნდა. თავდაპირველად მხიარულად მპასუხობდნენ, თანაც ერთმანეთს თვალს უკრავდნენ, აქაო და ეს ისაა, მესამე სართულიდანო. მესიამოვნა, რომ მიცნეს, და გადაწყვიტე, ამ საწყალ ბიჭებს გავუიოლო ცხოვრება, რადგან, რა დასამალია და, შეკიხთვებზე მართებული პასუხების გაცემა უჭირდათ, ვიფიქრე, ვუკარნახებ პასუხებს-მეთქი. ერთს რომ ვკითხვადი, მეორეს პასუხს ჩავჩურჩულებდი, და ისიც, გახარებული, სულ სიცილ-სიცილით დაარეხვებდა რასაც გაიგებ-

და. ასე გავერთე პირველად ცხოვრებაში. ეჰ, კარგი დრო იყო, უდარდელი. მერე, რაღა გავაგრძელო, მიხვდებოდი, მოვიდა დეიდა და სულ ძალისძალით გამაქანა ისევ სახლში. მერეც ხშირად მეძებდა ქუჩაში გასულს, ბოლოს კი აქ მომაცილა და დამტოვა, ალბათ, იმიტომ რომ ახალ-ახალი შეკითხვები მშვიდად მომეგონებინა და პასუხებზე აღარ გავმცდარიყავი.

უკვე აქ ყოფნისას გავაკეთე მორიგი დიდი აღმოჩენა, რომ მთავარია ისეთი შეკითხვა დასვა, რომელზეც პასუხი არავინ იცის. ოჰ, რა დრო დამეწყო, ლაზათიანი, მწველი, პრინციპული. ხან პირწავარდნილი მატერიალისტი და ხანაც თვალდაბინდული მორწმუნე ადამიანის პოზიციიდან ვსვამდი შეკითხვებს. იმდენ შეკითხვას ვსვამდი და თან ისეთი სისწრაფით, დოდი გეგონებოდათ, პირდაპირ ცას წვდებოდა უპასუხო შეკითხვების კორიანტელი. საქმე ისაა, რომ თუკი ყოვლისმცოდნე არსებობს, უპასუხო შეკითხვას როგორ და მოვიგონებ— ამ საკითხის შესწავლას, კარგა დრო მოვანდომე, ჩემ დარაჯსაც ვკითხე ერთი-ორი და რა საოცარია, მიპასუხა — ღმერთი იყოს შენთანო, ესეც საქმეა, გამეცინა, მართალია პასუხი ცოტა არაადეკვატური მომეჩვენა, მაგრამ პასუხის მიღებას გადაჩვეულს, მაინც ძალიან მესიამოვნა. დიდ ხანს ვიფიქრე და ბოლოს მივხვდი, მთავარია, მიზანს ფორმულირება შევუცვალო და ცხოვრებას კვლავ აზრი მიეცემა. აი, ასე: მთავარია ისეთი შეკითხვა დასვა, რომელზეც ჯერ პასუხი არავინ იცის. ჯერ არ იცის, თორემ მერე რა იქნება, მართლაც, აბა ვინ იცის?

სხვა გზა აღარ მქონდა, შევუდექი ჯერუპასუხო შეკითხვების მოგროვებას, ეჰ, რა გულმოდგინეთ შევუდექი, ქათამი-კვერცხისა არ იყოს, ბევრი შევკრიბე, უამრავი, უკიდევანო. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ვინ დასთვალოს ეჰ, ეჰ, და ჩემ თავში შეკითხვები— უპასუხო შეკითხვების დილოსტატი შევიქმენი, მაგრამ ბოლოს გულზე კი შემომეყარა, ამდენი რამე კაცობრიობამ თუ არ იცოდა, ადრე არც კი წარმომდეგინა, შემეცოდა კიდევ, ამ უვიც სამყაროს ხომ არ დავეხმარო, პასუხები ხომ არ მოვუძებნო-მეთქი, გავიფიქრე და ვიგრძენი, რომ ცოტაც და პასუხების გაცემას დავიწყებდი, მაგრამ ღმერთმა მიხსნა და ამ ცლუ-

ნებას გაგუქელი, საბოლოოდ გადავედი შეკითხვების ნათელ ფერებზე. შვებით ამოვისუნთქე, რადგან მიყვარს უღალატო ხალხი. არა, არა, დავიძახე, კითხვის ნიშანს, აბა, როგორ დავუსვა წერტილი-მეთქი.

ხანდახან შეკითხვების მოგონებით ქანცგაწყვეტილი წამოვწვებოდი ჩემს საწოლზე, თვალებს დავხუჭავდი და წარმოვიდგენდი, თუ როგორ გაეცნობოდა ჩემ შეკითხვებს ფართო საზოგადოება, საზოგადოება კი არა, მთელი სამყარო, მკაფიოდ ვხედავდი, როგორი თავგანწირვით დაეწაფებოდნენ დიდები და პატარები ჩემ შედეგებს, როგორ წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე ჩემი შეკითხვების ნატიფი სისადავე, დახვეწილი სტილი, ზომიერი იუმორი და აზრთა სიღრმე. ვიწვექი და ვხედავდი, თუ როგორ კი არ იღება, არამედ იმტვრევა ჩემი ოთახის კარი, როგორ ივსება ვარდებით და აღტაცებული შეძახილებით. წარმოვიდგენდი, თუ როგორ მიასრისავდნენ კედელზე ჩემი შემოქმედების გულშემატკივრები ამ ჩემ უსალმ-მპასუხო მოძვლელს, რომელსაც ჩემი მორიგი უმარაგო წვნიანი უკავია ხელში, ოჰ, ოჰ, ოჰ. და შემდეგ ჰაერში ატაცებულს, როგორ გამაცვილებდნენ ტაშის გრიალით ამ რბილკედლიანი ჯოჯოხეთიდან პირდაპირ სტოკჰოლმში, ნობელის პრემიის მისაღებად. სალექციო შეკითხვებიც კი გამოვყავი, და თავს პირობა მივეცი, რომ მათ არც ერთ კრებულში არ შევიტანდი და მხოლოდ იქ, ჟურნალისტებით გადაჭვდილ დარბაზში, ვამცნობდი მთელ ქვეყანას. მაგრამ სანამ მოვლენ, და ცაში ამიტაცებენ, სანამ გაუთავებელ ქეიფსა და დროსტარებაში აღმოვჩნდები, შეკითხვები მაქვს შესაკრები, გავახსენებდი ჩემ თავს, და ისევ რეალობას დავუბრუნდებოდი ხოლმე. ხოლმე— რეალობის სიყვარული, ეჰ, რა ძნელია.

შეკითხვები დავაგროვე, მწყობრად გავაწყე, თავებად და ქვეთავებად დავაჯგუფე, კომპიუტერი რომ მქონოდა, მრავალტომეულს ავაწვობდი, საერთო სათაურით — იცი, რომ ეს ჯერ არ იცი — ახლა მთელი ეს შრომა თავში მაქვს აღბეჭდილი, და აქედან ვერცერთი ვირუსი ვერ წაშლის. ამით ჯობია ჩემი თავი სტივ ჯობსის ვაშლებს. გულმოდგინედ ვიმეორებ შეკითხვებს, რამე რომ არ დამავიწყდეს, რამე რომ არ გამოძრჩეს, და დღეში

მხოლოდ ერთ საათს ვუთმობ ახალი შეკითხვების მოგონებას. უფრო სწორად, ვუთმობდი, რადგან გუშინ, ვაი ჩემო თავო, გუშინ, უეცრად გავიფიქრე, აბა, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს, თუკი მხოლოდ მე ვიცი ეს შეკითხვები და მეტი არავინ — იმ სახეთხელ კარისკაცს, აბა, რამდენი შეკითხვა შეიძლება მივახალო დღეში, ანკი ის რას დაიმასოვრებს ან სად გამოაქვეყნებს მათ — ნუთუ ფუჭად გავისარჯე და კაცობრიობას ვერ მივაწვდენ ჩემ ხმას, ხმას სამარიდან — ნუთუ კარს არ შემომიმტვრებს აღტაცებული მრევლი, რომელსაც ყველა შეკითხვა გულში ექნება ჩაკრული, როგორც მშობელს თოთო ბავშვი?

მთელი ღამე არ მეძინა, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ნობელის პრემია მომპარეს და ახლა სხვა კითხულობს ჩემ ლექციას, კამერებითა და მეცნიერებით გადავსებულ დარბაზში. პანდორას ყუთის ფსკერზე წყლიდან ამოვღებული თევზივით თრთოდა იმედი. სასოწარკვეთის უფსკრული.

მაგრამ შემდგომ სულ სხვა საზრუნავი გამომიჩნდა, განდა დილის ცხრა საათი, და თქვენც არ მომიკვდეთ, საუბზე არ მომიტანეს. გავოგნდი, ასეთი რამ ჯერ არ მენახა, არც კი წარმომიდგინა. არც ათის ნახევარზე მოხდა რამე, და არც ათ საათზე გაიღო კარი და ერთგვარი სითხე, ჩაის რომ ეძახის ჩემი ჯალათი, არა და არ შემოაცურეს, თავის მუღმივ წიწიბურასთან ერთად, და მხოლოდ თერთმეტის ოც წუთზე, დაიმასოვრეთ ეს დრო, დაიმასოვრეთ დღევანდელი თარიღი, უეცრად ყველაფერს მივხვდი! ყველაფერს! შეკითხვების არსს მივაგანი, ჩავწვდი, დავეუფლე. მშიერი კი დავრჩი, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ჩემი უფრო დიდი მეგობარია. ამიტომ, არ გაგიკვირდებათ, ეს ჩემი ბოლო წერილია თქვენდამი, ჩემი იღუმალი მრევლის წევრებო, მეტი ვერც ჩემ ხმას გაიგებთ და ვერც დაწერილ სიტყვას ნახავთ, რადგან ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, როგორც მოწმენდილი ცა მაღალ მთაში, სადაც ჰაერს წონა არა აქვს და სამაგიეროდ გაზაფხულის გემო დაკრავს.

გუშინ საღამოს, მღელვარებისგან ერთ-ერთი ჩემი რეგულარული შეკითხვის დასმა დამავიწყდა, ნეტავ ხვალ დილით საუზმეზე რა მექნება-მეთქი, და, აი, ასე ავიხდეთ ყველაფერი, არც არანაირი საუზმე

არ შემხვდა, რატომ— იმიტომ რომ არც ვიკითხე! ესაა მთავარი, არ ვიკითხე, მორჩა და გათავდა. ის ვიღაც დიდი ფიზიკოსი თუ ფსიქოლოგი ცამდე მართალი აღმოჩნდა, მხოლოდ მაშინ გასუსხობენ, როდესაც შეკითხვას სვამ. მაქსიმა იოლად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: დასვი შეკითხვა და გიპასუხებენ. არ არის საჭირო ამ შეკითხვის დაწერა და ვინმესთვის გაგზავნა, ტანჯვა და წამება, არა, უბრალოდ გულში გაივლე მაინც, და იმწუთშივე სხვა ვინმე დაიწყებს შეკითხვაზე პასუხის ძებნას, რადგან ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი, წონასწორობა, ენტროპია, კითხვა-პასუხი, ინი-იანი, კრისი და კალვერა. შეკითხვის დასმა, პირველი გუნდაა, რომელიც პასუხების ზეგად ეშვება. უმაღლესადაა ჩავატარე, აბა, რა გამართლებას ნახავს ჩემი სანიტარი საუზმის დროულად არ მოტანისათვის, დავსვი ცოტა დაულაგებელი შეკითხვა და, არც გამკვირვებია, რომ იმწამსვე სანიტარმა კარი შემოაღო და ჩაი, წიწიბურა და, ჰოი საოცრება, დიდი წითელლოყა ვაშლი შემოაცურა, თანაც მთლად სახეწამლილმა წაიბუტბუტა, მზარეული საცობში მოხვდაო. სიხარულისგან ცას ვეწიე, მუშაობს, დავიძახე, ევრიკა, შეშინებული სანიტარი, გეგონება კაუჩუკის ბურთიანო, ისე ისკუპა ოთახიდან და კარი დამატებითი ურდულით გადარაზა. საცობი არა ტოროლა, შეკითხვა დავსვი მართებული და მართებულ დროს. ვაშა, დავიძახე კვლავ, ოღონდ ამჯერად გულში, კედლებს წიწიბურას ხომ არ შევაცრი-მეთქი, გამეცინა.

ამერიდან მხოლოდ შეკითხვებს ვსვამ: მნიშვნელოვანს, სასიცოცხლოს, ნაღდს. ახლა უკვე ვიცი, რომ რაც უფრო ხშირად დავსვამ შეკითხვას, მით უფრო მეტ ადამიანს ვაიძულებ ჩაერთოს პასუხების ძიებაში. ვიცი, შეკითხვები ატრიალებს ღელამი-

წას. ისიც ვიცი, შეცდომის უფლება არ მაქვს, რადგან უკუღმართ შეკითხვას უკუღმართი პასუხი სდევს თან, და ასეთი, ეჰ, ძალიან ბევრია, გარშემო მიმოიხედეთ, თუ არ გჯერათ. მე კი ამერიდან დრო აღარ მაქვს დასაკარგი, საქმე მაქვს, სამუშაო გამომიჩნდა. თავდაუზოგავად ვშრომობ კაცობრიობის ბედნიერებაზე, არც შეკითხვას ვიშურებ და არც დროს, ვმუშაობ კიბოს მორჩენაზე, უდაბნოების გამწვანებაზე, სინათლის სიჩქარის დაძლევაზე, თანაც ცოტ-ცოტა ჩემს ქვეყანას ვუვლი, შეკითხვებს ვსვამ, რატომ არ არის აქ სამართალი, მიმტვევლობა, სახაშე ყოველ კუთხეში, სიკეთის ქმნის სიხარული, ტანგარჯიმის კურსები, რატომ ვაგებთ კერპებს და რატომ ვამხობთ იმ ხეებს, რომელიც ჩვენ არ დაგვირგავს, რა გვიშლის ხელს, რა, როგორ, როდის! გითხარით უკვე, რაც უფრო ხშირად ვიკითხავთ, მით უკეთესია. და ამიტომ:

მეგობრებო, ყველას გეპატიჟებით, შემომიერთდით, ერთად დავსვათ შეკითხვები, გვერდზე ბევრი მყუდრო საკანია, ჩემნაირის მსგავსი, რბილი კედლებითა და გარანტირებული წიწიბურათი. აქ არავინ შეგიშლით, არავინ შეგაწუხებთ, არავინ ავიკრძალავთ შეკითხვების დასმას. დავით შეკითხვები, სანამ დროა, სანამ მკერდში გული გიცემთ.

გელოდებით, არ გემშვიდობებით, და, როდესაც უდაბნოში ბროწეულის პირველი ხეები აყვავდება, მომიგონეთ, რადგან არაფერია წითელი ყვავილებით დაჩრდილულ ქვიშაზე ლამაზი.

დროებით,
პირველი შეკითხვალოგი,
ნ.ნ.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი დღე”.



ივა მინლაკე

დაიბადა 1973 წელს თბილისში. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიგერატურის ფაკულტეტი, გერმანიისტიკის სპეციალობით. მუშაობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, მითხრობები.

ბაბა ნახსოვი

ფერადი ფანქრები

ერთხელ ღამით მესიზმრა, რომ ისევ პატარა ბიჭი ვიყავი. უცნაური, მაგრამ კარგი და ლამაზი სიზმარი ვნახე. ამბობენ – თუ ძილში ნანახი ვინმეს უამბე, აუცილებლად აგიხდებაო. ჰოდა, მეც ვიამბობთ.

...

პაპაჩემი დამესიზმრა. ყოველთვის, როცა ერთად ვიყავით, სახეზე მზიარული, კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. ახლაც ასეთი იყო.

მაგიდის უჯრაზე დააკაკუნებდა.

– კაკ-კუკ!... შეიძლება? – იტყოდა გაღიმებული.

მერე უჯრიდან ფერად ფანქრებსა და ფურცლებს გააჩნდა. დიდ ტახტზე მოგკალათდებოდა და სასაცილო ცხოველებს მიხატავდა.

...

პაპამ მაგიდის უჯრაზე დააკაკუნა. კაკ-კუკ!... და უეცრად გაუჩინარდა. უჯრა გაიხსნა. ფერადი ფანქრები და თეთრი, ქათქათა ფურცლები ამოფრინდნენ.

განვცვიფრდი და გავიტრუნე. არ შემშინებია. პირიქით, რაღაც უჩვეულო დღესასწაულს ველოდი.

ფერადმა ფანქრებმა წითური, სასაცილო ბაჭია დამიხატეს, რომელიც სტაფილოს შეექცეოდა. უცბად ბაჭია გაცოცხლდა. მოუსვენრად ამოდრავდა და ალაპარაკდა.



– არ გინდა სტაფილოთი გაგიმასპინძლდე? – წვრილი ხმა ჰქონდა და ცოტა ენა ებოდა, რაც უფრო სასაცილო და ამასთანავე კეთილშობილურ იერს სძენდა.

რატომღაც არ გამკვირვებია, მაგრამ სტაფილო არ მიყვარდა.

– არა, გმადლობთ, – ვუთხარი ღიმილით, – არ მიყვარს სტაფილო.

– რატომ?

– არ ვიცი, მოდი, ჯობია რაღაც ვითამაშოთ, არა?

– გასინჯე, ყველას კი არ ვთავაზობ, აარრ ინანებ... მხრები ავიჩეჩე.

– მეწყინება!... გინდა, გული გამისკდეს?! – გულზე ხელი მოიჭირა.

არ მინდოდა ბაჭიას წყენინება და გავსინჯე. გავსინჯე კი არა, გადავსანსლე. მარწყვზე გემრიელი იყო.

– კაარგი ბიჭი ხარ, ხომ ხედავ რროგორი გემრიელია. ჯადოსნური სტაფილოა! – მითხრა კმაყოფილმა. გაინაბა, ყურები დაცქვიტა და გამეპრანჭა.

– მერე? რა დამემართება? – ვკითხე ცნობის-მოყვარეობით.

– თვითონ ნახავ...

თვალი ჩამიკრა და პაპასავით გაუჩინარდა.

მერე ფერადმა ფანქრებმა ლურჯი, ხნეირი ძროხა დამიხატეს.

ისიც გაცოცხლდა. ოღონდ არ მოძრაობდა. ჩუმად იდგა და მიცქერდა.

– გასინჯე ჩემი რძე, ბიჭუნა, – მთხოვა ბოლოს. რძე სტაფილოზე მეტად მძულდა.

– დიდი მადლობა, – უარის თქმა მერიდებოდა. ასაკოვანი ძროხა იყო, – რა ვქნა... რძე სტაფილოზე მეტად არ მიყვარს...

– ეეჰ, ამოიხვნიემა თავისთვის, – ასეა, დავბერდი და ჩემს რძეს აღარავის სვამს, აღარავის ვჭირდები...

ღარღიანი ხმა ჰქონდა. დაღონდა, თავი დახარა და ცრემლიანი თვალი მომარიდა. შემებრალა და რძე მოვწრუპე. მოვწრუპე კი არა, ერთი ამოსუნთქვით გადავკარი. წყაროს წყალზე, ლიმონათზე გემრიელი იყო.

– ეს ჯადოსნური რძეა, ჩემო ბიჭუნა!... – მითხრა

ხალისიანი ხმით. თითქოს წლებიც დააკლდა, გაახალგაზრდავდა.

– მერე? რა დამემართება?

– თვითონ ნახავ!...

თვალი ჩამიკრა და ისიც გაუჩინარდა.

ფერადმა ფანქრებმა ქათამი დამიხატეს. რძესავით თეთრი იყო და ზებრასავით შავი ზოლები ჰქონდა. უცებ გაცოცხლდა და კვერცხიც დალო. სასაცილოდ აკაკანდა.

– მიირთვი ჩემი კვერცხი, იცი, რა გემრიელია?

– შემომთავაზა მხიარულად.

უუჰ, როგორ არ მიყვარდა კვერცხი. ჩემს პასუხს არც დალოდებია.

– მაინც როგორი კვერცხი დაგიმზადო? შენ არ იცი რა კარგი მზარეული ვარ, – განაგრძო კაკანი, – ომლეტი გნებავს თუ ერბოკვერცხი? თონლო კვერცხი თუ კარგად მოხარშული? ხო, მართლა, გინდა გოგლიმოგლს გაგიკეთებ?...

გოგლიმოგლიც კი მეჯავრებოდა, მაგრამ მზარეულ ქათამს უარი ვერ ვაკადრე და კვერცხი პირდაპირ უმად გადავყლაპე. ნაყინზე გემრიელი იყო.

– ეს ჯადოსნური კვერცხია!...

– მერე? რა დამემართება?

– თვითონ ნახავ!...

თვალი ჩამიკრა და უზარმაზარ ლალისფერ ფასკუნჯად გადაიქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ სრულებით არ შემშინებია. ბუმბული საოცრად უელვარებდა, თვალებიდანაც სხვანაირად ზღაპრულ სინათლეს ასხივებდა.

– მოდი, გავფრინდეთ! – ბოხი, მაგრამ თბილი ხმა ჰქონდა. რაღაცით პაპაჩემის ხმაც მომაგონა, – აბა, ჩემს ზურგზე მოკალათდი და ხელი მაგრად ჩამჭიდე.

მეც მოკალათდი. უცნაური სიმსუბუქე ვიგრძენი და გავფრინდით.

– სად მივფრინავთ? – კკითხე გახარებულმა.

– მთვარეზე...

– უუხ, როგორ მიყვარს მთვარე!...

მართლა მიყვარდა. ყოველ ღამით დიდხანს ვაკვირდებოდი, ვათვალიერებდი და მერე ვიძინებდი.

როგორი მთვარე აღარ მენახა. თოვლივით თეთრი და ატამივით ყვითელი, ჰაერივით გამჭვირვალე და ალივით მოწითალო, ფერმკრთალი და ლაჟღაჟა, ღრუბლებში მიმქრალი და მოწმენდილ ცაზე მოკაშკაშე, ნახევარი და მთელი, გალეული და სავსე... ხანდახან დღისითაც არ ჩადიოდა, როცა მზესაც კი სჭირდებოდა მისი სინათლე.

აღარ მახსოვს, როგორ დავსხედით მთვარეზე. უეცრად, ჯადოსნური ფრინველი გაუჩინარდა... ისე, რომ თვალიც არ ჩაუკრავს. სიცარიელე და სიჩუმე ჩამოწვა. უცხო, უდაბურ ადგილას ვიდექი. შიშისაგან კანკალმა ამიტანა. ჩემი ბიჭური სიამაყეც სადღაც გაქრა და კინაღამ ავტირდი. ვიტირებდი კიდევაც, უცებ პაპაჩემი რომ არ გაჩენილიყო. თითქოს ციდან დაეშვა. მხიარულად და კეთილად მიდიმოდა, როგორც ყოველთვის.

გული ამიჩუყდა. თავი ველარ შევიკავე და უნებურად მაინც ავტირდი. სლუკუნით მივირბინე და ჩავეხუტე. შუბლზე მაკოცა და ხელში ამიყვანა. ისევ შევიგრძენი სიმსუბუქე. მარტო აღარ ვიყავი. სიჩუმეცა და სიცარიელეც უკვალოდ აღორთქლდა. მერე პაპამ მთვარიდან გადმომახედა. ჩვენი დედამიწა დავინახე. მრგვალი, ჯადოსნურად ფერადი და მშვიდი.

ბაბა ნახუსრიშვილი

დავიბადე 1971 წელს, 1993 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ვარ ავტორი 10 კრებულისა. 2003 წელს მომენიჭა პრემია საბა, კრებულისათვის "გამგზავრება და მოლოდინი".





ეორანი

01

ერთხელ ღამით ფიქრთა შუა დაღლილობამ შემიგყუა
და ვთქვი – ალბათ, სევდა თუა, ამ ძველ წიგნებს ვფურცლავ ოდეს...
ძილს ვებრძოდი მთელი ღამე, კაკუნი რომ მომესმა მე,
თითქოს ვიღაც ანდა რამე კართან შინ მე მომდგომოდეს,
"სტუმარია?! - ვეჭვობ, რომ სხვა კართან ვინმე მომდგომოდეს
და სათქმელი რამე ჰქონდეს".

02

თითქოს მახსოვს, ვგრძნობდი რასაც – დეკემბერსაც და მის ქარსაც,
თითქოს სურდა ბუხრის ალსაც – იაგაკზე ჩრდილად ხგოდეს...
გულს კი სურდა ძლიერ დილა და თვით წიგნმაც გააწბილა,
რომ იქ შეება ვერ იხილა, რომ ის მარად ხსოვნით კრთოდეს
და შორეულ ქალწულ ლენორს, ვით ანგელოზს, შეჰხაროდეს,
თუმც იმედი არც რამ ჰქონდეს.

03

მარჯნისფერი აბრეშუმის ფარდის – მისი შარიშურის –
ხმაც მზარავდა და ღარავდა გულს შიშით, რაც დღემდე მომდევს,
ჯერ უცნობი რაღაც ელდით მეც და გულიც მთლად გავხელდით:
"სტუმარია – კვლავ ვთქვი – ვეჭვობ, შემოშვებას სხვა რომ მოხვდეს,
სტუმარია ვიღაც... ვეჭვობ, ამის ნებას სხვა რომ მოხვდეს,
ან განზრახვა სხვა რამ ჰქონდეს.

04

მოვიკრიბე მალე ძალი, კარს შევაღვე უმაღ თვალი,
ვკითხე: "კაცი ხარ თუ ქალი?! – მაპატიე მე, არმცოდნეს,
არ ველოდი კაკუნს ღამე, მთვლემარს მესმა ოდეს ხმა მე,
ვერც გავიგე სიგყვა რამე – კარზე ვინმე მომპახოდეს"...
გავხსენ კარი და ვიფიქრე, იქ წყვდიადი დამხვდა ოდეს,
ვეჭვ, სამზერი სხვა რამ მქონდეს.

05

მივაშტერდი წყვდიადს ასე, შიშითა და გზნებით სავსე,
მე იმ ნაგრულს დავემსგავსე, ვისაც სურს, რომ შუქი კრთოდეს,
თუმც არ ჰკვეთდა სხივი წყვდიადს და არც ბგერა – დუმილს, ფრიადს,
მხოლოდ სურვილს ვგრძნობდი დიადს, ექოსავით რომ მოჰქონდეს
სივრცეს სიგყვა - "ლენორ... ლენორ..." და ჩემს ირგვლივ მიმოჰქონდეს...
სხვა სურვილი არც რამ მქონდეს.

06

მოვბრუნდი და ვიგრძენ სრული მგზნებარებით თრთოდა სული და ვშიშობდი, აწ სარკმელზე ის კაკუნი განმეორდეს, მართლაც მესმა მძლავრად ისევ და ვთქვი - "ეჭვებს რაგომ ვისევ?! გამოვადებ სარკმელს ისე, სული ძლიერ რომ არ თრთოდეს, ვნახავ, იქნებ ქარს სწავლია – რაღაც უცნაურად ქროდეს და ხმაც უცნაური ჰქონდეს".

07

გავაღე და ბევრით-ქვევით მოფართხალე ფრთების ქნევით იქ ყორანი დამხვდა წინ და შემოფრინდა შიგნით ოდეს, მედიდურად მე გამშორდა და ვით ლედიმ ანდა ლორდმა, ჩამიარა შორი-შორ და კართან ახგა, თითქოს მოსდევს ძველი ჯაფრი პალადასი, რომ მის ბიუსტს დასჯდომოდეს, – თითქოს ჯაფრი ახლაც ჰქონდეს.

08

შევხედე და სევდის ნაცვლად გაეხალისდი – ისე მკაცრად იჯდა თითქოს მთელიდა არც რად... ჰგავდა ბრძენს და ყოვლისმცოდნეს. ვუთხარ: "ვაგყობ, არ ხარ მხალღი, თუმც მზერა გაქვს ერთობ მწყრალი, მედიდურად გიჭრის თვალი... სჭვრეტ დამეულ ბრალს და ცოდვებს... მაშ, სახელიც მითხარ... იქნებ ჯოჯოხეთურს მეგყვი ბოდვებს...“ და თქვა სიგყვა - "არასოდეს!"

09

ყორნის სიგყვას ყური როცა მოვკარ, ფრიალ გამაოცა, საშველი კი არც მან მომცა, სული სევდით რომ არ ძრწოდეს... ან უნახავს ნეგავ ვინმეს, შესწრებია მხეცს ან ფრინველს, რომ ოთახში შეძლებს იმდენს, შეელწიოს შიგნით ოდეს, უმაღ კართან შემოდებულ ბიუსტს თავზე დასჯდომოდეს და თან ეთქვას "არასოდეს"?!

10

ეს თქვა მხოლოდ შემზარავად და ბიუსტზე კვლავ უძრავად იჯდა... თითქოს ერთ სიგყვაში მთელ ძალას და სულს აქსოვდეს... ფრთის შექნევაც კი არ სცადა, არაფერი მითხრა სხვა და მე ვთქვი – "წავა ესეც ხვალ და მოისურვებს, რომ გამშორდეს, როგორც ყველა მეგობარი და იმედის აღარ მქონდეს..." მან დამჩხავლა - "არასოდეს".

11

დავუბრუნდი შიშით ღუმელს, ჩხავილი რომ მეწყდა სტუმრის, "მგონი, ერთი სიგყვა იცის - ვთქვი - ვეჭვობ, რომ სხვას ამბობდეს... ალბათ, ვინმე ბედკრულს ჰყავდა მიჩვეული, ის კი თხზავდა სევდით ლექსებს კვლავ-და-კვლავ და სურდა, ასე დასძახოდეს მას ყორნის ხმაც... უიმედო სევდით სავსე დასძახოდეს: "არა, არა... არასოდეს..."

12

ჩემს სევდიან სულს თუმც მალე კვლავ ღიმილით მივეძაღე, სავარძელი დავდგი ახლოს ყორანთან და კართან ოდეს, რბილ ხავერდზე მჯდომმა თავი მივეც ფიქრებს, ის კი – შავი, მწუხარე და შემზარავი ხმით ცდილობდა, კვლავ ჩხაოდეს, ვით ბნელეთის მოციქული ერთი სიგყვით დამჩხაოდეს და ამბობდეს - "არასოდეს".

13

ასე ვიჯექ სავსე ეჭვით, ღრმა ღუმილში ხანგრძლივ შეჭრით, ფრინველი კი თვალთა ცეცხლით თითქოს გულში შემომჭროდეს, მე იღუმალ ფიქრთა შორის ხავერდებზე წამოწოლილს, შუქს მაფენდა ლამპიონის სხივი ისე, თითქოს კრთოდეს იისფერად საგრფოს ხსოვნა... მსურდა, კარს ის მოსდგომოდეს, თუმც არ მოვა არასოდეს.

14

მერე ვიგრძენ რაღაც შვება, მოფარფაგე ნება-ნება, თითქოს ჩემთან სურნელება სერაფიმთა იფრქვეოდეს, "ო, საბრალოვ! - თავს შევძახე - აწ ღვთიური შვება ნახე, მოჩანს ანგელოზთა სახე, რომ შენს ხსოვნას შვება ჰქონდეს... რომ ლენორი დაივიწყო... რომ ლენორი არ გახსოვდეს... და მომესმა - "არასოდეს!"

15

ვკითხე - "გიმზერ ნათელმხილველს თუ ეშმაკთან ჩვეულ ფრინველს, რომელ მაცდურ ქარს ეწადა, შენთან ერთად აქეთ ქროდეს?! რად მეწვიე უდაბურ და ბნელ მხარეში... ან რა გსურდა?! უშიშრობა შენი მშურს და გთხოვ - მართალი მითხარ!... გთხოვ ღღეს! გალაადის ნაპირს ჩემთვის თუ აქვს შვება? - მითხარ!... გთხოვ ღღეს!" და მომესმა - "არასოდეს!"

16.

ვკითხე - "გიმზერ ნათელმხილველს თუ ეშმაკთან ჩვეულ ფრინველს?! ღმერთს გაფიცებ, ვისგან მაღლივ გვსურს, ორივეს მოგვფენოდეს, მითხარ, ჩემს სულს ეღირსება, თუნდ ედემში ჰქონდეს შვება, თუ ექნება იმის ნება, წმინდა ქალწულს შეჰხაროდეს, ლენორს ხელის შესახებად უხმობდეს და შესძახოდეს?!" და მომესმა - "არასოდეს!"

17

“მამ, ამ სიგყვით გამეცალე, გადი გარეთ ქარში მალე, ფრინველი ხარ თუ ეშმაკი?! - სჯობს, გზა ჯოჯოხეთში გქონდეს!... სჯობს, კარისკენ გაემართო, სულს ცრუ გზნება არ დამართო, მე დამტოვე ისევე მარტო... მოშორდები ბიუსგს ოდეს, სჯობს ჩემს გულსაც შენი კლანჭი აღარასდროს დასგყობოდეს!...” და მომესმა - "არასოდეს!"

18

მივაშტერდი ყორანს მყის და – ის უძრავად მის და მის და – თითქოს ბიუსგს პალადისას საუკუნოდ დასჯდომოდეს, მზერაც თითქოს გაუქვავდა, მეოცნებე ღემონს ჰგავდა, და მის ჩრდილქვეშ ვიგრძენ კვლავ და მივხვდი, სული უნდა ძრწოდეს, ყორანის ჩრდილში ჩაფერფლილ სული, მარად უნდა ძრწოდეს, და არ აღდგეს არასოდეს!

თარგმნა

ალექსანდრე ელერდაშვილმა



**ალექსანდრე
ელერდაშვილი**

დაიბადა 1956 წლის 16 აპრილს, თბილისში.
აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი.
საყვარელი საქმიანობა – პოეზიის თარგმნა და ლექსიკონების შედგენა.

ლიბერატორული კონკურსი

რეი ბრედბერის ნათქვამი აქვს – ყველაფერი მას მერე დაიწყო ჩემთვის, რაც 12 წლის ასაკში ედვარ პო წავიკითხე და 18 წლამდე მას ვბაძავდიო...

გადავწყვიტეთ, გამოვაცხადოთ ლიტერატურული კონკურსი, რომელიც ერთდროულად ეძღვნება რეი ბრედბერის და ედვარ პოს. ვთავაზობთ ედვარ პოს დაუმთავრებელ მოთხრობას – “შუქურა”. კონკურსის მონაწილეებმა უნდა დაასრულონ ტექსტი (მოთხრობის მოცულობა – მაქსიმუმ 4500 სიტყვა. კონკურსი დახურულია). დამატებით ინფორმაციას კონკურსის ვადების შესახებ მოგაწვდით ჩვენს საიტზე და ფეისბუქ-გვერდზე.

ფანტასტიკური ჟანრის ამერიკულ-ქართული მოკლე მოთხრობის ყველაზე საინტერესო ვერსიები ჩვენს ჟურნალში და საიტზე გამოვექყნდება, მათ შორს საუკეთესოს მკითხველებთან ერთად შევარჩევთ... კონკურსში გამარჯვებულს დავასაჩუქრებთ...

ედვარ პო

შუქურა

1 იანვარი – 1796.

დღეს – ჩემი პირველი დღეა შუქურაზე – ვიწყებ დღიურს, როგორც დავუთქვი დე გრაატს. ვეცდები დღიური შეძლებისდაგვარად გულმოდგინედ ვაწარმოო – მაგრამ, ვინ იცის, რა შეიძლება მოუვიდეს კაცს, ჩემსავით მარტო როცა რჩება – შეიძლება ავად გავხდე, შეიძლება უარესიც დამემართოს... მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის! კატარღა ძლივს გადარჩა – მაგრამ განა ღირს ამაზე ფიქრი, თუკი აქა ვარ საღ-სალამათი? გულში სიამეს ვგრძნობ, სულიერად გამოვცოცხლდი, – პირველად ცხოვრებაში, ბოლოს და ბოლოს, სრულიად მარტო ვიქნები; რადგან, რასაკვირველია, „ნებტუნი“, მიუხედავად მისი სიდიდისა, „საზოგადოებად“ ვერ ჩაითვლება. „საზოგადოებაში“ იმ ერთგულების ნახევარი მაინც რომ მეპოვა, რაც ამ საწყალ ძაღლსა აქვს, ალბათ, არა-



სოდეს მივატოვებდი „საზოგადოებას“, – თუნდაც ერთი წლით... ყველაზე მეტად კი მოცუბეს ის სირთულეები, რაც შეხვდა დე გრაატს, როდესაც ცდილობდა ეს თანამდებობა ეშოვნა ჩემთვის – წარჩინებული კაცისთვის! და ეს იმიტომ კი არა, რომ მეურვეთა საბჭოს ეჭვი ეპარებოდა, შუქურის ცეცხლის მოვლას შევძლებ თუ არა. ჩემამდე მას მხოლოდ ერთი კაცი უვლიდა – და ეს იმაზე ცუდად არ გამოსდიოდა, ვიდრე სამი კაცს, ჩვეულებრივ რომ ავალებენ ხოლმე. მოვალეობები – უმარტივესია, ბეჭდური ინსტრუქცია კი სრულიად გასაგები. ორნდოფს კომპანიონად ვერ წამოვიყვანდი. წიგნზე მუშაობას ვერ შევძლებდი, აქ თუ იქნებოდა თავისი აუტანელი ჭკორაობით – რომ არაფერი ვთქვა მის მუდმივად მხრჩოლავ ჩიბუხზე. მე სწორედაც მარტო ყოფნა მსურს. უცნაურია, მაგრამ აქამდე არ შემიმჩნევია, თვით ეს სიტყვა რაოდენ გულისგამაწვრილებლად ჟღერს – „მარტო“! ისიც კი მერყენება, რომ ამ ცილინდრულ კედლებში რაღაც უცნაური ექოა, თუმცა, ო, არა! – ეს უაზრობაა. ვგრძნობ, რომ მარტობა მოქმედებს ჩემს ნერვებზე. არა, ასე არ ივარგებს. არ დამვიწყებია დე გრაატის წინასწარმეტყველება. ახლა სასწრაფოდ უნდა ავიდე შუქურის თავზე და გარშემო დაკვირვებით მიმოვიხედო, რომ „დავინახო ყველაფერი, რის დანახვასაც კი შევძლებ“... დავინახო, რაც მართლა შესაძლებელია! – არადა, აქ ბევრს ვერაფერს დანახავ. დღევა თითქოს დაცხრა, მაგრამ კატარღას, ალბათ, მაინც გაუჭირდება სახლში დაბრუნება. ნორლანდს ზვალ შუადღემდე ვერ დანახავენ – არადა, მანძილი სულ რაღაც 190 ან 200 მილია.

2 იანვარი

დღევანდელი დღე რაღაც უცნაურ ექსტაზში გავატარე, რომლის აღწერა მე არ ძალმიძს. მარტობის ჩემი წყურვილი უკეთეს საზრდოს ვერ მიიღებდა – ვერ ვიტყვი, დაკმაყოფილებას-მეთქი, რადგან მე, ასე მგონია, ვერასოდეს ვიკმარებ იმ ნეტარებას, რაც დღეს განვიცადე... განთიადისას ქარი ჩადგა, შუადღის მერე კი ზღვაც დამშვიდდა... ღურბინდის დახმარებითაც კი ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ ოკეანეს და ცას, იშვიათად – თოლიებს.

3 იანვარი

მთელი დღე შტილია. საღამო ხანს ზღვა შუშას დაემსგავსა. რამდენიმე წყალმცენარე გამოჩნდა, მაგრამ ამის გარდა მთელი დღე არაფერი დამინახავს – ღრუბლის ფთილაც კი... შუქურის დათვალიერებას შევუდექი... ძალზე მაღალია – როგორც ვხვდები საკუთარი გამოცდილებით, როდესაც უსასრულო საფეხურებზე ავდივარ – მიქცევის ყველაზე დაბალი ღონიდან შუქურის ფარნამდე 160 ფუტი იქნება. კოშკის შიგნით კი სიმაღლე, სულ მცირე, 180 ფუტია, ესე იგი, იატაკი ზღვის ღონესთან შედარებით 20 ფუტით ღრმაა, მიქცევის დროსაც კი... ჩემი აზრით, სიცარიელე ქვედა ნაწილში ქვის ერთიანი წყობით უნდა შეივსოს. უეჭველია, გაცილებით საიმედო იქნება. თუმცა რას ვამბობ? ასეთი ნაგებობა საკმარისად საიმედოა ნებისმიერ გარემოებაში. მასში თავს უსაფრთხოდ ვიგრძნობ ნებისმიერი, ყველაზე მძვინვარე ქარიშხლის დროსაც კი, – თუმცა მეზღვაურებისგან მსმენია, რომ ამ ადგილებში, როდესაც სამხრეთ-დასავლეთის ქარი დაუბერავს, ყველაზე მაღალი მოქცევა იცის, მაგელანის სრუტის მოქცევას თუ არ ჩავთვლით. მაგრამ ამ მაღალი, მძლავრი კედლის წინაშე, რომელიც რკინის მასიური სალტეებითაა შეკრული, მოქცევა თავისთავად უძღურია – 50 ფუტის სიმაღლეზე მოქცევის ღონიდან კედლის სისქე 4 ფუტზე ნაკლები არაა. შუქურა, როგორც ჩანს, ცარცის კლდეზე დგას.

4. იანვ...

(ხელნაწერი აქ წყდება)



გამომცემელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ფანტასტი”.
რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 18/03/2015
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405092448

მთავარი რედაქტორი **ირაკლი ლომოური**

სარედაქციო საბჭო:

ალექსანდრე ელერდაშვილი
არჩილ კიკვაძე
თამარ კოტრიკაძე
ინა იმედაშვილი
ინგა მილორავა
ირაკლი ბაკურიძე
ლევან ბეიტრიშვილი
ლევან გელაშვილი
მალხაზ რუსაძე
მამუკა ხანთაძე

დიზაინი და ილუსტრაციები – **ალექსანდრე ელერდაშვილი**
და **მალხაზ რუსაძე**.

ილუსტრაციები შესრულებულია
კოლაჟური კომპოგრაფიკის ტექნიკაში.

მე-4 და მე-13 გვერდებზე გამოყენებულია
ნათელა ბრიგადაშვილის ფოტოები

ჟურნალში დაბეჭდილი რეი ბრედბერის მოთხრობების თარგმნისა
და გამოქვეყნების უფლებას ფლობს სარედაქციო საბჭოს წევრი,
ბატონი **ირაკლი ბაკურიძე**